ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები

I

ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი

Varlam Makharoblidze Tsageri History Museum

ცაგერის მუნიციპალიტეტი - **Tsageri Municipality**

ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები

I

Proceedings

of the

Tsageri History Museum

I

თბილისი – **Tbilisi**

2014

UDC (უაკ) 069.02:93/94(479.22)(063)
ც-134

წინამდებარე ნაშრომის I ტომით ცაგერის ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმი იწყებს შრომათა კრებულის სერიის გამოცემას, რომელშიც ასახული იქნება, უპირველეს ყოვლისა, ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექციები და ამ კოლექციების შესახებ არსებული სამეცნიერო ინფორმაცია, რითიც დაინტერესებულ მკითხველს საშუალება მიეცემა გაეცნოს მუზეუმში დაცულ მასალას და ამ მასალის შესახებ არსებულ გამოკვლევებს.

„შრომების'' მიზანია ხელი შეუწყოს არამარტო ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლების სამეცნიერო პოტენციალის შემდგომ ზრდას, არამედ ლეჩხუმის ახალგაზრდა თაობის სამეცნიერო-ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბებასაც და თავისი მხარის წარსულის შესწავლის საქმეში ჩართულობას.

„შრომები'' განკუთვნილია საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე მომუშავე ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისათვის, საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის.

პროექტი ხორციელდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად.

რედაქცია: **ნინო სულავა** (რედაქტორი)
დავით კოპალიანი
ჯუმბერ კოპალიანი
ნუგზარ კოპალიანი
ქეთევან რამიშვილი
სამხატვრო რედაქტორი: ნუგზარ კოპალიანი

With the 1st volume of the Proceedings, Varlam Makharoblidze Tsageri History Museum starts to issue the series of collection of works, depicting the collections of the Tsageri History Museum and existing scientific information about them. This will enable interested readers, to learn more about the materials housed in the museum and the research works dedicated to them.

Besides the support of the future growth of scientific potential of the museum staff, yet another important goal of "The Works" is to form a scientific-historical way of thinking of the young generation of the Lechkhumi area, as well as to engage them in the researches dedicated to the history of the homeland.

"The Proceedings" are destined for the Georgian and foreign specialists, working on the history and archaeological aspects of Georgia and the Caucasus, readers interested in Georgian history.

The project is implemented together with The Georgian National Museum Staff

Editorial Board: **Nino Sulava (Editor-in-chief)**
Davit Kopaliani
Jumber Kopaliani
Nugzar Kopaliani
Ketevan Ramishvili
Arts Editor: Nugzar Kopaliani

ISSN 1512-3871
© ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2014 Tsageri History Museum
© საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2014 Georgia National Museum

ეძღვნება მუზეუმის დამაარსებლის
ვარლამ მახარობლიძის ნათელ ხსოვნას

Dedicated to the blessed memory
of Varlam Makharoblidze -
the Founder of the Museum

რედაქტორებისაგან

ცაგერის ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმის შრომათა კრებულის სერიის I ტომი ერთგვარი გზამკვლევი იქნება მუზეუმის კოლექციების შესახებ (გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, საეკლესიო ნივთები, ეთნოგრაფიული, დ. ერმაკოვის ფოტონამუშევრები, ფერწერული), რომლებიც 10 000-მდე ექსპონატითაა წარმოდგენილი.

I ტომის სტატიებში წარმოდგენილი არსებული სამეცნიერო ინფორმაციის კომპილაციური ხასიათის მიმოხილვა დახმარებას გაუწევს მუზეუმის თანამშრომლებს და გიდებს, ხოლო დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს მუზეუმში დაცულ მასალას და ამ მასალის შესახებ არსებულ გამოკვლევებს.

შრომათა კრებულის შემდეგ ტომებში (სავარაუდოდ გამოვა 2 წელიწადში ერთხელ) ვგეგმავთ იმ სტატიების გამოქვეყნებას, რომლებიც შეეხება ლეჩხუმის წარსულს (არქეოლოგია, არქიტექტურული ძეგლები, ისტორია, ეთნოგრაფია).

შრომათა კრებულის სერიის მიზანია, აგრეთვე, ახალგაზრდა მკვლევართა გამოვლენა. ამ მიზნით ცაგერის ისტორიული მუზეუმი აცხადებს ერთგვარ კონკურსს: ლეჩხუმის ისტორიით, არქეოლოგიითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებული უფროსკლასელებისათვის, თითოეულ კრებულში დაიშვება კონკურსის წესით შერჩეული ერთი ნაშრომის დაბეჭდვა.

ცაგერის ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმის შრომათა კრებულის სერიის დაარსება მეორე პროექტია, რომელიც ხორციელდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად. პირველი ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანი იყო: ცაგერის განახლებული მუზეუმი მიახლოვებოდა მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების მქონე მუზეუმებს, საამაყო გამხდარიყო ლეჩხუმელებისათვის, საინტერესო – ჩამოსული სტუმრებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით დატვირთული და სასარგებლო მომავალი ყოფილიყო თაობებისათვის, ხოლო მხარის ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის - სამუშაოდ ხელმისაწვდომი, განხორციელდა 2012 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ცაგერის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით.

,,შრომები'', ვფიქრობთ, დახმარებას გაუწევს საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა თუ არქეოლოგიის საკითხებზე მომუშავე არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევარებსაც და საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკითხველს.

ნინო სულავა

დავით კოპალიანი

ჯუმბერ კოპალიანი

ნუგზარ კოპალიანი

ქეთევან რამიშვილი

From the Editors

The 1st volume of "The Proceedings of the Varlam Makharoblidze Tsageri History Museum" serves as an introduction to the museum collections (geological, paleontological, archaeological, numismatic, ethnographic; church items, D. Ermakov's photographs, paintings) that includes up to 10 000 exhibits.

The compile review of the scientific information, presented in the articles of the 1st volume, will provide assistance to the museum employees and guides. In addition, the readers will be able to receive information about the material housed in the museum, as well as results of their study.

In the following volumes of the issue (presumably published once in 2 years), we plan to publish articles that depict the past of Lechkhumi (archeology, architectural monuments, history, ethnography, geology)

Another purpose of initiating the collection of works is to reveal young researchers. For this purpose, the Tsageri History Museum announces a competition: for senior students interested in the history, archaeology and ethnography of Lechkumi. An article of the winner will be published in each issue.

Issuing the collection of works of the Varlam Makharoblidze Tsageri History Museum is the second project implemented in partnership with the Georgian National Museum. The main goals of the first joint project were: to renovate the Tsageri History Museum according to the modern museum standards, make the museum a proud model for Lechkhumi residents and interesting for the visitors, increase the cultural-educational function of the museum, making it useful for the future generations, and making it easily accessible for those researchers interested in the history and archaeology of the area. The project was implemented in 2012, funded by the Ministry of Culture and Protection of Monuments and the Tsageri Municipality.

We believe that "The Proceedings" will be of great help, both for Georgian and foreign researchers, working on Georgian, Caucasian history and archeology, and for the readers interested in the history of Georgia.

Nino Sulava

Davit Kopaliani

Jumber Kopaliani

Nugzar Kopaliani

Ketevan Ramishvili

სარჩევი

რედაქტორისაგან

From the Editors

ომარ ჭაბუკიანი, ნუგზარ კოპალიანი **5**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის დაარსების ისტორია და ვარლამ მახარობლიძე
Omar Chabukiani, Nugzar Kopaliani **9**
The history of founding the Tsageri History Museum and Varlam Makharoblidze (Summary)
†ვარლამ მახარობლიძე **11**
ისტორიული განყოფილების სასაუბრო ტექსტი
† Varlam Makharoblidze **22**
Handbook for the Section of History (Summary)
თინათინ საღინაძე, დავით კოპალიანი **23**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექციების ისტორია
Tinatin Saghinadze, David Kopaliani **25**
The history of the collections of the Tsageri History Museum (Summary)
რუსუდან ჩაგელიშვილი, თამარ ბერიძე **27**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის გეოლოგიური კოლექციები
Rusudan Chagelishvili,Tamar Beridze **28**
Geological Collections of Tsageri Historical Museum (Summary)
თამარ აღაპიშვილი **30**
მუზეუმის ქვის ხანის კოლექცია
Tamar Aghapishvili **31**
Lithic Collection from Tsageri History Museum
(Paleolithic, Neolithic, Chalcolithic) (Summary)
ნინო სულავა **33**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები
Nino Sulava **36**
The prehistoric metallurgy exhibits of Tsageri History Museum (Summary)
ნინო სულავა **40**
ყუამილიანი ცული ცაგერის ისტორიულ მუზეუმში
Nino Sulava **42**
The Socketed Axe of Tsageri History Museum (Summary)
ნინო სულავა **46**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის ბრინჯაოს განძები
Nino Sulava **49**
Bronze hoard of Tsageri History Museum (Summary)
ნინო სულავა **54**
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმიდან – ბრინჯაოს ხარი
Nino Sulava **57**
A New Archaeological Discovery from Lechkhumi - the Bronze Bull (Summary)

ქეთევან რამიშვილი **60**
კოლხური ცული ცხეთიდან
Ketevan Ramishvili **63**
Colchis Axe from Tskheta (Summary)
† ლამარა სახაროვა, ნინო სულავა **67**
ცხეთის ნასახლარი
(ლეჩხუმის 1970-71 წწ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები)
† Lamara Sakharova, Nino Sulava **75**
The Tskheta Settlement
(The results of the Lechkhumi archaological excavation in 1970-71) (Summary)
ნინო სულავა **87**
ცხეთის სამაროვანი
Nino Sulava **90**
Tskheta Necropolis (Summary)
ნინო სულავა **98**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის ანტიკური ხანის შემთხვევით აღმოჩენილი მასალა
Nino Sulava **100**
Casual Finds of the Classical period in the Tsageri History Museum (Summary)
თინა კახელიშვილი **108**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის მძივსამკაული
Tina Kakhelishvili **117**
Beads of the Tsageri History Museum (Summary)
მაია პატარიძე **122**
ლეჩხუმში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები
Maia Pataridze **129**
Antique era coins discovered in Lechkhumi (Summary)
ირაკლი ბაქრაძე **134**
ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში
Irakli Bakradze **142**
The Wawel type helmet in the Tsageri History Museum (Summary)
გიორგი მამარდაშვილი **151**
ცაგერის ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექცია
Giorgi Mamardashvili **153**
Ethnographic Collections of the Tsageri History Museum (Summary)
ნუგზარ კოპალიანი **159**
დიმიტრი ერმაკოვის ფოტონამუშევრების კოლექცია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში
Nugzar Kopaliani **160**
Photo collection of Dimitri Ermakov in the Tsageri History Museum (Summary)
ავტორთა საყურადღებოდ **166**
Important for the Authors **167**

ომარ ჭაბუკიანი, ნუგზარ კოპალიანი

ცაგერის ისტორიული მუზეუმის დაარსების ისტორია და ვარლამ მახარობლიძე

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება დაკავშირებულია ცნობილი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ბესარიონის ძე მახარობლიძის სახელთან. იგი ერთ-ერთ საგაზეთო წერილში (გაზეთი „ქუთაისი", 1968 წ. 3 მარტი) წერდა, რომ „ . . . ჯერ კიდევ, ჩემი პადაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ვიყავი დაინტერესებული ლეჩხუმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებით, მინერალური წყლების, ფერადი ლითონებისა და სამკურნალო მცენარეების გამოვლინებით. საჭირო იყო შეგროვილი მასალების შესწავლა და მეცნიერულად დამუშავება, რაც შესაძლებელი გახდებოდა ცაგერში მუზეუმის დაარსების შემთხვევაში". ამ მოტივირებულ დასაბუთებაში ჩამოყალიბებულია ცაგერში მუზეუმის დაარსების აუცილებლობა. საქმის შემდგომი მსვლელობისათვის მან მიმართა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების სწავლულ მდივანს პროფესორ ს. მაკალათიას, რომელმაც ვარლამ მახარობლიძისგან მოითხოვა გამხდარიყო საზოგადოების წევრი, რის შემდეგაც მას მიენიჭებოდა უფლება მიემართა საზოგადოებისათვის განცხადებით ლეჩხუმში მუზეუმის გახსნის თაობაზე. მხარეთმცოდნეობის საზოგადოების წევრად გახდომის შემდეგ ს. მაკალათიასთან ერთად იგი ვრცელი მოხსენებით წარდგა მხარეთმცოდნეობის საზოგადოების თავმჯდომარე ფილიპე მახარაძის წინაშე. ფილიპე მახარაძე გულდასმით გაეცნო მის განცხადებას და მოიწონა ლეჩხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების იდეა. ფილიპე მახარაძემ ს. მაკალათია და ვარლამ მახარობლიძე მიავლინა ცაგერის რაიკომში ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოსათათბირებლად მუზეუმის ჩამოყალიბების შესახებ და სათანადო საბუთების გასაფორმებლად, აგრეთვე, ბრძანება გასცა სათანადო თანხის გამოყოფის შესახებ. მუზეუმის დაარსების საორგანიზაციო სამუშაოები, მუზეუმის მოწყობა, შენობის გამოყოფა (თავდაპირველად ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის შენობა მისცეს) და ხელმძღვანელობა დაევალა ვარლამ მახარობლიძეს. 1937 წლის 10 აგვისტოს ს. მაკალათია და ვარლამ მახარობლიძე გამოცხადდნენ ცაგერის რაიკომის მდივანთან და გააცნეს ფილიპე მახარაძის აზრი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნის თაობაზე, მოითხოვეს შენობა და ხელმძღვანელი.

მუზეუმის ხელმძღვანელობა დაეკისრა ვარლამ მხარობლიძეს. მუზეუმის შტატი და ბიუჯეტი დამტკიცდა 1938 წლის პირველი იანვრიდან. 1937 წლის 10 სექტემბრიდან 1958 წლის აგვისტომდე ვარლამ მხარობლიძე მუზეუმის დირექტორი იყო.

ცნობილი მხატვარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვარლამ მახარობლიძე დაიბადა 1890 წლის 4 სექტემბერს მესტიის რაიონის სოფელ მუჟალში, დედულეთში, გიორგი მარგიანის ოჯახში. მომავალმა მხატვარმა პირველდაწყებითი განათლება სოფელ იფარის სამრევლო სკოლაში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში.

მაშინდელი ქუთაისი საგუბერნიო ქალაქი იყო, სადაც მრავლად შეხვდებოდით სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს, იმერელ აზნაურებს, სამხედრო მოსამსახურეებს, სასულიერო და სამოქალაქო პირებს. პატარა ვარლამმა სასულიერო სასწავლებელში მრავალი მეგობარი შეიძინა, მათ შორის იყო გენიალური ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და ცნობილი ლიტერატორი აკაკი მარგიანი – გამოჩენილი ქართველი პოეტის რევაზ მარგიანის მამა. გალაკტიონმა და ვარლამმა ნაქირავებ ბინაში კარგა ხანს იცხოვრეს ერთად. იმ დროს დაიწერა გალაკტიონის ერთ-ერთი პირველი პოეტური სტრიქონები, რომლებიც თავის მეგობარს, ვარლამს უძღვნა. იგი პოეტს ზეპირად წარმოუთქვას და არსად არ ჩაუწერია, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ პოეტს თავის სიცოცხლეში არ დავიწყებია და მეგობარს ყოველ შეხვედრაზე ღიმილით მიმართავდა: „კალმისტარი, კალამი, /ვადღეგრძელოთ ვარლამი".

აღსანიშნავია, რომ გ. ტაბიძისა და ვ. მახარობლიძის მეგობრობა ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა და შეწყდა დიდი პოეტის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ. მეგობრები ერთმანეთს არ ივიწყებდნენ და დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ერთმანეთის შემოქმედებით წარმატებას. გალაკტიონი დიდი ინტერესით ეცნობოდა ვარლამ მახარობლიძის სურათების ყოველ გამოფენას, რომელშიც მთელი სისავსით იყო წარმოდგენილი ლეჩხუმისა და სვანეთის ზღაპრული ბუნება და მშრომელთა ცხოვრების სურათები. გალაკტიონმა დიდი ინტერესით დაათვალიერა ვარლამ მახარობლიძის სურათების გამოფენა, რომელიც 1957 წლის 7 ივნისს მოეწყო თბილისში, ქართველ მხატვართა კლუბში. პოეტი განსაკუთრებით მოიხიბლა იმ სურათებით, რომლებიც ასახავდნენ სვანების ყოველდღიურ ცხოვრებას. მეგობრის სურათების დათვალიერების შემდეგ გალაკტიონმა შთაბეჭდილებათა წიგნში პირდაპირ ლექსით გამოხატა თავისი აღფრთოვანება: „აქ ძვირფასი მოსჩანს ჩვენი სვანეთი/ლაღი მთები, გამტანი ერთმანეთის, /ყველაფერი სხივითაა ნანთები, /კაცთა სახე, ხეობები და მთები. /აქ ჩვენს მხატვრებს საქართველოს ბუნება, /სულითა და გულით ესალბუნება. /ფერს ახალი მოაქვს მოსინათლობა/მადლობა მთებს, დიდზე დიდი მადლობა". ლექსი პირველად დაიბეჭდა 1965 წლის 8 აპრილს, პოეტის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთ სოფლის ცხოვრებაში.

გალაკტიონთან გულწრფელი და მარადი მეგობრობის ნიშნად ვ. მახარობლიძემ თავის უმცროს ვაჟს გალაკტიონის სახელი დაარქვა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ ვარლამი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ლეჩხუმის სხვადასხვა სოფლებში. გამოდის რა ცხოვრების ფართო გზაზე, მის წინაშე იშლება საზოგადოებრივი საქმიანობის ახალი, მანამდე უცნობი ასპარეზი. იმდროინდელი სოფელი ელოდა ენერგიულ, ინიციატივიან და გამრჯე ადამიანს, რათა მას სასურველი სულიერი საზრდო მიეცა მოსახლეობისთვის. ამ საპატიო მოვალეობის შესრულება წილად ხვდა ახალგაზრდა მასწავლებელს ვარლამ მახარობლიძეს. ვარლამი მალე მიხვდა, რომ მარტოოდენ მასწავლებლობა საკმარისი არ იყო. ცხოვრება მოითხოვდა, რომ დაბეჩავებული ხალხი კულტურას ზიარებოდა, რაც მით უფრო იყო საჭირო, როცა მთელი ლეჩხუმის მაზრაში ვერ ნახავდით ვერცერთ სამკითხველოს. ასეთ პირობებში დესპინე გელოვანთან ერთად ვარლამ მახარობლიძე ლეჩხუმში აარსებს სცენის მოყვარულთა დასს და სალაღობო წარმომადგენებისაგან შემოსული ფულით ცაგერში აარსებს პირველ სამკითხველოს. მალე ამითაც არ კმაყოფილდება და თავის მშობლიურ სოფელ ლაჯანაში ხსნის სამრევლო სკოლას.

1910–1911 წლებში ვარლამ მახარობლიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ცაგერის ორკლასიან სასწავლებელში, 1911–1913 წლებში ლენტეხის რაიონის ყვედრეშის სამრევლო სკოლაში, 1913–1918 წლებში ცაგერის საქალაქო სასწავლებელში, 1918–1924 წლებში ლაილაშის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, 1926–1929 წლებში ორბელის სკოლაში, 1933–1934 წლებში ცაგერის პედაგოგიურ ტექნიკუმში, ხოლო 1936–1937 წლებში ცაგერის სასოფლო–სამეურნეო ტექნიკუმში.

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის უჩა ჯაფარიძის მიერ 1946 წლის 9 დეკემბრით დათარიღებული ცნობის მიხედვით 1929 წლის ოქტომბრიდან 1932 წლის მარტამდე ვარლამ მახარობლიძე სწავლობდა აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე და გამოვიდა უსახსრობის გამო.

ვარლამ მახარობლიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1911 წლიდან სისტემატურად აწყობდა თავისი ნამუშევრების გამოფენას: 1911 წელს გამოფენა მოაწყო ქუთაისში, 1916–1919 წლებში ცაგერსა და ლაილაშში, 1924 წელს თბილისში, 1929 წელს კვლავ ქუთაისში, ხოლო 1930 წელს მოსკოვში. მის გამოფენებს დადებითად გამოეხმაურნენ გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი", „ვეჩერნაია მოსკვა", „პრავდა", „კომუნისტი", სტალინელი", „ქუთაისი"; ჟურნალები: „თეატრი და ცხოვრება", „დროშა", „საბჭოთა ხელოვნება" და სხვა.

გაზეთი „კომუნისტი", 1930 წლის 27 ივლისი: „საქართველოს სახკომსაბჭოსა და განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის დახმარებით მხატვარმა ვარლამ მახარობლიძემ მოაწყო თავისი სურა-

თების გამოფენა მოსკოვში. წარმოდგენილი იყო 60 ექსპონატი. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მხატვარმა მახარობლიძემ თავის ნამუშევარში აჩვენა მოსკოვს საქართველოს ხელოვნების, ყოფა–ცხოვრებისა და რევოლუციური მოძრაობის სურათი. კრიტიკამ აღნიშნა, რომ მხატვარს აქვს დიდი შემოქმედებითი უნარი, რომ ის აზროვნებს სახეებით, აქვს საკუთარი ხელწერა, სტილი, მასიური კომპოზიცია, დინამიკა და რაც მთავარია, გამართლებული იდეოლოგია. გამოფენა დიდი ინტერესით დაათვალიერეს უცხოელებმა, მათ ვარლამ მახარობლიძის სურათები შეადარეს რუსოს, ვან გოგსა და სხვა პრიმიტივისტ მხატვართა ნამუშევრებს. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება".

საინტერესოა ვ. მახარობლიძის მხატვრული შემოქმედების გზა. პირველ ხანებში იგი გატაცებული იყო ზღაპრული პერსონაჟებით, ხოლო შემდეგ დაიწყო რელიგიური და საყოფაცხოვრებო სურათების ხატვა. ყურადღებას იპყრობს მისი სურათები: „სისხლის აღება", „ბაზრობა", „ყეენობა", „ქორწილი ლეჩხუმში", „შუქი სვანეთის მთებში", და სხვა.

მალე მხატვარი იწყებს ქვეყნის შრომით სურათებზე მუშაობას: „სიმინდის თოხნა ლეჩხუმში", „თიბვა სვანეთში". მათ მოსდევს „გარდაფხაძეების მკვლელობა სვანების მიერ", „იმპერიალისტური ომი", „კლუბი სოფლად" და სხვა. მხატვრის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს მრავალფეროვანი ტიპები და პეიზაჟები. მისი სურათები გამოირჩევა ორიგინალური ფორმით და ფერით. ერთნაირი გატაცებით ხატავდა ის მწყემსებს, ცხოველებს, სოფლის მშრომელებს, მეგობრებს. საყოველთაო აღტაცებას იმსახურებს ვ. მახარობლიძის პეიზაჟები. მისი ნახატები გამოირჩევიან მასიურობითა და დინამიურობით. მხატვრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო 400 სურათის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგ განიცდიდა მასალების ნაკლებობას და შემოქმედებისათვის საჭირო პირობების უქონლობას.

ეტიუდების დასახატად ხშირად მოგზაურობდა ხან მარტო, ხან მეგობრებთან ერთად. რამდენჯერმე მოიარა საქართველოს კუთხეები ცნობილ მხატვრებთან – მოსე თოიძესთან და დავით კაკაბაძესთან ერთად. ხშირად ყოფილა მივლინებაში მხატვართა ჯგუფთან ერთად.

ვარლამ მახარობლიძის შემოქმედება მრავალფეროვანია თემატურად და ჟანრობრივად („მშენებლობა სვანეთში", „მორების დაცურება ცხენისწყალზე", „პირველი ტრაქტორი ლეჩხუმში", „პურის ლეწვა ლაჯანაში", „ქულბაქის სახერხი ქარხანა", „თიბვა ლაფურის მთაზე", „წერა–კითხის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა სვანეთში").

აქტიურმა სამხარეთმცოდნეო მუშაობამ, რომელსაც ვ. მახარობლიძე ეწეოდა, გამოავლინა ბევრი უნიკალური ექსპონატი. ორი ათეული წლის განმავლობაში მუზეუმის დირექტორად მუშაობასთან ერთად ვ. მახარობლიძე ეწეოდა აქტიურ კვლევით საქმიანობასაც. მისი „მუზეუმის სასაუბრო ტექსტი" დღესაც არ არის მოკლებული სამეცნიერო აქტუალობას. გამოქვეყნებული აქვს მრავალი საინტერესო ნარკვევი რაიონის კულტურულ და ისტორიულ ძეგლებზე. ვ. მახარობლიძის შემოქმედება ჯეროვნად დაფასდა მხატვრის სიცოცხლეშივე. მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მრავალი წერილი გამოქვეყნდა პრესაში. მხატვრის სურათები შეძენილი აქვს საქართველოს სახელმწიფო გალერეას, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, თბილისის, ქუთაისის, ცაგერის, ლენტეხის კულტურის სახლებს, სკოლებსა და სხვა საგანმანათლებო დაწესებულებებს. მას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ისტორიულ–ეთნოგრაფიული, ფოკლორული მასალების, სიგელ–გუჯრების, ხელნაწერი წიგნების გამოვლინების, დაცვისა და შესწავლის საქმეში.

ვარლამ მახარობლიძის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ლ. გუდიაშვილი, მ. თოიძე, დ. კაკაბაძე. ვ. მახარობლიძის შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია შ. კვასხვაძის - „ვ. მახარობლიძე – თავისი კუთხის მხატვარი და მოქალაქე", ვ. ქიქოძის - „მხატვარი, პედაგოგი და საზოგადე მოღვაწე", რ. ბაქრაძის - „ამაგდარი მხატვარი", მ. ძნელაძის - „შენ შეეწირე ჯერ არ ნახულს ფერთ მოჯარებას" და სხვა.

1932 წლიდან ვ. მახარობლიძე იყო საქართველოს მხატვართა კავშირის, ხოლო

1958 წლიდან საბჭოთა კავშირის მხატვართა კაშირის წევრი.

ვ. მახარობლიძე გარდაიცვალა 1972 წელს, 82 წლის ასაკში, დაკრძალულია ლაჯანაში. მხატვრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნეკროლოგები გამოაქვეყნეს გაზეთებმა – „კომუნიზმის სხივი“, „ლიტერატურული საქართველო“ და „კომუნისტი“.

მხატვრის ღვაწლს არ ივიწყებს შთამომავლობა. 1982 წელს მისი სურათების გამოფენა მოეწყო ლაჯანის სასოფლო კლუბში, გამოფენა დაათვალიერა ასობით ადამიანმა.

2000 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის № 53 გადაწყვეტილებით ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მიენიჭა მისი დამაარსებლის სახელი.

1996 წლის 2 დეკემბერს მუზეუმში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა ექსპონატების ნაწილი. ზარალი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა მუზეუმის უკლებლივ ყველა თანამშრომლის თავდადებული ბრძოლა მუზეუმის და ექსპონატების გადასარჩენად. მუზეუმის აღდგენის საქმეში დიდი დახმარება გასწია ფონდმა - „ღია საზოგადოება - საქართველო“, რომელმაც 4300 დოლარი გამოყო ნახანძრალი ექსპონატების გადარჩენისათვის.

მუზეუმი ათ წელზე მეტ ხანს აგრძელებდა მუშაობას შეუფერებელ შენობაში; 2011 წელს მუზეუმს საშუალება მიეცა დაბრუნებოდა თავის შენობას, რომლის აღსადგენად და გასარემონტებლად თანხები გაიღო ცაგერის მუნიციპალიტეტმა.

ვ. მახარობლიძის შემდეგ მუზეუმს ხელმძღვანელობდნენ – ვ. თოთაძე, დ. საღინაძე, ჯ. საღინაძე, დ. კოპალიანი, ნ. ტვილდიანი, ვ. ხეცურიანი, ო. ჭაბუკიანი, ნ. კოპალიანი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუზეუმის უხუცესი თანამშრომლების - თ. საღინაძისა და დ. კოპალიანის ღვაწლი, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაში.

2012 წელს, მუზეუმის დაარსების 75 წლისთავზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ცაგერის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლობით (პროექტის ხელმძღვანელი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფრ. მეც. თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი – ნინო სულავა, პროექტის დირექტორი – ცაგერის ისტორიული მუზეუმის დირექტორი – ნუგზარ კოპალიანი) განხორციელდა პროექტი - **ცაგერის ისტორიული მუზეუმი: ლეჩხუმის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი** (ფონდები, გამოფენისა და ალბომის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამა). საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების დახმარებით მოწესრიგდა ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდები – გაკეთდა მასალის ინვენტარიზაცია, დიგიტალიზაცია, ექსპონატები განისაზღვრა და დალაგდა პერიოდების მიხედვით, გაიმიჯნა კოლექციები (გეოლოგიის, პალეონტოლოგიის, ქვის ხანის, ბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური, შუასაუკუნეების, საეკლესიო ნივთების, ეთნოგრაფიული, დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია); გაკეთდა დავთრების დიგიტალიზაცია, ძველი სამუზეუმო დავთრები გადაყვანილ იქნა ელექტრონულ ვერსიაში, თითოეულ კოლექციაზე გაკეთდა მონაცემთა ბაზები Exel-ფაილების სახით, თითოეულ არტეფაქტზე შეიქმნა საინვენტარო და საგამოფენო ბარათის ელექტრონული ვერსია, ჩატარდა ექსპონატების სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები (ჩატარებულ სამუშაოზე შეიქმნა ბარათების ელექტრონული ვერსიები, დაცულობის აქტები და რესტავრაციის ბარათები); შემუშავდა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა და სამეცნიერო ბიბლიოთეკით აღიჭურვა სათანადო სივრცე (პროექტის მსვლელობაში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შეგროვებული წიგნებისა და ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული წიგნებით შეიქმნა ბიბლიოთეკა, სადაც არის ყველა ის ნაშრომი თუ პერიოდული გამოცემა, რომელიც საჭირო ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებული მოსწავლეებისა და მკითხველებისათვის); და ბოლოს, პროექტი დაგვირგვინდა ახალი ექსპოზიციითა და ცაგერის ისტორიული მუზეუმის ალბომის პრეზენტაციით.

2012 წელსვე ცაგერის ისტორიული მუზეუმის ბაზაზე დაარსდა დეხვირის ღია ცის ქვეშ მუზეუმი, რომელსაც აქ არსებული არქეოლოგიური (ძვ.წ. VIII-V სს ნასახლარი, ძვ.წ. IV – ახ.წ. IV სს სამაროვანი), არქი-

ტექტურული ძეგლების (ცხეთის XVIII ს-ის ტაძარი) და სამომავლოდ ეთნოგრაფიული სივრცის (ლეჩხუმური სახლი თავისი ავთენ-ტური ინვენტარით, უსახელოურისა და ცო-ლიკოურის ვენახები) აღდგენის ვარაუდით 2014 წელს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრა-ფიული ღია ცის ქვეშ მუზეუმი.

დღეს ცაგერის ისტორიული მუზეუმი თანამედროვეობის შესაბამისი მუზეუმია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს და ატარებს ვარლამ მახარობლიძის სახელს.

Omar Chabukiani, Nugzar Kopaliani

The history of founding the Tsageri History Museum and Varlam Makharoblidze

Summary

The founding of Tsageri Museum of Local lore is connected to the name of the famous artists and public figure Varlam Makharoblidze.

Varlam Makharoblidze was born on September 4, 1890 in Mujalati, a village in upper Svaneti. He received elementary education in a parochial school in village Ipari, later he graduated from the Kutaisi Church School. It is from Kutaisi that his multifaceted social and creative activity started, as well as his relationships with great and interesting people, including GalaktionTabidze, the friendship with whom lasted until the death of the great poet.

After the graduation from the Kutaisi school, Varlam Makharoblidze taught in the villages of Lechkhumi (Tsageri, Khvedrishi, Lailashi, and Orbeli). His activities were not limited just to the educational work at that time; in 1909 he founded an amateur troupe of stage admirers. With the earned money he established the first small public library; in 1911 he opened a public school in the village of Lajana.

In 1929-1932 Varlam Makharoblidze studied at the Tbilisi Academy of Arts, from which he failed to graduate, due to the lack of funds. However, as a professional artist, he took part in almost all exhibitions in Tsageri, Lailashi, Kutaisi, Tbilisi and Moscow in various years. 400 pictures can be counted in his creative legacy.

He participated in several creative tours with a group of famous Georgian artists, such as Mose Toidze and David Kakabadze, with whom he toured the regions of Georgia.

In 1932 Varlam Makharoblidze became a member of the Union of Georgian Artists and a member of the Union of Soviet Artists in 1958. He was awarded honorary diplomas and prizes.

Throughout many years, Varlam Makharoblidze studied and collected historic and ethnographic, folkloric materials of Lechkhumi and Svaneti, searched for natural resources, studied medicinal plants, mineral waters. His efforts were directed not only towards the discovery of monuments of nature, history and culture, but also towards their protection.

In September 10, 1937 through the initiative of Varlam Makharoblidze, the Tsageri History Museum was founded and the first exposition was arranged, based on the collected material.

Varlam Makharoblidze served as the director of the Museum until 1958. Varlam Makharoblidze - a public figure, a teacher, an artist, expert of antiquities, a highly educated and unordinary person passed away in 1972 at the age of 82.

In order to mark his contribution, the Tsageri History Museum was named after him in 1997.

After V. Makharoblidze the museum was directed by – V. Toidze, D. Saghinadze, J. Saghinadze, D. Kopaliani, N. Tvildiani, V. Khetsuriani, O. Chabukiani, N. Kopaliani. Special role was played by the elder staff members of the museum – T. Saghinadze and D. Kopaliani by raising the professional level of the museum's young employees.

On December 2, 1996 the museum building and part of the exhibits were destroyed by fire.

In 2012, on the 75th anniversary of museum's establishment, The ministry of Culture and Protection of Monuments of Georgia together with the Tsageri Municipality funded and implemented the project in partnership with the Georgian National Museum and Tsageri History Museum (Project director – chief scientific researcher of the Georgian National Museum, PhD in history – Nino Sulava, Project director – Tsageri History Museum director – Nugzar Kopaliani). The project – **Tsageri History Museum – Lechkhumi Cultural-educational Center** (funds, exhibition and album preparation, educational program) was concluded successfully by the new exhibition and the presentation of the album of the Tsageri History Museum.

In the same year, in 2012, on the territory of Tsageri History Museum, The Dekhviri open-air museum was settled. Later, in 2014, due to the future restoration plans of the protected archeological (settlement of the 8th-5th centuries BC, necropolis of the 4th century BC-4th century AD) and architectural monuments (Tskheta church of the 18th century), as well as the ethnographical space (Lechkhumi-type house with its authentic inventory), the name of the open-air museum was changed. Now it is renamed into "Dekhvili Archaeological and Ethnographical Open Air Museum".

Founding a series of proceedings of the Varlam Makharoblidze Tsageri History Museum is the second project, implemented in partnership with the Georgian National Museum.

Today, the Tsageri History Museum is befitting the standards of modern museums, suitably continuing to carry the name of Varlam Makharoblidze.

†ვარლამ მახარობლიძე

ისტორიული განყოფილების სასაუბრო ტექსტი

ლეჩხუმი[1] ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში იხსენიება „თაკუერის" სახელწოდებით - „ . . . თაკუერი რომელ არს ლეჩხუმი" ნათქვამია „ახალი ქართლის ცხოვრებაში".

ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „გორგიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად . . ." და გამომდინარე ლეონტი მროველის ცნობიდან იქვე შენიშნავს: „პირველად თაკუერს უწოდებდნენ რაჭას, ბაგრატიანთამდე ვითარცა აჩენს ცხოვრება რამეთუ გარდმოვლეს ოსთა გზა თაკვერისა, ვინაიდგან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი: კვალად ვითარცა მოწმობს სვინაქსარი მაქსიმე აღმსარებლისა, სახელდობრ ციხეთა მას შინათა. ხოლო შემდგომ ამას უწყის რაჭა და მას – თაკვერი ციხისთვის მუნ ყოფისაო".

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს „. . . იქნებ წინათ „თაკვერი" საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ რაჭა შემოიღეს და თაკვერი კი ლეჩხუმს შერჩა.

ბერძენი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი (მე–6 საუკუნე) ლეჩხუმის მხარეს „სკვიმნიას" სახელით იხსენიებს.

პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის განმარტებით ბერძნული „სკვმ" ჩხუმ/ცხუმის მიახლოებით გადმოცემას წარმოადგენს.

ძველ ქართულ ძეგლებში „ლეჩხუმი" არსად არ იხსენიება. ეს პროვინცია რაჭასთან ერთად თაკუერის სახელით არის ცნობილი, ხოლო რაც შეეხება სახელს „რაჭა", ქართულ წყაროებში პირველად, თუ არ ვცდებით, მე–12 საუკუნეში იხსენიება თაკვერთან ერთად. მაგალითად: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ნათქვამია „კახაბერ ერისთავი რაჭისა და თაკუერისა." ვახუშტის განმარტებით სახელწოდება „თაკვერი" ლეჩხუმს ეწოდა „ . . . გარემოსთა მთათაგან კვერსავით მდებარისა"; იხილე ესე მთა კვერი, ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკვერისა".

ამავე ისტორიკოსის ცნობით ცხენისწყალს წინათ „მდინარე თაკვერისა" ეწოდებოდა, ხოლო ცხენისწყალი უწოდეს მას შემდეგ, როცა მისმა ტალღებმა მურვან ყრუს 60 000 ცხენი წალეკა.

ბერძნები მდინარე ცხენისწყალს უწოდებდნენ „ჰიპპოს" („ჰიპპოს" ბერძნულ ენაზე ცხენს ნიშნავს).

საგეოგრაფიო სახელი „ლეჩხუმი" პირველად მე–15 საუკუნის ძეგლებში იხსენიება. ვახუშტის მიხედვით ეს სახელი ლეჩხუმს ეწოდა ხვამლის მთის გამო. სხვა ვარიანტით ლეჩხუმი შედგება ორი სიტყვისაგან – „ლე" და „ცხუმისაგან". „ჩხუმი მეგრულად თევზს ნიშნავს, ხოლო „ლე" სვანურად ადგილის სახელის მაწარმოებელი პრეფიქსია. აქედან გამომდინარე, „ლეჩხუმი" მოცემული ვარიანტით უნდა ნიშნავდეს სათევზაოს, ესე იგი მხარეს, სადაც ბევრი თევზია.

მეცნიერების აზრით მხარის ამ ახალი სახელწოდების ძირითად ნაწილს შეადგენს „ჩხუმი". ლეჩხუმში ახლაც არის სოფელი, რომელსაც „ჩქუმი" ეწოდება სახელად. იგი მდებარეობს ცხენისწყლის მარცხენა შენაკადის მდ. ჯონოულის სათავესთან ახლოს. მის ზემოთ კი დაახლოებით 2,5 კმ–ზე სოფელი ქულბაქია, რომელიც შესაძლებელია წინათ „საქულბაქო", ე.ი. სავაჭრო ბაზარი იყო. საყურადღებოა, რომ ეს პუნქტები „ჩქუმი" და „ქულბაქი" მდებარეობენ იმ გზაზე, რომელიც ასხის მთის ძირში გადის და ლეჩხუმის მხარეს აკავშირებს სამეგრელოს რაიონებთან.

ლეჩხუმის უძველესი ისტორიის შესახებ მსჯელობა შეიძლება იმ არქეოლოგიური მასალების მიხედვით, რომლებიც ლეჩხუმის ტერიტორიაზეა მოპოვებული. არქეოლოგიაში, და კერძოდ, რუსეთის არქეოლოგებს შორის (ვირხოვი, ანუჩინი და სხვა) დიდხანს იყო გავრცელებული მცდარი შეხედულება, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ქვის ხანის ადამიანებს არ უცხოვრიათ.

[1] ვ. მახარობლიძის წინამდებარე ნაშრომი, რომელსაც ავტორისეული ხელნაწერის მიხედვით ვაქვეყნებთ, დღესაც აქტუალურია. იბეჭდება მცირედი რედაქციით.

ცნობილი მეცნიერების შმიდტის (1914), კრუკოვსკის (1916) და გ. ნიორაძის (1926) აღმოჩენების შედეგად საბოლოოდ დადასტურდა, რომ კავკასია–საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ადამიანს უცხოვრია. მათ მიერ აღმოჩენილი ქვისა და ძვლის იარაღები მიეკუთვნება პალეოლითის ზედა საფეხურს, რომელსაც ენგელსის მიერ შემუშავებული პერიოდიზაციის მიხედვით შეესაბამება ველურობის შუა საფეხური. საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე წარმოიშვა გვარიც.

აფხაზეთის ტერიტორიაზე (სოხუმისა და გალის რაიონებში) გამოვლენილი იქნა უფრო ძველი, სახელდობრ, ქვედა პალეოლოთის ადამიანის არსებობის კვალი, ქვედა პალეოლითში ადამიანები ველურობის დაბალ საფეხურზე იდგნენ. ცხოვრობდნენ ჯოგებად, ეწეოდნენ შემგროვებლობას და მტაცებლობას. ამ დროს ცხოვრობდენენ ნეადერტალელი და ჰაიდელბერგელი ადამიანები. ჰაიდელბერგელი იყენებდა აშელური ტიპის იარაღს. ეს იარაღი კაჟის ქვისგანაა დამზადებული, ოვალური ფორმისაა, ორივე მხარეს სუფთადაა გათლილი, გვერდების ხაზი სწორი აქვს, ნაპირები მჭრელი. ამ იარაღით ჰაიდელბერგელი ხეს აძრობდა და ფხეკდა კანს, ჭრიდა მოკლული ცხოველის ხორცს და სხვ. აშელური ტიპის კაჟის ქვის იარაღი აღმოჩნდა აგრეთვე სოფელ ისუნდერში (ლეჩხუმი) და ინახება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ეს იარაღი მიუთითებს იმაზე, რომ ლეჩხუმის ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე უცხოვრიათ ადამიანებს.

კულტურის განვითარების შემდეგი საფეხურია ნეოლითი, ე.ი. ახალი ქვის ხანა. პალეოლითიდან ნეოლითში გარდამავალ ხანას არქეოლოგები უწოდებენ მეზოლითს, ანუ საშუალო ქვის ხანას, რომელსაც ენგელსის მიერ შემუშავებული პერიოდიზაციის მიხედვით შეესაბამება ველურობის უმაღლესი საფეხური, იგი იწყება მშვილდისრის გამოგონებით. „საშუალო ქვის ხანას, ანუ ველურობის ზედა საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ სოფ. ლაილაშში ნაპოვნი კაჟის, ქვის ისრის პირები. აგრეთვე სპათაგორში და ხვამლის მთაზე ნაპოვნი კაჟის, ქვის შუბისპირები. ნეოლითის, ე.ი. ახალი ქვის ხანაში იარაღის დამზადების ტექნიკა პალეოლითთან შედარებით დიდად გაუმჯობესებულია. ნეოლითის ხანაში ადამიანები ჯერ ბარბაროსობის დაბალ, ხოლო შემდეგ ბარბაროსობის შუა საფეხურზე იმყოფებიან. ბარბაროსობის დაბალი საფეხური იწყება მეთუნეობის შემოღებით. ამ დროს დაიწყო ადამიანმა მესაქონლეობა და მიწათმოქმედებაც. ნეოლითური პერიოდის ქვის იარაღები აღმოჩენილია კალანდაძის მერ სოფელ ოდიშში. აქ აღმოჩენილ ნივთებს შორის აღსანიშნავია გაპრიალებული ცულები, ხელსაფქვავები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, სახნისის მსგავსი მიწის სამუშაო იარაღები და სხვ. ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სოფელ ნაკურალეშში ნაპოვნი მწვანე ქვისაგან დამზადებული საბოსტნე ხელთოხი და პრიმიტიულად დამზადებული მოვარდისფრო, ძირმრგვალა ერთსახელურიანი დოქი.

ნეოლითის ზედა საფეხური, ე.ი. ბარბაროსობის შუა საფეხურის ძირითად მონაპოვარს შეადგენს საფეიქრო დაზგა და ლითონის დამუშავება (სპილენძისაგან და კალისგან ბრინჯაოს დამზადება). რკინის მოპოვება ამ საფეხურზე ჯერ კიდევ არ იციან. ამავე პერიოდში ჩაისახა მონობაც. საზოგადოება იყოფა ორ კლასად – მდიდრებად და ღარიბებად. მატრიარქატი შეიცვალა პატრიარქატად. შანტრი, დე მორგანი, ვირხოვი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ ბრინჯაოს კულტურა კავკასია-საქართველოში აღმოსავლეთიდან არის შეტანილი. ვილკეს აზრით ბრინჯაოს ხელოვნება ქართველ ტომებს შეთვისებული აქვთ არიელებისაგან. არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მალე გაბათილდა ზემოთ დასახელებულ მეცნიერთა მცდარი შეხედულებანი.

თრიალეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა საქართველოში ენეოლითური ფენის არსებობა დაადასტურა. ენეოლითი, ანუ სპილენძის ხანა, წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ახალი ქვის ხანიდან ბრინჯაოს წარმოებაზე (ლითონის ხანაზე).

ენეოლითური ნაშთები ჩვენში მე–3 ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ენეოლითისთვის დამახასიათებელია ძირბრტყელა ჭურჭლები, სპილენძის ყუამილიანი ცულები, შუბისპირები, რომელთაც ზედა ნაწილი ფოთლისებური აქვთ, ხოლო ყუნწი ღერო-

სებრი და ბოლოში მოკაუჭებული. არქეოლოგები გვიან ნეოლითსა და ენეოლითს მიაკუთვნებენ მეგალითური კულტურის ძეგლებს: „დოლმენებს“, „ციკლოპებს“, „ვეშაპებს“ და სხვა. „ვეშაპი” (თევზის ფორმის დიდი ქვები) დაკავშირებულია მთიანი ადგილის საირიგაციო სისტემასთან.

ენეოლითურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ ლეჩხუმში აღმოჩენილი და ამჟამად ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სპილენძის ყუამილიანი ცულები და ფოთლისებური ფორმის სპილენძის შუბის პირები. მეგალითური კულტურის წრეს უნდა მივაკუთვნოთ და ენეოლითს უნდა დავუკავშიროთ სოფელ ნაკურალეშში ახლახან აღმოჩენილი თორმეტი ცალი „ვეშაპი“, ანუ თევზის ფორმის ქვის ქანდაკებები. საქართველოში კულტურის განვითარების ნეოლითური საფეხურის შემდეგ, მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ბრინჯაოს ხანა იწყება. ლეჩხუმში აღმოჩენილ ნივთებიდან ადრეულ ბრინჯაოს ხანას უნდა მივაკუთვნოთ სოფელ ზუბში ნაპოვნი შავად გამომწვარი და კოხტად გაპრიალებული სამყურიანი თიხის ქოთანი, რომელიც ამჟამად ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. მეცნიერთა აზრით გვიანი ბრინჯაოს ხანაში (მეორე ათასწლეულის მიწურული და პირველი ათასწლეულის პირველი საუკუნეები) საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი დიდი კულტურული წრე – დასავლური (კოლხური) და აღმოსავლური (იბერია). დასავლურ-ქართული გვიან ბრინჯაოს ხანის ნივთიერი კულტურის ნიმუშებია კოლხური ცულები, წალდები, სატევრები, თოხები, შუბისპირები, ისრისპირები და სხვა. აქ გვხვდება გრძელი მახვილები, აღმოსავლურ-ქართული გვიან ბრინჯაოს ნივთიერი კულტურის დამახასიათებელი დიდრონი მახვილები, წვეტიანი, წვერმომრგვალებული, წვერმოკვეთილი, აგრეთვე მთლიანად ჩამოსხმული სატევრები, ბრტყელი სარტყლები, დიდრონი საბრძოლო ცულები, თოხები, ქვისგან გათლილი ან ბრინჯაოს მძივები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები და სხვ. ბრინჯაოს ნივთები საქართველოში ადგილზე მზადდებოდა. ეს ჩანს იქიდან, რომ ქალაქ სტალინირის მახლობლად აღმოჩნდა ქვის ყალიბი, რომელიც აღმოსავლურ-ქართული ცულის ჩამოსასხმელია. ასევე, სოფელ თელოვანშიც აღმოჩნდა კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი, კოლხური ტიპის ცულები პირველად სოფელ ყობანში (ჩრდილოეთ ოსეთი) იქნა აღმოჩენილი, ამიტომ მისი წარმოების ცენტრი ყობანი ეგონათ. შემდეგ მეცნიერებმა (ივაშჩენკო, იესენი და სხვა) დაამტკიცეს, რომ ყობანში ნაპოვნი ცულები კოლხური წარმოშობისაა და ეს ცულები აქ დასავლეთ საქართველოდან არის შემოტანილი. კოლხური ცულის დათარიღების საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: უვაროვა ყობანის ნივთებს მიაკუთვნებს ძვ. წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეს, ვირხოვი - ძვ. წელთაღრიცხვის მე-10-11 საუკუნეს კუფტინი კოლხურ ცულებს ათარიღებს ძვ. წელთაღრიცხვის მე-12-11 საუკუნეებით, არქეოლოგი ო. ჯაფარიძე ძვ. წელთაღრიცხვის მე–13 საუკუნით და ა.შ.

კოლხურ–ყობანური ცულები ფორმის სილამაზით საუცხოოა, ცულების ზედაპირზე გამოხატულია გრაფიკული ხასიათის დეკორები, ხვეულები, ოთხკუთხედები, წრეები; სხვადასხვა ცხოველები: ირემი, ძაღლი, ფრინველი, თევზი, გველი, ფანტასტიკური ცხოველები; აგრეთვე, ასტრალური ნიშნები – მზე, მთვარე, ვარსკვლავები და ასე შემდეგ. ცულებზე გამოხატული ასტრალური ნიშნები მზე, მთვარე და ვარსკვლავები გამოხატავენ ცას, ცხოველები სიმბოლურად აღნიშნავენ სამყაროს, ხოლო ქვეწარმავალი ან თევზი ეკუთვნის წყლის სტიქიას. ტალღისებრი სახის ხაზოვანი ორნამენტი, სპირალი, ან წნული წარმოადგენს წყლის გამომხატველ გრაფიკულ ნიშნებს. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ბრინჯაოს ბალთები. არქეოლოგ გობეჯიშვილის აზრით, კოლხური ბალთები წარმოიშვა მე-7-6 სს. ჩვენს ერამდე. ბრინჯაოს ბალთების ცენტრში გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები: ცხენი, ხარი, ირემი. მილერის აზრით ბალთებზე ნადირობა უნდა იყოს გამოსახული, ხოლო სხვების აზრით ტოტემური მნიშვნელობის ცხოველები. ყველაზე მეტი რაოდენობა კოლხური ცულებისა ჩვენ ლეჩხუმის ნიადაგმა მოგვცა. ეს აფიქრებინებს სპეციალისტებს, რომ ლეჩხუმის მხარე კოლხური ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად

ცენტრს წარმოადგენდა. ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდები და „აჭე“-ბი მიუთითებენ იმაზე, რომ სპილენძისა და ბრინჯაოს დამზადება ადგილობრივად ხდებოდა (ზოდები და „აჭე“-ბი აღმოჩენილია სოფელ ჩიხაშში და სხვაგან). 1924 წელს სოფ. ოყურეშში, „ლაჯობის ძირში“ აღმოჩნდა 32 ცალი ბრინჯაოს ნივთი, მათ შორის კოლხური ტიპის ცულები, ნაჯახ-ნამგალა, სატეხი, ბრასლეტები, კრუჟკა და სხვა.

ქუთაისის მუზეუმში დაცულია არაერთი ცალი კოლხური ცული სურმუშიდან. მეტად საინტერესო ნივთებია დაცული ერმიტაჟში სოფ. ლუხვანოდან, მათ შორის: შვიდი კოლხური ცული, სამი ბრინჯაოს შუბის პირი, ერთი დანისებრი ნივთი და ერთიც ბრინჯაოს ჭურჭელი. ერმიტაჟში ინახება აგრეთვე სამი კოლხური ცული და ერთი შუბის წვერი სურმუშიდან, აღმოჩენილი 1908 წელს და 12 ცალი კოლხური ცული სოფ. ლაილაშიდან. მეტად საყურადღებო ნივთებია დაცული, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სოფ. სურმუშიდან.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია კოლხური ტიპის ცულები, იბერიული ტიპის საომარი ცული (ჩიხაშიდან), ხელეჩოები, ტყავის დასამუშავებელი აფთები, ბრინჯაოს ნამგლები (ჩიხაშიდან), ცხენის ლაგამი (ცხეთიდან) და სხვა. სამკაულებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, თმის სახვევები, ზანზალაკები, ბალთები, ქინძისთავი, მასრა, ზოლოვანი აქატის, უფერული მინისა და ძვირფასი ქვისაგან დამზადებული მძივები, ბრინჯაოს ვაზის ნატეხები და სხვა. აღნიშნული საყოფაცხოვრებო ნივთები ლეჩხუმის მოსახლეობის კულტურული დაწინაურებისა და მხატვრული გემოვნების შესახებ მიუთითებს.

ლეჩხუმში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ბრინჯაოს ცხენოსნის ქანდაკება. პროფ. ამირანაშვილის განმარტებით ქანდაკება უნდა გამოხატავდეს უფრო წარჩინებულ პირს, შესაძლებელია მეფეს, ვიდრე ღვთაებას. მას ანტიკური და ირანული ხელოვნების არავითარი გავლენა არ ეტყობა. თავსაბურავის მოყვანილობა მოგვაგონებს ხეთურ ხელოვნებაში არსებულ მხედრების მუზარადებს. ქანდაკება კიდევ ერთი დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთია ქართველი ტომების ეთნიკური და კულტურული ნათესაობისა ხეთური მოდგმის ხალხებთან. პროფ. ჩიტაიას განმარტებით ხეთურ კულტურას უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე ხვამლის ძველი აღმოსავლური ტიპის ქვაბულები. ასევე, ფრიად საყურადღებო ნივთები აღმოჩნდა სოფ. ქვიშარში მდ. ობონელას ნაპირთან (სოფ. ქვიშარი წინათ ლეჩხუმის ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდა, ახლა ამბროლაურს ეკუთვნის). ობონელას ნივთებს შორის აღსანიშნავია 16 ცალი სპილენძის ცული. ამ ცულების პირი იმდენად თხელია, რომ ადამიანს შეუძლია მისი მოღუნვა. თარის დასაგები ნახვრეტის კედლებიც ასევე თხელია. ამრიგად, აღნიშნული ცულები საომარი ან სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოუსადეგარია.

პროფ. ნიორაძის აზრით, ობონელას ცულები განკუთვნილი იყვნენ ჭექა–ქუხილის ღვთაების შესაწირად და მიეკუთვნებიან ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარს. განსვენებულ მეცნიერს მდ. ობონელას ნაპირთან საკულტო დანიშნულების ცულების აღმოჩენის ადგილი მიაჩნია უძველეს საკულტო ადგილად კავკასიაში (მანამდე კი ასეთ ადგილად მიაჩნდათ სტეფანწმინდა).

1946 წელს სოფ. ქვიშარში აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთი, მათ შორის ბრინჯაოს ცულები. ცულები გალამაზებულია სპირალური წრეებით, სტილიზაცია ქმნილია ირმის რქებით და სხვა. სპირალი ზოგჯერ გამოყენებული იყო, როგორც დეკორატიული მოტივი, ან დაკავშირებული იყო „მზის კულტთან“, ხოლო ზოგ შემთხვევაში გველის გამოსახვას წარმოადგენდა (ასეთივე შინაარსით უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე სკივრზე ან ზანდუკზე ამოჭრილი ორნამენტებიც). ადამიანები წინათ გველს ტოტემად სახავდნენ. ეგვიპტეში ადამიანის მფარველი ქალღმერთი გველის სახით იხატებოდა. ახლაც გველი მიაჩნიათ ძვირფასი თვალმარგალიტებისა და საკულტო დანიშნულების ნივთების მცველ–შემნახველად. ბალთებზე გამოსახული ირმის რქები მეცნიერთა აზრით დაკავშირებული უნდა იყოს სწრაფ მოქმედებასთან. ქვიშარში აღმოჩენილ

ნივთებს შორის საყურადღებოა აგრეთვე ტყავის დასამუშავებელი „კარანიჩის“ მსგავსი ბრტყელი ცულები, ბრინჯაოს ხელეჩოები, აფთები, კრუჟკის სახელური და ბრინჯაოს რგოლ-მონეტები (ასეთ რგოლებს დე მორგანმა კავკასიური სიკილი უწოდა). ერთი ასეთი რგოლ-მონეტა აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. ცაგერაში, რომელიც ახლა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ბრინჯაოს რგოლებს მონეტის დანიშნულებით დღესაც იყენებენ სუდანში, არაბეთსა და სხვაგან. 1150 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე ასეთ მონეტებს იყენებდნენ ეგვიპტეში. პროფ. ნიორაძის დასკვნით სოფ. ქვიშარის განძი (ე.წ. ყობანის ტიპის ცულები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნივთები) არ უნდა მივაკუთვნოთ მე-12 საუკუნის უფრო ადრინდელ დროს ჩვ. წელთაღრიცხვამდე.

ლეჩხუმში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს შორის საყურადღებოა ცაგერში მიწის მუშაობის დროს ნაპოვნი ერთი ცალი სპილენძის ცული, რომელიც ამჟამად ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

პირველი ათასწლეულის დამდეგიდან საქართველოში იწყება რკინის ხანა. ქართველ ტომებს ლითონის დამუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველი კაცობრიობის წინაშე. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი მადნების სახელები და თვით ლითონების დამუშავებაც უცხოელებს ქართველი ტომებისაგან აქვთ შეთვისებული. მაგ. „ბრონზ'' ენობრივად ქართულ „სპილენძს'' უკავშირდება, რაც სპირ–ენმს, ანუ ისპირის მადანს ნიშნავს. გერმანულად თითბერს „მესინგ'' ჰქვია, რაც მოსინიკების ქართული სატომო სახელიდან არის წარმომდგარი. ბერძნულად ფოლადს „ხალიფს“ ჰქვია, რაც ხალიბების სატომო სახელიდან არის წარმომდგარი და ა.შ.

ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილ რკინის ნივთებს შორის, რომლებიც ამჟამად ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინის გრძელი, წვერმომრგვალებული და წვეტიანი მახვილები, დანები, მოკლე სატევრების კომბინირებული ცული, მხედარმთავრის კვერთხი, შუბის პირები, ნაირნაირი ისრის პირები, მათ შორის ორკაპები და სხვა. აღნიშნული რკინის ნივთები ძვ. წელთაღრიცხვის მე-6-5 საუკუნეებზე ადრინდელ პერიოდს არ უნდა მივაკუთვნოთ. აქვე ინახება აგრეთვე პატარა ზომის რკინის პირმოხრილი დანა (მახურიდან), რომელსაც პირობით „ქირურგის დანას უწოდებენ“ და აკუთვნებენ ძვ. წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეს. ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის მონეტების მიხედვით დასტურდება, რომ ლეჩხუმის მხარეს მეზობელ ქვეყნებთან ძველი დროიდანვე ფართო კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია დამყარებული. აქ აღმოჩენილი ოქროს მონეტებიდან აღსანიშნავია ალექსანდრე მაკედონელისა (სოფ. ცხეთიდან) და ლიზიმახის სტატერების მინაბაძი. ალ. მაკედონელის სტატერის მინაბაძის შუბლზე ადამიანის თავის პროფილია უხეშად გამოსახული, რომლის ირგვლივ სხვადასხვანაირად განლაგებული მსხვილი წერტილებია, ხოლო ზურგზე გამარჯვების ღვთაების „ნიკეს'' უხეში გამოსახულებაა.

ლიზიმახის სტატერის მინაბაძის შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავის პროფილი, ხოლო ზურგზე - ტახტზე მჯდომი ათენა ქალღმერთი. ტახტის ქვეშ მოთავსებულია სამთითა. აღნიშნული ოქროს მონეტები ძვ. წელთაღრიცხვის მე-3-2 საუკუნეს მიეკუთვნება.

ლეჩხუმში ნაპოვნი ვერცხლის მონეტებიდან საყურადღებოა კეისარ ოქტავიანე ავგუსტის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) დინარები და ადრიანე კეისრის (117–138 წწ.) სახელით მოჭრილი დიდრაქმა. ოქტავიანე ავგუსტის დინარის შუბლზე გამოსახულია კეისრის მარჯვენა პროფილი, რომლის გარშემოც შესაფერისი ლათინური ზედწერილია, ხოლო ზურგზე კეისრის ნაშვილები გაიოზისა და ლუცის გამოსახულებანია, რომლებიც პირისპირ დგანან და ფარებსა და შუბებს ეყრდნობიან. გამოსახულების ირგვლივ შესაფერისი ლათინური წარწერაა.

ბერძენი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობით ლეჩხუმი, ანუ სკვიმნია მე-6 საუკუნეში ლაზიკის სამეფოში შემავალი ქრისტიანული პროვინცია ყოფილა, რომელსაც საკუთარი მთავარი ჰყოლია, რომელიც ლაზიკის მეფისაგან ინიშნებოდა.

ლეჩხუმის შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობებია დაცული „მაქსიმე აღმსარებლის

ცხოვრებაში“. წიგნის ავტორი მოგვითხრობს, რომ წმ. მაქსიმე, როგორც მონოფიზიტების მთავარი მოწინააღმდეგე, ანასტასიას აპოკრისართან და ანასტასიოს მონაზონთან ერთად 662 წელს ბიზანტიიდან ლაზიკაში გაუძევებიათ. აქ ისინი სხვადასხვა ადგილას მოუთავსებიათ. წმ. მაქსიმე „სქიომარის“ ციხეში, ანასტასია აპოკრისარი - სავანთა ციხეში, ხოლო ანასტასიოს მონაზონი „თაკურიას“ ციხეში. აკად. კეკელიძისა და ბრილიანტოვის აზრით აქ მოხსენიებული „თაკურიას“ ციხე, იგივე ლეჩხუმის ციხე - თაკვერია. თაკვერის ციხე მოხსენიებული აქვს აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონს თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“. „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში“ დასახელებული „სქიომარის „ციხე, სადაც წმ. მაქსიმე იყო დაპატიმრებული, აკად. კეკელიძესა და ბრილიანტოვს „მურის ციხედ” მიაჩნიათ. მურის ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში” წერს, რომ „არს კავკასის ძირს მურის ციხე არავისგან შემუსვრილი-აღებული, მურიდან გარდავალს სვანეთის გზა”-ო. მურის ციხე პირველად მოხსენიებულია მე-11-ე საუკუნის ერთ ხელთნაწერში, სახელდობრ, საეკლესიო მუზეუმის № 97 ხელთნაწერის 548 გვერდზე ასეთი შენიშვნაა დაწერილი - „სუანთა ციხე რომელ არს მური”. ლეჩხუმის უძველეს ნაგებობათა შორის, გარდა „სქიომარ-მურის“ ციხისა, აღსანიშნავია წმ. მაქსიმეს მონასტერი მურში. აღნიშნული მონასტერი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თავის „საქართველოს გეოგრაფიაში”, სადაც ნათქვამია: „ცაგერის ეკლესიის ზეით არს მონასტერ წოდებული მაქსიმე აღმსარებლისა და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული. არს მშვენიერშენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად”-ო. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ეს მონასტერი მე-7-ე საუკუნის ძეგლია. ლეჩხუმი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში „თაკუერის” სახელწოდებით იხსენიება. „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში”, რომელიც დაწერილია მე-11-ე საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის მიერ, მოხსენიებულია „მარგუისა და თაკუერისა ერისთავი.” მეთორმეტე საუკუნის საისტორიო თხზულებიდან, როგორიცაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი” ირკვევა, რომ თამარ მეფის დროს თაკუერი, ე.ი. ლეჩხუმის მხარე და რაჭა ერთ საერისთავოს შეადგენდნენ, აქ დასახელებულია „ . . . კახაბერ ერისთავი რაჭისა და თაკუერისა”. ამავე საისტორიო თხზულებიდან ჩანს, რომ როცა გიორგი რუსის მომხრეებმა ვარდან დადიანის მეთაურობით თამარ მეფის წინააღმდეგ ამბოხება მოაწყვეს, მთელი დასავლეთ საქართველო და მათ შორის რაჭა–თაკუერის საერისთავოც თამარის მოწინააღმდეგე ბანაკს მიმხრობია. როგორც ცნობილია გიორგი რუსის მომხრეთა ეს ამბოხება მათი სრული დამარცხებით დამთავრდა.

ლეჩხუმის ფეოდალური ხანის ძეგლებიდან, გარდა ზემოდ დასახელებულისა, აღსანიშნავია: ქრისტიანული ეპოქის ხვამლის ქვაბულები, ხვამლის უძველესი ეკლესიის (აწ დანგრეული) კედლის ჩუქურთმიანი ქვები (დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) და სხვა. 1910 წელს ახალი ეკლესიის აშენების დროს ხვამლზე უნახავთ ქვა ასომთავრული წარწერით. ექ. თაყაიშვილის მიხედვით ეს წარწერა ასე იკითხება: „წმინდაო გიორგი, მეოხ და მფარველი ექმენ ერისთავთ-ერისთავსა იოანეს სუანთა და შვილთა მისთა მ[ას დღესა განკითხვისასა ამინ]“. ქრისტიანული ხანის ფრიად საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს ბარელიეფიანი ეკლესია გონში (ლეჩხუმი). განსაკუთრებით აღსანიშნავია გონის ქვის სამსართულიანი კანკელი, საუცხოოდ მოჩუქურთმებული, რომელიც მეცნიერთა აზრით მე-8-9 საუკუნეებს მიეკუთვნება. ძეგლებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე თაბორის ეკლესია (ლეჩხუმი). პროფ. ჩიტაიას განმარტებით ამ ეკლესიის კედლის ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტები და მოხატული ქვები მე-12-13 საუკუნეებს მიეკუთვნება. ცაგერის მუზეუმში ინახება ბექა ოპიზარის სტილით შესრულებული ვერცხლს პატარა ჯვარი მე-12 საუკუნისა. მაგრამ ეს ჯვარი ადგილობრივი ხელობის არის თუ არა, ჯერჯერობით გაურკვეველია.

ლეჩხუმის ძველ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ორბელის ციხე. ხალხიც ამბობს და შენობის სტილიც ამტკიცებს, რომ ეს ციხე მე-12 საუკუნისაა. ძველი ქართული წყარო-

ები ორბელის ციხეს არ იცნობს. ვახუშტი ბაგრატიონს თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ მოხსენიებული აქვს „ . . . ციხე ორბეთისა კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი“.

1919 წელს ორბელის ციხე ინახულა და აღწერა ექ. თაყაიშვილმა „ციხეს სამი კოშკი აქვს, მათში ჩრდილოეთის კოშკი ყველაზე მაღალია. შიგ ხის ოთახია გადახურული . . . ციხეში არის ჭა და ქვის პატარა ეკლესია . . . ეკლესია მოხატული ყოფილა“. ეკლესიას ჰქონია რკინით შეჭედილი კარი, რომელიც ახლა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბიზანტიური და არაბული მონეტები თვალსაჩინოდ მიუთითებენ ლეჩხუმის მხარის კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობაზე მეზობელ ქვეყნებთან.

ლეჩხუმის ისტორია მე-13-14 საუკუნეებისა, ცნობების უქონლობის გამო, ბურუსითაა მოცული. ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ 1327 წელს იმერეთის ტახტზე გამეფებულ კონსტანტინე დავით ნარინის ძეს მისი უმცროსი ძმა მიქელი აუჯანყდა, რომელმაც ხელში ჩაიგდო რაჭა, ლეჩხუმი და არგვეთი.

ჟამთააღმწერელს (მე-14 საუკუნე) თავის საისტორიო თხზულებაში მოხსენიებული აქვს ლეჩხუმის ტერიტორიასთან დაკავშირებული პუნქტი, სახელდობრ, ხვამლის მთა, სადაც საქართველოს მეფეები ძველთაგანვე სახელმწიფო საგანძურს ინახავდნენ თურმე. აქ ნათქვამია, რომ 1259 წელს საქართველოს მეფეებმა დავით ულუმ და დავით ნარინმა „განყვეს სამეფო და საჭურჭლენი ორად, გარნა ხვამლის ქუაბსა, რომელ იდვა მცირე რამ გამოიღეს და გაჰყვეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევესო“. ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ წერს, რომ „ . . . ხომლის კლდეში არს ქვაბული გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ-სადები“. ბროსეს ცნობით დადიანს მე-19 საუკუნეში გაუთხრია ხუამლის სახელმწიფო საგანძური, მაგრამ ვერაფერი უნახავს. წინათ ხვამლის მთაზე მონასტერი ყოფილა აშენებული, ახლა დანგრეულია. ხალხი აქ ყოველ 20 ივლისს ხვამლობას დღესასწაულობდა. გადმოცემით ამირანი ხვამლის მთაზე ყოფილა მიჯაჭვული.

პოლიტიკურად ლეჩხუმი 1464 წლიდან, ე.ი. როცა საქართველო სამ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ გაიყო, ვიდრე 1681 წლამდე იმერეთის სამეფოში შედიოდა და ირიცხებოდა მეფის სრულ დამოკიდებულებაში. ვახუშტის ცნობით „ლეჩხუმი შემდგომად განყოფისა სამეფოთა იყო ტალანი იმერთა მეფისაო“.

1681 წლიდან ლეჩხუმის მხარე სამეგრელოს სამთავროს გავლენის ქვეშ მოექცა. ცაგერში იყო საკათედრო ტაძარი (როდის დაარსდა ჯერჯერობით არ არის ცნობილი). ვახუშტი წერს: „არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. ზის ეპისკოპოსი მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა“. პირველ ცაგერელ ეპისკოპოსად წყაროებში მოხსენიებულია კოზმანი, რომელიც გიორგი მესამე იმერთა მეფის დროს საქართველოს მღვდელმთავართა გაერთიანებულ კრებას დასწრებია.

1867 წელს ეს ტაძარი ინახულა დ. ბაქრაძემ. ეკლესიის კედლებზე სხვა ფრესკებს შორის ყოფილა თამარისა და გიორგის გამოხატულებაც წარწერებით „თამარ“ და „გიორგი“. 1910 წელს ცაგერის ეკლესია ინახულა და აღწერა ექ. თაყაიშვილმა. ეკლესია აღმოსავლური ბაზილიკის ტიპისაა. კედელზე საკურთხევლის მახლობლად აქვს წარწერა: „ტაძარი ესე მონასტრისა, რომელიც 1823 წელს იყო სამიტროპოლიტო და ამა წ/გნ ეკლ. არს საარხიმანდრიტო მონასტერი. განახლებულ არს სიძველისაგან 1866 წლიდან 1871 წლამდე“ და სხვა.

ლეჩხუმის მხარე, როგორც ეს საისტორიო წყაროებიდან ჩანს, მე-17 საუკუნეში ერთ მთლიან საგამგეო ერთეულს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონს თავის ნაშრომში – „საქართველოს ცხოვრება“ მოხსენიებული ჰყავს ლაშხიშვილი ხოსია - თავი ლეჩხუმისა, რომელმაც ქართლის მეფეს ვახტანგ მე-6 დიდი სამსახური გაუწია სამეგრელოს მთავრის ვამეხ დადიანის (1659-1661) წინააღმდეგ ბრძოლაში.

მე-17 საუკუნეში ლეჩხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ე.ი. რიონის ხეობის ლეჩხუმი ცალკე საგამგეო ერთეულს შეადგენდა, რომელსაც „საინასარიძო'' ეწოდებოდა. „საინასარიძო'' მოხსენიებულია მარტვილის ტაძრის ცნობილ წარწერაში. ლეჩხუმში ფართოდ არის გავრცელებული თქმულე-

ბა გიორგი ინასარიძის შესახებ. მის დროს ლეჩხუმის მხარეს ოსმალებისა და ლეკების ჯარი შემოსევია, მაგრამ გიორგი ინასარიძეს ისინი სასტიკად დაუმარცხებია და სამშობლოდან გაურეკია. გიორგი ინასარიძე ,,საინასარიძი'' ე.ი. რიონის ხეობის ლეჩხუმის მფლობელი და იმერეთის სამეფო დარბაზის წევრი იყო. იგი მოხსენიებულია იმერეთის მეფის ბაგრატ მე-4 მიერ 1669 წელს რუსეთის ხელმწიფის ალექსი რომანოვისადმი გაგზავნილ მიმართვაში. გიორგი ინასარიძე დასაფლავებულია ლაბეჭინის ეკლესიაში.

მე-18 საუკუნის 80-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატ მეოთხის კარზე დაწინაურდა ჭყონდიდელი ჩიქოვანის ძმა კაცია. კაცია ჩიქოვანმა მოხერხებულად ისარგებლა იმერეთის შინაური არეულობით და თავისი ძმის ჭყონდიდელი გაბრიელის დახმარებით თანდათანობით მოიხვეჭა პოლიტიკური ძალაუფლება. ჭყონდიდელმა ჩიქოვანმა სამეგრელოს მთავარს ლეონ მესამეს ურჩია, რომ კაციასათვის მიეცა სალიპარტიანო, რომლის საშუალებით დადიანს შეეძლო ხელში ჩაეგდო აგრეთვე მთელი ლეჩხუმიც.

დადიანმა გადმოიბირა კაცია ჩიქოვანი და უწყალობა მას ლიპარტელიანობა, ხოლო შემდეგ სადადიანოს ვეზირობაც. კაცია ჩიქოვანმა წარმატებით გამოიყენა სამეგრელოს მთავარსა და ოდიშის წარჩინებულთა შორის არსებული წინააღმდეგობა. მან დადიანის დახმარებით გაანადგურა მისი მოწინააღმდეგე ოდიშელი ფეოდალები და ამ გზით დიდ ქონებრივ აღზევებასა და უფლებრივ მდგომარეობას მიაღწია. იგი ლეონ მესამის დროს სამეგრელოს სამთავროს ფაქტიური მმართველი გახდა. კაცია ჩიქოვანის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მიუთითებს მარტვილის ეკლესიის 1681 წლის წარწერა: ,,ჩვენ ლეჩხუმის და საინასარიძის და სალიპარტიანოს პატრონმან დიდის ხელმწიფისა მეფისა დად დადიანისა ვაზირმან იმერეთისა– ოდიშისა თავმან და სარდალმან ჩიქოვანმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩვენმან დიდისა . . . და ძემან ჩვენმან გიორგიმ, იოსებ, ოტიამ დავახატვინეთ სამხრო ესე''. ასეთივე წარწერა დაცულია სოფ. ნაკურალეშის ეკლესიაშიც (ლეჩხუმი), სადაც გამოსახულია კაცია თავისი მეუღლით თამარით: ,,ქ. ლეჩხუმის და სალიპარტიანოს პატრონი ოდიშის თავი იმერეთისა და ოდიშის სარდალი ჩიქოვანი ბატონი კაცია''.

ნაკურალეშის ეკლესია აშენებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში ჭყონდიდელი გაბრიელის მიერ. ეკლესიის კედლებზე წარმოდგენილია მთელი სახლობა ჩიქოვანთა გვარისა.

ჩიქოვანი კაციას გარდაცვალების შემდეგ სალიპარტიანო დაიპყრო მისმა შვილმა გიორგიმ, რომელიც მამაზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელი იყო. ლეონ მესამის გარდაცვალების შემდეგ (1680) დადიანი გახდა. მისი უკანონო შვილი ლეონ მეოთხე. ლეონ მეოთხე დადიანი უნიჭო და სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო, ამიტომ სამეგრელოს სამთავროს ფაქტიურად გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. ბოლოს გიორგი ლიპარტიანი იმდენად გაძლიერდა, რომ გააგდო ლეონ მეოთხე დადიანი და სამეგრელოს სამთავროს თვითონ დაეპატრონა.

ვახუშტის ცნობით მეთვრამეტე საუკუნის ათიან წლებში გიორგი ლიპარტიანს ლეჩხუმელები განუდგნენ, მათი ხელახლა დაპყრობა ლიპარტიანმა გიორგი აბაშიძის დახმარებით შეძლო. ლიპარტიანმა ლეჩხუმი თავის ძმას იესეს ჩააბარა, მაგრამ იესემ უღალატა ლიპარტიანს და გიორგი მეფესთან გაიქცა ქუთაისში. შეშინებულმა ლიპარტიანმა ლეჩხუმიდან გამოდევნა იესეს მომხრეები და გადასცა იგი თავის შვილს ბეჟანს. ოდიშში ბატონობა რომ შეენარჩუნებინა, ლიპარტიანმა თავისი უფროსი შვილი კაცია დადიანად აღიარა (1704-1710), ხოლო უმცროს შვილს გაბრიელს ჭყონდიდელობა მისცა, თვითონ კი ისევ ლიპარტიანად და სამეგრელოს სამთავროს უმაღლეს ზედამხედველად დარჩა.

კაცია პირველი-დადიანი გარდაიცვალა 1710 წელს. გიორგი ლიპარტიანის შვილმა ბეჟანმა ფულით მოქრთამა იმერეთის მეფე და სთხოვა, რომ ,,განაძოს მამამისი ლიპარტიანი და ჰყოს იგი დადიანად''. მაშინ გიორგი მეფემ გაილაშქრა ლიპარტიანის წინააღმდეგ, გააძევა იგი ოდიშიდან და ბეჟანს მისცა დადიანობა, მაგრამ გიორგი ლიპარტიანი იარაღს მაინც არ ჰყრიდა და მედგარ ბრძოლას განაგრძობდა გიორგი მეფისა და ბეჟანის წინააღმდეგ. ბეჟან დადიანმა კათალიკოს გაბრიელის შუამდგომლობით შემოიტყუა მამამისი გიორგი ლიპარტიანი და მის

ცოლყოფილთან ერთად ციხეში ჩასვა, სადაც ისინი მალე გარდაიცვალნენ.

1721 წელს ოსმალებმა იმერეთის ტახტზე დასვეს გიორგი მეექვსის ძე ალექსანდრე მეხუთე. ბეჟან დადიანსა და ზურაბ აბაშიძეს არ მოეწონათ ალექსანდრეს გამეფება და წინააღმდეგობა გაუწიეს. ალექსანდრე მეხუთემ ოსმალების დახმარებით 1721 წელს დაამარცხა ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე. ისინი ლეჩხუმში გაიქცნენ, ოსმალები კვალდაკვალ დაედევნენ მათ. შევიდნენ ლეჩხუმში, ამოწვეს და მოარბიეს იქაურობა და ისევ ქუთაისში დაბრუნდნენ. ბეჟან დადიანის გარდაცვალების შემდეგ 1721 წელს ოდიშში გადადიანდა ბეჟანის შვილი ოტია. ალექსანდრე მეხუთემ ოტია დადიანს ლეჩხუმის დათმობა მოსთხოვა, დადიანმა უარი განუცხადა და განიზრახა მეფის მოკვლა. მეფემ შეიტყო შეთქმულთა გეგმები, 1732 წელს დაესხა მათ ჩიხორთან და სასტიკად დაამარცხა ისინი. ამ ომში ბევრი ლეჩხუმელი დაიღუპა.

1752 წელს იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ პირველი, რომელმაც მიზნად დაისახა იმერეთის სამეფოს გაერთიანება და ოსმალების ბატონობისაგან მისი გათავისუფლება. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ურჩი მთავრებისა და ფეოდალების დამორჩილება. შეშინებული მთავრები და დიდებულები ოსმალებს დაუკავშირდნენ. 1757წელს ოსმალები სოლომონ მეფის დასასჯელად იმერეთში შეიჭრნენ. თათრის ჯარი სოფ. ხერგილთან დაბანაკდა. სოლომონ პირველმა დახმარებისათვის მიმართა თავის სიმამრს ოტია დადიანს. დადიანმა შეკრიბა ოდიშ, ლეჩხუმ, აფხაზთა ჯარი და თავისი შვილის კაციას წინამძღოლობით სოლომონის დასახმარებლად გაგზავნა. ქართველთა ჯარმა სოფ. ხერგილთან სასტიკად დაამარცხა ოსმალები და გარეკა ისინი იმერეთიდან. ამ ომში ლეჩხუმელებმა თავი ისახელეს.

1764 წელს გარდაიცვალა ოტია დადიანი და გადადიანდა მისი შვილი კაცია. კაცია მეორე დადიანმა ცოლად შეირთო ერეკლე მეორის და ელისაბედი. „ხ-შ-დ ორისა წლისა შობასა ზედა ყრმისასა მოკუდა სანეტარო ესე დედოფალი ელისაბედ და დაფლეს ცაგერს ვინათგან გარდაიცვალა სამთავროსა სასახლესა მურს, წელს ქ-ით 1769 „ . . . (ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ელისაბედ დედოფლის ოქროს მკედით ნაქსოვი საბურველი, რომელიც ქართული ხელოვნების შედევრს წარმოადგენს. ეს საბურავი შესრულებულია ციციშვილის ქალი - მეფე თეიმურაზ მეორის მეუღლის ანახანუმის დავალებით. 1769 წელს სოლომონ პირველმა რაჭის საერისთავო დაიპყრო, შემდეგ გურიის სამთავროც დაიმორჩილა. ამ ამბავმა კაცია მეორე დადიანი დიდად შეაშფოთა, მან იცოდა, რომ გაძლიერებული სოლომონი სამეგრელოს სამთავროსა და ლეჩხუმის დაპყრობასაც შეეცდებოდა. სოლომონ პირველი ოდიშის მთავარს თავის ქვეშევრდომად თვლიდა, ხოლო ეს უკანასკნელი იმერეთის მეფის უპირატესობას არ სცნობდა. ამ ნიადაგზე მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. სოლომონ პირველის ზრახვები ოდიშის სამთავროსა და ლეჩხუმის მიმართ ნათლად ჩანს რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ თავისი წერილიდან. იგი ამ წერილში ამტკიცებს, რომ ვიღაც კაცია ჩიქოვანს უკანონოდ მიუთვისებია დადიანობა და ჩვენი კუთვნილი ლეჩხუმი. როგორც ძველიდანვე იმერეთის მეფის მორჩილი იყო დადიანი, ახლაც ჩვენ უნდა გვემორჩილებოდესო, მაგრამ სოლომონ პირველმა თავისი წადილი, რომ იმერეთისათვის შეეერთებია ოდიშის სამთავრო და ლეჩხუმი, სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგანაც მის ასეთ განზრახვას წინ ეღობებოდა როგორც ოსმალეთის, ასევე რუსეთისა და ქართ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური ინტერესები.

1788 წელს გარდაიცვალა კაცია მეორე დადიანი და სამეგრელოს მთავრად დასვეს მისი მცირეწლოვანი შვილი გრიგოლი. იმერეთის მეფემ დავით მეორემ დრო იხელთა და დაიპყრო ოდიში. გრიგოლმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ლეჩხუმში გაიქცა. მაშინ შეიკრიბნენ ოდიშის დიდებულები, ლეჩხუმის სარდალი მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და გადაწყვიტეს ტახტიდან გადაეგდოთ დავით მეორე გიორგის ძე, გაემეფებინათ დავით არჩილის ძე ბაგრატიონი. შეთქმულებმა დავით არჩილის ძე ლეჩხუმში მოიყვანეს, ცოლად შერთეს გრიგოლ დადიანის და, აკურთხეს გვირგვინი და მურის სასახლეში ქორწილი გადაუხადეს. შემდეგ შეკრიბეს ლეჩხუმის ჯარი და იმერეთის

მეფის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ბრძოლა მოხდა 1789წელს სოფ. ხუნწთან. დავით მეორე დამარცხდა. შეთქმულებმა აიღეს ქუთაისი და მეფედ დასვეს დავით არჩილის ძე სოლომონ მეორის სახელწოდებით. გრიგოლ დადიანსა და ქაიხოსრო გელოვანს შორის მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ქაიხოსრო დაუკავშირდა იმერეთის ძლიერ ფეოდალს ზურაბ წერეთელს და გადააგდეს გრიგოლ დადიანი, დადიანობა მისცეს გრიგოლის ძმას მანუჩარს.

ლეჩხუმელთა უმრავლესობა, მათ შორის ორბელის ციხის მოურავი ბააკა ჩიქოვანი ქაიხოსრო გელოვანსა და მანუჩარს მიემხრო, ხოლო მურის ციხის უფროსი სოსია გასვიანი კი გრიგოლ დადიანის ერთგული დარჩა. გრიგოლ დადიანმა თავისი ბიძის დახმარებით ოდიშიდან გააძევა მანუჩარი და დაიბრუნა დადიანობა; ქაიხოსრო გელოვანი მიიმხრო და დაიპყრო ლეჩხუმიც. ლეჩხუმის მოურავი ქაიხროსო გელოვანი იმდენად გაკადნიერდა, რომ დადიანის შეუთანხმებლად დაიწყო სამთავროს საქმეში ჩარევა. ქაიხოსროს ასეთ საქციელი ვერ მოითმინა გრიგოლ დადიანმა და სოლომონ მეორესთან საიდუმლო შეთანხმებით მოაკვლევინა ქაიხოსრო გელოვანი. სოლომონ მეორის მთავარ საზრუნავს ოდიშ-ლეჩხუმის დაპყრობა შეადგენდა. გრიგოლ დადიანი მეფის ამ განზრახვას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა.

1802 წელს სოლომონ მეორემ შეკრიბა იმერეთის ჯარი, დაიქირავა ლეკები, იწინამძღვრა მანუჩარი და ჭყვიშის მხრიდან ლეჩხუმს შეესია. გრიგოლ დადიანმა, რომელიც ამ დროს მურის ციხეში იდგა, შეიტყო რომ მეფეს ძალით ვერ გაუმკლავდებოდა და ხერხს მიმართა: შეუთვალა, რომ თუ კი მანუჩარს მიატოვებ, რასაც მომთხოვ შეგისრულებო. გახარებულმა მეფემ ჭყვიშის ციხე მოითხოვა. დადიანი დათანხმდა. სოლომონმა დეხვირის ციხეში მიატოვა მანუჩარი და თვითონ რაჭაში გადავიდა. მეფისაგან მიტოვებული მანუჩარი იძულებული გახდა ძმას შერიგებოდა. ძმებმა რომ საერთო ენა გამონახეს, გრიგოლ დადიანმა მეფეს პირი უშალა. განრისხებულმა სოლომონმა ჭყვიშის ციხეს ალყა შემოარტყა და აიღო ის. ამის შემდეგ სოლომონ მეფემ მთელი ლეჩხუმის დაპყრობა განიზრახა. წამოვიდა დიდი ჯარით და ლა ლაშს დაბანაკდა. გრიგოლ დადიანმაც შეკრიბა ლეჩხუმელები და სოფ. უსახელოსთან მტერს შეებრძოლა. ლეჩხუმელები თუმცა სასახელოდ იბრძოდნენ, მაგრამ მოზღვავებულმა მტერმა მაინც თავისი გაიტანა. ლეკისა და იმერეთის ჯარი დეხვირის ციხეს მიადგა. ეს ციხე სანიმუშოდ ჰქონდა გამაგრებული მეციხოვნე ბეჟან ყრუაშვილს. ბევრი ლეკი დაიხოცა ამ ციხისათვის ბრძოლაში. ბოლოს მოწინააღმდეგემ მოახერხა, რომ დაენგრიათ ციხის კედელი. ბეჟან ყრუაშვილმა შეატყო, რომ უკვე შეუძლებელი იყო ციხის დაცვა, გამოვიდა ღამე ციხიდან, გაარღვია ალყა და გრიგოლ დადიანთან მივიდა მურში. დეხვირის ციხის დაცემის შემდეგ გრიგოლ დადიანი იძულებული გახდა ლეჩხუმიდან წასულიყო. სოლომონ მეფემ დაიპყრო მთელი ლეჩხუმი და დანიშნა ლეჩხუმის მოურავად ბერი ქაიხოსროს ძე გელოვანი. გრიგოლ დადიანმა იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა სამეგრელოს სამთავრო და ლეჩხუმი, რუსეთის იმპერატორს ქვეშევრდომობა შესთავაზა.

რუსეთისათვის შავი ზღვის სანაპიროებს და ნავსადგურებს უაღრესად დიდი სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ იმპერატორმა გრიგოლ დადიანის სურვილი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ სწრაფად დააკმაყოფილა. 1803 წლის 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა რუსეთის მფარველობაში შესვლის აქტზე. რუსეთის დახმარებით გაძლიერებულმა დადიანმა მოლაპარაკება გამართა ლეჩხუმის მოურავ ბერი გელოვანთან. ამ უკანასკნელმა სწორად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას და მიემხრო გრიგოლ დადიანს. ლეჩხუმის მოურავის ბერი გელოვანის დახმარებით გრიგოლ დადიანმა 1804 წელს ლეჩხუმიც დაიმორჩილა და სამეგრელოს სამთავროც. ამის შემდეგ გრიგოლ დადიანს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1804 წელს და დაასაფლავეს ცაგერის ეკლესიაში. მისი საფლავის ქვაზე აწერია: „საფლავსა ამას შინა მდებარე მთავარი კავალერი ლეიტენანტი დადიანი გრიგოლი, რომელმანცა აღმოვიგე სრულიად ოდიშ–ლეჩხუმი მოწყალებითა ხელმწიფისა ჩემისა დიდისა როსიის იმპერატორისა ალექსანდრე პავლეს ძისა,

ვინაიდგან შევავედრე თავი ჩემი საფარველსა მისსა . . . მყვანა მხედრობა როსიისა მფარველად ჩემდა და სამთავროსა ჩემდა''.

„ . . . საქართველო მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. რა თქმა უნდა ეს იყო ბოროტება, რომელსაც ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა, ვიდრე მან დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად თავისუფლება არ მოიპოვა. იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მაინც უმცირესი ბოროტება. სამი მოქიშპე სახელმწიფოდან „რუსეთი, ირანი, ოსმალეთი'', მხოლოდ რუსეთი, საქართველოსათვის მახლობელი რელიგიითა და კულტურით იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს გაერთიანება და ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა. საქართველოსთვის ახალი ხანა დაიწყო. ქართველი ხალხი რუსეთის მეშვეობით კვლავ და საბოლოოდ დაუბრუნდა ევროპული განვითარების გზას.''

ლეჩხუმის გვიანფეოდალური ხანის (მე-15-16-ე) სოციალური ყოფის გასათვალისწინებლად ფრიად საყურადღებო საბუთს წარმოადგენს „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი'', რომელიც პროფ. კაკაბაძის განმარტებით შედგენილი უნდა იყოს არაუადრეს მე-16-ე საუკუნის 80-ნი წლებისა და არაუგვიანეს მე-16-ე საუკუნის დასასრულისა. „საცაგერლოს გამოსავლის დავთრიდან'' და შემდეგდროინდელი სხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ ლეჩხუმის მოსახლეობა ბატონყმობის მძიმე უღელში ყოფილა შებმული და თანაც ეს ბატონყმური ურთიერთობა აქ მწვავე და უხეში ფორმებით ყოფილა წარმოდგენილი. მაგალითად: „საცაგერლოს გამოსავლის დავთარში'' ნათქვამია, რომ „მართებს ნაკურალეშს წმიდის გი-ს ყმასა, გოლეთიანსა ცქიტიასა ღვინო გორო 3, პური ფოხალი 9, საკლავი ერთი თორმეტი თეთრისა, ქათამი 1 და საყდრის სამსახური და მეფის ლაშქრობა და ცაგერლის პურის ჭამა''. ან კიდევ, „ . . . მართებს მუშკუდიანსა ჯაფარსა ღვინო გორო 3, პური ფოხალი 5, საკლავი თორმეტი თეთრისა, ქათამი 1, პურის ჭამა, მუშაობა და მეფის ლაშქრობა'' და ა.შ. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საბუთებიდან ირკვევა, რომ მე-18-19 საუკუნეებში ყმა-გლეხის გაყიდვა, მზითვად გატანება, გაბოძება და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად ყოფილა გადაქცეული მაგალითად: ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ღუელი ყმა-გლეხი დათა ლეშკაშელი ოთხჯერ ყოფილა გაყიდული. ყმა-გლეხის ბედი ლეჩხუმში, ისე როგორც სხვაგან, მებატონის ნება–სურვილზე იყო დამოკიდებული. ყმა თავისი ქონებით მებატონის სრულ საკუთრებას შეადგენდა. გადმოცემით, ერთ ლუხვანელ მღვდელს თავისი ყმა-გლეხი ცალი ხარის მაგივრად უღელში შეუბამს და ისე გაულეწია კალო. ეს ამბავი მე-18 საუკუნეში მომხდარა. ან კიდევ, ერთ უცხერელ მებატონეს თავისი ყმა რაღაც დავალების შეუსრულებლობისათვის დანით დაუსერავს და ჭრილობებზე მარილი დაუყრია. ასეთი მაგალითები ბევრია . . . განაწამებ ლეჩხუმელ გლეხობას ბევრჯერ აუფრიალებია აჯანყების დროშა თავგასული მებატონეების წინააღმდეგ, მაგრამ მათი აჟანყებები სტიქიური ხასიათის იყო და მარცხით მთავრდებოდა. დამარცხებული ყმა–გლეხთა ხვედრი სიკვდილით დასჯა ან დილეგი იყო. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ბორკილები, რომელიც მურის ციხიდან არის მოტანილი. ამ ციხის ჯურღმულებში თავისუფლებისათვის მებრძოლ ბევრ ლეჩხუმელ ვაჟკაცს ამოხდენია სული. გარდა ზემოთ დასახელებულ ძეგლებისა, ლეჩხუმის გვიანფეოდალური ხანის ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ლაბეჭინის ეკლესია, რომელიც ექ. თაყაიშვილის განმარტებით აშენებული უნდა იყოს მე-13-14 საუკუნეებში. ფეოდალური ხანის ლეჩხუმის ნაგებობათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე საირმის ეკლესია (მე-18 საუკუნე), გელოვანთა ეკლესია (ორბელში), ოყურეშის ეკლესია (მე-18 საუკუნე) და სხვა. მე-18 საუკუნის ფრიად საყურადღებო ნაგებობას წარმოადგენს სოფ. ცხეთის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც აშენებულია ოტია დადიანის მეუღლის გულქანის მიერ. 1910 წელს აღნიშნული ტაძარი ინახულა და აღწერა ექ. თაყაიშვილმა: „კინცხებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადზე ცხვრის თავებია ქვისგან გამოქანდაკებული, მოგრძო ფანჯარა დასავლეთით მომრგვალებული გრეხილიან ოთხკუდხედშია მოქცეული. ამ ოთხკუდხედის ზემოთ ჩუქურთმიანი ჯვარია, შიგ ოთხკუდხედში შვიდი ფიგურაა

გამოქანდაკებული, მარცხნივ კაცისა, გვირგვინით თავზე და ქართული ტანისამოსით, ამას ქვემოთ ფარშავანგი, შველი და ვეფხვი. აღმოსავლეთის ფანჯარა შემკობილია ჩუქურთმებით, აქვს წარწერაც“.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია მინანქრიანი ხის დიდი ჯვარი, რომელსაც შუაში პატარა ჯვრის მოსათავსებელი ბუდე აქვს ამოჭრილი. ეს ჯვარიც ხისაა, მდარე ხელობის, შეჭედილია ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლის ფირფიტებით, ზედ ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული. აქვს ასომთავრული წარწერა, ქარაგმიანი: „იესო ქრისტე მეუფე ჰურიათა“.

მეორე ჯვარი ათონური რიგისაა, შეჭედილია მე-18 საუკუნეში მდარე ხელობის ვერცხლის ფირფიტებით. ტარზე აქვს მხედრული წარწერა. აღსანიშნავია პატარა ხატი, ვერცხლით შეჭედილი, მდარე ხელობის მე-18 საუკუნე). აღნიშნული ექსპონატები მოწმობენ, რომ მე-17-18 საუკუნეებში ჭედვითი ხელოვნება ლეჩხუმში დაქვეითებული ყოფილა. მუზეუმში წარმოდგენილია აგრეთვე მე-17-18 საუკუნის პირველნაბეჭდი გრავიურებიანი წიგნები და სხვა.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული გვიანფეოდალური ხანის საომარი იარაღებიდან აღსანიშნავია ჯაჭვის პერანგი მუზარადით, ხმლები, ხელით შეჭედილი ორნამენტებიანი ხანჯლები, კაჟიანი თოფები (შემოდის საქართველოში მე-16 საუკუნიდან), ადგილობრივი ზეინკლების მიერ დამზადებული დამბაჩები, ჯაბაირები, და სხვა. სამეურნეო იარაღებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის სახნისები, ნამგლები, ზანდურის საცეხველი და სხვა. მუზეუმში წარმოდგენილია აგრეთვე სამკუთხა დროშა (ნაკურალეშის ეკლესიიდან) და სპილენძის ბუკი (სანორჩიდან). საოჯახო ნივთებიდან აღსანიშნავია ხის დიდრონი სასმისები (კათხები), ყანწები, ქოთნები, ხალმები, დოქები, ორნამენტიანი სკივრები, ზანდუკები და სხვა. სამკაულებიდან აღსანიშნავია: ვერცხლით შეჭედილი და მოსევადებული ქალისა და კაცის ქამრები, ფაფანაკები, საგვერდულები, და სხვა. მუსიკალური ინტრუმენტებიდან აღსანიშნავია ჭანური (სვანეთი) და ფანდური. ხელსაქმის ნიმუშებიდან აღსანიშნავია ქისები, ბალიშისპირები და სხვა.

1953 წელი

† Varlam Makharoblidze

Handbook for the Section of History

Summary

Varlam Malharoblidze's "Handbook for the Section of History" was written in 1953. It represents a text for the guided tour of the visitors.

The text is of multilateral character, revealing the author's deep knowledge of history Lechkhumi. The narration is founded on both museum exhibits, beginning with geological artifacts up to the mediaeval materials, and generalized historical sources. This makes it useful even today.

თინათინ საღინაძე, დავით კოპალიანი

ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექციების ისტორია

ცაგერის ისტორიული მუზეუმი, რომელიც 1937 წელს შიქმნა, თავდაპირველად განთავსებული იყო ეკლესიის შენობაში. პირველი ექსპონატების შემოსვლა მუზეუმში მისი დამაარსებლის ვარლამ მახარობლიძის სახელთანაა დაკავშირებული[1]. მისი სამხარეთმცოდნეო მუშაობის წყალობით რეგიონის ბევრი უნიკალური ექსპონატი გამოვლინდა. მისი ძალისხმევით ექსპონატებით მუზეუმის გამდიდრება ინტენსიურად მიმდინარეობდა. ორი ათეული წლის განმავლობაში მუზეუმის დირექტორად მუშაობასთან ერთად მას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ისტორიულ–ეთნოგრაფიული, ფოკლორული მასალების, სიგელ–გუჯრების, ხელნაწერი წიგნების გამოვლინების, დაცვისა და შესწავლის საქმეში.

ექსპონატების დიდი ნაწილი, რომელიც დღეისათვის წარმოდგენილია შემდეგი კოლექციებით[2] – გეოლოგია-პალეონტოლოგია (კოლ. 1), არქეოლოგია (კოლ. 2-9), ნუმიზმატიკა (კოლ. 10), საეკლესიო ნივთები (კოლ. 11), ეთნოგრაფია (კოლ. 12), დ. ერმაკოვის ფოტო-კოლექცია (კოლ. 13), ფერწერა (კოლ. 14) და 10 000 ერთეულს შეადგენს, მუზეუმში მოხვდა სხვადასხვა გზით, ძირითადად შემთხვევითი აღმოჩენების წყალობით, არის შემოწირულობებიც, სხვადასხვა მუზეუმების მიერ გადმოცემული მასალები და არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი.

შემთხვევითი აღმოჩენების წყალობით მუზეუმში შემოსულია ისეთი დიდი მნიშვნელობის არქეოლოგიური ექსპონატები როგორებიცაა განძები ბრინჯაოს ნივთებით: 1938 წელს სოფ. ცაგერაში[3], 1958 წელს სოფ. ხოჯში[4] და 1979 წელს სოფ. ოყურეშში (ადგ. ლაჯობის ძირი) აღმოჩენილი[5] განძები [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 23-25].

40-50-იან წლებში მუზეუმის კოლექციები გამდიდრებულია ცხეთიდან, ლაჯანადან, ორხვიდან, მახურადან, ლესინდიდან, ზუბიდან, სასაშიდან შემოსული კოლხური ცულებით. ცაგერში, ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე და ნაკურალეშში აღმოჩენილია საკიდები, რომლებიც ფრინველის ფიგურებს წარმოადგენენ; გრავირებული კოლხური ცული, ლაგამი და საკინძი – ცხეთაშიავეა აღმოჩენილი; ბრინჯაოს ზარაკები ლუხვანოდანაა.

გასული საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგი ლ. სახაროვა ხელმძღვანელობდა, შესწავლილ იქნა ძვ.წ. IV – ახ.წ. IV სს-ის სამაროვანი და ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარი. შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების მასალები დაცულია მუზეუმში და ამჟამად ექსპონირებულია [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 33-39].

არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მუზეუმს 2012 და 2014 წელსაც შეემატა.

---

[1] კოლექციების კატალოგის შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი ლ. კოპალიანი.

[2] გეოლოგია-პალეონტოლოგია (კოლ. 1), არქეოლოგია (ქვის ხანა – კოლ. 2, პრეისტორიული მეტალურგია – კოლ. 3, შემთხვევითი მონაპოვარი (ბრინჯაო-რკინის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით) – კოლ. 4, ცაგერას განძი – კოლ. 5, ხოჯის განძი – კოლ. 6, ოყურეშის განძი – კოლ. 7, ნასახლარები – კოლ. 8, სამაროვნები – კოლ. 9), ნუმიზმატიკა – კოლ. 10, საეკლესიო ნივთები – კოლ. 11, ეთნოგრაფია – კოლ. 12, დ. ერმაკოვის ფოტო-კოლექცია – კოლ. 13, ფერწერა – კოლ. 14.

[3] მუზეუმში მიიტანა ვ. მახარობლიძემ.

[4] მუზეუმში მიიტანა გ. გოლეთიანმა.

[5] მუზეუმში მიიტანა ო. არჯევანიძემ. თვლიან, რომ ეს ნივთები 1924 წელს სოფ. ოყურეშში (ადგ. ლაჯობის ძირი) ე. ასლანიკაშვილის მიერ აღმოჩენილი, ბრინჯაოს დიდი ჭურჭლით დაფლული განძის, რომელიც შეიცავდა 29 თუ 32 ნივთს, ნაწილია [სახაროვა 1976: 11-14. სახაროვა 2000: 52, 53. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 25].

შუასაუკუნეების მასალებიდან მუზეუმის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობაა მუზარადი, რომელიც მუზეუმმა შეიძინა 1947 წელს[6].

1972 წელსაა შესული მუზეუმში შუასაუკუნეების ფერადი მინის სამაჯურების კოლექცია სოფ. ჩქუმიდან[7].

1987-1990 წწ მუზეუმს გადმოსცეს სოფ. ორხვში (ადგ. გონა) აღმოჩენილი – სამაჯურები, შუბისპირები, სატევარი, დანები, ფიბულა[8], რომლებიც, როგორც ჩანს, დანგრეული სამარხების მასალას წარმოადგენდა.

მუზეუმისათვის ბოლო ხანების უმნიშვნელოვანესი შენაძენია ბრინჯაოს ხარის ფიგურა, რომელიც ასევე შემთხვევითი აღმოჩენაა სოფ. დეხვირში[9].

ნუმიზმატიკური კოლექციის დიდი ნაწილიც შემთხვევითი აღმოჩენების სახითაა შესული მუზეუმში: ცხეთიდან ოქროს მონეტა - ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, ცაგერიდან – ლისმაქესა და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი; კოლხური თეთრები ზარაგულადან და მურის მიდამოებიდან.

სხვადასხვა გზით არის მოხვედრილი მუზეუმში **საეკლესიო ნივთებისა**[10] და **ეთნოგრაფიული** ნივთების კოლექციები[11].

დ. ერმაკოვის ფოტო-კოლექცია მუზეუმში გასული საუკუნის ბოლოს მოხვდა[12].

ფერწერული და გრაფიკული კოლექცია შექმნილია შესყიდვებისა და ნაჩუქრობის შედეგად. მისი ყველაზე ძველი ნამუშევარია უცნობი ავტორის სურათი – ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, რომელიც XVII ს-ით თარიღდება. წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი მხატვრების – ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, კ. სანაძის, ა. ვარაზის, კ. მახარაძის, ო. სულავას, რ. თორდიას, დ. ერისთავის, ე. კალანდაძის ნამუშევრებით. კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადგილობრივი მხატვრების ვ. მახარობლიძის, ა. კოპალიანის და ნ. კოპალიანის ნამუშევრებსაც.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექციების სქემატური მიმოხილვის შედეგადაც კი ჩანს, თუ როგორი და რა მნიშვნელობის კოლექციების მფლობელია მუზეუმი.

---

[6] გრ. საღინაძისგან სოფ. ლუხვანოში 350 მანეთად (ციმ საინვენტარო დავთარი № 1: ს.ნ. 1034).

[7] მუზეუმში მიიტანა ბენდელიანმა.

[8] მუზეუმში მიიტანა ვ. ახვლედიანმა.

[9] იხ. ნ. სულავას სტატია აქვე.

[10] ჩაგერის ისტორიული მუზეუმის შრომების შემდეგ კრებულში საგანგებო ნაშრომი მიეძღვნება.

[11] იხ. გ. მამარდაშვილის სტატია აქვე.

[12] იხ. ნ. კოპალიანის სტატია აქვე.

Tinatin Saghinadze, David Kopaliani

The history of the collections of the Tsageri History Museum

Summary

The first museum acquisitions are closely connected to the name of the museum founder - Varlam Makharoblidze. During the two decades of his work as the museum director, Varlam Makharoblidze also played a distinguished role in protecting, studying and exposing the historical, ethnographical, folk-lore material, deeds and charters, and manuscript books.

The major part of the exhibits, represented by the following collections - geology and paleontology (col. 1), archaeology (col. 2-9), numismatics (col.10), church items (col. 11), ethnography (col. 12), D. Ermakov's photo collection (col. 13), and paintings (col. 14), nowadays consist of 10 000 entries. They arrived to the museum through different ways, mainly due to accidental discoveries. Part of the exhibits represents donations, as well as materials passed from various museums. There are also materials obtained by the archaeological excavations.

ლიტერატურა

კოპალიანი დ. 2012: ახალი აღმოჩენა სოფელ დეხვირში. *„ლეჩხუმი"*, № 8(15). ცაგერი.

სულავა ნ., კოპალიანი ნ. 2012: ცაგერის ისტორიული მუზეუმის ახალი ექსპონატი. *„ლეჩხუმი"*, № 7(14). ცაგერი.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი. 2012: *ალბომი.* თბილისი.

სულავა ნ. 2013: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმიდან – ბრინჯაოს ხარი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №4 (49-B).

ტაბულის აღწერა

ტაბ. I - ცხეთის ცულის სამუზეუმო პასპორტი

Discription Of The Plate

Plate I – The Museum Passport of the Tskheta Axe

შიფრი და №	240
სახელწოდება	ფაქელი
ფასი	
ზომა	სიგანე ფირფიტა 7 სმ. სიგრძე 18,5 სმ.
სახეობა	ტექნოლოგიური
შემოხვლის თარიღი	
ვინგანაა შემოწირული ან შეძენილი	
ავტორი	
შესრულების თარიღი	
მასალა	ბრინჯაო
ადგილობრივი სახელი	
სადაურობა	ფოთი
ცნობა რეგისტრაციის შესახებ	
შენახულობა	დაზიანებულია ბოლოები ნაწილობრივ

ᲐᲦᲬᲔᲠᲐ

ᲐᲚᲘᲔᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲫᲕᲚᲘ 1950 წლის
ᲙᲝᲚᲥᲝᲖᲘᲡ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲤᲐᲥᲔᲚᲘ, ᲮᲝᲠᲪᲚᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲠᲘᲡ
ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲣᲚᲘ ᲫᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲒᲠᲘᲚᲘᲐ ᲤᲘᲪᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲤᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ. ᲞᲝᲚᲘᲥᲠᲝᲛᲘ
ᲡᲐᲡᲣᲚᲝ ᲒᲕᲠᲘᲚᲘᲗ ᲨᲕᲚ.



რუსუდან ჩაგელიშვილი, თამარ ბერიძე

ცაგერის ისტორიული მუზეუმის გეოლოგიური კოლექციები

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით ლეჩხუმი მიეკუთვნება ამიერკავკასიის მთათაშუა მასივს და წარმოადგენს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის დასავლეთ ნაწილს. ლეჩხუმის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს იურული, ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ასაკის ქანები, რომლებიც თავის მხრივ რაიონის გეოლოგიური განვითარების ისტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ინახავენ საკუთარ წიაღში. ამ გეოლოგიური „ჩანაწერის" (ინფორმაციის) კვლევა ლეჩხუმში დღემდე მიმდინარეობს როგორც პროფესიონალი გეოლოგების, ასევე საკუთარი მხარის ისტორიით დაინტერესებული მოყვარული მკვლევარების მიერ, რომლებიც თავიანთი მონაპოვარით გეოლოგიური ნიმუშებით ამარაგებენ მუზეუმს[1].

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული გეოლოგიური და პალეონტოლოგიური კოლექციები ამ კვლევების ერთგვარი ანარეკლია. წარმოდგენილი ექსპოზიცია მოიცავს რეგიონის ლითონურ და არალითონურ წიაღისეულს, სამშენებლო და სანახელაო ქვებს, სხვადასხვა კარსტულ ნაღვენთ ფორმებს და ნამარხ ფაუნას. კოლექციების უმეტესი ნაწილი შემთხვევითი მონაპოვარია, თუმცა იმედია სამომავლოდ ისინი ახალი ექსპონატებით შეივსება და დაინტერესებულ მნახველს სრულად წარმოუდგენს ლეჩხუმის გეოლოგიური წარსულის ისტორიას.

მუზეუმის ფონდში[2] დაცულია იურული ასაკის ქანებთან დაკავშირებული ბარიტის, ფერადი და შავი მეტალების, ქვანახშირის ნიმუშები, რაც პირდაპირ მიუთითებს რაიონის ფარგლებში ლითონური წიაღისეულის მადანგამოვლინებების არსებობაზე. ეს ფაქტი არცთუ უსაფუძვლო ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა რაიონში ახლადაღმოჩენილი არქეომეტალურგიური წარმოების კერებში გამოყენებული ნედლეულის ადგილობრივ წარმომავლობაზე.

ფონდში გვხვდება ასევე სანახელაო ქვები: აქატი, ამეთვისტო, გაქვავებული ხე, იასპისი, ალებასტრი (ტაბ. I/1, 3, 7).

ცარცული პერიოდის კოლექციები მდიდარია უხერხემლოთა განამარხებული ფაუნით - მუცელფეხიანი (Gastropoda – ტაბ. I/6) და თავფეხიანი მოლუსკები (Ammonites), ზღვის ზღარბები (Echinoidea), მარჯნები (Coral – ტაბ. I/5), ღრუბლები (Hexactinellida). კოლექციებში გვხვდება კირქვის სხვადასხვა ფორმის კონკრეციები და კარსტული მღვიმეებისთვის დამახასიათებელი ნაღვენთი ფორმები – სტალაგმიტები და სტალაქტიდები. ცარცულ ქანებთანაა დაკავშირებული ტრავერტინის (ადგილობრივი - სპონტიო) მცირე გამოსავლები, რომელიც საუკეთესო სამშენებლო მასალაა.

საინტერესოა პალეოგენური და ნეოგენური ასაკის ნამარხშემცველი ქანების კოლექციები, როგორიცაა ნუმულიტებიანი კირქვები, თევზისქერცლიანი მერგელები და სპანიოდონტელებიანი ქვიშაქვები.

მუზეუმის გეოლოგიური კოლექციებში ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია გიგანტური სეპტარია (დიამეტრი 80 სმ – ტაბ. I/2), რომელიც გვხვდება მიოცენურ მოლასურ ნალექებში.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის გეოლოგიური კოლექცია ნათლად ასახავს ლეჩხუმის რაიონის წიაღისეულის მრავალფეროვნებას და მისი ღრმა და საფუძვლიანი სამეცნიერო შესწავლის აუცილებლობას, რაც ამ მხარით დაინტერესებას გამოიწვევს როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებში, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე, რაიონის ახალგაზრდა თაობაში გააღვიძებს ბუნების საიდუმლოებებში წვდომის ინტერესს და მათ მუზეუმის კოლექციების (მათ შორის გეოლოგიურის) შევსების საქმეში აქტიურ თანამონაწილეებად აქცევს.

---

[1] ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ზუბის მკვიდრის დავით ჩაკვეტაძის თანამშრომლობა ცაგერის ისტორიულ მუზეუმთან.

[2] კატალოგის (კოლ. № 1) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი თ. კოპალიანი.

Rusudan Chagelishvili,Tamar Beridze

Geological Collections of Tsageri Historical Museum

Summary

Geological exposition of Tsageri Historical Museum comprises interesting collection of metallic and non-metallic minerals, building, ornamental and gem stones, various shapes of karst spills and relics of ancient fossils, which were found in Jurassic, Cretaceous, Paleogene and Neogene-Quaternary rocks of Lechkhumi region. The vast majority of exhibits are accidental findings donated by geologists and local explorer-enthusiasts. Of special interest is the collection of metallic minerals and mineralized rock samples which confirm supposition about the local source for ores used in archaeometallurgical production in the region. The ancient monuments of the latter have been recently discovered in Lechkhumi by archaeologists.

In the future is intended further fulfillment of the collections in order to attract the interest of researchers, foreign visitors and local people (especially of a young generation) to the rich history and geological past of the amazing region of Georgia-Lechkhumi.

ტაბულის აღწერა

ტაბ. I

1. განამარხებული ხე, სოფ. ზუბი.
2. გიგანტური სეპტარია.
3. ამეთვისტოს დრუზა. სოფ, ზუბი.
4. აქატი, სოფ. ოყურეში.
5. *avosites* sp. (მარჯანი).
6. *chinoidea* sp. (ზღვის ზღარბი).
7. სპანიოდონტელებიანი ქვიშაქვა.

Discription Of The Plate

Plate I

1 – fossilised tree, the village of Zubi
2 – Gigantic Septarian nodule.
3 – Amethyst druse, the village of Zubi.
4 – Agate, village, the village of Okureshi
5 – *Favisutes sp*. (coral)
6 – *Echinoide sp*. (sea urchin)
7 – Sandstone with Spaniodontels

I

1

2

3

4



5

6



7

თამარ აღაპიშვილი

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ქვის კოლექცია
(პალეოლითი, ნეოლითი, ქალკოლითი)

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ექსპონატები საქართველოს სიძველეების ნაწილია. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურას მიეკუთვნება და შესაბამისად, ქრონოლოგიურად განსხვავებული პერიოდების შესასწავლად მნიშვნელოვან მატერიალურ წყაროს წარმოადგენს.

ის გარემოება, რომ რეგიონალურ მუზეუმში თავმოყრილი მასალა ამავე მხარის არქეოლოგიური წარსულის რეკონსტრუქციის მეტ-ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა, რაც ერთდროულად – დამთვარიებელზე გათვლილ შემეცნებით და მკვლევართა სამეცნიერო ინტერესს ემსახურება, კოლექციის უმთავრეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

არქეოლოგიური კოლექცია შექმნილია მცირერიცხოვანი და მცირემასშტაბიანი გათხრების შედეგად აღმოჩენილი და შემთხვევით მოპოვებული მასალის თავმოყრის საფუძველზე [სახაროვა 1976. სულავა 1996: 134-138].

წინარეანტიკური, ანტიკური და შუასაუკუნეების არტეფაქტებისგან განსხვავებით, რომელთა ნაწილი არქეოლოგიური კვლევების შედეგადაა მოპოვებული, ქვის მასალით წარმოდგენილი კოლექცია[1] მხოლოდ ზედაპირულად შეგროვებული მასალის კატეგორიას მიეკუთვნება და თუ არ ჩავთვლით ამ რეგიონში ქვის არტეფაქტების შემთხვევით აღმოჩენის სხვა ერთეულ შემთხვევებს, ის ჯერჯერობით ლეჩხუმში პრეისტორიული ხანის არსებობის ერთადერთ საბუთს წარმოადგენს.

კოლექციაში გამოიყოფა შუა პალეოლითის, ზედა პალეოლითის, ნეოლით-ქალკოლითისთვის დამახასიათებელი მასალა, რომლის დასამზადებლად ადგილობრივი ვულკანური, დანალექი, ვულკანოგენური დანალექი და მეტამორფული ქანებია გამოყენებული [ნებიერიძე 1986: 149, 177-181. ბერძენიშვილი და სხვ. . . . 1983: 9].

კოლექციის მცირერიცხოვნება და მის წარმომავლობაზე ინფორმაციის უქონლობა არ იძლევა ლეჩხუმში პრეისტორიული პერიოდების და მათი განვითარების ეტაპების სრულფასოვანი კვლევის და შესაბამისად, მეცნიერული დასკვნების გამოტანის საშუალებას, მაგრამ მასალის ტიპოლოგიური, ტექნოლოგიური და მორფოლოგიური მონაცემები არტეფაქტების არქაულობას ეჭვქვეშ არ აყენებს და ცხადყოფს ლეჩხუმში პალეოლითის და ნეოლით-ქალკოლითის არსებობას.

ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში, პალეოლითური, ნეოლითური და ქალკოლითური კულტურების გავრცელების შესახებ არსებული შეხედულებები, ერთეული შემთხვევების გარდა, ძირითადად მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებში თავმოყრილი მღვიმური ნამოსახლარების და ეხების კვლევებზეა დამყარებული, ბუნებრივი თავშესაფრებით ღარიბ, შესწავლის მიღმა დარჩენილ მხარეებში, და მათ შორის ლეჩხუმში არქეოლოგიური ძეგლების ჯერჯერობით აღმოუჩენლობა პრეისტორიული კულტურების გავრცელების უარსაყოფ არგუმენტად არ უნდა მივიჩიოთ. ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში მთელი რიგი გარემოებების ერთობლიობა: ქვის ხანის ძეგლებით მდიდარ მხარეებთან გეოგრაფიული სიახლოვე, მხარის გარკვეული ნაწილის ნებისმიერ კლიმატურ პირობებში საცხოვრებლად ხელსაყრელ ზონალობაში მდებარეობა, იარაღის დასამზადებლად ვარგისი ნედლეულის ხელმისაწვდომობა, არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევები და სხვ., ლეჩხუმში საზოგადოების განვითარების უძველესი საფეხურების არსებობის მაუწყებლად და პრეისტორიული ძეგლების აღმოჩენის პერსპექტივად უნდა განვიხილოთ.

---

[1] კატალოგის (კოლ. № 2) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი თ. სილაგაძე.

Tamar Aghapishvili

Lithic Collection from Tsageri History Museum (Paleolithic, Neolithic, Chalcolithic)

Summary

One part of the archaeological collection housed in the Tsageri Museum, represents the accidentally discovered artifacts of the Middle Paleolithic, Upper Paleolithic, Neolithic and Chalcolithic Ages. The scanty collection and no information about its provenance, leave us no means to conduct an improved research about the prehistoric period and its development in Lechkhumi. Regardless of this, the findings of lithic attest to the existence of early episodes in the development of the society. The discovery of prehistoric sites here seems to be possible.

ლიტერატურა

სახაროვა ლ. 1976: ლეჩხუმის 1970-1971 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე №3. თბილისი.
სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში. თბილისი.
ნებიერიძე ლ, 1986: დასავლეთ ამიერკავკასიის ადრედსამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბილისი.
ბერძენიშვილი დ., ბანძელაზე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ. 1983: ლეჩხუმი. თბილისი.

ტაბულის აღწერა

ტაბ. I

1. შუა პალეოლითი (სახოკი).
2. ზედა პალეოლითი (საჭრისი).
3-11. ნეოლითი, ქალკოლითი (3. 4. 5. ცულები, 6. 7. სატეხები, 8. შუბისპირი, 9. ისრისპირი, 10. იარაღის ფორმის კვერთხისთავი, 11. ხელსაფქვავი)

Descrion Of The Plate

Tab.I

1. Middle Paleolithic (Scraper).
2. Upper Paleolithic (Burin).
3-11. Neolithic-Chalcolithic (3. 4. 5. Axes, 6. 7. Chisels, 8. Spearhead, 9. Arrowhead, 10. Tool Shaped Macehead, 11. Quern)

I



ნინო სულავა

ცაგერის ისტორიული მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები

ლეჩხუმი რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახ. – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახ.) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ამას ნათლად ასახავს ცაგერის ისტორიულ მუზეუმში წარმოდგენილი ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი არქეოლოგიური კომპონენტი – პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლები, ბრინჯაოს განძები, სპეციფიკური კერამიკა.

ლეჩხუმში პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების კონცენტრაცია, ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობების სიმრავლე (ბრინჯაოს განძებისა თუ ცალკეული არტეფაქტების სახით), ის საფუძველია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ლეჩხუმის როლზე კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში და აქ მცხოვრები ხალხის საქმიანობაზე - სამთო-საწარმოო მეტალურგია მრავალდარგობრივ, განვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად.

მუზეუმში დაცულია სპილენძისა და რკინის მეტალურგიული წარმოების სრული პროცესის ამსახველი არტეფაქტები - დიდი რაოდენობით წიდები, გამოსადნობი ქურების შელესილობის თიხის ფრაგმენტები, თიხისა და ქვის საბერველები, ლითონის ნაღვენთები, სხვადასხვა ზომის ზოდები[1] (ტაბ. I).

ლეჩხუმის მთელ რიგ სოფლებში (ოფიტარა, ოყურეში, ლაჭეპიტა, მექვენა, დღნორისა, თეთრი ღელე, ზუბის მიდამოები) სპილენძის უამრავი გამოსავლებია დადასტურებული [Каландадзе 1931. Бежанишвили 1933. Топуриа 1931]. მათი უძველეს პერიოდში დამუშავების შესაძლებლობას ადასტურებს ამავე გამოსავლებთან მიკვლეული საწარმოო გადანაყარი – წიდები, გამოსადნობი ქურების შელესილობის თიხის ფრაგმენტები, თიხისა და ქვის საბერველები, ლითონის ნაღვენთები, ზოდები და დიდი რაოდენობით წიდები (ლუხვანო, უსახელო, ლაილაში, დერჩი, დღნორისა, ზუბი, ლაძგვერია) [სახაროვა 1963: 36. სახაროვა 1972: 22. Sulava, Chagelishvili, Kalandadze, Beridze 2013: 375-379].

მუზეუმში დაცულია სპილენძის ზოდების ოცამდე ნიმუში, რომელთაგან უდიდესი 32 კილოგრამს იწონის (ზოგიშიდან). ბრინჯაოს ზოგი განძის (ოყურეშის, ლუხვანოს, სურმუშის განძი) და მეტალურგიის საწარმოო გადანაყარის აღმოჩენის ადგილები ერთმანეთს ემთხვევა [სახაროვა 1976: 24].

უახლესი სამეცნიერო გამოკვლევების მიხედვით გამოვლენილია და შესწავლილია უძველესი რკინის მეტალურგიის ძეგლების (შესაძლოა სპილენძისაც; სოფ. ზუბის მიდამოები) არსებობის დამადასტურებელი მასალაც – წიდები (რკინის დიდი შემცველობით), ნაღვენთები, გამოსადნობი ქურების შელესილობის თიხის ფრაგმენტები [Sulava, Chagelishvili, Kalandadze, Beridze 2013: 375-379].

როგორც ითვლება, პრეისტორიული რკინის მეტალურგია სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის წიაღში ჩაისახა და განვითარდა. ლეჩხუმში დადასტურებულია რკინის წურვისათვის აუცილებელი კომპონენტები – მადანი, მაგარი ჯიშის მერქანი (წაბლი, მუხა, ბზა, ურთხელი, კოპიტი) ნახშირისათვის, ცეცხლგამძლე თიხები, წყალი.

საქართველოს ტერიტორიიდან ცნობილი არქეოლოგიურად შესწავლილი რკინის სადნობი სახელოსნოები შედგებოდა[2] ერთმანეთის სიახლოვეს განლაგებული კომპლექსისაგან – ქურა (1), მაგიდა-გრდემლი (2), ფარდული (3), მადნისა და ცეცხლგამძლე თიხების მარაგის გროვები (4), საწარმოო გადანაყარი, წიდები (5), საქშენი (6) [Хахутаишвили 1987: 202, სურ. 68] (ტაბ. I_{1-6}).

ქურა (1) წარმოადგენდა წვერწაჭრილ პირამიდისებურ, სხვადასხვაგვარი ქვებით ამოშენებულ, წვერით მიწაში ჩადგმულ სათავსს, რომლის ქვედა ნაწილი ცეცხლგამძლე თიხით ამოლესილი ნახევარსფერო იყო; ასეთივე თიხით ლესავდნენ ჩაშენებული ნაწილის მთელ შიდა ზედაპირსაც; ქურის კედლებში დატანებული იყო თიხის საქშენი

[1] კატალოგის (კოლ. № 3) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი ლ. კოპალიანი.

[2] ანალოგიური უნდა ყოფილიყო სპილენძ-ბრინჯაოს სადნობი ქურაც.

მილები; სავარაუდოდ, ქურის მიწისზედა ნაწილი თაღისებურად უნდა ყოფილიყო გადხურული ქვებით და შელესილი იგივე ცეცხლგამძლე თიხით [ინანიშვილი, მაისურაძე, გობეჯიშვილი 2010: 137, სურ. 4.7].

მაგიდა-გრდემლი (2) წარმოადგენდა ქვებისაგან შედგენილ მართკუთხა ან მომრგვალებულ სიბრტყეს, რომელზეც ხდებოდა რკინის მადნის დაქუცმაცება და ქურიდან ამოღებული რკინის გუნდის მექანიკური დამუშავება.

ფარდული (3) მსუბუქი ნაგებობა იყო, რომლის საყრდენი ბოძები შეკავშირებული იყო წნული კედლებით და გადახურული იყო ისლით ან ყავრით.

ქურის, მაგიდისა და ფარდულის სიახლოვეს დადასტურებულია მადნისა და ცეცხლგამძლე თიხების მარაგის გროვები (4) და საწარმოო გადანაყარი წიდების სახით (5) [ინანიშვილი, მაისურაძე, გობეჯიშვილი 2010: 151-165].

ქურის მუშაობისათვის (დნობის ტექნოლოგია) საჭირო იყო: ქურაში მადნისა და ხის ნახშირის მოთავსება; ნახშირის გაღვივება ქურაში საბერველებით (6) ჰაერის მიწოდებით; მადნის ნაწილაკებში ხდებოდა რკინის აღდგენა და წარმოიშვებოდა ადვილად დნობადი, რკინით მდიდარი წიდები; მაგარი რკინის მარცვლები იძირებოდნენ ქურის ფსკერზე და ერთმნეთთან შეწებების შედეგად წარმოქმნიდნენ ღრუბლისებურ მასას, რომელსაც „გუნდა'' ეწოდება. გუნდას იღებდნენ და მაგიდა-გრდემლზე ხდებოდა მისი მექანიკური დამუშავება შემჭიდროვებისა და წიდების გამოდევნის მიზნით [Гзелишвили 1964: 21. Хахутаишвили 1987: 208]. ქურაში ტემპერატურა 1100˚C -ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. რკინის აღდგენა მადნიდან ხდებოდა ხის ნახშირის მაღალ ტემპერატურაზე გახურებით; ამ დროს რკინის ქვეჟანგი გადადიოდა სუფთა რკინაში, რომლის ნაწილიც იწრიტებოდა ქურის ძირზე, ხოლო ნაწილი უერთდებოდა სხვადასხვა ჟანგეულებს და წარმოქმნიდა ძლიერ რკინაშემცველ წიდებს (30-40%). ფოლადის მისაღებად საჭირო იყო დნობის ისეთი რეჟიმის შექმნა, როცა გავარვარებული რკინა და ნახშირი დიდხანს არის ერთმანეთთან ურთიერთობაში, როცა რკინა შთანთქავს ნახშირბადს (0,1-დან 1%-მდე და წარმოიქმნება რბილი ან მაგარი ფოლადი) და გუნდა ქურის ფსკერზე იწრიტება. დნობის დამთავრების შემდეგ ქურის მიწისზედა ნაწილს შლიდნენ, ლუგვ რკინას იღებდნენ და ქურას წმინდავდნენ [Хахутаишвили 1987: 208, 209].

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ზოდების სიდიდისა და მოყვანილობის მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ სადნობი ქურის ზომასა და ფორმაზე; წაკვეთილი კონუსის ფორმის ზოდები, რომლებიც ყოველთვის დიდი ზომისაა [შდრ.: ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 19, სურ. 3, 4 და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 2014: 27 (სოფ. დოშაყე)] გამოიდნობოდა ქურაში, რომლის ძირსაც ასეთივე ფორმა ჰქონდა; ხოლო კონუსური ფორმის ზოდები, შედარებით მცირე ზომისა, გამოიდნობოდა კონუსური ფორმის ძირის მქონე ქურაში.

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული ბრინჯაო-რკინის ხანის არტეფაქტების უმრავლესობა ჩამოსხმის ტექნიკითაა დამზადებული; თუმცა ჩამოსხმის შემდეგ, მაგალითად, ცულების გახურებას და შემდეგ ფხამახვილობისა და სისალისათვის პირის ჭედვასაც მიმართავდნენ.

ცულები ჩამოისხმებოდა ქვის ან ლითონის ორნაწილიან (საგდულიან) ყალიბებში. ლეჩხუმში აღმოჩენილი ცულები, როგორც საერთოდ კოლხური ცულები, ყუიდან არის ჩამოსხმული. ყუის თავზე ხვდებოდა ლითონის ჩაჯდომით გამოწვეული ზედაპირული ჩაზნექილობა, რომელსაც ზოგ შემთხვევაში კონუსური ნახვრეტის ფორმა აქვს[3]. ღია ყალიბებშია ჩამოსხმული თოხები, ნამგლები, სეგმენტური იარაღი [სახაროვა 1976: 24, 25].

ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთებიდან ქიმიურად შესწავლილია ოყურეშის განძის ის ნივთები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში[4]. შენადნო-

[3] ცაგერას განძის აღმოსავლურ-ქართული ცულიც ასეთივე წესითაა ჩამოსხმული [სახაროვა 1976: 25].

[4] სიტულა (1-36:17): სპილენძი მცირე მინარევებით: დარიშხანი – 0,55%, ტყვია – 0,3%, რკინა, თუთია, ანთიმონი, კალა კვალის სახით;
რგოლი (18-32:206): სპილენძი – 87,0%, კალა – 0,88%, დარიშხანი – 0,88%;

ბები მცირემინარევებიანი სპილენძია, თითქმის ყველგან დარიშხანის მცირე რაოდენობით და მხოლოდ ორ ნივთშია ანთიმონი კვალის სახით [აბესაძე, ბახტაძე, დვალი, ჯაფარიძე 1958: 50, 51].

ლეჩხუმში, კოლხური ბრინჯაოს კულტურის არტეფაქტების დიდი რაოდენობით აღმოჩენების მიუხედავად, არ იყო დადასტურებული ყალიბების აღმოჩენა. მაგრამ 1970-71 წწ-ის არქეოლოგიური გათხრებისას სოფ. ცხეთაში გამოვლინდა ორფენიანი (ძვ.წ. VIII-VII და ძვ.წ. VI–V საუკუნეების) სამოსახლოს მცირე მონაკვეთი. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ნამოსახლარზე დამჯდარი მიწათმოქმედი-მესაქონლე მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელიც მეტალურგიასთანაც იყო დაკავშირებული, რაზეც აქ აღმოჩენილი ქვის უნიკალური ყალიბიც მიგვითითებს, რომლის ანალოგიც უცნობია. ყალიბში ჩამოისხმებოდა საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომელსაც იყენებდნენ ცნობილი კოლხური აბზინდების შესამკობად. ამ დანიშნულების ყალიბის ლეჩხუმში, მთიან კოლხეთში აღმოჩენა, ვფიქრობთ, ნამდვილად ადასტურებს, რომ მართკუთხა კოლხური აბზინდები კოლხეთში (იქნებ მთიან კოლხეთშიც) მზადდებოდა და აქიდან ვრცელდებოდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში, ხოლო ამ ყალიბის ძვ.წ. VIII-V სს-ით დათარიღებული ნასახლარის ქვედა დონეზე (ძვ.წ. VIII-VII სს) აღმოჩენა ამ აბზინდების თარიღსაც აკონკრეტებს [იხ.: აქვე, სახაროვა, სულავა 2014. სახაროვა 1976: 96-104; Sulava N. 2001: 186-187; Sulava N. 2001: 375. სულავა 2003: 31-37. Sulava N. 2008: 299-305. სულავა 2013: 63].

ლეჩხუმში, კოლხეთის მთიან ნაწილში აღმოჩენილი უძველესი მეტალურგიული წარმოების არტეფაქტები კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმ რეალობისა, რაც ასახული იყო მითოლოგიასა და წერილობით წყაროებში კოლხეთის შესახებ, რომლის „ . . . სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს'', როგორც წერდა ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი [სტრაბონი. გეოგრაფია. I,2,39]; და რამაც შექმნა საფუძველი, რომ ლეჩხუმი კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კერად ყოფილიყო მიჩნეული [Иессен 1935: 112, 128. ჯაფარიძე 1950: 52. გობეჯიშვილი 1959: 142. ქორიძე 1965: 142-144. Сахарова 1966: 9, 11. სახაროვა 1976: 24].

საყელური რგოლი: (18-32:200): სპილენძი - 86,34%, კალა - 13,4%;

ცული (11-32:13): სპილენძი – 94,1%, კალა – 5,7%, დარიშხანი - 0,2%;

ცული (11-32:14): სპილენძი - 88,8%, კალა - 10,1%, დარიშხანი - 0,59%;

ცული (11-32:68): სპილენძი - 86,75%, კალა - 12,65%, დარიშხანი - 0,02%;

ცული (11-32:19): სპილენძი - 85,0%, კალა - 14,1%.

Nino Sulava

Exhibits of the Prehistoric Metallurgy in the Tsageri History Museum

Summary

The concentration of prehistoric metallurgical sites in Lechkhumi and the multiplicity of bronze and iron items (bronze hoards or single artifacts), emphasizes the role of Lechkhumi in the Colchian Bronze Culture and directly indicates activities of local settlers – mining and metallurgical production together with multilateral developed agriculture.

Artifacts preserved in the museum fully reflect copper-iron metallurgical process and are represented by numerous slags, fragments of clay lining of smelting furnaces, clay and stone bellows, metal spills, different sized ingots (weight of the largest bar from village Zogishi is 32 kg).

Sizes and shapes of the bronze ingots, kept in the collection of the Tsageri History Museum, give an idea about the sizes and shapes of smelting furnaces; cut-off cone shaped bars, that are mainly large sized, were always smelted in a furnace with the same shaped bottom; and cone shaped bars of smaller sizes, were smelted in a furnace with the cone shaped bottom.

Despite the discoveries of abundant artifacts of the Colchian Bronze Culture in Lechkhumi, no moulds had been evidenced. Later, during the archeological excavations carried out in 1970 and 1971 in the village of Tskheta, at the settlement of farmers a stone mould was found. Together with farming the inhabitants of the settlement were occupied by cattle breeding and metallurgy. The mould was used for casting meander-like plates for inlaying. They were used to decorate famous Colchian buckles. The discovery of such mould in Lechkumi, the mountainous region of Colchis, is the direct evidence that rectangular Colchian buckles were produced in Colchis (apparently in mountainous Colchis as well) and then spread to the distribution area of Colchis bronze culture. The discovery of the mould in the lowermost level (8th-7th centuries BC) of this settlement, which is dated to the 8th-5th centuries BC, helps us to work out the precise date of these buckles.

The discovery of artifacts connected with the metallurgical production in mountainous Colchis (Lechkhumi), attests to the reality of the situation, described in mythology and various written sources in Colchis. According to Strabo (Greek historian and geographer), richness of the country in gold, silver, iron and copper explains the real reason of Jason's campaign. This is an extra reason to consider Lechkhumi as one of the cradles of Colchian bronze metallurgy.

ლიტერეტურა

სტრაბონი: გეოგრაფია. I,2,39

აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო. 1958: სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1959: გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია.

ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულები). თბ.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ალბომი): 2014. თბილისი.

სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.

სულავა ნ. 2003: ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. ძიებანი, № 10, თბილისი.
სულავა ნ. 2013: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმიდან – ბრინჯაოს ხარი. სემ მოამბე, № 4 (49-B). 62-67.
ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.
ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი). 2012. თბილისი.
ჯაფარიძე ო. 1950: კოლხური ცული. სსმ მოამბე, XVI-B.
Бежанишвили Н.М. 1933: Краткое заключение об осмотре м-ния медных руд близ с. Опитара, фонд 01001.
Гзелишвили И.А. 1964: Железоплавильное производство в древней Грузии. Тб.
Иессен А. А. 1935: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ИГАИМК, 120. М.-Л.
Каландадзе А. 1931: Копия отношения ком. отдела по вопросу омни медной руды с. Меквена и Опитара, фонд 1094.
Сахарова Л. С.1966: Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали (автореферат на соискании степени к.и.н.)
Топуриа В. 1931: О тлаках Рачи и Лечхуми, фонд 2087.
Хахутаишвили Д. А. 1987: Производство железа в древней Колхиде. Тб.
Sulawa N. 2001: Letschchumi _ eine bedeutendste frühe Metallurgie - Region in der Kolchis. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies‘‘. Bochum.
Sulawa N. 2001: Gussform. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies‘‘. Bochum.
Sulava N. 2008: On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediteranean (AMITEM). Ankara.
Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013: Newly Discovered Monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. ,,The Thracians and their Neighbors in the Bronze and Iron Ages”. Volume I (Proceedings of the 12 th International Congress of Thracology) Târgovište. 375-379.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I

1. რკინის მადანი
2. ბრინჯაოს ზოდები
3. წიდები და წიდა ქურის შელესილობით
4. ქვის იარაღი
5. თიხის საბერველი

ტაბ. II

1. ქურა
2. მაგიდა-გრდემლი
3. ფარდული
4. მადნისა და ცეცხლგანძლე თიხების მარაგის გროვები
5. საწარმოო გადანაყარი
6. საქშენი მილები და ტყავები

Descrion Of The Plates

Tab. I

1. Iron ores
2. Bronze bars
3. Slags and Slag furnace
4. Stonetool
5. Clay bellow

Tab. II

1. Furnace
2. Table-anvil
3. Shed
4. Reserves of ore and refractory clay
5. Manufacture rips, slags
6. Clay belolow and skins

I



II


0
100 cm
1
5
5
4
6
1
3
2
4

ნინო სულავა

ყუამილიანი ცული ცაგერის ისტორიულ მუზეუმში

ბრინჯაოს ყუამილიანი ცული ლეჩხუმში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებიდან უძველესია, და შესაბამისად, ცაგერის ისტორიული მუზეუმის უძველესი ბრინჯაოს ნივთია. იგი ნაპოვნია სოფ. ორბელში (ციმ კოლ. 4, შწ 1, № 375) [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 21].

ყუამილიანი ცულები, რომელთათვისაც დამახასიათებელია შვეულად მიმართული მრგვალი, მილისებური სატარე ხვრელი, ყუის მიმართ ჰორიზონტულად მიმართული სამწახნაგა კორპუსი და მომრგვალებული ასიმეტრიული პირი, საქართველოში გავრცელებული ცულებიდან ერთ-ერთი უადრესი ფორმაა.

ყუამილინი ცულები (ყუადაქანებულ ცულებთან ერთად), რომელთა უძველესი ნიმუშებიც საჩხერის ყორღანებშია [Куфтин 1949: ტაბ. VI. ჯაფარიძე 1961. ჯაფარიძე 1976] აღმოჩენილი, თავისი მრავალფეროვანი ტიპოლოგიური ვარიანტებით წარმოადგენენ ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III ათასწლეული I ნახევარი[1]) კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და განმასხვავებელ ელემენტს. ყუამილიან ცულებს გენეტიკურად აკავშირებენ წინააზიურ, შუმერულ ცულებთან, რომელთა მრავალრიცხოვანი აღმოჩენები ცნობილია მესოპოტამიაში, ელამში, სირიაში და სხვ. [Куфтин 1944: 297, 304. Schaeffer 1948: სურ. 79, სურ. 82/18-21. ჯაფარიძე 1961: 149. ჯაფარიძე 2003:112. ლორთქიფანიძე 2002: 77, 78], თუმცა თვლიან, რომ ამიერკავკასიაში ცულის ეს ტიპი თავისებურ ელფერს იღებს და მისი ადგილობრივი ვარიანტი ყალიბდება [ჯაფარიძე 2003: 113].

საჩხერის ყორღანების გარდა ყუამილიანი ცულები აღმოჩენილია აფხაზეთის დოლმენებსა და დას. საქართველოს სხვა ძეგლებზე – ურეკის განძი[2], რაჭასა და სვანეთში[3], ჭიათურა, სამეგრელო [ქორიძე 1965: 10, 52, 53. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 2014: 31]; აღმ. საქართველოს ტერიტორიიდან ისინი ცნობილია – სოფ. გუფთადან, სურმალინის რ-ნიდან (ყოფილი ყარსის ოლქი, ბორჯომის მუზეუმი) [Куфтин 1944: ტაბ. II, სურ. 1, 2], ბადაანის ნამოსახლრიდან (სიონთან, ივრის ხეობა) მათ ჩამოსასხმელი ყალიბების ფრაგმენტებთან ერთად [ჯაფარიძე 2003: 113].

ყუამილიანი ცულები ნაპოვნია ლენინაკანში, სევანთან [Мартиросян 1960: სურ. 11, 12], გუმბრში და ნორბაიაზეთში [ჯაფარიძე 2003:113].

თვლიან, რომ ცულის ეს ვარიანტი ამიერკავკასიიდან ჩრდ. კავკასიაში (გალიათი, ფასკაუს სამაროვანი [Крупнов 1951: 39, სურ. 7/6]) შედის და აღმოსავლეთ ევროპაში ე.წ. ფატიანოვოს, აბაშევოს და სხვ. არქეოლოგიურ კულტურებში ვრცელდება (ვოლგა-კამის აუზი, რუმინეთი, უნგრეთი) [Куфтин 1944: 304, სურ. 8/1, 7, 8. ჯაფარიძე 1961: 148. ლორთქიფანიძე 2002: 78].

ყუამილიანი ცულები დამზადებულია დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან; ასეთივე ქიმიური შემადგენლობის ყუამილიანი ცულები საქართველოს მასალებში შუაბრინჯაოს პერიოდშიც გვხვდება [აბესაძე, ბახტაძე, დვალი, ჯაფარიძე 1958: ცხრილი 3, 4, 6, 7, 8, 9].

ყუამილიანი ცულების ჩამოსასხმელი ყალიბის ორი ფრაგმენტი და ასეთივე ცულის ხის მოდელი, რომელიც იხმარებოდა ყალიბის გასაკეთებლად, აღმოჩნდა ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე[4], აქვე აღმოჩნდა აბაზანის ფორმის ტიგელების მინიატურული მოდელები და საბერველის საქშენი მილები

[1] თ. მიქელაძის მიხედვით, ყუამილიანი ცულები დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩნდება და მათი სტილიზებული სახესხვაობა წარმოადგენს საჩხერის ყორღანული სამარხების ინვენტარს [Микеладзе 1990: 27. ჯაფარიძე 1961: 195].

[2] ურეკის განძისეულ 23 ცულს შორის 7 ყუამილიანია [ქორიძე 1965: 10, 54].

[3] ბრილში შუაბრინჯაოს პერიოდის ცულებიდან 2 ცული [ქორიძე 1965: 55, იქვე, მით. ლიტ.].

[4] რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს [ხახუტაიშვილი 1979: 7], ზოგი ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით [Микеладзе, … 1976: 35], ხოლო ზოგი - ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით [ჯიბლაძე 2007: 60].

(ტაბ. I/$1_{7,8,9,10}$). ყუამილიანი ცულის თიხისაგან დამზადებული პატარა მოდელი აღმოჩენილია ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულის ბედენურ ფენაში ბერიკლდეების ნამოსახლარზე. როგორც ვარაუდობენ, ყუამილიანი ცულის ხისა და თიხისაგან დამზადებული პატარა მოდელების დამზადების ტრადიცია, შესაძლოა, ძველი აღმოსავლეთის სამყაროდან შემოდის, სადაც იგი ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულსა და ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება [ჯიბლაძე 2007: 60, 61].

ყუამილიანი ცულების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბები აღმოჩენილია ფიჩორის ნამოსახლარის VII-VIII კულტურულ ფენებში [ჯიბლაძე 1997: 52]. ამ ყალიბების მიხედვით ჩანს, რომ ამ ცულებს ყუაზე უკვე აქვთ 2 ან 3 რელიეფური ირგვლივი ზოლი. ეს ელემენტი ყუამილიან ცულებს დას. საქართველოში უვითარდებათ ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულში (საჩხერის ყორღანები, ეშერის დოლმენები, ღორჯომი, ხუაბის № 1 დოლმენი) და სხვადასხვა ვარიაციებით არსებობს ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში. ფიჩორის მსგავსი ტიპის იარაღი გამოვლენილია აჭარაშიც, სოფ. განთიადში [რამიშვილი 1974: 42]. თვლიან, რომ ფიჩორი-განთიადის ცულები ახლოს დგას ორბელის[5], კინოთის, ფასკაუს, სვანეთის, ერგეტას, ბრილისა და კრასნოდარის ეგზემპლარებთან [ჯიბლაძე 2007: 61]. ფიჩორი-განთიადის ცულების დათარიღების შესახებ სხვადასხვა აზრია: ალ. რამიშვილის მიხედვით – ეს არის შუაბრინჯაოს ხანის საწყისი საფეხური [რამიშვილი 1974: 44], ე. გოგაძის მიხედვით – ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი [Гогадзе 1990: ტაბ. I, II, III], ოთ. ლორთქიფანიძისა და თ. მიქელაძის მიხედვით - ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნა [Лордкипанидзе, Микеладзе 1981: ტაბ. III], მ. ბარამიძის მიხედვით – ძვ.წ. XXIII-XV სს [ბარამიძე 1998: 14], ლ. ჯიბლაძე კი ადრებრინჯაოს ფინალური ეტაპით ათარიღებს [ჯიბლაძე 2007: 62].

მიუხედავად იმისა, რომ ორბელის ცულის აღმოჩენის კონტექსტი უცნობია, ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით, მხედველობაში გვაქვს ოდნავ შესამჩნევი რელიეფური წიბო ნაკლულ ყუაზე, ჩვენც მისთვის მისაღებ თარიღად ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნა მიგვაჩნია.

[5] რომელსაც ოდნავ შესამჩნევი რელიეფური წიბო აქვს ნაკლულ ყუაზე.

Nino Sulava

A Socketed Axe of the Tsageri History Museum

Summary

The bronze socketed axe is the earliest among the bronze artifacts discovered in Lechkhumi and, accordingly, the oldest bronze item housed in the Tsageri History Museum. The axe was found in the village of Orbeli.

Socketed axes, characterized by a vertically applied, round, tube-like socket, three-angled body applied horizontally towards the butt, and rounded asymmetrical blade, represent one of the earliest shapes amongst the axes spread in Georgia.

The earliest samples of the socketed axes were discovered in the barrows of Sachkhere (the first half of the 3rd millennium BC), in dolmens of Abkhazeti, and other sites of west Georgia – in the Ureki hoard, in Racha and Svaneti, Chiatura, Samegrelo; in eastern Georgia they are known in the village of Gupta, Surmalini region (former Qarsi district, Borjomi museum), from the Badaani settlement (near the village of Sioni, the Iori gorge) together with moulds for casting analogous axes.

Socketed axes were discovered in Leninakan, Sevan, Gumbri and Norbaiazet. It is believed that this type of axes was spread from Transcaucasia into the Northern Caucasus (Galiati, Faskau necropolis) and penetrated eastward into Europe in the so-called Fatianovo, Abashevo and other archaeological cultures (Volga and Kama basins, Romania, Hungary).

The socketed axes are made of arsenic bronze; socketed axes of the same chemical composition can be found in Georgia in the Middle Bronze Age.

Two fragments of the mould for socketed axe and a wooden model of the similar type axe, which wasused to make the mould, were discovered in the Ispani under-peat settlement.

Small clay model of socketed axe was found in the Bedeni period layer (end of the 3rd millennium BC) of the Berikldeebi settlement. Clay moulds for casting socketed axes were discovered in the 8th and 7th cultural layers of the Pichori settlement. It is supposed, that Pichori-Gantiadi axes are similar to the ones from Orbeli, Kinoti, Faskau, Svaneti, Ergeta, Brili and Krasnodar.

The context of the Orbeli axe is unknown, but according to the typological features, namely a slightly noticeable relief rib on the incomplete butt, this axe could be dated to the 3rd-2nd millennia BC.

ლიტერატურა

აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო. 1958: სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი.

ბარამიძე მ. 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტ. მეც. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ლორთქიფანიძე ო. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. 2014. თბილისი.

რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.

† სახაროვა ლ., სულავა ნ. 2012: საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების ისტორიისათვის. ონლაინ არქეოლოგია, № 2. გვ. 88-104.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. 2012. თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1979: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. სდსძ VIII. თბილისი. 3-18.

ჯაფარიძე ო. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 1997: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.

Гогадзе Э. М. 1990: Некоторые вопросы металургического производства Южного Кавказа ранных этапов его развития. Междисциплинарные исследования культурогенезиса и этногенезиса Армянского нагорья и сопредельных областей. Сборник докладов. Ереван.

Крупнов Е. И. 1951: Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, т. 23. М-Л.

Куфтин Б. А. 1944: К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სსმმ, ტ. XII-B.

Куфтин Б. А. 1949: Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб.

Лордкипанидзе О., Микеладзе Т. 1981: О демографической ситуации в Восточном Причерноморье (Колхида) в период Великой Греческой Колонизации. Сборник материалов II Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья (Цхалтубо, 1979). Тб.

Микеладзе Т., Барамидзе М., Инаишвили А., Хахутаишвили Д., Мусхелишвили Д., 1976: Исследования Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1974 г. Тбилиси. 34-46.

Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды. Тбилиси.

Мартиросян А. А. 1960: К предистории древнейших этапов культуры Армении. Историко-филологический журнал, № 8. АН Армянской ССР. Ереван.

Schaeffer Cl. 1948: Stratigraphie comparé et chronologie de l`Asie Occidentale, London.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I. 1 – ყუამილიანი ცული. ორბელი.
ტაბ. II. 2 – ყუამილიანი ცულის ხის მოდელი. ისპანი [ხახუტაიშვილი 1979: 7].
ტაბ. III. 3 – ფიჩორის ბორცვი [ჯიბლაძე 1997: ტაბ. IX, X].

Descrion Of The Plates

Tab**.** I. 1 – Socketed axe. Orbeli
Tab**. I**I. 2 – Wooden model of a socketed axe, Ispani [Khakhutaishvili 1979: 7]
Tab**.** III. 3 – Clay moulds for casting socketed axes [Jibladze 1997: 52]

I



1

II



2

III



3

ნინო სულავა

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ბრინჯაოს განძები

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში[1], ლეჩხუმში აღმოჩენილი 10 ბრინჯაოს განძიდან[2] მხოლოდ სამია დაცული – ცაგერას განძი, ხოჯის განძი და ოყურეშის ანუ ლაჯობის ძირის განძის ნაწილი. დანარჩენი ბრინჯაოს განძები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ოყურეშის განძის დიდი ნაწილი, სურმუშის განძი), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ლაილაშის 2 განძი) და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში (ლაილაშის განძი, სურმუშის განძი, ლუხვანოს განძი, ლეხეროს განძი) [სახაროვა 1976: 3-18].

ცაგერას განძი. აღმოჩენილია 1938 წელს სოფ. ცაგერაში (ადგილი ჩიხაში, მდ. რიონის ხეობა) მიწის გადაბრუნების დროს 1 მეტრის სიღრმეზე, თიხის ჭურჭელში (რომელიც დაკარგულია). განძის შემადგენლობაში მხოლოდ ბრინჯაოს ნივთებია[3]: მხედრის ქანდაკება[4] (ტაბ. I/4), რგოლი (ტაბ. I/2)[5], ერთმანეთზე ურთიერთპერპენდიკულარულად შერწყმული რგოლები[6] (ტაბ. I/3), ნამგლები[7] (ტაბ. I/4), შუბის გრავირებული მასრა[8] (ტაბ. I/5), კოლხური ცულის ფრაგმენტები[9] (ტაბ. I/5,6,8,9), სეგმენტისებური იარაღები[10] (ტაბ. I/7), თო-

---

[1] კატალოგის (კოლ. №№ 5,6,7) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი მ. სილაგაძე.

[2] „განძად" ითვლება სხვადასხვა დანიშნულების ნივთების ჯგუფი, რომლებიც აღმოჩენილია კომპაქტურ მდგომარეობაში ერთ ადგილას, ლითონის ან თიხის ჭურჭელში (ან უჭურჭლოდ).

[3] ნივთების აღწერილობას ვიძლევით ლ. სახაროვას ნაშრომის მიხედვით – სახაროვა 1976.

[4] ქანდაკება ბრინჯაოს მხედრისა, ცხენს უზანგი არა აქვს, ამიტომ მხედარს ფეხები მკვეთრად აქვს მოხრილი და ცხენზე მჭიდროდ მიბჯენილი, მარცხენა ხელში რაღაც საგანი (სადავე?) აქვს ჩაბღუჯული, მარჯვენა კი მოტეხილი აქვს. წელზე სარტყელი არტყია, რომელშიც ზურგის მხრიდან უცნობი იარაღია გარჭობილი. იარაღის თავი ხუთი რელიეფური კოპისაგან შედგება და ეხება მხედრის მარცხენა მხარს. მხედრის სახე მკვეთრად მოდელირებულია. თვალები – ჩაღრმავებული, ცხვირი – დაზიანებული, ბაგე – მკვეთრად გაფართოებული, მოგრძო პირისახე, თავზე – მუზარადი, რომელიც საკმაოდ მაღალია და წინ გადახრილი; მარცხენა ყურთან შემორჩენილი რაღაც კოპი. ცხენის გამოსახულებას ახასიათებს: გრძელი ტანი, მოკლე ფეხები, სქელი მაღალი კისერი და საკმაოდ გრძელი თავი, დაწნული ფაფარი და დაბლა დაწეული ტუჩ-პირი [სახაროვა 1976: 8, 9]. ციმ, **5**-1938:№1 (ძველი № 1).

[5] რგოლი ბრინჯაოსი, დაფარულია შავპრიალა კეთილშობილი პატინით, ოდნავ ოვალური, პირგახსნილი. ერთი ბოლო ოდნავ უფრო მსხვილია მეორეზე. დიამეტრი – 13,4-10,6 სმ, განივკვეთი – 1,7 სმ [სახაროვა 1976: 10, ტაბ. VII_5]. ციმ, **5**-1938:№7 (ძველი № 14).

[6] რგოლები ბრინჯაოსი, დაფარული მწვანე პატინით და ერთ ადგილას გაბზარული. იგი წარმოადგენს ორი მასიური რგოლის ურთიერთპერპენდიკულარულ შერწყმას. სიგრძე – 16 სმ, დიამეტრი – 5 და 5 სმ [სახაროვა 1976: 9, ტაბ. VII_3]. ციმ, **5**-1938:№19 (ძველი № 3).

[7] ნამგლები ბრინჯაოსი (2 ც.), დაფარულია მწვანე პატინით. თავები ორივეს ჩამოტეხილი აქვს, დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან და ერთ მხარეს ტარის დასამაგრებლად თითო ნახვრეტი აქვს. ერთ მათგანს, რომელიც უფრო დიდია, სატარე ნაწილი მოკუთხული და წაგრძელებული აქვს. 1. სიგრძე – 13,4 სმ, სიგანე – 3,7 სმ. 2. სიგრძე – 13,7 სმ, სიგანე – 3 სმ [სახაროვა 1976: 9, ტაბ. VIII_{7-9}]. ციმ, **5**-1938:№8 (ძველი № 9), ციმ, **5**-1938:№9 (ძველი № 9).

[8] მასრა შუბის ბრინჯაოსი, ბოლოს ტარის დასამაგრებელი ორი სამანჭვლე აქვს. შემკულია სტილიზებული ცხოველის გამოსახულებით და წიწვისებური ორნამენტით. სიგრძე – 11 სმ, სიგანე – 1,7 სმ [სახაროვა 1976: 10, ტაბ. VII_7]. ციმ, **5**-1938:№5 (ძველი № 10).

[9] ცული ბრინჯაოსი, ყუადაწახნაგებული, წვეტიანოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელით, დაფარული მწვანე პატინით. გატეხილია. შემკულია წიწვისებური და გეომეტრიული ორნამენტით [სახაროვა 1976: 9, ტაბ. VII_{4-6}]. ლ. სახაროვას აღწერილობის მიხედვით მხოლოდ ერთი ცულია, ფაქტობრივად კი, სამი ცულია – ერთი ტარის ფრაგმენტი, ორი კი პირისა [იხ.: ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 23]. ციმ, **5**-1938: № 3 (ძველი № 4), ციმ, **5**-1938:№4 (ძველი № 16), ციმ, **5**-1938:№6 (ძველი № 11).

[10] სეგმენტური იარაღები ბრინჯაოსი (20 – მთელი და 4 – ნატეხი). თითქმის ყველა პირს ეტყობა ხმარების კვალი, დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან. 6 მათგანი ერთი მხრიდან დაღარულია, აქედან 3 – სწორი გაკრული ღარებით, სამი კი – ირიბი წყვეტილი ღარებით. ფორმითა და სიდიდით ერთმანეთს არ ემთხვევიან. უდიდესი სიგრძე – 11,6 სმ, უდიდესი სიგანე – 12,1 სმ [სახაროვა 1976: 10, ტაბ. $VIII_{1,2,3}$]. ამჟამად მხოლოდ 6 არტეფაქტია შემორჩენილი [იხ.: ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 23]. ციმ, **5**-1938:№10 (ძველი № ?), ციმ, **5**-1938:№11 (ძველი № ?), ციმ, **5**-1938:№14 (ძველი № 12/3), ციმ, **5**-1938:№17 (ძველი № ?), ციმ, **5**-1938:№24 (ძველი № ?).

ხები[11] (ტაბ. I/11), აღმოსავლურ – ქართული ცული[12] (ტაბ. I/10), ზოდები[13] (ტაბ. I/12), ლითონის ჭურჭლის ძირი[14] (ტაბ. I/13) – ძვ.წ. VIII-VII სს[15] [ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 23][16].

ხოჯის განძი. აღმოჩენილია 1958 წელს სოფ. ხოჯში. განძის შემადგენლობაში მხოლოდ ბრინჯაოს ნივთებია: 4 ცალი კოლხური ცული[17] (ტაბ. II/2,3,4,6), ბრტყელი ცული[18] (ტაბ. II/5), სატეხი[19] (ტაბ. II/1) – ძვ.წ. VIII-VII სს[20] [ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 24].

ოყურეშის განძი. აღმოჩენილია 1924 წელს სოფ. ოყურეშში (ადგილი ლავჯობის ძირი, მდ. ცხენისწყლის ხეობა, ქვის კედლისებური

---

[11] თოხები ბრინჯაოსი, ორი – მთელი და სამი – დაზიანებული. ყველა მათგანი დაფარულია მწვანე პატინით. პირველი შუაზე გაღუნულია, ჩაღუნული მხრიდან შუაზე და კიდეებზე სიგრძივ დაუყვება ქედები. სატარე ხვრელი ოდნავ წაგრძელებულია. სიგრძე – 10,9 სმ, ყუის დიამეტრი – 2,5 სმ, სიგანე – 8 სმ, სატარე ხვრელის სიგრძე – 1,5 სმ; მეორე ოდნავ გაღუნულია, პირფართო, დაბლაგვებული ხმარებისაგან. სიგრძე – 8,6 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი – 2,5 სმ, სიგანე – 11,5 სმ; მესამეს პირი ორივე მხარეს ჩამოტეხილი აქვს, ჩანს პირფართო ყოფილა. სიგრძე – 9 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი – 2,2 სმ, სიგანე – 9,7 სმ. მეოთხე თოხი ჩანს გაღუნული იყო და დაუყვებოდა ქედები. სატარე ხვრელი ოდნავ წაგრძელებულია. სიგრძე – 10,3 სმ, სიგანე – 7,5 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი – 3 სმ; მეხუთეს პირი ჩამოტეხილია. ჩანს მასაც სიგრძივ ქედები დაუყვებოდა. სიგრძე – 9,3 სმ, სიგანე – 6,9 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი – 2,6 სმ [სახაროვა 1976: 9, 10, ტაბ. VII_{4-6}]. ამჟამად მხოლოდ 4 არტეფაქტია შემორჩენილი [იხ.: ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 23]. ციმ, **5**-1938:№12 (ძველი № 13/4), ციმ, **5**-1938:№14 (ძველი № 13/3), ციმ, **5**-1938:№16 (ძველი № 13/4), ციმ, **5**-1938: №20 (ძველი № 13/1).

[12] ცული ბრინჯაოსი, აღმოსავლურ-ქართული ტიპისა, დაფარული ღია მწვანე პატინით. ცულის სატარე ხვრელი მაღალია და ოვალური. გარედან ცულს ქედი დაუყვება, ყუის თავზე, შუაში საკმაოდ მაღალი შვერილი აქვს. ცულის პირი წარმოადგენს ფართო სეგმენტს წაწვეტებული ფრთებით. სიგრძე – 15,5 სმ, პირის სიგანე – 10 სმ, დიამეტრი – 5 სმ [სახაროვა 1976: 9, ტაბ. VII_2]. ციმ, **5**-1938:№19 (ძველი № 3).

[13] ჩვენის აზრით, ზოდების ფრაგმენტებს ლ. სახაროვას აღწერილობის მიხედვით უნდა წარმოადგენდეს შემდეგი არტეფაქტები: ნატეხი ბრინჯაოსი, სქელკედლიანი. დაფარულია მწვანე პატინით. რაღაც მილის ნატეხს გავს. გარედან – გლუვი, შიგნიდან – ფორებიანი. სიგრძე – 15 სმ, სიგანე – 10,5 სმ, სისქე – 17,7 სმ. [სახაროვა 1976: 10, ტაბ. VIII_1] და – ნატეხი ბრინჯაოსი, დაფარული მწვანე პატინით. ერთი მათგანი წარმოადგენს სქელ, ერთმანეთზე შედუღებულ ორ ფირფიტას [სახაროვა 1976: 10]. ამჟამად სახეზეა სამი არტეფაქტი [იხ.: ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 23]. ციმ, **5**-1938:№21 (ძველი № 5). ციმ, **5**-1938:№22 (ძველი № 5), ციმ, **5**-1938:№23 (ძველი № 5).

[14] ჭურჭლის ძირი ბრინჯაოსი (ტანის ნაწილით). დაფარულია მწვანე პატინით. ტანის ნაწილი ფართოდაა გადაშლილი; ძირი დაბალქუსლიანია, ფსკერს შიგნიდან კოპი აქვს. ფსკერის დიამეტრი – 6,7 სმ, კედლის სისქე – 5 მმ [სახაროვა 1976: 10, ტაბ. VIII_8]. ციმ, **5**-1938:№2 (ძველი № ?).

[15] განსხვავებული თარიღი აქვს ლ. სახაროვას – ძვ.წ. X-VIII სს [სახაროვა 1976: 20, 21, 44].

[16] როგორც ჩანს, მუზეუმში ხანძრის დროს სხვა ექსპონატებთან ერთად დაიკარგა შემდეგი არტეფაქტები: სატეხის პირი ბრინჯაოსი, დაფარულია მწვანე პატინით. ჩანს სატეხის ტანი დაწახნაგებული იყო. პირს ეტყობა ხმარების კვალი. სიგრძე – 4,4 სმ, სიგანე – 1,3 სმ [სახაროვა 1976: 9, ტაბ. VIII_5] და – მასრა შუბის, ბრინჯაოსი, პირგახსნილი, მასრას ორი სამანჭვლე აქვს. დაზიანებულია ცეცხლისაგან. სიგრძე – 9,4 სმ, დიამეტრი – 1,3 სმ [სახაროვა 1976: 10].

[17] ცული (3 ცალი) ბრინჯაოსი. ყველა მათგანი ყუადაწახნაგებული და ტანშვეტილი. სამივეს პირი ასიმეტრიულია და ნაკლული ხმარებისაგან; სატარე ხვრელი სამივეს ოვალური აქვს და ტანზე სამი წიბური და მათ შორის ორი ღარი დაუყვება. 1. სიგრძე – 18,5 სმ, პირის სიგანე –7,5 სმ. 2. სიგრძე – 14,5 სმ, პირის სიგანე – 6,5 სმ. 3. სიგრძე – 15,5 სმ, პირის სიგანე – 6 სმ; ცული ბრინჯაოსი, ცულის ყუის ნაწილი კოლხური ცულის პირველ ტიპს ჰგავს, ხოლო ტანი და პირი მეორე ტიპისა აქვს. სატარე ხვრელი ოვალურია. სიგრძე – 17,5 სმ, პირის სიგანე – 7 სმ. ცული ბრინჯაოსი, ყუის ნაწილით იგი უახლოვდება კოლხური ცულების პირველ ტიპს. ტანი და პირი დავიწროებულია სატეხისებურად. სატარე ხვრელი წაწვეტებული ოვალის მოყვანილობისაა. სიგრძე – 19 სმ, პირის სიგანე – 3,3 სმ [სახაროვა 1976: 17, 18, ტაბ. XX, XIX_1, XIX_2]. როგორც ირკვევა, ერთი ცული დაკარგულია.

[18] ცული ბრინჯაოსი. ბრტყელი, შვეტილი ტანი, გორდა და სიმეტრიული პირი ფხისაკენ თანდათან თხელდება. წელს ზემოთ, ორივე გვერდზე თითო შვერილი აქვს. სიგრძე – 18,2 სმ, პირის სიგანე – 6,5 სმ [სახაროვა 1976: 17, ტაბ. XIX_3].

[19] სატეხები ბრინჯაოსი. ერთი მათგანი ნაკლულია, თავმოტეხილი. მეორე სატეხის ტანი წახნაგოვანია. წახნაგები იწყება სატარე პირის ქვემოთ. სატარე მილი ოვალურია და დაუყვება ორი რელიეფური ირგვლივი ზოლი. მთელი სატეხის ზომებია: სიგრძე – 14 სმ, პირის სიგანე – 1,8 სმ, ხოლო სატარე მილის სიგანე – 2,5 სმ [სახაროვა 1976: 17, ტაბ. XIX_4). ციმ, კოლ. **6**-1958:№1. ნაკლული სატეხი დაკარგულია.

[20] განსხვავებული თარიღი აქვს ლ. სახაროვას – ძვ.წ. X-VIII სს [სახაროვა 1976: 20, 44].

წყობის ქვეშ). განძი დაფლული იყო ბრინ-ჯაოს დიდი ჭურჭლით და შეიცავდა 29 თუ 32 ნივთს[21]. განძის დიდი ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება (სემ კოლ. 11-32), ხოლო განძის შემადგენელი სამი ნივთი – კოლხური ცული[22] (ტაბ. III/2) და 2 ბრტყელი ცული[23], (ტაბ. III/1,3) ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. ეს უკანასკნელი 3 ნივთი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში მოხვდა 1979 წელს [სახაროვა 2000:52, 53]. ძვ.წ. VIII-VII სს[24] [ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 25].

კავკასიის რეგიონში განძები მხოლოდ კოლხეთისათვის არის დამახასიათებელი და გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტთაგანია. კოლხური კულტურის არეალში აღმოჩენილია 150-ზე მეტი განძი. კოლხური ბრინჯაოს კულტურის „განძები" ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანახმად მიჩნეულია ღვთაებისადმი შეწირულობად (საცრალური დანიშნულების კომპლექსად), ეთნიკური ნიშნის მატარებელია და კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალს ემთხვევა [ლორთქიფანიძე 2001: 178, 180, 187].

ბრინჯაოს განძები, ფართოდაა გავრცელებული ბრინჯაოს ხანის ევროპაში, თუმცა უცხოა სამხრეთ იტალიისა და საბერძნეთისათვის. განძები არ არის დამახასიათებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდ. ავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის[25].

[21] შდრ.: სახაროვა 1976: 11 და სახაროვა 2000: 52.

[22] ცული ბრინჯაოსი, კოლხური, შვეტილი ტანით, მახვილი ყუით, ტანი და ყუა გრავირებული. სიგრძე – 18 სმ, პირის სიგანე 6,5 სმ. [სახაროვა 2000: 52, ტაბ. I/2. ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 25].

[23] ცული ბრინჯაოსი, ბრტყელი, წელზე ორი შვერილით. სიგრძე – 19 სმ, პირის სიგანე – 6,5 სმ. [სახაროვა 2000: 52, ტაბ. I/1. ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 25]. ცული ბრინჯაოსი, ბრტყელი, წელზე ორი შვერილით, პირი დაზიანებული. სიგრძე – 18,2 სმ, პირის სიგანე – 6 სმ. [სახაროვა 2000: 52, ტაბ. I/3. ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012: 25].

[24] განსხვავებული თარიღი აქვს ლ. სახაროვას – ძვ.წ. X-VIII სს [სახაროვა 1976: 21, 22, 44. სახაროვა 2000: 53].

[25] ჩრდ. კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანის განძები საკმაოდ იშვიათია [Иессен 1951: 101, სურ. 34, IV: 1-10], განსაკუთრებით ე.წ. ყობანური კულტურის არეალში (ბელეშევსკიას განძი [Крупнов 1960: 185, სურ. 26], ბორგუსტანის განძი [Егоров 1951: 292-295], ჟემტალის განძი [Крупнов 1959]), რასაც თვით ვ. კოზენკოვაც აღნიშნავს [Козенкова 1996: 13]. ამ რეგიონიდან ცნობილი რამდენიმე განძი (ჩრდ. კავკასიის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი განძების (ნოვოჩერკასის [Иессен 1953: 49, სურ. 1], გილიაჩის [Иессен 1951: 89, სურ. 16], აგურის ქარხნის [Иессен 1951: 90, სურ. 18], კოსტრომის [Иессен 1951: 116, 118, სურ. 54], უპორნაიას [Аптекарёв, Козенкова 1968] განძები) ჩათვლით დაახლ. 8 განძი) კოლხური „განძებისათვის" დამახასიათებელ კომპონენტებს შეიცავენ [იხ.: ლორთქიფანიძე 2001: 187-189].

Nino Sulava

Hoards of Bronzes Kept at the Tsageri History Museum

Summary

Out of ten hoards of bronzes, discovered in Lechkhumi only three are housed at present in the Tsageri History Museum: Tsagera and Khoji hoards, and a part of the Oqureshi (also known as Lajobisdziri) hoard. As for remaining bronze hoards, they are kept in Georgian National Museum (larger part of the Oqureshi hoard, Surmushi hoard), Kutaisi State History Museum (2 hoards of Lailashi) and the State Hermitage Museum in St. Petersburg (Lailashi, Surmushi, Lukhvano and Lekhero hoards).

The **Tsagera hoard** was discovered in 1938 in the village of Tsageri (place Chikhashi, the gorge of the river Rioni), while tilling the ground at a depth of 1 meter, in a clay vessel (that is lost at present). The hoard contains bronze items only – a figurine of the rider, ring, perpendicularly attached rings, sickles, and an engraved socket of the spear, fragments of the Colchian axe, segment-like tools, hoes, an east Georgian-type axe, ingots, and bottom of the metal vessel. The hoard is dated back to the 8th-7th centuries BC.

The **Khoji hoard** was discovered in 1958 in the village of Khoji. The hoard consists of bronze items only – four Colchian axes, a flat axe, and a chisel. The hoard is dated to the 8th-7th centuries BC.

The **Oqureshi hoard** was discovered in 1924 in the village of Oqureshi (place Lajobisdziri, the river Tskhenistskali gorge, under the stone masonry). The hoard was placed in a large bronze vessel; it contained 29 or 32 items. The bigger part of the hoard is kept in the Georgian National Museum, while three artifacts (one Colchian axe and two flat axes) are preserved in the Tsageri History Museum. These items turned up in the Tsageri History Museum in 1979. The hoard is dated to the 8th-7th centuries BC.

In the region of Caucasia, such hoards are typical only to Colchis. They represent one of the most important elements of the Late Bronze Colchian Culture. In the area of the Colchian culture over 150 hoards have been discovered. According to the latest researches, hoards of bronzes of the Colchian culture are considered as dedications to the deity, as sacral complexes. Hoards of this type bearing ethnic significance are spread over the territory of the Colchian Bronze Culture.

Bronze hoards are widespread in Europe of the Bronze Age, although they are unknown in South Italy and Greece. This kind of hoards isn't characteristic of the Late Bronze cultures of Armenia, Azerbaijan and north Caucasia.

ლიტერატურა

ლორთქიფანიძე ოთ. 2001: „განძები" კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა), კრებული: კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატებანი VI. 178-194.
სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.
სახაროვა ლ. 2000: ოყურეშის ბრინჯაოს განძის შესახებ, ძიებანი, № 5. 52-54.
ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი) 2012.
Аптекарёв А.З., Козенкова В. И. 1968: Клад эпохи поздней бронзы из станции Упорной (Краснодарский край), СА, № 3. 121-134.
Егоров Н.М. 1951: Боргустанский клад. СА, XV. с. 292-295.
Иессен А. А. 1951: Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МИА, т. 23, М-Л. с. 75-124.
Иессен А. А. 1953: К вопросу о памятниках VIII-VII вв. до н. э. на юге Европейской части СССР, СА, т. XVIII, с. 49-110.
Козенкова В. И. 1996: Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзи и в раннем железном веке, М.
Крупнов Е. И. 1959: Жемталинский клад. М.
Крупнов Е. И. 1960: Древняя история Северного Кавказа, М.

ტაბულების აღწერა

1. ცაგერას განძი
2. ხოჯის განძი
3. ოყურეშის განძი

Descrion Of The Plates

1. Tsagera hoard
2. Khoji hoard
3. Okureshi hoard

I

II

1

2

3

4

5

6

III

1

2

3

ნინო სულავა

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმიდან – ბრინჯაოს ხარი

საქართველოს არქეოლოგიას სოფელ დეხვირში[1] შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარის მცირე ზომის ქანდაკების (სურ. 1) სახით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტი შეემატა, ხოლო ცაგერის ისტორიული მუზეუმი ახალი საინტერესო ექსპონატის მფლობელი გახდა [სულავა ნ., კოპალიანი ნ. *„ლეჩხუმი"*, 2012: № 7(14); კოპალიანი დ. *„ლეჩხუმი"*, 2012: № 8(15)].

სოფელი დეხვირი (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტი, ცაგერის ქვაბული, ლასურიაშის თემი, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირი) ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სოფელში შემორჩენილია შუასაუკუნეების დეხვირის ციხის სამი კოშკის ნაშთი.

დეხვირში, 1802 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II იერიშით აუღია დეხვირის ციხე, რის შედეგადაც ციხე საგრძნობლად დაზიანდა [დადიანი ნ. 1962: 188-193; ქსე 1978: 449; ბერძენიშვილი დ. და სხვ. 1983: 66].

დეხვირი ისტორიულ წყაროებში XVII ს-ის მეორე ნახევრიდან იხსენიება. დეხვირის ციხეს ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს: „ლეჩხუმის საშუალსა, ცხენისწყლის ზეით კლდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა[2], რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად" [ვახუშტი 1941: 147; ბერძენიშვილი დ. და სხვ. 1983: 37, 66].

დეხვირის ციხის სტრატეგიული მნიშვნელობა მისი მდებარეობის მიხედვითაც ჩანს. იგი აკონტროლებდა მდ. ცხენისწყლის ხეობიდან მდ. ლაჯანურის ხეობაში მიმავალ გზებს. აქედან კარგად ჩანს როგორც ცაგერის ქვაბული, ასევე ლაჯანურის ხეობა, ანუ ლეჩხუმის ორი პროვინციის („ქუეყნის"), ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ორი ხეობის, „გადაღმა ლეჩხუმისა" და „გადმოღმა ლეჩხუმის" უდიდესი ნაწილი. დეხვირის ციხის მფლობელს, აგრეთვე, საშუალება ჰქონდა გაეკონტროლებინა სამეგრელოსკენ, სვანეთისა და რაჭისაკენ მიმავალი გზებიც.

დღეისათვის სოფელ დეხვირის ზედა ნაწილში (ზედა დეხვირი) ერთმანეთისაგან დაახლოებით 500 მეტრით დაშორებული შუასაუკუნეების სამი ციხის (კოშკის, ციხე-კოშკის) მეტ-ნაკლებად დაზიანებული ნაშთია შემორჩენილი, რომლებიც ერთიან კომპლექსს ქმნიან. დეხვირის მთავარი ციხის შემოგარენში ჩატარებული არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოების შედეგად დადასტურდა, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალა განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ხანისაა[3].

ვახუშტი ბატონიშვილისა და ხალხური გადმოცემის თანახმად, ქრისტიანულ აღმოსავლეთში ერთ-ერთი დიდი წმინდანი, VII ს-ის ფილოსოფოსი და საეკლესიო მოღვაწე მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც თავის მოწაფეებთან ერთად ბიზანტიიდან ლაზიკაში გადმოასახლეს[4], თავდაპირველად დეხვირის ციხეში მოსულა; ხოლო მეზობელ სოფ. ჩხუტელში მისი სახელობის მამათა მონასტერი არსებობდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ დეხვირის ციხის არქეოლოგიური კვლევის შედეგად აქ ადრექრისტიანული (დაახლ.

[1] წინამდებარე ნაშრომი გამოქვეყნებულია – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №4 (49-B), 2013, 62-67.

[2] სახელწოდება „ლეჩხუმის," „თაკვერის" და საერისთავოს საზღვრების დროში მონაცვლეობის საკითხის შესახებ იხ.: [სულავა ნ. 1996: 3-9, 96-100 და იქვე იხ.: დასახ. ლიტ.; ლეთოდიანი დ. 2003: 5-35 და იქვე იხ.: დასახ. ლიტ.].

[3] იხ.: 2012 წელს წარმოებული გათხრების ანგარიში – სულავა ნ. *ლეჩხუმში ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში*/საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

[4] ივარაუდება, რომ იგი აქვე, ლეჩხუმში, მურის ციხესთან არის დაკრძალული; იხ.: „ . . . არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსაარებლისა, და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული" [ვახუშტი 1941: 148; აგრეთვე, იხ.: ბერძენიშვილი დ. და სხვ. 1983: 15].

ახ.წ. IV-VIII სს-ის) სამშენებლო ფენებიც გამოვლინდეს.

იქვე, სოფ. ცხეთის (დეხვირის სიახლოვეს) ადგილ ყვავიქედას სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე შესწავლილი ანტიკური ხანის 15 სამარხის (ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს) მასალა ამ ტერიტორიაზე არამარტო გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ხანის მოსახლეობის არსებობაზე, არამედ რეგიონის გარესამყაროსთან ფართო ურთიერთობაზე მიუთითებს [სულავა ნ. 1996] [5].

ასეთი სტრატეგიული გზაგასაყარის გამო სოფლის ტერიტორია უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო დასახლებული, რაც კარგად დაადასტურა კიდეც 1970-71 წწ. ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფლების დეხვირისა და ცხეთის მიჯნაზე, ადგილ ყვავიქედას ფერდობზე მცირემასშტაბიანმა სადაზვერვო-არქეოლოგიურმა სამუშაოებმა. გათხრების შედეგად გამოვლინდა ორფენიანი (ძვ.წ. VIII-VII და ძვ.წ. VI-V საუკუნეების) სამოსახლოს მცირე მონაკვეთი. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ნამოსახლარზე დამჯდარი მიწათმოქმედი-მესაქონლე მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელიც მეტალურგიასთანაც იყო დაკავშირებული, რაზეც აქ აღმოჩენილი ქვის უნიკალური ყალიბიც მიგვითითებს, რომლის ანალოგიც უცნობია[6]. ყალიბში ჩამოისხმებოდა საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომელსაც იყენებდნენ ცნობილი კოლხური აბზინდების შესამკობად. ამ დანიშნულების ყალიბის ლეჩხუმში, მთიან კოლხეთში აღმოჩენა, ვფიქრობთ, ნამდვილად ადასტურებს, რომ მართკუთხა კოლხური აბზინდები კოლხეთში (იქნებ მთიან კოლხეთშიც) მზადდებოდა და აქედან ვრცელდებოდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში. ხოლო ამ ყალიბის ძვ.წ. VIII-V სს-ით დათარიღებული ნასახლარის ქვედა დონეზე (ძვ.წ. VIII-VII სს) აღმოჩენა, ამ აბზინდების თარიღსაც აკონკრეტებს.

ბრინჯაოს ხარი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური ბრინჯაოს კულტურის, ე.წ. ზოომორფული მცირე პლასტიკის, ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია[7].

კოლხური ბრინჯაოს კულტურა კი, რომელიც საქართველოს დასავლეთ ნაწილს მოიცავდა, თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონებით, აღმოცენებული იყო მძლავრ მეტალურგიულ ბაზაზე. სწორედ ამ მეტალურგიული ბაზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონადაა მიჩნეული ლეჩხუმი (მთიანი კოლხეთი), რისი დადასტურებაც აქამდე იყო ნაკეთობები – ლეჩხუმში აღმოჩენილი ბრინჯაოს 11 განძიდან,[8] ასევე ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა დანიშნულების ცალკეული არტეფაქტები (მათ შორისაა ეს ახალი აღმოჩენაც – ბრინჯაოს ხარი), ლითონის ზოდები და ლითონწარმოების ნარჩენების ნიმუშები (სპილენძის ზოდების, წიდებისა და ნაღვენთების სახით ცაგერის ისტორიული მუზეუმიდან [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012]).

დეხვირის ბრინჯაოს ხარი კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის შესანიშნავი ნაკეთობაა. მსგავსი ქანდაკებები ცნობილია კოლხური კულტურის ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებიდან (ურეკის, ერგეტის, თლიას სამაროვნები, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი) და რამდენიმე ცალია აღმოჩენილი; ფიქრობენ, და ჩვენც ვიზიარებთ, რომ ისინი მსგავსია ბერძნული გვიანგეომეტრიული ზოომორფული ქანდაკებებისა [ლორთქიფანიძე ო. 2002: 188, სურ. 159] და ძვ.წ. VIII-VII სს-ში კოლხეთის მატერიალურ კულტურაში სრულიად აშკარა ინოვაციებთან არის დაკავშირებული 1. ახალი ფორმები და შემკულობის მთელი რიგი ახალი მოტივები კერამიკაში - ე.წ. კანთაროსისებრი და კალათოსისებრი ჭურჭლები, რომელთაც პირდაპირი ანალოგები ეძებნებათ ბერძნულ კერამიკაში, 2. ბერძნუ-

[5] როგორც ნასახლარის, ასევე ცხეთის სამარხეული კომპლექსების მასალა, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ინახება [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 33-39].

[6] დაწვრილებით იხ.: სახაროვა ლ. 1976: 96-104; სულავა: ნ. 2001: 186-187; სულავა ნ. 2001: 375. სულავა ნ. 2003: 31-37. სულავა ნ. 2008: 299-305.

[7] იგი აღმოჩენილია 2012 წელს შემთხვევით (ადგილობრივი მცხოვრების მურად სილაგაძის მიერ და მანვე მიიტანა მუზეუმში), დეხვირის გორისკენ (ადგილობრივები ახვლედიანების გორასაც უწოდებენ) მიმავალ გზაზე, რომელიც გაზფხულის წვიმებისას მძლავრი ნიაღვრებით ირეცხება. ამ ეტაპზე ძნელი დასადგენია ის სამარხეული ნივთია თუ ბრინჯაოს განძისეული.

[8] რომელთაგან ოთხი ერმიტაჟშია დაცული [სახაროვა ლ. 1976].

ლი ე.წ. სუბმიკენური ტიპის ფიბულები და იმპორტული ბერძნული ფიბულები, 3. კოლხურ ბრინჯაოს ნაწარმზე გეომეტრიული ბერძნული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სვასტიკისა და მეანდრის გამოსახულებები, 4. ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებებისათვის დამახასიათებელი გეომეტრიზაცია, 5. ბრინჯაოს ანთროპომორფული პლასტიკა) [ლორთქიფანიძე ო. 2002: 187-188. სულავა ნ. 1998. სულავა ნ. 1999; სულავა ნ. 2001. Сулава Н. О. 1999; სულავა ნ. 2002; სულავა ნ. 2011: 155-166].

კოლხური ბრინჯაოს ნაწარმიდან ცნობილი ხარის არც ერთი ქანდაკება არ არის ერთმანეთის სრული ანალოგი. „დეხვირის ბრინჯაოს ხარიც" განსხვავებულია და ამით უნიკალურიც.

დეხვირის ბრინჯაოს ხარის ფიგურა მსხვილ და ღონირ ფეხებზე დგას, კუდი მოკლე აქვს, კისერი და დრუნჩი - მსხვილი, თვალები – მრგვალი და რელიეფური, რქები - მსხვილი და ზევით აშვერილი. სიმაღლეა 7 სმ, სიგრძე – 7 სმ. იგი კარგ მდგომარეობაშია, დაფარულია მწვანე პატინით.

დეხვირის ბრინჯაოს ხარსისაგან განსხვავებულად არის მოდელირებული ხარის ფიგურები და არ ჰგავს: ყობანიდან [Уварова П. 1900: 67, табл. XXV/8], თლიას სამაროვნიდან [Техов Б. 1977: სურ. 115/14], მცხეთიდან [ჩუბინიშვილი ტ. 1957: 95, ტაბ. XVIII/3834], სომხეთიდან [Пиотповский П. 1949: 97], აფხაზეთიდან (აბგარხუკი) [Иващенко М. 1941: 46, სურ. 47, სურ. 23a], დღნორისადან და მაღლაკიდან [ლანჩვა 2007: 39, სურ. 23, 24][9], რაჭიდან ცნობილ ხარის ფიგურებს[10].

დეხვირის ხარის ანალოგიურად მოკლე კუდები აქვთ ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილ ხარის ფიგურებს[11].

ჩვენის აზრით, დეხვირის ხარის ფიგურასთან უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ კოლხეთის სამაროვნების მცირე პლასტიკის ნიმუშები, ამ შემთხვევაში ხარის ფიგურები, (იხ.: კრებითი სურათი – ლორთქიფანიძე ო. 2002: სურ. 159) და ძვ.წ. VIII-VII სს ორმხრივპროტომიანი ცხოველის (ხბოს ?) ტერაკოტული ფიგურები ვანიდან [Толордава В.А. 1990: 216; Lordkipanidze O. 1995: 41-52. ლორთქიფანიძე ო. 2002: 188, სურ. 161].

ლეჩხუმში ეს უკანასკნელი აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ რეგიონის (მთიანი კოლხეთის) მნიშვნელოვან როლს კოლხური ბრინჯაოს კულტურაში.

დეხვირის ბრინჯაოს ხარის ქანდაკება „ცაგერას განძის" საქვეყნოდ ცნობილ ბრინჯაოს მხედრის ქანდაკებასთან [ცაგერის ისტორიული მუზეუმი. 2012] ერთად არა მარტო ცაგერის ისტორიული მუზეუმისათვის არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი, არამედ, ზოგადად საქართველოს არქეოლოგიისათვისაც.

---

[9] დღნორისას ხარი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში 1926 წელს შემოსულა დღნორისას ეკლესიის გაუქმების შემდეგ.

[10] რაჭაში, სოფ. ღარში აღმოჩენილი ხარის ფიგურები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, არქეოლოგიის დეპარტამენტის ძირითად ფონდში ინახება.

[11] მასალა ჯერ გამოქვეყნებული არ არის. სამაროვნის შესახებ იხ.: პაპუაშვილი რ. 2010: 32-43.

Nino Sulava

A New Archaeological Discovery from Lechkhumi - the Bronze Bull

Summary

An important archaeological artifact was added to Georgian archaeology in the form of a small sized bronze sculpture of a bull discovered accidentally in village Dekhviri (Lechkhumi), and accordingly the Tsageri History Museum became an owner of a new interesting exhibit.

The new exhibit is one of the greatest samples of zoomorphic small size plastic, the Late Bronze - Early Iron Age Colchis Bronze Culture. However, the Colchis Bronze culture, which covered the west part of Georgia, with its local hearth and infiltration zones, emerged on a powerful metallurgic base. Lechkhumi (mountainous Colchis) is considered to be one of the most importantregions belonging to this particular metallurgical base, the proof of which until this day were the products - 11 treasure items discovered in Lechkhumi (outof which four are preserved in the Hermitage Museum in St. Peterburg) and separate bronze or iron artifacts of different functions (among them is this new discovdRnorisas ery - the bronze bull), samples of metal plates and remains of metal production - copper plates, slugs and smelting from the Tsageri History Museum.

The Dekhviri bronze bull is an amazing work of the Colchis metallurgy. Sculptures similar to the bronze bull are known from the 8th-7th B.C.In Colchis cultural monuments (Ureki, Ergeta, Tsiashi,Tlia burial grounds, Abkhazia, Racha, Kvemo Lechkhumi), several of such have been discovered. None of them represent full analogies of each-other, the Dekhviri bronze bull is also distinctive and thus unique.

The Dekhviri bronze bull sculpture, together with the world-famous bronze horseman of the "Tsageri Treasures" is not only one more important acquisition for the Tsageri Museum, but for the Georgian archaeology as well.

ლიტერატურა

ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ. 1983: *ლეჩხუმი.* თბილისი.

დადიანი ნ. 1962: *ქართველთ ცხოვრება.* თბილისი.

ვახუშტი 1941: *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით). თბილისი.

კოპალიანი დ. ახალი აღმოჩენა სოფელ დეხვირში. *„ლეჩხუმი",* 2012: № 8(15). ცაგერი. გვ. 1-4.

ლეთოდიანი დ. 2003: *ძიებანი.* თბილისი.

ლორთქიფანიძე ო. 2002: *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.

პაპუაშვილი რ. 2010: *კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის,* არქეოლოგიური ჟურნალი, V. თბილისი. გვ. 32-43.

სახაროვა ლ. 1976: *ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან.* თბილისი.

სახაროვა ლ. 1976: ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, *მაცნე (ისტორიის სერია)*, № 3. გვ. 96-104. თბილისი.

სულავა ნ. 1996: *მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი).* თბილისი.

სულავა ნ. 1998: საქართველოში აღმოჩენილი ნავისებური ფიბულა, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის V სამეცნიერო სესია, „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო".* გვ. 11-12. თბილისი.

სულავა ნ. 1999: საქართველოში აღმოჩენილი ნავისებური ფიბულა, *ძიებანი, დამატებანი I.* გვ. 31. თბილისი.

სულავა ნ. 2001: კიდევ ერთი ნავისებური ფიბულა აფხაზეთის სანაპიროდან, *ძიებანი, დამატ-ებანი IV.* გვ. 74-76. თბილისი.

სულავა ნ. 2011: *კავკასიის ფიბულები.* თბილისი.

სულავა ნ., კოპალიანი ნ. ცაგერის ისტორიული მუზეუმის ახალი ექსპონატი. *„ლეჩხუმი",* 2012: № 7(14). ცაგერი. გვ. 1.

სულავა ნ. 2003: ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ, *ძიებანი,* № 10. გვ. 31-37, თბილისი.
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1978: *ტ. III.* თბილისი.
ჩუბინიშვილი ტ. 1957: *მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.
ცაგერის ისტორიული მუზეუმი. 2012: *ალბომი.* თბილისი.
Иващенко М. М. 1941: *Материалы к изучению культуры Колхов,* მსკი, t. II . Тбилиси.
Пиотповский Б.Б. 1949: *Археология Закавказья*. Ленинград.
Сулава Н. О. 1999: Фибула *a navicella*, найденная на Черноморском побережье Грузии, *Босфорский феномен: Греческая культура на периферии античного мира*. გვ. 280-281.Санкт-Петербург.
Техов Б. В. 1977: *Центральный Кавказ в XVI-X вв. До н.э*. Москва.
Толордава В.А. 1990: *Культовый комплекс VIII- VII вв. до н.э.* Причерноморье в *VII-VI вв. до н.э.* (Материалы *V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани. 1987*). გვ. 216-175.Тбилиси.
Уварова П. С. 1900: *Могильники Северного Кавказа*. МАК, т. VIII, Санкт-Петербург.
Lordkipanidze O. 1995. *Über zwei Funde aus Vani*. Archäologischer Anzeiger, N 1. 41-52. Berlin.
Sulava N. 2001: Letschchumi - eine bedeutendste frühe Metallurgie - Region in der Kolchis. *GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies“,* გვ. 186-187, Bochum, Heraus.: GambaSchidze I., Hauptmann A., Slota R., Yalcin Ű.
Sulava N. 2002 : The fibula a navicella found on the Black Sea coast of Georgia. *`Pont-Euxin et commerce, - Actes du IXe Symposium de Vani*, Paris.
Sulava N. 2001: Gussform. *GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlie‘‘,* გვ. 375, Bochum, Heraus.: GambaSchidze I., Hauptmann A., Slota R., Yalcin Ű.
Sulava N. 2008: On a small mould discovered in mountainous Colchis. *Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM),* Ed.: U. Jalcin , გვ. 299-305,. Ankara.

სურ. 1 – ხარი. ბრინჯაო.
Fig. 1 – The Bull. Bronze.

ქეთევან რამიშვილი

კოლხური ცული ცხეთიდან

ლეჩხუმი (ცაგერის მუნიციპალიტეტი) ისტორიული მთიანი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, და როგორც ბრინჯაოს ხანის მძლავრი მეტალურგიული კერა, ერთიანი კოლხური კულტურის სფეროშია განსახილველი. ლეჩხუმში მოპოვებული კოლხური კულტურის არტეფაქტების წარმოჩენასა და კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად კოლხური ბრინჯაოსა და მასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა ცაგერის ვ. მახარობლიძის სახელობის ისტორიულ მუზეუმში დაცული ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მეტად მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი კოლექცია, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შემთხვევით აღმოჩენილი ცალკეული ექსპონატებითა და განძებით, ხშირია მეტალურგიასთან დაკავშირებული რკინისა და ბრინჯაოს ნიმუშების აღმოჩენის ფაქტებიც.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლექციაში ფართოდ არის წარმოდგენილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი როგორც სამეურნეო, ასევე საბრძოლო თუ სარიტუალო დანიშნულების ნივთები, ასევე სამკაული. მათ შორის აღსანიშნავია: თოხები, ნამგლისპირები, შუბისპირები, სატეხები, კოლხური და ბრტყელი ცულები, ლაგმები, ბალთები, სამაჯურები, საკინძები, რგოლები, მომცრო ქანდაკებები, რკინის მადნისა და ბრინჯაოს ზოდები, რაც სრულად ასახავს მეტალურგიული წარმოების პროცესს – ლითონის მადნის ნიმუშებიდან მზა ნაწარმამდე და ლეჩხუმს კიდევ ერთხელ კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში ათავსებს.

ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლექციაში დაცულ ექსპონატებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხეთაში (ლაჯანურის ხეობა) მოპოვებული გრაფიკული დეკორით შემკული კოლხური ცული, რომელიც შემთხვევით ყოფილა აღმოჩენილი და შემდეგ ა. აბაშიძეს გადაუცია ცაგერის მუზეუმისათვის 1950 წელს [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 30].

კოლხური ცული გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნივთია, რომელსაც დაწახნაგებული ტანი, ბრტყელი პირი და წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი გააჩნია. კოლხური ცული წარმოადგენდა უნივერსალურ იარაღს, რომელთაგან სადა, შეუმკობელ ცულებს იყენებდნენ როგორც სამეურნეო ცხოვრებაში, ისე საომრად, ხოლო გრაფიკული დეკორით შემკულებს კი საკულტო დანიშნულება ჰქონდათ და რიტუალური პროცესიების დროს გამოიყენებოდნენ [ლორთქიფანიძე 2001: 178–194]. კოლხური ცულების გრაფიკულ დეკორში კარგად არის ასახული იმდროინდელი საზოგადოების უძველესი რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები.

კოლხური ცულების შემკულობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი გრაფიკულად შესრულებული ცხოველებისა და გეომეტრიულ სახეთა ერთობლივი ჩვენებაა. ცხოველთა სამყაროდან გამოისახება ირემი, ძაღლი, ცხენი, გველი, ბაყაყი, ფრინველი, „ფანტასტიკური" ცხოველი. ამ გამოსახულებების უმეტესობას ფონს უქმნის ასევე გრაფიკულად შესრულებული გეომეტრიული ორნამენტი (სვასტიკა, მეანდრი, ჯვარი, ვარსკვლავი და სხვ.), რაც კომპოზიციას მეტად დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს.

კოლხური ცულის ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას მრავალი მკვლევარი შეეხო (რ. ვირხოვი, ე. შანტრი, პ. უვაროვა, ფ. ჰანჩარი, ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი, დ. ქორიძე, ბ. ტეხოვი, ლ. სახაროვა). მათ შორის ყველაზე სრულყოფილად მივიჩნიეთ ლ. სახაროვას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ცხეთაში აღმოჩენილი ცული IV ტიპისაა [სახაროვა 1998: 34–42].

ცხეთის ცული დამზადებულია ბრინჯაოსაგან. ტანში ორგზის მოხრილია, ყუა დაწახნაგებული, სატარე ხვრელი ოვალური, ხოლო პირი ასიმეტრიული აქვს (სურ. 1).

ცულის პირი და ტანის ნაწილი ორივე მხრიდან გრავირებულია გრაფიკულად შესრულებული „ფანტასტიკური" ცხოველის საკმაოდ სტილიზებული გამოსახულებებით, რომლებიც მხოლოდ ცულის ლოყაზე ვერ თავსდებიან და წიბურებსაც მოიცავენ. ორივე გამოსახულება ერთმანეთის მსგავსია, წარმოდგენილია პროფილში, თავქვე - ცულის წელიდან პირისკენ მიმართული. უკან თავმკერდ მოდრეკილი, ფართოდ პირდაღებული ცხოველი საკმაოდ ექსპრესიული ხასიათისაა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს მოზრდილი წვეტებით დაბოლოებული ყბები, დაცქვეტილი, წამახვილებული ყურები და მოგრძო, ბოლოში აგრეხილი კუდი. მორკალული თავმკერდი წაგრძელებული ტორსის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და ტანთან შედარებით საკმაოდ უტრირებულია, ხოლო ფეხები ტორსთან შედარებით - დისპროპორციულად მოკლე. წინა ერთი ფეხი ზევით აქვს აღმართული, მეორე - ბრჭყალიანი თათით დაბოლოებული - სწორად უდგას. უკანა კიდურებიდან ერთი წინა ფეხებისკენ არის მიმართული, თითქოს ჩაკეცილია და ჩლიქისებრი თათით ბოლოვდება, ხოლო მეორე - კუდისკენ აქვს მოხრილი. ცხოველის სხეული შემკულია წიწვოვანი ორნამენტით შედგენილი ვერტიკალური ზოლებით, წელი, მკერდი, სახე და კიდურები - წერტილებისაგან შედგენილი ჰორიზონტული ხაზებით. შვეული და განივი ორნამენტული ელემენტის რიტმული მონაცვლეობით კომპოზიციის დეკორატიულობა მატულობს და ცხოველის გამოსახულებას განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს. წიწვოვანი ორნამენტი მოცემულია აგრეთვე ცულის წელზე და სატარე ხვრელის ქვემოთ [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 30].

მიუხედავად ძლიერი სტილიზაციისა, სხეულის ცალკეული ნაკვთების დეფორმაციისა და დარღვეული პროპორციებისა, ცხოველის გამოსახულება საკმაოდ დინამიკური და ექსპრესიული ხასიათისაა. ამასთან, კომპოზიცია სათანადოდ არის შეხამებული ცულის ფორმასთან. ცხოველის უკან მიტრიალებული, მორკალული თავ-მკერდი და უკანა ფეხი, ჩაზნექილი ტორსი თუ ზევით აღმართული წინა კიდური სათანადოდ მიუყვება და იმეორებს ცულის პირის მოხაზულობას და მომგებიანად ერწყმის საკმაოდ მომცრო სასურათე არეს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კომპოზიციის გამომსახველობას.

კოლხური ბრინჯაოს შემკულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს (ირემთან, ცხენთან, გველთან და ფრინველთან ერთად) „ფანტასტიკური" ცხოველის გამოსახულება წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული „ფანტასტიკური" ცხოველის რაობის შესახებ. პ. უვაროვა კოლხურ ცულებზე გამოსახულ ცხოველებში დრაკონს ან „ფანტასტიკურ" ცხოველს, მგელს ან ვეფხვს ხედავს [Уварова 1900: 67]; ი. მეშჩანინოვის აზრით, ყობანურ ცულებზე გრავირებული „ფანტასტიკური" ცხოველები მგელ-ძაღლებია, რომლებიც იბერთა ტოტემს განასახიერებენ [Мещанинов 1925: 250]; შ. ამირანაშვილის მოსაზრებით კი, ეს ცხოველი მგელი ან ძაღლია და კოლხური ტომების ტოტემს წარმოადგენს [Амиранашвили 1950: 42-43]; ა. მილერი მიიჩნევდა, რომ ცულებზე გამოსახული "ფანტასტიკური" ცხოველი უეჭველად ძაღლი, მგელ-ძაღლი ან გარეული ძაღლია [Миллер 1922: 316-318]; ელ. ვირსალაძე ამ ცხოველებს ქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილ მითიურ ძაღლს – ყურშას უკავშირებს [ვირსალაძე 1964: 72, 97]; ვ. ბარდაველიძე კოლხურ ცულებზე გამოსახულ „ფანტასტიკურ" ცხოველთა უმრავლესობას ძაღლებად მიიჩნევს [Бардавелидзе 1957: 29-30, 47-53]; ლ. ფანცხავა, ასევე, ამგვარ გამოსახულებებს ძაღლებს უწოდებს [ფანცხავა 1988: 27, 48]. როგორც ვხედავთ, მკვლევართა უმრავლესობა კოლხურ ცულებზე გრავირებულ „ფანტასტიკურ" ცხოველს ძაღლად მიიჩნევს. ჩვენც ვიზიარებთ მკვლევართა უმრავლესობის მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად, როცა გამოსახულება ნატურალისტურად გადმოიცემოდა, კოლხურ ცულებზე გრავირებული ცხოველი მართლაც ძაღლი იყო, თუმცა მოგვიანებით, ღვთაებათა ცენტრალიზაციის პირობებში, რაც სამივე სკნელის არსებათა გაერთიანებულად ჩვენებას და თითოეულის დამახასიათებელ ნიშანთა ერთ ფიგურაში თავმოყრას გულისხმობდა, იწვევდა გამოსახულების ჰიბრიდულ თუ „ფანტასტიკურ" ცხოველად გარდაქმნას, ხოლო ძლიერი სტილიზაცია და ფორმის

მაქსიმალური განზოგადება ამ იდეის განხორციელების ყველაზე მოხერხებული და მისაღები გამომსახველობითი ხერხი აღმოჩნდა. კონკრეტული ფორმისა და შინაარსის გამოსახულებები გადაიქცნენ ჰიბრიდულ, სინკრეტულ ფიგურებად, რის შედეგადაც ოდესღაც ძაღლის გამოსახულებამ „ფანტასტიკური" ცხოველის სახე მიიღო [რამიშვილი 2010: 81-85].

ცხეთის ცულის გამოსახულება უკვე ძლიერ სტილიზებულია, მაგრამ ინარჩუნებს ფიგურატულობას. ტორსით, კუდით და დაცქვეტილი ყურებით ის ჯერ კიდევ ძაღლს ემსგავსება, თუმცა შემსხვილებული, წვეტებიანი დრუნჩით, ფართოდ დაღებული სამკუთხა მოყვანილობის ხახითა და ბრჭყალჩლიქებიანი კიდურებით ის უკვე „ფანტასტიკური" ცხოველია.

„ფანტასტიკური" ცხოველის ამგვარად მოდელირებული გამოსახულებები ჩვენს მიერ (ქ. რამიშვილი, ნ. სულავა) შემუშავებული ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით გავაერთიანეთ II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში [რამიშვილი 2010: 81-85] და დავათარიღეთ ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით [სულავა, რამიშვილი 2011: 131-144].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მრავალი ხალხის ტრადიციაში და მათ შორის ქართულშიც, ძაღლი და მგელი ერთ სახეში ერთიანდება [აბაკელია 1997: 56-57]. ადამიანის სამსახურში მყოფ ცხოველებს შორის ძაღლი ერთ-ერთი უძველესთაგანია. სავარაუდოდ, ადამიანმა ეს ცხოველი დაიახლოვა საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ მონადირეობა და შემდგომ მესაქონლეობაც უმთავრეს საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყო ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის სახის უფრო მყარად დამკვიდრებას. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, ნადირობისა და ცხოველთა გამრავლების ღვთაების ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს ძაღლი წარმოადგენდა [ვირსალაძე 1964]. სხვა მოსაზრებით, ყოველ ასტრალურ ღვთაებას თავისი დამხმარე, ნება-სურვილის აღმსრულებელი არსება ჰყავდა. მაგალითად, მორიგე ღმერთისა და მზექალის დამხმარე მგელი იყო, სხვა ღვთაებათა დამხმარეებად გველი და ძაღლი გვევლინება [Бардавелидзе 1957]. ქართულ მითოლოგიაში, ზეპირსიტყვიერების მასალებსა და სიმღერებში მონადირისა და მწყემსის თანმდევი ძაღლი ორბის ან ზღაპრული ფასკუნჯის შვილად არის მიჩნეული [აბაკელია 1997: 60]. ქართული ეთნოლოგიური მასალების მიხედვით, მონადირის თანმხლები ძაღლის ყველაზე გავრცელებული სახელია ყურშა. ზოგი თქმულების თანახმად, ფრთოსან ძაღლს საცრისოდენა თვალები, ნიჩბისოდენა კბილები, კალოსოდენა თათები, უზარმაზარი ნახტომი და ოქროს ყურ-ტუჩი აქვს. მისი ყეფა ზეცის ქუხილის შესადარია. ერთი სიტყვით, იგი შემზარავი, არარეალური, ღვთაებრივი „ფანტასტიკური" ძაღლია, რომელზეც მონადირის წარმატება არის დამოკიდებული [ვირსალაძე 1964].

ყურშას მრისხანე სახე, რომელიც ქართული ტომების მითოლოგიასა და ყოფაში შემუშავდა და დაიხვეწა, მკვლევართა ვარაუდით, აღბეჭდილია სახვით ხელოვნებაშიც, განსაკუთრებით მკაფიოდ კოლხურ ცულებზე, ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე და თანადროულ ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთზე [ვირსალაძე 1964; ჯაფარიძე 1950; ხიდაშელი 1982; ურუშაძე 1988; ფანცხავა 1988; ქორიძე 1965 და სხვა]. ვფიქრობთ, რომ გამონაკლისს არც ცხეთის ცული უნდა წარმოადგენდეს, მასზე გრავირებული „ფანტასტიკური" ძაღლი შესაძლოა ნადირობისა და ცხოველთა გამრავლების ღვთაების ერთ-ერთ ინკარნაციას ან სულაც ქართულ მითოლოგიაში დამკვიდრებულ ღვთაებრივ ყურშას განასახიერებდეს. მითუმეტეს, ეთნოლოგიური მასალების მიხედვით ცნობილია, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ივანესა და ბეთქილის დღეობებზე გამართული ფერხულის დროს ყურშასადმი მიძღვნილი ჰიმნი აქტიურად სრულდებოდა [აბაკელია 1997: 72-75].

აღსანიშნავია, რომ გრავირებული კოლხური ცულები ბრინჯაოს ხანის სხვა ნივთებთან ერთად პირველად 1869 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ყობანში შემთხვევით იქნა მიკვლეული და აღმოჩენის ადგილის მიხედვით ყობანური ცული ეწოდა, ხოლო შესაბამის კულტურას – ყობანური

კულტურა. შემდგომ წლებში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა კოლხური ცულის ყველა ფორმა (მათ შორის ყობანში დადასტურებული ცულის ვარიანტიც), რომლებიც რაოდენობრივად მკვეთრად მეტი იყო ყობანში აღმოჩენილ ცალებზე. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, ლითონწარმოების უძველესი ტრადიციის არსებობის პირობებში, კოლხური ცულებისა და კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბების უმეტესობა საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი. მაგალითად: თაგილონი, თელოვანი, ცხირო-გალი, ყულევი, ერგეტა, ნიგვზიანი, ჭალადიდი, ლეჩხუმი, ჭუბერი, მიტარბა და სხვა [სახაროვა, სულავა 2012: 88-96]. ზემოთქმულის საფუძველზე გასულ საუკუნეში ცულს კოლხური ეწოდა და დადგინდა, რომ კოლხური ცულის სამშობლო საქართველოა [ჯაფარიძე 1950. ქორიძე 1965. მიქელაძე 1974. სახაროვა 2003. Иващенко 1941. Куфтин 1944]. ვფიქრობთ, რომ ცხეთის ცულიც ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმში სოფელ ცხეთასთან აღმოჩენილია ქვის ყალიბის საგდული კოლხური მართკუთხა აბზინდების საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტების ჩამოსახმელად, რაც იქ ადგილობრივი სახელოსნოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს [სულავა 2003: 31-34].

ცხეთის ცულზე წარმოდგენილი „ფანტასტიკური" ცხოველის გამოსახულება როგორც კომპოზიციური აგებულებით, ისე შესრულების მანერით ეხმაურება საქართველოს სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილ ცულებზე წარმოდგენილი ცხოველების მსგავს გამოსახულებებს, განსაკუთრებით კი თლიას № 271 სამარხისა [Техов 1981: 17-18, ტაბ. 77, 1] და ოჯოლას განძის [ქორიძე 1965: 38, სურ. 31] ტანში ორგზის მოხრილ ცულებზე მოცემულ ცხოველებს და შიდა ქართლში, იმერეთსა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილ ეგზემპლიარებთან ერთად მყარად იმკვიდრებს ადგილს კოლხური მხატვრული ხელოსნობის საუკეთესო ძეგლთა შორის.

ცხეთის ცული როგორც ფორმით, ისე დეკორით და ღრმა შინაარსობრივი დატვირთვით ძალზე საინტერესო, მნიშვნელოვანი, დახვეწილი და მაღალმხატვრული ნამუშევარია. ის მშვენებაა ცაგერის ისტორიული მუზეუმის განახლებული ექპოზიციისა.

Ketevan Ramishvili

A Colchian Axe from Tskheta

Summary

Lechkhumi is one of the most important regions of historical mountainous Colchis. As a heart of bronze metallurgy, it should be considered in one piece together with the Colchian culture. The V. Makharoblidze Tsageri History Museum, which houses highly interesting collections of the Bronze and Early Iron Ages, is of great importance for exhibiting and study artifacts of the Colchian culture, discovered in Lechkhumi. The collection of the museum contains a wide range of artifacts, typical of Colchian culture (tools, weapons, ritual items, personal ornaments, bronze ingots), fully reflecting the process of metallurgical production – from producing up to processing metal. Thanks to its rich materials, Lechkhumi is again located in the area of the Colchian Bronze Culture.

Among the exhibits dated to the Bronze and Early Iron period, of special interest is a Colchian bronze axe with the graphic decoration. It was discovered accidentally in Tskheta (river Lajanuri gorge). The axe has double-bent body, facetted butt, oval handle hole, and asymmetric blade. The blade and

both sides of the body are decorated with engraved representations of fantastic animal. The figures are rather stylized. Despite the strong stylization, the animal image is sufficiently dynamic and of expressive character. By the torso, tail and pricked up ears it looks like a dog, although thanks to its large and pointy snout, widely open triangular face, and limbs with claws and hooves, it represents a "fantastic" animal. According to the typological and chronological classification worked out by K. Ramishvili and N. Sulava, "fantastic" animal images modeled in this way are included in the first sub-group of the 2nd group and dated by the end of the 8th century and beginning of the 7th century BC.

The engraved "fantastic" dog on Tskheta axe seems to represent the incarnation of the god of hunting and animal procreation. Or it may also personify the divine "Qursha" well-known in Georgian mythology. The researchers believe that, the angry image of "Qursha", created and refined in mythology and everyday life of Georgian tribes, was distinctly imprinted on Colchian axes, engraved bronze belts, and various contemporary bronze items.

The axe of Tskheta is an important, exquisite, highly artistic and genuinely interesting item due to its shape, décor and the deep meaning. The artifact is the gem of the new exposition at the Tsageri History Museum.

ლიტერატურა:

აბაკელია ნ. 1997: სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.

ვირსალაძე ე. 1964: ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2001: განძები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის, დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა) – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატება VI. თბილისი. გვ. 178–194.

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი

რამიშვილი ქ. 2010: კოლხურ ცულებზე გრავირებული „ფანტასტიკური" ცხოველის გამოსახულებათა ტიპოლოგიისათვის – გ. გამყრელიძე (რედ.), იბერია-კოლხეთი, № 6, თბილისი. გვ. 81-85.

სახაროვა ლ. 1998: კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ძიებანი, № 1, თბილისი. გვ. 34–42.

სახაროვა ლ. 2003: კიდევ ერთხელ კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ძიებანი, № 10. თბილისი. გვ. 35–30.

სახაროვა ლ., სულავა ნ. 2012: საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების ისტორიისათვის – ონლაინ არქეოლოგია № 2. თბილისი. გვ. 88-96.

სულავა ნ. 2003: ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ - ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ძიებანი, № 10. თბილისი. გვ. 31–34.

სულავა ნ., რამიშვილი ქ. 2011: კოლხურ-ყობანურ ნაწარმზე „ფანტასტიკური"ცხოველის გამოსახულების ქრონოლოგიისათვის, იბერია-კოლხეთი, № 7. თბილისი. გვ. 131-144.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012, თბილისი.

ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1950: კოლხური ცული – ა. აფაქიძე (რედ), სსმმ, XVI- , თბილისი. გვ. 35-89.

ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.

Амиранашвили Ш. Я. 1950: История грузинского искусства, I. Москва.

Бардавелидзе В. В. 1957: Древнеишие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси.
Иващенко М. М. 1941: Материалы к изучению культуры Колхов – С. Джанашиа (ред.), - მსჯი, вып. II, 1-66. Тбилиси
Куфтин Б А 1944: К вопросу о древнеишых корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ნსმ, XII- B, Tbilisi.
Мещанинов И.И. 1925: Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа. – О.Ольденбург (ред.), ЗКВАМР, I. Ленинград. сс. 241-256.
Миллер А.А. 1922: Изображение собаки в древностях Кавказа – И. Орбели (ред.), ИРАИМК, т. II, Петербург. сс. 287-324.
Техов Б. В. 1981: Тлииский могильник, II. Тбилиси
Уварова П.С. 1900: Могильники Северного Кавквза - МАК, вып. VIII. Москва.
Урушадзе Н. 1988: Древнегрузинское пластическое искусство. Тбилиси.

სურ. 1 – გრავირებული კოლხური ცული ცხეთიდან

Fig. 1 – The Museum Passport of the Tskheta Axe

† ლამარა სახაროვა, ნინო სულავა

ცხეთის ნასახლარი
(ლეჩხუმის 1970-71 წწ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები)

1970-71 წლებში[1] სადაზვერვო-არქეოლოგიურ სამუშაოებს ლეჩხუმში[2] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა[3].

ძირითადი სამუშაოები ექსპედიციამ სოფ. ცხეთის მიდამოებში გაშალა. სოფ. ცხეთა ცაგერის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, დაახლოებით 15 კმ-ზე. სოფლის უმაღლესი ადგილი ყვავიქედაა, რომელიც ქედისებურად გაბმული რამდენიმე ბორცვისაგან შედგება. ყვავიქედას ფერდობზე ჯერ კიდევ 1962 წელს დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ნაშთები. სწორედ ამიტომ, ექსპედიციამ ერთ-ერთი ბორცვის (რომელიც უშუალოდ სოფელს ემიჯნება) ფერდობზე რამოდენიმე საცდელი თხრილი გაჭრა. ფერდობის ძირში გაჭრილმა თხრილმა (№ 2) უამრავი კერამიკული ნატეხი მოგვცა, მაგრამ ეს არ იყო in situ ფენის მასალა, რადგან თხრილი დამეწყრილ ზონაში მოხვდა. ცხადი გახდა, რომ საქმე გვქონდა მეწყრისა და მიწის სამუშაოებისაგან ნაწილობრივ დაზიანებულ, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ ნასახლართან.

1971 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ისევ დაზვერვებითა და მცირე გათხრებით შემოიფარგლა. აღნიშნულ წელს ექსპედიციის მიზანი იყო ცხეთის უძველესი ნამოსახლარის ერთი პატარა in situ უბნის გამოვლენა-შესწავლა და სამაროვნის პოვნა, სადაც ბორცვის მცხოვრებნი იკრძალებოდნენ. მიუხედავად მრავალი საძიებო შურფებისა, რომლებიც ცხეთის მიდამოებში გაიჭრა, ექსპედიციამ სამაროვანს ჯერჯერობით ვერ მიაკვლია; მაგრამ ნასახლარის ერთი პატარა სათავსი (თხრილი № 6) კი გამოავლინა და შეისწავლა.

თხრილი № 6 (სურ. 1), რომელშიც სათავსი გამოვლინდა, ყვავიქედას ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე გაიჭრა (2×5 მ). თხრილი დამხრობილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ზედა ფენა წარმოადგენდა ჰუმუსოვან, ალაგ-ალაგ კორდმოკიდებულ ფხვიერ ფენას (დაახლოებით 50-70 სმ), სადაც უამრავი კერამიკული ფრაგმენტი აღმოჩნდა. ეს ფენა ძლიერ იყო დაზიანებული ყოველწლიური მიწის სამუშაოების გამო (სიმინდის ნათესები) და ამიტომაც მასში ერთად გვხვდებოდა, როგორც წინარეანტიკური, ასევე ადრეანტიკური ხანის კერამიკული ფრაგმენტები. შემდეგ დაფენებას წარმოადგენდა მოშავო-მონაცრისფრო, ნაცრის ხშირი მინარევებიანი შრე, რომელიც ძირისაკენ სულ უფრო და უფრო წითლდებოდა (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში). აშკარა იყო, რომ საქმე გვქონდა დიდ ნახანძრალთან. სწორედ ამ მოწითალო-მოშავო შრეში გამოიკვეთა სათავსი.

შეიძლება ითქვას, რომ კულტურული ფენა აქ მიწის ზედაპირიდანვე იწყება და მისი სიმძლავრე ზოგჯერ 1,5 მეტრს აღემატება (თხრილის დასავლეთ ნაწილში). ეს მძლავრი კულტურული ფენა ნიადაგისეულ თიხნარზეა წარმოშობილი, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ჭაობნარევი თიხნარი მოსდევს, რაც იწვევს კიდევაც დამეწყვრას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათავსი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიკვეთა. მას თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია, რომლის პრეპარაციის შემდეგ, დაახლოებით 6 კვ. მეტრის ფართობი შემოიხაზა. მაგრამ

---

[1] ნაშრომი წარმოადგენს ლ. სახაროვას სტატიის (სახაროვა 1976: 96-104) გადამუშავებულ და შევსებულ ვარიანტს.

[2] კატალოგის (კოლ. № 8) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი ე. ყვირილიანი. ნასახლარის მასალა (გარდა ქვის ყალიბისა, რომელიც დაცულია სქართველოს ეროვნულ მუზეუმში) და საველე დავთრები დაცულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში.

[3] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ექსპედიციის ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. სახაროვა. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. რამიშვილი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. კობაიძე და ნ. სულავა.

როგორც ჩანს, სათავსი უფრო დიდი იყო, რადგან იატაკის დამრეცი მხარისაკენ, დაახლოებით 50-70 სმ დაშორებით კიდევ გამოჩნდა თიხატკეპნილი იატაკის ნაწილი, რომელიც დენუდაციის შედეგად უნდა იყოს მოწყვეტილი ძირითად ნაწილს. სათავსის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი ჩაჭრილ თიხაზე ყოფილა პირდაპირ მიბჯენილი. კედლები კი, როგორც ჩანს, მოწნული და შელესილი იყო, რაზედაც წნულის ანაბეჭდებიანი ბათქაშები, დანახშირებული წკნელები და ძელების ნაშთები მიგვანიშნებენ. სამშენებლო მასალად გამოყენებული ყოფილა თიხის ნატეხი „ქვებიც". სავარაუდოა, რომ გადახურვა ბანური იყო.

სათავსის სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ღუმელი, რომლის სიგრძე დაახლოებით 80 სმ, ხოლო სიგანე 70 სმ იყო. ღუმელი დეფორმირებულია, მაგრამ ჩანს, რომ ორი პარალელური განყოფილებისაგან შედგებოდა. გამყოფი და უკანა, ე.ი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი შელესილი იყო. იატაკად დაგებული ჰქონია თიხის ნატეხი „ფილები". ერთი განყოფილება საცეცხლე უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე – საცხობი. იგულისხმება, რომ ორივე გადახურული იყო. ღუმელის წინ ორი პატარა დანახშირებული წრე იყო, რომელიც დამწვარი მარცვლებისაგან შედგებოდა. სამწუხაროდ, მარცვლები ისე იყო დამწვარი, რომ მისი განსაზღვრა შეუძლებელი გახდა.

ყვავიქედას ფერდობზე გაჭრილ თხრილებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერამიკით, ლითონის, ძვლისა და ქვის ნივთებით[4].

კერამიკული ნაწარმი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ამავე დროს მრავალფეროვანიც. ძირითადად იგი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. მაგრამ ცალკეული ნატეხი (პირის, ყელ-ყურის, გვერდისა დას ხვ.) ხშირ შემთხვევაში საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ჭურჭლის ფორმა და ზომაც. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოპოვებული კერამიკა ე.წ. საოჯახო-სამზარეულო ჭურჭელს განეკუთვნება და მასში საშუალო და პატარა ზომის ჭურჭელი ჭარბობს.

[4] ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი). 2012: 32-34.

სახეობის მიხედვით გამოიყოფა: პითოსები (კოლხური ქვევრები), დერგები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, ჯამ-ფიალები, თეფშები, სასმისები და სხვ.

დიდი ჭურჭელი წარმოდგენილია რამდენიმე ათეული ნატეხით, რომელთა დამახასიათებელი ორნამენტია სიგრძივი რელიეფური ზოლები (კანელურები), რომლებიც ზოგ ნატეხზე კუთხეებს ქმნიან. ასეთი ჭურჭელი სქელკედლიანია (კეცის სისქე - 2 სმ), დაბალყელიანი და პირზე მომრგვალებული ქობა დაუყვება.

ამავე ჯგუფს ვაკუთვნებთ სხვადასხვა ზომის დერგის ფრაგმენტებს, რომელთა გამოწვის დამახასიათებელი ფერია მონაცრისფრო-შავი, იშვიათად, მოწითალო. ზოგი დერგი შემკული ყოფილა სხივისებურად განლაგებული რელიეფური ზოლებით, რომლებიც მხრებიდან იწყება. განივი რელიეფური ზოლებით უპირატესად შემკული ყოფილა ჭურჭლის ყელი და მხარი. ზოგ შემთხვევაში რელიეფური ზოლი გრეხილის იმიტაციას წარმოადგენს. ერთ-ერთი მოზრდილი დერგი (რომლის ზედა ნაწილის აღდგენა მოხერხდა) შავად არის გამომწვარი და ნაპრიალები; მას რელიეფური ზოლების გარდა ამკობს კოპები. დერგი ფართო და მაღალყელიანი ყოფილა. საფიქრებელია, რომ ასეთი მოზრდილი ქილისებური დერგი მარცვლეულის შესანახად იხმარებოდა (ტაბ. I/1).

ცალკე უნდა აღინიშნოს ათიოდე ფრაგმენტი საშუალო ზომის დერგებისა, რომელთაც დაბალი, თითქმის გადაჭრილი ყელი აქვთ. ერთ მათგანს ყელის მაგივრად ქობა აქვს. ასეთ ჭურჭელთა კორპუსი, როგორც ჩანს, მკვეთრად გამობერილი ყოფილა.

შედარებით ვიწრო და მაღალყელიანი დერგი ერთადერთი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ეს არის მაღალი, პირგადაშლილი და პირშემსხვილებული ყელი, რომელსაც ხუთი კონცენტრული ღარი ამკობს.

საშუალო ზომის ჭურჭელი უპირატესად წარმოდგენილია მეტ-ნაკლები ზომის ქოთნებისა და ქვაბ-ქოთნების უამრავი ფრაგმენტით, რომელთა უმრავლესობა გამომწვარია მონაცრისფრო-შავად და მოწითალო-ყავისფრად. ფორმა ძირითადად იმეორებს ბრინჯაოს ე.წ. სიტულების ფორმას. როგორც ჩანს, ქოთნების უმეტესობა, სადა იყო. დამახასიათებელი

ორნამენტია – ოდნავ რელიეფური ზოლები, რომლითაც ამკობდნენ ყელს და ნაწილობრივ მხარს. რაოდენობრივი უპირატესობა და სისადავე ქოთნებისა მის სამზარეულო დანიშნულებაზე მიგვანიშნებენ.

წარმოდგენილ მასალაში არის ქოთნისებური ჭურჭლის ათიოდე ფრაგმენტი, რომელიც შავად არის გამომწვარი და ამავე დროს ნაპრიალები. სხვა ქოთნებისაგან ისინი გამოირჩევიან შემკულობით. ყველა მათგანს ყელზე ზედდებული (რელიეფური) სარტყელი ამკობს, რომელიც სამი ვარიანტით არის წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში ზედდებული სარტყელი ტალღურ ხაზს ქმნის, მეორე შემთხვევაში იგი თანაბარ მანძილზე ოდნავი ნაკეცებით შედგენილ სარტყელს წარმოადგენს, ხოლო მესამე შემთხვევაში ზედდებული სარტყელი დაკეჭნილია ერთმანეთზე მიჯრილი პატარა რელიეფური სწორკუთხედებით. აღწერილი დეკორატიული სარტყლის ქვემოთ ჭურჭელთა მხარს (შეიძლება მთელ ჭურჭელსაც კი) ამკობდა ორი ან სამი რიგი ტეხილი ნაჭდევი ხაზების ზიგზაგური სარტყელი (ტაბ. II/1-3).

განსაკუთრებით საინტერესოა საშუალო ზომის ჭურჭელთა ერთი სახეობა. ესაა ბრტყელძირა, სწორგვერდიანი (გვერდის სიმაღლე - 3-6 სმ), 15-18 სმ დიამეტრის მქონე თეფშისებური ჭურჭელი. ზოგ შემთხვევაში ასეთ ჭურჭელს გვერდი ოდნავ გამოყვანილი აქვს, გვერდის და ძირის გადაკვეთის წრიული ხაზი გრეხილ ორნამენტს წარმოადგენს (ტაბ. II/7-8). აღნიშნული ჭურჭელი, ალბათ, თეფშის (და არა კეცის) დანიშნულებას ასრულებდა. იგი საგულდაგულოდ არის დამუშავებული და ცეცხლზე ხმარების კვალი არ ეტყობა.

ჯამებისათვის დამახასიათებელია მხრებთან მკვეთრი სფერული გამოზიდულობა და ძირისკენ დახრილობა. ზოგ შემთხვევაში პირი ზომიერად გადაშლილია, ზოგჯერ კი სწორი. დამახასიათებელი ორნამენტია – ირიბი ნაჭდევების სარტყელი და რელიეფური ზოლი მხართან; გამომწვარია უმეტესად შავად და ამავე დროს ნაპრიალები. სიმაღლე 7-9 სმ, ხოლო დიამეტრი – 16-20 სმ (ტაბ. II/4, 5).

ტოლჩები წარმოდგენილია სხვადასხვა ზომითა და შემკულობით. გაბატონებულ ფორმად ჩანს ე.წ. სიტულისებური; ძირი ზოგს ბრტყელი აქვს, ზოგს - გამოყვანილი. უმეტესობას ამკობს მხრიდან დაწყებული ოდნავ რელიეფური კანელურები, ან კიდევ წნეხვით დატანილი პრიალა ზოლებით გამოყვანილი ორნამენტი. ტოლჩების სახელურები უმეტესად ბრტყელგანივკვეთიანია და მათ თითქმის ყოველთვის ამკობთ ზოომორფული ყურები (ტაბ. II/6, 11-14).

ჯამ-ფიალების უმრავლესობა გამომწვარია შავად და ამავე დროს ნაპრიალები. არის როგორც სწორპირიანი, ასევე პირმოყრილი ჯამების ფრაგმენტები. უმეტესობა სადაა, ზოგ შემთხვევაში კი შემკულია კონცენტრული ღარებით ან მრგვალი კოპებით. ყველა ჯამ-ფიალა ძირბრტყელია. სიმაღლე – 2,5 – 6,9 სმ (ტაბ. III/2-8, 12-14).

სამარილეები ოთხიოდე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ეს არის შავად ან მოწითალოდ გამომწვარი დაბალი (სიმაღლე - 2,5 სმ), ოდნავ პირმოყრილი ჭურჭელი, რომლის პირის დიამეტრიც 8-9 სმ, ხოლო ძირისა - 4-5 სმ (ტაბ. III/1, 11).

თასები წრმოდგენილია პირისაკენ მკვეთრად გაშლილი და შესაბამისად ძირისაკენ მოვიწროებული ძაბრისებური კონტურის ჭურჭლებით. ყველაზე მცირე ზომის დაახლოებით 5 სმ სიმაღლისა უნდა ყოფილიყო (პირის დიამეტრი – 12 სმ), ხოლო დიდი – დაახლოებით 10,5 სმ სიმაღლის (პირის დიამეტრი – 18 სმ). თასები გამომწვარია შავად ან მოყავისფროდ. ერთ-ერთი მოყავისფროდ გამომწვარი თასის ფრაგმენტი თხელკედლიანია და დაფარულია შემდეგი ორნამენტით – სამ-სამი წვრილი ღარის კონცენტრული სარტყლები, რომელთა შორის მანძილი შვსებულია სავარცხლის კბილით დატანილი ირიბი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით (ტაბ. III/9, 10).

ლანგარი წარმოდგენილ მასალაში მხოლოდ ორია. ერთი მათგანი წარმოადგენს ოვალურძირიან, ოდნავ კიდეგამოყვანილ და ოდნავ პირგადაშლილ ლანგარს, რომელსაც სამი დაბალი, სწორი, მრგვალგანივკვეთიანი ფეხები აქვს. მისი სიმაღლეა 9 სმ, ხოლო პირის დიამეტრიც - 19 სმ-ია (ტაბ. VIII/15). მეორე ლანგარი გადაშლილი თეფშია, ძირბრტყელი (დიამეტრი - 10 სმ), თითქმის სწორი პირით. ორივე ლანგარი ღია აგურისფერია, რაც ხანძრის შედეგი უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ თავდაპირველი ფერი მოწითალო-ყავისფერი იყო (ტაბ. VIII/10).

ხუფები ოთხიოდე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი თანამედროვე ჩაიდნების ხუფსა ჰგავს. ხელის მოსაკიდი შვერილი გამჭოლია, ალბათ ჰაერისათვის. ხუფი კიდეგამოყვანილია და შემკულია ტეხილი ხაზების ნაჭდევებით (ტაბ. IV/4). მეორე ხუფი კარგად გამომწვარი, შავპრიალა თიხისა ყოფილა. ბრტყელი, კიდეგამოყვანილი, კიდეს ერთმანეთზე მიჯრილი ორი ურთიერთგადამკვეთი მოკლე ხაზების სარტყელი ჰქონია (ტაბ. IV/1). მესამე ხუფიც შავპრიალა, კარგად გამომწვარი თიხისა ყოფილა. იგი სადაა და ცენტრისკენ შემაღლებულია (ტაბ. IV/2). ხუფის ფრაგმენტი უნდა იყოს აგრეთვე ბრტყელი, საკმაოდ სქელი ცუდად გამომწვარი თიხის ნატეხი. ორი მხარე, რომლებიც სწორ კუთხეს ქმნიან, დასრულებულ კიდეებს წარმოადგენენ. კუთხეში მოზრდილი, ოდნავ წაგრძელებული კოპი აქვს, ალბათ ხელის მოსაკიდი (ტაბ. IV/3).

ცხეთის ნამოსახლარიდან გვაქვს თიხის ორი **მილი**, რომლებიც გადასაწური ჭურჭლებისა უნდა იყოს. მსგავსი მილებიანი ჭურჭელი დადასტურებულია ნაოხვმუს ქვედა ფენაში[5] (ტაბ. IV/10, 14).

სახელურები (ყურები) თიხის ჭურჭლისა წარმოდგენილია რამოდენიმე ვარიანტით. პირველი და გაბატონებული ვარიანტია ე.წ. ზოომორფულყურებიანი სახელურები. ყურების შთაბეჭდილებას ქმნის სახელურის ზედა მხარეს გამოყვანილი ბოლოებწაკვეთილი, შუაში ჩაზნექილი ცილინდრული ლილვი. ლილვი წაკვეთილია ირიბად დ სწორედ ეს ქმნის დაცქვეტილი ყურების სრულ შთაბეჭდილებას. ზოგჯერ ეს ყურები მკვეთრად არის გაშვერილი სახელურის ხარჯზე და რქისებურ შვერილსა ქმნის, ზოგჯერ კიდევ ზუსტად კოჭისებურს. ამ უკანასკნელისადმი მიდრეკილებას იჩენს მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, რომელიც უშუალოდ სათავსის იატაკზე იქნა აღმოჩენილი (ტაბ. V/2).

ამ მოტივის ნიმუშები საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში [ლორთქიფანიძე 2002: 171-174] დასავლურ-ქართულ გარემოში და განსაკუთრებით მთისწინა ზოლში მას თავისებური იერი აქვს – უფრო ცხოველის ყურებს ჰგავს, ვიდრე რქებსა თუ ნახევარმთვარეს. ბრინჯაოს ე.წ. სიტულათა ყურები კიდევ უფრო დაცქვეტილია და კოხტა.

ამ ჯგუფის სახელურები ცხეთის ნასახლარის მასალებში უპირატესად ტოლჩებსა და სიტულისებური ფორმის ქოთნებს ჰქონდათ (ტაბ. V).

ჭურჭლის ანალოგიური ყურები ლეჩხუმიდან ცნობილია კორვაშის ნამოსახლარიდან (სოფ. დერჩიდან და სოფ. ორხვიდან (ადგილი გონა)) [გაბიძაშვილი, . . . 2004/// : 121, ტაბ. CCIII, CCIV].

სახელურების მეორე ჯგუფს შეადგენს ნახევარსფერული მოყვანილობის ბრტყელგანივკვეთიანი სახელურები, რომელთაც ზოგჯერ ორი ან სამი კოპი აზით თავზე (ტაბ. V/6, 7).

სახელურების მესამე სახეობას ქმნის მრგვალგანივკვეთიანი მარყუჟისებური ფორმის სახელურები (ტაბ. V/8).

ერთეული შემთხვევითაა წარმოდგენილი სახელურები, რომლის ზედა ნაწილი სამკუთხა სიბრტყეს ქმნის ჭურჭელთან მიერთებისას (ტაბ. V/10). ცალკე ჯგუფს ქმნიან სახელური-შვერილები, ე.ი. სახელურები, რომლებიც ჭურჭლის კორპუსს მხოლოდ ერთი ბოლოთი ემაგრებიან. ორ შემთხვევაში სახელური-შვერილი ოდნავ მორკალულია და ბოლოვდება იმიტირებული ყურებით; მესამე შემთხვევაში სახელური-შვერილი მრგვალგანივკვეთიანია, თავდაბრტყელებული, თავთან ოდნავ შევიწროვებული და მოხრილი, შავად გამომწვარი და ნაპრიალები, შვერილს სიგრძეზე ოდნავ რელიეფური ზოლები დაუყვება. მეოთხე ვარიანტს ქმნის სამკუთხა ფორმის ფუძეგამსხვილებული ჰორიზონტალურად დაყენებული შვერილი, რომლის კიდეს მრგვალი ნაჭდევები ამკობს (ტაბ. V/15-17).

თიხის ნაწარმს ეკუთვნის აგრეთვე ოდნავ დაბრტყელებული სამი **კვირისტავი** (ტაბ. V/15-17).

ცხეთის ნასახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ჩარხზეა ნაკეთები უმეტესად კარგად განლექილი თიხისაგან. ზოგჯერ კი თიხაში კარგად ჩანს ქარსისა და კვარცის

[5] Куфтин 1950: სურ. 48.

მინარევები. გამოწვა უმეტესწილად კარგია, მაგრამ ზოგჯერ არათანაბარია და ამიტომ ლაქებიანი. გამოწვის წინ ჭურჭელთა უმეტესობა საპრიალებელი ქვითაა დამუშავებული. დამახასიათებელი ფერია შავი და ოდნავ მოწითალო-ყავისფერი, იშვიათია ნაცრისფერი და მოწითალო-ვარდისფერი.

ორნამენტი მრავალფეროვანია – კანელურები, წნეხვით დატანილი პრიალა ზოლები და გეომეტრიული ორნამენტი; ნაჭდევები (მოკლე ხაზები, რგოლები), სავარცხლის კბილით დატანილი ორნამენტი, კოპები, სარტყელი გრეხილის იმიტაციით, ერთმანეთზე მიჯრილი ტალღური ხაზები და სხვ. მაგრამ ძირითადი მაინც კანელურების ვარიაციები და პრიალა ზოლების კომბინაციებია (ტაბ. VI, VII, VIII).

ლითონის ნაწარმი ცხეთის ნამოსახლარის სადაზვერვო თხრილებიდან წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: ბრინჯაოს მოხრილი ღერო (რომლის დნიშნულება გაურკვეველია), ბრინჯაოს ფირფიტის ორი ფრაგმენტი, და ბოლოს, ბრინჯაოს თავხვია ოთხწახნაგა, ნაკლული საკინძი, რომელიც ითვლებოდა, რომ ტიპიურია გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპისათვის[6].

მეორე, ასევე აღმოსავლურ-ქართული გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი საკინძი 1962 წელს აღმოჩნდა ცხეთის ნასახლარი ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით, ყანაში. ეს არის გრძელი, კონუსის ფორმის, წიწვისებური ორნამენტით შემკული საკინძი[7]. რ. აბრამიშვილის აზრით მსგავსი საკინძები დამახასიათებელია ძვ.წ. XIII-XII სს-ის ძეგლებისათვის[8].

ძვლის ნივთების ჯგუფში შედის ანკესის ერთი ფრაგმენტი სამი ბრტყელი, გაპრიალებული ძვლის ფრაგმენტი, რომელთაგან ორს თითო ნახვრეტი აქვს, ერთს მრგვალი ნაჭდევი, ხოლო ერთს დაკბილული კიდე. ამავე ჯგუფს ეკუთვნის 5 სმ სიგრძის ძვლის ლილვი, რომელსაც 2,5 სმ სიგრძის ღრმული აქვს მასში იარაღის დასამაგრებლად (ტაბ. IV/5-7, 9).

სავარაუდოა, რომ ძვლის ეს ნივთები კერამიკულ წარმოებასთანაა დაკავშირებული, როგორც ორნამენტის დასატანი თუ საპრიალებელი საშუალებანი.

ქვის იარაღთა ჯგუფს განეკუთვნება მოვარდისფრო-წითელი და ჩალისფერი თეთრხალებიანი კარგად დამუშავებული ნამგლის ოციოდე ჩასართი, კაჟისავე რამდენიმე ანატკეცი, ნახევრად დამუშავებული ნაკლული ისრისპირი, ორი ბრტყელი სალესი და ოვალური, შუაში შემსხვილებული საპრიალებელი (ტაბ. IV/8, 11-13).

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ერთი მეტად უნიკალური ნივთის აღმოჩენა (ტაბ. IX). ეს არის **ქვის ყალიბის** ცალი საგდული, რომლის ბრტყელ მხარეზე რელიეფურად გამოკვეთილია რთული სვასტიკა (თუ მეანდრისებური სვასტიკა). როგორც ჩანს, ყალიბში ჩამოისხმებოდა თხელი ფირფიტა, რომელსაც აღნიშნული ორნამენტი ამკობდა. საფიქრებელია, რომ ეს ფირფიტა გამოიყენებოდა როგორც ორნამენტის დასატანი საშუალება ან თავად გამოიყენებოდა როგორც ორნამენტი-ინკრუსტაცია[9].

საქართველოში სვასტიკის, როგორც ორნამენტის გამოყენება დადასტურებულია თრიალეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაზე. შემდგომ ხანაში იგი ფართოდ ვრცელდება და გვხვდება როგორც კერამიკაზე, ასევე ლითონზეც. ეთნოგრაფიულ ყოფაში კი იგი დადასტურებულია ხეზეც და ქვაზეც.

სვასტიკა რომ სიმბოლური ხასიათის გამოსახულებაა და წარმოშობილია ძველ აღმოსავლურ ქვეყნებში, ამაზე თითქოს ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ შინარსობრივად რას უნდა გამოხატავდეს იგი – ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა. იგი მიაჩნიათ მზის, ცეცხლის, ნაყოფიერების, წყლის და სხვა მსგავსი მოვლენების სიმბოლოდ. რამდენადაც ეს მოვლენები უძველესი დროიდანვე შესაბამის ღვთაებებთან იყო დაკავშირებული, ამდენად სვასტიკის კავშირი რელიგიურ სამყაროსთან უდავოდ არის მიჩნეული. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსა-

[6] აბრამიშვილი 1961: 308. შდრ.: სახაროვა, სულავა 2010: 2010: 140-153.

[7] ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი). 2012: 28.

[8] აბრამიშვილი 1961: 321.

[9] Sulawa 2001: 186-187. Sulawa 2001: 375. სულავა 2003: 31-37. Sulava 2008: 299-305.

ზრება, რომ სვასტიკა, როგორც სიმბოლო, აღმოცენდა უძველეს მიწათმოქმედ ხალხთა კოსმოგონიურ შეხედულებათა ბაზაზე და გამოხატავს განუწყვეტელი მოძრაობის იდეას, რომ იგი უკავშირდება სხვადასხვა ციურ და მიწიურ ძალებს ქვეყნიერების ოთხ მხარესთან მიმართებაში, მის გარშემო ბრუნვაში[10]. აღნიშნული მოსაზრება მეტად საინტერესოა, მაგრამ როგორც ჩანს, სიმბოლურ ნიშანთა შინაარსი დროსა და სივრცეში ცვლილებას განიცდის, რასაც სპეციალური კვლევა სჭირდება.

ცხეთის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. VIII-V საუკუნეებით უნდა განისაზღვროს, ძირითადად ტიპოლოგიური და სხვა ძეგლებთან შედარებითი მეთოდის საფუძველზე. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ცხოვრება არ შეწყვეტილა, არ შექმნილა რაიმე სტერილური ფენა, რომელიც მკვეთრი ქრონოლოგიური ზღვარის გავლების საშუალებას მოგვცემდა. ე.წ. წინარეანტიკური ხანის დაფენებას უშუალოდ მოსდევს ადრეანტიკური ხანის ფენა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია და შერეულია წინარეანტიკურ ფენაში მიწის სამუშაოთა და ნიადაგის დენუდაციის გამო.

ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის საფუძვლად უშუალოდ სათავსის იატაკზე ფიქსირებული მასალა მიგვაჩნია, რადგან იატაკის ქვემოთ კულტურული ფენა არ ვრცელდება და იგი უშუალოდ გრუნტზეა. იატაკზე კი შემდეგი ნივთები იყო ფიქსირებული: უმეტესწილად სიტულის ფორმის სხვადასხვა ზომის კოჭბები, ზოომორფულყურებიანი სახელურები, თეფშები; აქვე იყო სამფეხა ლანგარი, თეფში-ლანგარი, მკვეთრად გამობერილმუცლიანი პატარა დერგის ქვედა ნაწილი, ნამგლის კაჟის ჩასართები და სხვა (ტაბ. VIII). აღნიშნული ჭურჭელი ძირითადად თხელკედლიანია, გამომწვარია არათანაბრად, უმეტესად მოწითალო-ყავისფრად. ორნამენტად გამოყენებულია ოდნავ რელიეფური განივი ზოლები (ყელთან), ტეხილხაზოვანი ან ნაჭდევებით შედგენილი სარტყელი, პრიმიტიულად დატანილი ნაჭდევი შევრონები.

[10] სურგულაძე ი. 1966. ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (ხელნაწერი), გვ. 40-45.

ანალოგიური მასალის შემცველი ფენები დასავლეთ საქართველოს სხვა ცნობილ ნასახლარებზე დათარიღებულია წინარეანტიკური ხანით. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დაბლაგომის ნაციხარის შუა ფენის, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის კერამიკა, რომელსაც იქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ორფრთიანი ოსრისპირი ათარიღებს[11]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ნაოხვამუს შუა და დიხა-გუძუბას ზედა ფენები. ცხეთის ნამოსახლარზე მოპოვებული კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტი გვხვდება ოჩამჩირის, სოხუმის მთისა და ურეკის ზღვისპირა ნამოსახლარების წინარეანტიკური ხანის კერამიკაში. მსგავსება აღინიშნება აგრეთვე ქობულეთ-ფიჭვნარის ზღვისპირა ნამოსახლარებზე მოპოვებულ კერამიკასთან, რომელსაც ა. რამიშვილი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს[12].

ასევე თავს იჩენს მსგავსება ცხეთის ნამოსახლარისა და ქუთაისის მიდამოებში (ფარნალის, ნასაჯვარებისა და დათეშიძეების გორებზე) აღმოჩენილი კერამიკის შედარებისას. ეს უკანასკნელი კი სოფ. ბანოჯაში მიკვლეული ბრინჯაოს ყუნწიანი ისრისპირით ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება[13].

ზოგი ფორმისა და ორნამენტის საშუალებით ცხეთის სათავსის იატაკის დონის კერამიკა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ „კრასნი მაიაკის“ კერამიკას უახლოვდება[14].

აღნიშნულმა შესადარებელმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა უფლება მოგვცა იატაკის დონე ძვ.წ. VIII-VII სს დაგვეთარიღებინა. ერთგვარ ეჭვს იწვევს სამფეხა ლანგარი და ლანგარი-თეფში. ასეთი ჭურჭელი უფრო გვიანდელ ძეგლებს ახასიათებს, განსაკუთრებით ლანგარი-თეფში. ამიტომ მისი აქ მოხვედრა ზედა ფენიდან არის სავარაუდებელი.

რაც შეეხება სამფეხა ლანგარს (ტაბ. VIII/15), მართალია იგი გარკვეულ ასოციაციას იწვევს კამარახევისა და ალაზნის ველის სამფეხა ლანგრებთან, მაგრამ ესენი გაცილებით უფრო დახვეწილი არიან და

[11] Куфтин 1950: 122, 186.
[12] რამიშვილი 1964: 138, 139.
[13] ლორთქიფანიძე 1964: 17. სახაროვა 1970: 91.
[14] Трапш 1969: ტაბ. XVIII, XIX.

თითქმის ყველა მათგანს აქვს ყური. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმას, რომ სამფეხა ლანგრის ფრაგმენტი მსგავსი ფეხით აღმოჩნდა ნაოხვამუს ქვედა ფენაში[15], და რომ სამფეხა ლანგრებს, როგორც ფორმას, უძველესი ტრადიცია აქვს (მაგ.: თრიალეთის ხის სამფეხა ლანგარი), მაშინ აღნიშნული ჭურჭლის აღმოჩენა იატაკის დონეზე სრულიადაც არ არის გასაკვირი.[16]

რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დათარიღებას ძვ.წ. VI-V საუკუნეებით (შეიძლება IV-მდეც კი ჩამოვიდეს), ამის საფუძველი მოგვცა შემდეგმა მასალამ: პირმოყრილმა ჯამ-ფიალებმა, ხელადის ფრაგმენტებმა, რომლებიც შემკული ყოფილა მიჯრილი ტალღური ორნამენტით, პითოსისა და ძაბრისებური ფორმის სასმისის ფრაგმენტებმა და სხვ.[17].

ცხეთის სამოსახლო რთული, რამდენიმე ფენიანი ძეგლია, რომელიც საკმაოდ დიდ ფართობზეა გაშლილი. თავისი ხასიათით იგი ყველაზე ახლო დაბლაგომის ნაციხვართან დგას. ცალკეული არტეფაქტების ფორმებითა და ორნამენტით კი ბევრი რამა აქვს საერთო დასავლურ-ქართულ სინქრონულ სამოსახლო ბორცვებთან და სხვა არქეოლოგიურ ძეგლებთან. ასე მაგალითად, ბევრი აქვს საერთო ნაოხვამუს, დიხა-გუძუბას, სოხუმის მთის, საქორქიოს „სიმაგრის", „პალურის საძვლის", ნოსირის და სხვა ძეგლთა შესაბამის მასალებთან[18], მაგრამ ამათგან განსხვავებით მას გარკვეული თავისებურებაც ახასიათებს. პირველ რიგში თვალში საცემია ჭურჭლის საოცარი მრავალფორმიანობა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მხოლოდ ორიოდე თხრილის მასალაა. თავისებურების თვალსაზრისით საინტერესოა თიხის თეფშები, რომელთა ანალოგია ჩვენ ჯერჯერობით არსად გვეგულება. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ორნამენტი, განსაკუთრებით კი პრიალა ზოლების კომბინაციები. მიუხედავად ზოგი ამ რიგის თავისებურებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხეთის ნამოსახლარი მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლურ-ქართულ თანადროულ მასალებთან. გარკვეულ სიახლოვეს იჩენს იგი აგრეთვე აღმოსავლურ-ქართულ თანადროულ ძეგლებთანაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მსგავსება ნაცარგორის კერამიკასთან (ტოლჩები, ზოომორფული ყურები დას ხვ.), ხოლო თეფშკეცების ძირ-კიდეზე დატანილი გრეხილი ორნამენტით ნაცარგორის, დიღმისა და კახეთის კერამიკასთან. ამავე თვალსაზრისით სინტერესოა, ცხეთისა და დიღმის ნამოსახლართა სათავსებისა და ღუმელის მსგავსება. და ბოლოს, ნიშანდობლივია აგრეთვე აღმოსავლეთ-ქართული კულტურისათვის ტიპიური თავხვია და კონუსურთავიანი საკინძეების აღმოჩენა ცხეთის ნამოსახლარზე. ყველა ეს ახალი მასალები ალბათ საინტერესო იქნება ქართველურ ტომთა მოძრაობის შემდგომი შესწავლისათვის.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ცხეთის ბორცვზე დამჯდარი მოსახლობა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გარდა ხელოსნობასა და მეტალურგიასაც მისდევდა.

განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიგვანიშნებს ნამგლის კაჟის ჩასართები, ხელსაფქვავის ფრაგმენტები, მარცვლეულის შესანახი ჭურჭელი და თვით მარცვლეულის ნაშთები.

მესაქონლეობის განვითარებაზე მიგვანიშნებს ოსტეოლოგიური მასალა, რომლითაც ირკვევა, რომ აქ მისდევდნენ როგორც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის (ძროხა), ასევე წვრილფეხა საქონლის (ცხვარი, ღორი) მოშენებას.

ხელოსნობის დაწინაურებული დარგი ჩანს მეთუნეობა, რაზედაც მეტყველებს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი და ამავე დროს თიხის საპრიალებელი და შემკულობის დასატანი ძვლის იარაღები.

მეტალურგიასთან (როგორც სამთო, ასევე საწარმოო) დაკავშირებულ საქმიანობაზე მიგვითითებს მთელი ნასახლარის ტერიტორიაზე მრავლად გაფანტული წიდები, და რაც ყველაზე მთავარია, ნასახლარის შესწავლილი სათავსის (თხრილი № 6) იატაკის

---

[15] Куфтин 1950: 233, ტაბ. 48.

[16] ანოლოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია კორვაშის ნამოსახლარზეც (სოფ. დერჩი). მასალა გამოუქვეყნებელია.

[17] შდრ.: Куфтин 1950: ტაბ. 31, 33, ნახ. 22, 24. ლორთქიფანიძე, . . . 1972: 237, სურ. 223. ლორთქიფანიძე, . . . 1981.

[18] შდრ.: Куфтин 1950: ტაბ. 27- 36, 55. კალანდაძე 1954: 57. მიქელაძე, . . . 1973. Григолиа , . . . 1971: 60. ქორიძე 1969. ქორიძე, . . . 1974.

დონეზე ქვის ყალიბის აღმოჩენა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ყალიბში ჩამოისხმებოდა საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომლებსაც იყენებდნენ ცნობილი კოლხური აბზინდების შესამკობად. ამ დანიშნულების ყალიბის, რომლის ანალოგიც უცნობია, ლეჩხუმში, მთიან კოლხეთში აღმოჩენა, ვფიქრობთ, ნამდვილად ადასტურებს, რომ მართკუთხა კოლხური აბზინდები კოლხეთში (იქნებ მთიან კოლხეთშიც) მზადდებოდა და აქედან ვრცელდებოდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში. ხოლო ამ ყალიბის ძვ.წ. VIII-V სს-ით დათარიღებული ნასახლარის ქვედა დონეზე (ძვ.წ. VIII-VII სს) აღმოჩენა, ამ აბზინდების თარიღსაც აკონკრეტებს[19].

ამგვარად, ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე საქმე გვაქვს იმ იშვიათ შემთხვევასთან, როცა სახეზეა სხვადასხვა სახის ძეგლების (ნასახლარი, სამაროვანი, მეტალურგიული წარმოება) თანადროული თანაარსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილია ცხეთის ნასახლარის მხოლოდ მცირე ნაწილი, სახეზე გვაქვს საკმაოდ დიდ ფართობზე განფენილი დასახლება, რომელიც ახლომდებარე სოფლების – დეხვირისა და ლესინდის ტერიტორიაზეც ვრცელდება, რასაც აქ გაკეთებული სადაზვერვო თხრილები ადასტურებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ყვავიქედას ფერდობებზე არ არის გამოვლენილი და შესწავლილი ნასახლარის თანადროული სამაროვანი, აქ სამაროვნის აუცილებელ არსებობაზე მიგვითითებს სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი ბრინჯაოს მასალა – გრავირებული კოლხური ცული, ლაგამი, საკინძი, ხარის ფიგურა (ეს უკანასკნელი, შესაძლოა, ბრინჯაოს განძის შემადგენელი არტეფაქტიც კი იყოს)[20].

ცხეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვის ყალიბის, დიდი რაოდენობით წიდებისა და ბრინჯაოს ზოდის ფრაგმენტის (იქვე, სოფ. ლესინდში) აღმოჩენა აქ მეტალურგიული სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს.

მდინარე ცხენისწყლის მარცხენა სანაპირო, რომელზეაც შეფენილია ეს სოფლები (ცხეთა, დეხვირი, ლესინდი), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოსადეგი ადგილებია; ხოლო ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, როგორც ბოლოდროინდელმა სადაზვერვო სამუშაოებმა დაადასტურა, ლითონის მოპოვება და წარმოება ხდებოდა (იხ. აქვ. გვ. 33-35). სავარაუდოა, რომ სამთო-მეტალურგიული წარმოებითა და ლითონის გამოდნობით სწორედ, იქვე, ცხეთა-დეხვირის ტერიტორიის მოსახლეობა იყო დაკავებული; და ნივთების დასამზადებელი სახელოსნოც იქვე, ამ სამოსახლოებზე იყო.

საინტერესოა, რომ ცხეთა-დეხვირის ტერიტორიას თავისი მდებარეობით სტრატეგიული, მაკონტროლებელი როლი ჰქონდა მდ. ცხენისწყლის ხეობიდან მდ. ლავჯანას ხეობაში მიმავალ გზებზე, რაც აქ უწყვეტი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი იყო გვიანი ბრინჯაოს ხანიდან შუასაუკუნეების ჩათვლით.

ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე მდებარე დეხვირის ციხეთა კომპლექსის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე წერს ვახუშტი ბაგრატიონი: „ლეჩხუმის საშუალსა, ცხენისწყლის ზეით კლდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა (ანუ ლეჩხუმისა – ნ. ს.), რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად"[21]. როგორც ჩანს, ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან აკონტროლებდა ცაგერის ქვაბულსა და ლავჯანას ხეობას ანუ ლეჩხუმის ორი ხეობის, შემდგომში ვახუშტისეული ორი პროვინციის („ქუეყნის"), „გადაღმა ლეჩხუმისა" და „გადმოღმა ლეჩხუმის" უდიდეს ნაწილს, სამეგრელოსკენ, სვანეთისა და რაჭისაკენ მიმავალ გზებს.

[19] Sulawa 2001: 186-187. Sulawa 2001: 375. სულავა 2003: 31-37. Sulava 2008: 299-305. სულავა 2013.

[20] ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 28-31.

[21] ვახუშტი 1941: 147.

† Lamara Sakharova, Nino Sulava

The Tskheta Settlement

(The results of the Lechkhumi archaological excavation in 1970-71)

Summary

In 1970-1971 the archaeological expedition of the Ivane Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography of the Georgian Academy of Sciences carried out surveys in Lechkhumi.

Archaeological excavations took place in the village of Tskheta (located 15 km south-west from Tsageri), on the Kvavikeda slope, where in 1962 the existence of cultural remains of the Late Bronze-Early Iron Ages was evidenced.

As a result of the archaeological excavations in 1971, a small compartment of the settlement was discovered (trench N 6).

The study of the compartment revealed two construction levels, dated to the 8th-7thand 6th-5th centuries BC on the grounds of revealed archaeological materials.

The obtained archaeological materials are represented by clay, metal, bone, and stone artefacts.

Pottery is represented by Colchian pithoi (*kvevr*i), big pots (*dergi*), cauldrons, bowls, plates, drinking cups, etc.

Metal items are composed of a bronze bent rod of unknown function, two fragments of a plate, a pin with rectangular shank and spirally twisted head.

Bone artefacts were also revealed: a fragment of the fish hook, three fragments of flat, polished bones (with single holes, round notches, dented edges). Most likely these bone items are connected with the pottery production, serving as polishers or tools for applying ornament.

There were found **stone tools** as well: twenty sickle inlays, flakes, a partially treated incomplete arrow-head, two flat polishers, one oval polisher, swollen in the middle part.

Stone mold is represented by a single part, the flat side of which shows a relief complicated swastika (or a meander-swastika); the mold was used to cast a thin plaque, which was adorned with ornaments. This plaque was used as an ornament – inlaying.

The Tskheta settlement is a complex, multi-layered site spread on a rather wide area. By the shape of revealed artifacts and their ornaments, the settlement has much in common with the synchronous western-Georgian settlements on hills and other archaeological monuments. According to the obtained material, the site was settled by population whose occupation was farming and cattle-breeding, crafts and metallurgy were also practiced.

The developed landownership and agriculture can be verified by the finds of flint sickle inlays, fragments of a hand-mill, vessels for keeping grains, and the grain remains themselves.

The osteological materials give us grounds to suppose the development of cattle-breeding. One can say that local residents were breeding cattle, as well as sheep and pigs.

Pottery production seems to be highly developed. This is attested by various and numerous pottery finds, as well as tools for polishing and decorating clay vessels.

A large amount of slags, spread all over the settlement is yet another proof to the metallurgical activities (both mining and production) of the population. One of the most interesting and important findings, from this point of view, is a stone mould found on the floor level of the compartment studied at the site (trench N 6). It is supposed that the mould was used to cast meander plaques, used to adorn the famous Colchian buckles. Finding this type of mold in Lechkumi, in mountainous Colchis, truly proves that rectangular Colchian buckles were produced in Colchis

(even in mountainous Colchis), from where they were spread in the area of the Colchian Bronze Culture. The discovery of the mold in the lower level of the settlement, which is dated to the 8th-5th centuries BC ascribes buckles to the 8th-7th centuries BC.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.), სსმმ, ტ. XXII- B.

ვახუშტი 1941: აღწერა სამეფოსა საქართველოსა (თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით). თბილისი.

კალანდაძე ალ. 1954: სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.

ლორთქიფანიძე ოთ. 1964: ქუთაისის და მისი მიდამოების არქეოლოგიური რუკა. საანგარიშო მოხსენება მოსმენილი 1964 წ. 10.X.

ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. ვანი I. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან. ვანი V. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

მიქელაძე თ., ბარამიძე მ., . . . 1973: კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები.

ქორიძე დ. 1969: ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1967 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სსმ არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები (1965-1967 წწ. ანგარიშები). თბილისი.

†ქორიძე დ., გოგაძე ე., ჯავახიშვილი გ. 1974: ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლების მუშაობის შედეგები. სსმ არქეოლოგიური ექსპედიციები, III.

რამიშვილი ა. 1964: ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ტ. 14.

სახაროვა ლ. 1970: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოებიდან. მაცნე, № 4.

სახაროვა ლ. 1976: ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. მაცნე, № 3.

სახაროვა ლ., სულავა ნ. 2010: საქართველოში გავრცელებული თავხვია საკინძების შესახებ. ძიებანი. № 19, თბ., 2010.

სულავა ნ. 2003: ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. ძიებანი, № 10, თბილისი.

სულავა ნ. 2013: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმიდან – ბრინჯაოს ხარი. სემ მოამბე, № 4 (49-). 62-67.

სურგულაძე ი. 1966: ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (ხელნაწერი), თბილისი.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი). 2012. თბილისი.

Григолиа Г. К., Окропиридзе Н.И., Барамидзе М.В., Джапаридзе В.М., Джгамая Д.К. 1971: Итоги работ энгурской археологической экспедиции 1969-1970 гг. Тезисы докладов посвящённых итогам археологических исследоаании в 1970 году в СССР. Тбилиси.

Куфтин Б. А. 1950: Материалы к археологии Колхиды, II, Тб.

Трапш М. М. 1969: Труды, т. 2. Сухуми.

Sulawa N. 2001: Letschchumi _ eine bedeutendste frühe Metallurgie - Region in der Kolchis. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies‘‘. Bochum.

Sulawa N. 2001: Gussform. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies‘‘. Bochum.
Sulava N. 2008: On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediteranean (AMITEM). Ankara.
Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013: Newly Discovered Monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. ,,The Thracians and their Neighbors in the Bronze and Iron Ages”. Volume I (Proceedings of the 12 th International Congress of Thracology) Târgovište. 375-379.

ტაბულების აღწერა

სურ. 1 - ცხეთის ნასახლარის სათავსო (თხრილი № 6)
ტაბ. I – VIII ცხეთის ნასახლარის მასალა
ტაბ. IX – ქვის ყალიბი (ცხეთის ნასახლარი)

Descrion Of The Plates

Fig. I – Compartments at the Tskheta Settlement (trench N6)
Pl. I-VIII – Pottery, bone artefacts, bronze stems.
Pl. IX – Stone mould

სურ. 1



I



II



III



IV



V

1

2

3

4

5



6

7

8

9

10

12



12

13



14

VI



VII



VIII




0 1
0 1 2

ნინო სულავა

ცხეთის სამაროვანი

ცხეთის სამაროვნის მასალა ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდებში 1962 წელს შევიდა[1]. სოფელი ცხეთა მდებარეობს ცაგერის სამხრეთით, 15 კმ-ის მოშორებით. სოფელს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ეკვრის ერთმანეთზე მიჯრილი ხუთი ბორცვისაგან შედგენილი ქედი, რომელსაც ადგილობრივები ყვავიქედას ეძახიან. სამაროვნის სავარაუდო ფართობი დასახლებული იყო, რის გამოც სამარხების ნაწილი განადგურებული ან არეული იყო.

გათხრების შედეგად გამოვლინდა 15 ინჰუმაციური ორმოსამარხი, რომელთაგან შედარებით უკეთ იყო დაცული 5 სამარხი (№№ 2, 5, 9, 13, 14). სამარხები ჩვეულებრივი ორმოები იყო, მიცვალებულები დასვენებული იყვნენ გვერდზე, კიდურებმოხრილი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტაციით [სახაროვა 1963. სულავა 1996: 9].

ცხეთის სამაროვნის სამარხეული ინვენტარი[2] წარმოდგენილია – სამკაულით (სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, სასაფეთქლეები, მძივები), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით (ფიბულები, ქინძისთავები, აბზინდები), საბრძოლო და სამეურნეო იარაღით (რკინის შუბისპირები და დანები, სალესები), თიხის ჭურჭლით[3] [სულავა 1996: 10-35. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 35-39].

სამაროვანზე მოპოვებული 17 სამაჯური – 15 ცალი ბრინჯაოსი და თითო-თითო ვერცხლისა და რკინის, სამი ტიპისაა: ზურგშედრეკილი (7 ცალი, სამარხი №№ 6, 13 – ტაბ. IV/1,2,7, ტაბ. V/3,4,5,6), ზურგსწორი და თავბოლოგადადებული (6 ცალი, თხრილი II, VII, XV 13 – ტაბ. IV/9,10), თავბოლოგადადებული და გადახვეული (4 ცალი, სამარხი №№ 1, 2, 13 – ტაბ. I/14,15, ტაბ. II/16,17).

ზურგშედრეკილი სამაჯურების გამოჩენას საქართველოს ტერიტორიაზე ვარაუდობენ აქემენიდური ირანიდან ძვ.წ. V ს-დან; ელინისტურ ხანაში სამაჯურების ეს ფორმა ჩვენში გაბატონებული ჩანს და მათი არსებობა საუკუნეთა მიჯნამდე გრძელდება. ანალოგიური სამაჯურები ცნობილია ზემოფარცხმიდან, დაბლაგომის, დაფნარისა და ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებიდან, მუხიანიდან, წითელი შუქურას სამაროვნიდან, სამთავროდან, უფლისციხიდან, ნერონ-დერესიდან, კამარახევიდან, ასურეთის, აბელიის, დიდუბის და ვასასწყაროს სამაროვნებიდნ [სულავა 1996: 10-12].

ზურგსწორი და თავბოლოგადადებული სამაჯურებიც ძვ.წ. V-II სს-ს განეკუთვნება. ამგვარი სამაჯურები აღმოჩენილია წითელი შუქურას სამარხებში, ფარცხანაყანევში, გომარეთში, სკვითური ნეაპოლის ძვ.წ. II – ახ.წ. I სს-ის სამარხში [სულავა 1996: 13].

თავბოლოგადადებული და გადახვეული სამაჯურები ახ.წ. I-III სს-თვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპია და ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. ისინი აღმოჩენილია – აღაიანში, არმაზისხევში, ბაგინეთში, სამთავროში, არაგვისპირში, სტირფაზში, მონასტერში, კლდეეთში, ბორში, ჩხოროწყუში. ისინი მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდ. შავიზღვისპირეთში, ჩრდ. კავკასიაში, აზერბაიჯანში, რუმინეთში; ანალოგიური სამაჯურები დაცულია ბრუკლინის, ბრიტანეთისა და ბენაკის მუზეუმებში [სულავა 1996: 15].

სამაროვანზე ერთი წყვილი „ყურძნის მტევნის" ფორმის საყურეა აღმოჩენილი (სამარხი № 2 – ტაბ. II/18). ამგვარი საყურეები გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში არქაული ხანიდან მოყოლებული ანტიკური პერიოდის ჩათვლით. საქართველოში ისინი აღმოჩენილია ბორში, მოდინახეზე, სამთავროში, კარსნისხევში, ურბნისში, ჟინ-

[1] სამაროვანი 1962 წელს გამოავლინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელი ექსპედიციის რაზმმა ლ. სახაროვას ხელმძღვანელობით [სახაროვა 1963].

[2] ტაბულებზე შენარჩუნებულია არტეფაქტების ის ნომრები, რომლებიც ემთხვევა ნ. სულავას ნაშრომის საკატალოგო ნომრებს – იხ. სულავა 1996.

[3] კატალოგის (კოლ. № 9) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი პ. ლეთოდიანი.

ვალში; ცნობილია ჩრდ. კავკასიისა და ჩრდ. შავიზღვისპირეთის მასალებიდან [სულავა 1996: 15, 16].

სამაროვანზე აღმოჩენილი რკინის ოვალურფარაკიანი ბეჭედი (თხრილი VII – ტაბ. IV/20), სავარაუდოდ (ცუდი დაცულობის გამო), ძვ.წ. V-III სს-ის ჭრილაფარაკიან ბეჭდებს უნდა მიეკუთვნებოდეს [სულავა 1996: 17] (ტაბ. IV/21).

მცირე ზომის ოქროს ფირფიტა (სამრხი № 12) რაიმე ნივთის გარსაკრავის ფრაგმენტი უნდა იყოს [სულავა 1996: 17].

ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივსამკაული მეტად მრავალფეროვანია და წარმოდგენილია – ქარვის მძივებით, ქვის (სარდიონი, ქალცედონი) მძივებით, ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმით, მინის მრავალფეროვანი მძივებით (ერთფერი, პოლიქრომიული, ოქროფენილი მძივები)[4].

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები წარმოდგენილია - ფიბულებით, ქინძისთავებით, აბზინდებით.

ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილია 10 ცალი ფიბულა (სამარხები №№ 1, 2, 5, 10, 14, 15), რომელიც ოთხი ტიპისაა: 1. ბუდეაბმული (ტაბ. II/70,71), 2. მკვეთრადპროფილირებული (ტაბ. I/74,75, (ტაბ. II/76,77), 3. „ავცისას'' მსგავსი რკალისებური ფიბულა სახსრიანი შესაკრავით (ტაბ. III/78), 4. მინანქრიანი ფიბულა [სულავა 1989. სულავა 1996: 27-31] (ტაბ. VII/79).

1. ითვლება ბუდეაბმული ფიბულები (1 ცალი მთლიანი და ფრაგმენტები, სამარხი №№ 2, 10, 14), რომ დას. საქართველოში ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან გავრცელდა, სადაც მათი წარმოება ახ.წ.-ის დასაწყისში შუა ლატენის ხანის ფიბულების მიბაძვით იწყება. I-III საუკუნეებში დას. საქართველოში აწარმოებდნენ ბუდეაბმული ფიბულები ერთწილად ვარიანტს, ხოლო IV საუკუნიდან ორწილადს. ორივე ვარიანტის ფიბულებისა – აღმოჩენილია როგორც დას. საქართველოს, ასევე აღმ. საქართველოს ძეგლებზე (წებელდა, სამთავრო, ურბნისი და სხვ.) [სულავა 1989. სულავა 1996: 27-29].

2. მკვეთრადპროფილირებული შავიზღვისპირული ტიპის ფიბულები (4 ცალი, სამარხი №№ 1, 2) საქართველოში მხოლოდ ორ პუნქტშია აღმოჩენილი: მცხეთისგორის სამაროვანზე IV-V სს-ით დათარიღებულ ქვაყუთში და სოხთაში, გვიანანტიკური ხანის ორმოსამარხში. ამგვარად, დას. საქართველოში, ლეჩხუმში, ამ ტიპის ფიბულების აღმოჩენისა პირველი შემთხვევაა. მკვეთრადპროფილირებული შავიზღვისპირული ტიპის ფიბულები მზადდებოდა ახ.წ. I საუკუნის ბოლოს ბოსფორში ქვემოდუნაისპირეთიდან შემოტანილი ნიმუშების მიხედვით და ისინი გავრცელებულია ჩრდ. შავიზღვისპირეთსა და ჩრდ. კავკასიაში [სულავა 1989. სულავა 1996: 29, 30].

3. „ავცისას'' მსგავსი რკალისებური ფიბულა სახსრიანი შესაკრავით (1 ცალი, სამარხი № 5) დას. საქართველოში აღმოჩენილია სოფ. ლიასთან გათხრილ I-II სს-ით დათარიღებულ ორმოსამარხებში; ცნობილია შიდა ქართლიდან, ჩრდ. კავკასიიდან და ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან, მინგეჩაურიდან. ამ ტიპის ფიბულებს, რომლებიც გავრცელებულია ადრერომაულ ხანაში, რომაულ პროვინციებში, „ავცისას'' სახელი დაერქვათ, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში მათ რკალზე აქვთ წარწერა - „AVCISSA'' [სულავა 1989. სულავა 1996: 30].

4. მინანქრიანი ფიბულა (1 ცალი, სამარხი № 15) წარმოადგენს მრგვალ გულსაბნევს ორსაყრდენიანი სახსრიანი შესაკრავით. მისი ფარაკის ცენტრალური ნაწილი შემკულია ლურსმნისთავის მსგავსი შვერილით, რომლის სიბრტყეც შევსებულია თეთრი მინანქრით, ხოლო თითონ ფარაკი შემკულია ფერადი (ლურჯი, მწვანე, წითელი, თეთრი) მინანქრის ნაჭრებით შედგენილი სარტყლებით. ამგვარი ფიბულები საქართველოში აღმოჩენილია – კლდეეთში, არმაზისხევში, მცხეთაში, სოხთაში, კიკეთში, სტირფაზში. აგრეთვე ჩრდ. კავკასიასა და ჩრდ. შავიზღვისპირეთში. მათი წარმოების ცენტრად ითვლება ბელგიის გალია (სახელოსნო ვილა ანტე). ისინი გავრცელებულია თითქმის მთელ ევროპაში და ახ.წ. II-III სს-ით თარიღდებიან [სულავა 1989. სულავა 1996: 30, 31].

ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული 7 ცალი აბზინდიდან (სამარხები №№ 1, 5, 7, 9,

[4] ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული ლეჩხუმში აღმოჩენილი მძივსამკაულის შესახებ იხ. სტატია აქვე, – თ. კახელიშვილი.

10, 12), 5 ცალი მრგვალია, 2 ცალი კი წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის.

მრგვალი, ენაგამობმული აბზინდების (სამარხები №№ 1, 9, 10, 12 – ტაბ. II/81,82, ტაბ. IV/85) ანალოგიური დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი არმაზისხევის, უებნისის, აღაიანის, სამთავროს ახ.წ.-ის პირველი საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში; დას. საქართველოდან ცნობილია – კლდეეთიდან ურეკიდან, ძევრიდან. მსგავსი აბზინდები არის ჩრდ. კავკასიისა და ჩრდ. შავიზღვისპირეთის ძეგლებზეც. სადა, მრგვალი აბზინდები I-III სს-ით თარიღდება.

მართკუთხა აბზინდები (სამარხი №№ 5, 7 – ტაბ. III/86) აღმოჩენილია არმაზისხევის II ს-ის ბოლოთი დათარიღებულ სამარხში, ასპარუგ ერისთავის სამარხში (ოქროს ეგზემპლარი), სამთავროში, უფლისციხეში. ზოგადად ისინი I-II საუკუნეებს განეკუთვნებიან [სულავა 1996: 31, 32].

ქინძისთავები, ვერცხლისა და ბრინჯაოსი (სამარხი № 1 – ტაბ. I/89,90), მთლიანადსხმული და თავდაწახნაგებულია. ისინი IV საუკუნით თარიღდება [სულავა 1996: 31, 33].

საბრძოლო და სამეურნეო იარაღი ცხეთის სამაროვანზე წარმოდგენილია - რკინის შუბისპირებით, დანებით, მუჯირით, სალესებით.

რკინის შუბისპირები (სამარხი №№ 10, 14 – ტაბ. VI/102, XV თხრილი) ანალოგიურია კლდეეთის შუბისპირებისა და სალეს ქვებთან ერთად არის აღმოჩენილი; მსგავსი შუბისპირები ცნობილია ბანძიდან, ჩხოროწყუდან, წებელდიდან, ბორიდან, ძევრიდან და ისინი I-IV სს-ით თარიღდება.

მუჯირის (სამარხი № 10, თხრილი VII – ტაბ. IV/104,105) ანალოგიური იარაღი ცნობილია სოხუმის მთიდან, ლარილარიდან, ფიჭვნარიდან, ოჟორადან, რკინის კალოს სამაროვნიდან.

ცხეთის სამაროვნის ანალოგიური მოხრილი დანები (ტაბ. III/91, VI/94) ამიერკავკასიაში ძვ.წ. VII ს-დან ჩნდება. ისინი აღმოჩენილია კლდეეთში, ბრილში, ეშერაში, დაფნარში დაბლაგომში, ბანძაში, ბორში, ჩხოროწყუში, აფხაზეთის ძეგლებზე, ბეშთაშენში, თეთრწყაროში, კამარახევში, მანგლისში. მცირე ზომის მოხრილი დანები გვიანანტიკურ ხანაშიც არსებობენ.

ცხეთის სამაროვნის ანალოგიური სწორი დანებიც (ტაბ. I/96,97) ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზეა გავრცელებული (მაგ. მცხეთის მდიდრული და ღარიბული სამარხები).

ცხეთაში აღმოჩენილი მოხრილი და სწორპირიანი დანები თანაარსებობენ და ქრონოლოგიურად გვიანანტიკურ ხანას განეკუთვნებიან [სულავა 1996: 33-35].

ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი კერამიკა (სამარხი №№ 9, 10, 11, 13, 14, 15[5] – ტაბ. IV/120, V/43,51,55,110,118, VI/114,119, VII/115), წარმოდგენილია ფრაგმენტებითა და ექვსი მთელი ჭურჭლით და ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-სა და ახ.წ. პირველ საუკუნეებს განეკუთვნება [სულავა 1996: 35-39].

ცხეთის სამაროვანზე სამარხეული ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოიყოფა ორი ჯგუფის სამარხები - ძვ.წ. II (შესაძლოა III ს) – I საუკუნეების (№№ 6, 12, 13) და ახ.წ. I-IV საუკუნეების სამარხები (№№ 1, 2, 4, 5, 9, 10, 14, 15) [სულავა 1996: 39-41].

[5] №№ 10, 11, 13 სამარხების კერამიკა დაკარგულია. ვსარგებლობთ არსებული ფოტოთი და დავთრის აღწერილობით.

Nino Sulava

Tskheta Necropolis

Summary

In 1962, after the archaeological excavations carried out in the village of Tskheta, the material of the Tskheta necropolis entered the Tsageri History Museum. The conjectural area of the necropolis was settled at that time, therefore a part of the burials was destroyed and some of them were damaged.

Due to the archaeological excavations, 15 inhumation pit graves were found on the site, out of which 5 (NN 2, 5, 9, 13, 14) were better preserved. The burials represented simple pits; the deceased were buried with bent limbs, laying on side, with the orientation from west to east.

The inventory of the burials at the Tskheta necropolis is represented by personal ornaments (bracelets, earrings, finger-rings, temple-rings, beads), accessories for clothes (fibulae, pins, buckles), tools and weapons (iron spearheads and knives, whetstones), clay vessels.

On the grounds of comparative-typological analysis of the inventory of the Tskheta necropolis, two groups of burials were defined: of the 2nd (possibly 3rd)-1st centuries BC (NN 6, 12, and 13) and 1st-4th centuries AD (NN 1, 2, 4, 5, 9, 10, 14, and 15).

ლიტერატურა

სახაროვა ლ. 1963: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის ექსპედიციის ლეჩხუმის რაზმის 1962 წლის ანგარიში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი.

სულავა ნ. 1989: ფიბულები ცხეთის ანტიკური ხანის სამაროვნიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 133, № 2.

სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბილისი

ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი): 2012. თბილისი.

ტაბულების აღწერა	**Descrion Of The Plates**
ტაბ. I – სამარხი № 1	**Tab. I –** burial № 1
ტაბ. II– სამარხი № 2	**Tab. I –** burial № 2
ტაბ. III– სამარხი № 4	**Tab. I –** burial № 4
ტაბ. IV– სამარხი № 6, № 12	**Tab. I –** burial № 6, № 12
ტაბ. V– სამარხი № 13	**Tab. I –** burial № 13
ტაბ. VI– სამარხი № 14	**Tab. I –** burial № 14
ტაბ. VII– სამარხი № 15	**Tab. I –** burial № 15

I

სამარხი № 1



სამარხი № 2



სამარხი № 4



სამარხი № 5



სამარხი № 6

სამარხი № 12



სამარხი № 13



სამარხი № 14





სამარხი № 15

115

79

33

60

27

ნინო სულავა

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ანტიკური ხანის შემთხვევით აღმოჩენილი მასალა

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ანტიკური ხანის ნივთების კოლექცია, გარდა არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულისა[1], წარმოდგენილია შემთხვევით მონაპოვარი მასალებით, რომლებიც აღმოჩენილია სხვადასხვა სოფლებში – ცხეთაში, მურის ციხის მიდამოებში, უსახელოში, ტვიშში, ცაგერში, ზარაგულაში, ზუბში, აღვში, ლაჯანაში, ზოგიშში, ნაკურალეშში, დღნორისაში, გონში; აგრეთვე, მუზეუმში დაცულია მასალები, რომელთა აღმოჩენის ადგილებიც უცნობია[2].

სოფელ **ცხეთიდან** (ტაბ. I), იქ შესწავლილი ანტიკური ხანის სამაროვნის[3] მასალების გარდა, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დიდი რაოდენობით ანტიკური ხანის მასალაა შესული. სავარაუდოდ, ისინი დანგრეული სამარხებიდანაა. ცხეთის მიდამოებში აღმოჩენილი მასალა წრმოდგენილია სამკაულით – სამაჯურები, მძივები, საყურე, ბეჭედი; ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით – ზარაკები, საკიდი „ფრინველი", მონეტებითა და კერამიკით [სულავა 1996: 46-58. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 42].

ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი სამაჯურები (ტაბ. $I_{122,123,124}$), რომლებიც წარმოდგენილია ზურგჩაზნექილი, თავებგახსნილი, თავბოლოგადადებული და გადახვეული სახეობებით, ფაქტობრივად, იმეორებენ იმ ასორტიმენტს, რაც დადასტურებულია ცხეთის სამაროვანზე და მათი თარიღებიც შესაბამისია სამაროვნის ანალოგიური მასალებისა [იხ. აქვე, სულავა ცხეთის სამაროვანი. სულავა 1996: 10-15].

ანალოგიური აზრის გამოთქმა შეიძლება მძივსამკაულის მიმართაც [სულავა 1996: 17-27, 47-53]; მხოლოდ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ სარდიონისაგან დამზადებული, წაკვეთილი რვაწახნაგა კონუსის ფორმის ბეჭდის თვლები (2 ცალი – ტაბ. I_2), რომელთა მსგავსიც გავრცელებულია II-III სს-ში და ცნობილია ციხისძირის განძის მასალებიდან, ზღუდერიდან და ერწოს ველიდან [სულავა 1996: 47, 48].

ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი ბეჭედი (ტაბ. I_{127}) მუზეუმში შესულია 1938 წელს; ამ ტიპის ბეჭდები I-III სს-შია გავრცელებული და ცნობილია – კლდეეთიდან, ბორიდან, სარგვეშიდან, შოშეთიდან [სულავა 1996:53, 54].

საყურე, რომელიც ყურძნის მტევნითაა შემკული, ვერცხლისაა. ანალოგიურია ასეთივე ოქროს საყურეებისა № 2 სამარხიდან (ტაბ. I_{126}) ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი 16 ცალი მცირე ზომის ზარაკი (ტაბ. I_{128}) გვერდებზე ჩაჭრილი ან სამკუთხაფანჯრიანია. ანალოგიური ზარაკები ცნობილია როგორც დას. საქართველოს (ფარცხანაყანევი, დაფნარი, ვანი, ზემო ფარცხმა, ფიჭვნარი, მუხიანი, მუხურჩა, ზესტაფონი, ბორი, ბრილი, წითელი შუქურა, გუადიხუ, სოხუმის მთა), ასევე აღმ. საქართველოს ძეგლებიდან (კიკეთი, არდასუბანი, კაზრეთი, ახალგორი, სამთავრო, კამარახევი, ყაზბეგი, სტირფაზი, კახეთი). ცხეთის ზარაკები ანალოგიებზე დაყრდნობით ზოგადად ელინისტური ხანით უნდა დავათარიღოთ [სულავა 1996: 54, 55].

ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილია ბრინჯაოს საკიდი, რომელიც ფრინველის გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. I_{129}). მისი ანალოგიური ფიგურები მოპოვებულია ბორში, დაბლაგომში და გვიანანტიკური ხანით უნდა დათარიღდეს [სულავა 1996: 56].

ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილია 2 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი (ტაბ. $I_{130,131}$). ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები დადასტურებულია როგორც დას. საქართველოში (47 ცალი), ასევე აღმ. საქართველოში (14 ცალი). ისინი ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდნენ [სულავა 1996: 57].

ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ორი დოქით (ტაბ. I_{132})

---

[1] კატალოგის (კოლ. № 4) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი ე. ყვირილიანი.

[2] ტაბულებზე შენარჩუნებულია არტეფაქტების ის ნომრები, რომლებიც ემთხვევა ნ. სულავას ნაშრომის საკატალოგო ნომრებს – იხ. სულავა 1996.

[3] იხ.: აქვე, სულავა, ცხეთის სამაროვანი. სულავა 1996: 46-96.

ყოფილა წარმოდგენილი[4] [სულავა 1996: 57, 58].

მურის ციხის მიდამოებში აღმოჩენილი მასალა ცაგერის ისტორიულ მუზეუმში „მურის განძის'' სახელით ინახება. მასალა წარმოადგენს მურის ციხის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი და შეგროვებული ქრონოლოგიურად განსხვავებული ნივთების კოლექციას. ამ კოლექციიდან, აღმოჩენის ვითარებიდან გამომდინარე[5], ქვევრსამარხის მასალად მიჩნეულია ოქროს ოთხწახნაგა-ღეროიანი სასაფეთქლე დაბრტყელებული და გახვრეტილი თავებით, ასევე, მსხლისებური ფორმის ყვითელი და შაბიამნისფერი მძივები (ტაბ. $II_{133,134}$). ანალოგიური სასაფეთქლეები აღმოჩენილია შრომისუბნის (ჯოისუბნის) სამაროვანზე, მოდინახეს № 6 სამარხში, ვანის № 3 სამარხში, კუშჩის №№ 1 და 3 სამარხებში. წახნაგოვანღეროიანი ბოლოებგა-ხვრეტილი რგოლები ძვ.წ. IV ს-ის შემდეგ აღარ გვხვდება; ხოლო მსხლისებური ფორმის ყვითელი და შაბიამნისფერი მძივები დამახასიათებელია ძვ.წ. IV-III სს-თვის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მურის ციხის ქვევრსამარხი ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღდეს [სულავა 1996: 59, 60. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 41].

მურის ციხესთან აკრეფილი დანარჩენი მა-სალა წარმოდგენილია ვერცხლის სასაფეთქ-ლე რგოლით, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება (ტაბ. II_{135}), ბურცობებით შემკული რკინის სამაჯურის ფრაგმენტით (ძვ.წ. IV ს-ის შუა ან მეორე ნახევარი – ტაბ. II_{136}), ორწილადი რკალისებური ფიბუ-ლით (ძვ.წ. IV-III სს – ტაბ. II_{138}), აბზინ-დით (IV ს-ის მეორე ნახევარი – ტაბ. II_{138}), კოლხური თეთრით (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი – ტაბ. II_{141}), იარაღით – დანებით, შუბისპირებით, ისრისპირით (გვიანანტიკური ხანა – ტაბ. $II_{142-147}$), დოქით (ძვ.წ. III-II სს. – ტაბ. II_{148}) [სულავა 1996: 60-65. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 41].

უსახელოში აღმოჩენილი ნივთები წარმო-დგენილია სამკაულით და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით[6].

უსახელოში აღმოჩენილი სამკაული წარ-მოდგენილია ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდით (ძვ.წ. IV-III სს. – ტაბ. III_{149}), სამაჯურე-ბით (ძვ.წ. IV-III სს. – ტაბ. $III_{150,151}$), მძივსამკაულით[7], საყურე რგოლებით შემ-სხვილებული სწორად ჩამოჭრილი ბოლოე-ბით (I-III სს. – ტაბ. $III_{153,154}$), ოქროს ბალ-თის ფრაგმენტით ტიხრებში ჩასმული წითე-ლი ფერის ქვებით (IV-V სს. – ტაბ. III_{155}), ბალთა-ფიბულით, რომელიც წაჩოქილ ცხო-ველს გამოსახავს (III-IV სს – ტაბ. III_{156}), ბუდეაბმული ჩახრილი ფიბულით (III-IV სს – ტაბ. III_{157}), აბზინდებით (IV ს), სათასმე ბალთებით (II ს. – ტაბ. III_{158}), ცხეთის მსგავსი საკიდი-ფრინველით (ტაბ. III_{160}) და ზარაკებით – (ტაბ. $III_{161,163}$).

უსახელოს მასალაც მრავალფეროვანია და მოიცავს – ძვ.წ. IV – ახ.წ. IV სს-ს [სულავა 1996: 83. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 43].

სოფელ **ტვიშიდან** ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია – მძივსამკაული, ბეჭედი, ზარაკი, ბალთები, საკიდი („ირემი''), დოქი (ტაბ. IV).

ტვიშში აღმოჩენილი მძივსამკაული (სარ-დიონის სფერული, ქალცედონის, მინის ერთ-ფერი, მინის ოქროფენილი, პოლიქრომიული მძივები) ზოგადად ანტიკური ხანის ნიმუ-შებითაა წარმოდგენილი; ბეჭედი I-III სს-ის ჰორიზონტულმხრებიან ბეჭდებს განე-კუთვნება" (ტაბ. IV_{167}) მოზრდილი ზარაკი (ტაბ. IV_{168}) ძვ.წ. VIII-VII სს-ისაა; ბრინჯა-ოს საკიდი, რომელიც ირმის გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. $IV_{170,171}$), I-III სს-ით თარიღდება; ღუზისებური და ნახევარწრისე-ბური ბალთები ახ.წ.-ის პირველ საუკუნეებს განეკუთვნება (ტაბ. IV_{172}); შეწყვილებულ-ყურებიანი დოქები (ტაბ. IV_{167}) ჩნდება ადრეელინისტურ ხანაში და ძვ.წ. I საუ-კუნეშიც არსებობს [სულავა 1996: 83-87. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 43].

---

[4] ერთი დოქი ამჟამად დაკარგულია.

[5] მურის ციხესთან გზის გაფართოებისას ბულდოზერს თიხის ჭურჭლის (ჭურის) ნატეხები ამოუყრია ბავ-შვის ჩონჩხით, ოქროს სასაფეთქლით და მძივებით.

[6] უსახელოში XX ს-ის დასაწყისში აღმოჩენილი უნიკალური ნივთები – ოქროს მედალიონი ტოპაზის თვალზე შესრულებული გემით და ოქროს ორი ფირ-ფიტა, ერმიტაჟში ინახება [სულავა 1996: 68-78].

[7] იხ. აქვე, თ. კახელიშვილის ნაშრომი.

ცაგერიდან ცნობილია ლისიმაქეს ოქროს სტატერის მინაბაძი, რომელსაც ძვ.წ. II საუკუნის ბოლოთი ათარიღებენ და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი); ცხეთაში აღმოჩენილის ანალოგიური ბრინჯაოს ფრინველის გამოსახულებიანი საკიდი [სულავა 1996: 87-88, ტაბ. $XXXII_{173,174,175}$].

ზარაგულას კოლექცია წარმოდგენილია სამი კოლხური თეთრისაგან შემდგარი „ზარაგულას განძით", რომელიც ძვ.წ. IV ს-ის ბოლოთი თარიღდება [სულავა 1996: 88, ტაბ. $XXXII_{176-178}$].

ზუბიდან ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია ე.წ. პრიზმულწანაზარდებიანი (ტაბ. IV_{179}) ძვ.წ. IV-III სს-ის სამაჯური [სულავა 1996: 88].

აღვიდან ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია პოლიქრომიული მინის მძივი (ტაბ. IV_{180}) ფესტონური ანუ ბუმბულისებური ორნამენტით (ახ.წ. I-III სს) [სულავა 1996: 89].

ლაჯანადან ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია სარდიონის სფერული მძივები (ტაბ. IV_{181}), რომელიც დამახასიათებელია როგორც ადრეული ხანისათვის, ასევე მთელი ანტიკური ეპოქისათვის [სულავა 1996: 89].

ზოგიშიდან, ნაკურალეშიდან და **დეხვირიდან** (ტაბ. $IV_{182,183}$) პოლიქრომიულ, თვალიან მინის მძივთან ერთად ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია ფრინველის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდები [სულავა 1996: 89. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 41].

გონადან ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია რკინის შუბისპირები და სატევარი, ბრინჯაოს სამაჯური და ორწილადი რკალისებური ფიბულები (გვიანანტიკური ხანა – ტაბ. V_1) [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 42].

ორხვიდან, მახურადან და **უცნობი ადგილიდან** ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია რკინის მოხრილწვერიანი და ანტენისებურთავიანი დანები (ახ.წ. I-III სს) [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 43, 45].

აგრეთვე, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია მასალის გარკვეული ნაწილი, რომელთა **აღმოჩენის ადგილი უცნობია** – კოლხური თეთრი, ბოლოებდაბრტყელებული ოქროს საყურე სასაფეთქლეები, ოქროს საყურე რგოლი, ცრემლისებური ფორმის ოქროს ღრუ მძივი, ვერცხლის თავბოლოგადადებული და გადახვეული სამაჯური, ამფორის ქუსლი, თიხის თასი, დოქი და ქოთანი, თიხის ფრინველის ფიგურა (ტაბ. VI) [სულავა 1996: 90-95. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 44-45].

Nino Sulava

Casual Finds of the Classical period in the Tsageri History Museum

Summary

Besides the materials obtained in the result of archaeological excavations (Tskheta Necropolis), the collection of the Classical period kept in the Tsageri History Museum is represented by artefacts accidentally discovered in various villages – Tskheta, Usakhelo, Tvishi, Tsageri, Muri, Zaragula, Zubi, Aghvi, Lajana, Zogishi, Nakuraleshi, Dghnorisa, Goni; in the Muris Tsikhe area; in addition, the museum houses materials of unknown provenance.

These materials are characterized by diversity and are dated to the 4th century BC – 4th century AD.

ლიტერატურა

სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბილისი
ცაგერის ისტორიული მუზეუმი (ალბომი): 2012. თბილისი.

ტაბულების აღწერა

I. ცხეთა.
II. მურის ციხე. მურის ციხე (ქვევრსამარხი) – 133, 134.
III. უსახელო.
IV. ტვიში, ზუბი, აღვი, ლაჯანა, ზოგიში, ნაკურალეში, დეხვირი.
V. გონი, ორხვი, მახურა.
VI. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

Descrion Of The Plates

I. Tscheta.
II. Muri.
III. Usachelo.
IV. Tvishi, Zubi, Agvi, Ladshana, Zogishi, Nakuraleshi, Dechviri.
V. Goni, Orchvi, Machura.
VI. Uncnovn provenance.

I



II



III



IV





V



1

2

VI

1

2

3

4

5

6

7

8

თინა კახელიშვილი

ცაგერის ისტორიული მუზეუმის მძივსამკაული

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული მძივსამკაული[1] წარმოდგენილია ცხეთის სამაროვანზე და სხვადასხვა პუნქტებში შემთხვევით აღმოჩენილი არტეფაქტებით.

სოფელი ცხეთა მდებარეობს ცაგერის სამხრეთით 15 კმ-ის დაშორებით; სოფელს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ეკვრის ერთმანეთზე მიჯრილი ხუთი ბორცვი – ყვავიქედა. სავარაუდოდ, სამაროვანი იწყება ყვავიქედას სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და გრძელდება სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ცხეთის სამაროვანზე გამოვლენილი 15 სამარხიდან მძივები[2] აღმოჩნდა შვიდ სამარხში. სამაროვანი ზოგადად ძვწ. III – ახ.წ. IV სს-ით თარიღდება [სულავა 1996: 39-41]. სამარხების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებით ირკვევა, რომ:

სამარხში № 6 (ძვ.წ. III-II სს) - მძივები არ დაფიქსირდა [სულავა 1996: 41].

სამარხში № 12 (ძვ.წ. III-I სს) - აღმოჩნდა გაუმჭვირვალე მინის სამი ცალი მძივი, ყვითელი, ლურჯი და ცისფერი [სულავა 1996: 41-42].

სამარხში № 13 (ძვ.წ. II-I სს) – აღმოჩნდა: ქალცედონის, ქვის, გიშრისა და მინის მძივები - გამჭვირვალე, პოლიქრომიული და ოქროფენილი; სულ 657 ცალი [სულავა 1996: 42; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 35].

სამარხში № 1 (ახ.წ. III - IV ს-ის დასწყისი) აღმოჩნდა: სარდიონის, ქარვის, კირქვის, გაუმჭვირვალე მინის მძივები; სულ 127 ცალი [სულავა 1996: 42; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 36].

სამარხში № 2 (ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახ.) აღმოჩნდა: ქარვის, აქატის, სარდიონის მძივები და მინის გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე, პოლიქრომიული, ოქროფენილი მძივები; სულ 106 ცალი [სულავა 1996: 43; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 36].

სამარხში № 4 (ახ.წ. I-III სს) – აღმოჩნდა: სარდიონის, ქარვის და მინის მძივები - გაუმჭვირვალე, გამჭვირვალე, პოლიქრომიული, ოქროფენილი; სულ 44 ცალი [სულავა 1996: 43; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 36].

სამარხებში № 5, 7 (ახ.წ. I-II სს) და № 9 (ახ.წ. I-III სს) მძივები არ დაფიქსირდა [სულავა 1996: 43, 44][3].

სამარხში № 10 (ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახ.) მძივები არ დაფიქსირდა [სულავა 1996: 44].

სამარხში № 11 (ახ.წ. I-III სს) აღმოჩნდა: პოლიქრომიული, ოქროფენილი, გაუმჭვირვალე მინის მძივები [სულავა 1996: 44].

სამარხში № 14 (ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახ.) აღმოჩნდა: ბრინჯაოს 1 ცალი და პოლიქრომიული მინის 1 ცალი მძივი [სულავა 1996: 45; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 39].

სამარხში № 15 (ახ.წ. II-III სს) აღმოჩნდა: სარდიონის 1 ცალი და პოლიქრომიული მინის მძივი [სულავა 1996: 45; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 38].

მასალისა და წარმომავლობის მიხედვით ცხეთის სამაროვანზე გამოვლენილი მძივები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს – იმპორტული და ადგილობრივი.

იმპორტულ მძივებს მიეკუთვნება:

ქარვის მძივები. ქარვის, ორგანული წარმოშობის მინერალის ქართული სახელწოდება მოდის სპარსული „ქაჰრუბისაგან". ქარვა ხახუნის შემდეგ სუსტ ელექტრობას იძენს, რაც სხვადასხვა მსუბუქი ნივთების (ქსოვილი, ჩალა, ქაღალდი და სხვა) მიზიდვაში გამოიხატება, სწორედ ამ თვისებას აღნიშნავს მისი სპარსული სახელწოდება „ქაჰრუბა", რაც სიტყვა-სიტყვით „ჩალის მტაცებელს" ნიშნავს [მგელიაშვილი 1991: 73]. არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილი ქარვის 98% ბალტიისპირეთის ქარვას მიეკუთვნება. ქარვის ნივთები საქართველოში

[1] კატალოგის (კოლ. № 9) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი ე. ყვირილიანი.

[2] ტაბულებზე შენარჩუნებულია არტეფაქტების ის ნომრები, რომლებიც ემთხვევა ნ. სულავას ნაშრომის საკატალოგო ნომრებს – იხ. სულავა 1996.

[3] სამარხი № 8 უინვენტაროა [სულავა 1996: 44].

ცნობილია ბრინჯაოს ხანიდან. ქარვის მძივები [სულავა 1996: 17, სურ. 17, კატ. № 22-24], რომელებიც აღმოჩენილია № 1 (2 ცალი), № 2 და № 4 (2 ცალი) სამარხებში, ორი ტიპისაა: I. № 1 და № 2 სამარხებში [სულავა 1996: 18, სურ. 4, 5, კატ. № 22-23] მოპოვებული ქარვის მძივები კუთხეებ-მომრგვალებული, დაბრტყელებული მართ-კუთხედის ფორმისაა. ამ ფორმის მძივები სხვადასხვა ზომისაა და მზადდებოდა ქარვის კენჭებისაგან მათი მცირეოდენი დამუშავების გზით. ჩვენში ქარვის მძივები აღმოჩენილია სუფსაში, ახალ ათონში, ურეკში, ბრილში, სამთავროს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე. ცხეთის სამაროვნის ქარვის მძივების I ტიპის („კენჭისებური") ზუსტი ანალოგიაა კლდეეთში აღმოჩენილი ქარვის მძივები [ლომთათიძე 1954: 64, ტაბ. XII/1]. ამ ტიპის მძივები ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩრდ. შავიზღვისპირეთში. ისინი დამახასიათებელია II საუკუნის კომპლექსებისათვის, მაგრამ გვხვდება ახ.წ. III-IV საუკუნეებშიც. ისინი აღმოჩენილია ოლბიაში, ინკერმანის მეურნეობაში, ქერსონესში, ნოვოოტრადნოეში, ტირიტიკეში, ტუზლაში, ფანაგორიაში, კეპიში, ტირამბაში, ტანაისში [Алексеева 1978: 25, 26. ტაბ. 24].

№ 4 სამარხში მოპოვებული ქარვის მძივები [სულავა 1996: სურ. 6, კატ. № 24.) ბრტყელი ცილინდრული ფორმისაა (II ტიპი). ამ ტიპის მძივები დამახასიათებელია ჩრდ. შავიზღვისპირეთის I-V საუკუნეებით დათარიღებული კომპლექსებისათვის, (ინკერმანის მეურნეობა, პანტიკაპეონი, ქერსონესი), მაგრამ გვხვდება ძვ.წ. VI-II სს-ის სამარხებშიც. (პანტიკაპეიონი, ფანაგორია) [Алексеева 1978: 24, ტაბ. 23].

ეგვიპტური ფაიანსი. ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ორი ერთნაირი მძივსაკიდი მწოლიარე ლომის გამოსახულებით, რომლებიც აღმოჩენილია № 1 და № 15 სამარხებში [სულავა 1996: 19, 20, სურ. 4, 10, 17, კატ. № 33-35][4]. მასალა, რომლითაც დამზადებულია მძივსაკიდი ლომის გამოსახულებით, ეგვიპტურ ფაიანსად იწოდება, რადგან ტრადიციულად ეგვიპტე ითვლება ფაიანსის ამ სახის ნივთების მწარმოებლად.

ადრეანტიკურ ხანაში ფაიანსის ნაწარმს ნავკრატისი უშვებდა, აქ სახელოსნოც კი არის გათხრილი. ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში უკვე ძვ.წ. VI ს-ის ბოლოსა და V ს-ის I ნახევარში ჩნდება. აქ იგი ვრცელდებოდა მილეტელი და როდოსელი ვაჭრების მეშვეობით, მაგრამ ძვ.წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედში ნავკრატისის სახელოსნო წყვეტს არსებობას და ეგვიპტური ფაიანსის შემოსვლაც ჩრდ. შავიზღვისპირეთში წყდება. ძვ.წ. III ს-დან კვლავ შემოდის ეგვიპტური ნაწარმი. იგი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. I საუკუნესა და ახ.წ. II ს-ში. მაგრამ ზოგიერთი ფორმა ამ ნაწარმისა უფრო გვიანაც გვხვდება - ახ.წ. IV ს-მდე. გვიანელინისტური და რომაული ხანის ფაიანსის ნაწარმის გარჩევა საკმაოდ ძნელია. დაუდგენელია ამ პერიოდის წარმოების ცენტრებიც [Алексеева 1975: 24-28, კატ. № 154].

ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ფირუზისფერი ფაიანსის მძივსაკიდები ლომის გამოსახულებით მიეკუთვნება ე. ალექსეევას კლასიფიკაციის 68-ე ტიპის b ვარიანტს და თარიღდება ახ.წ. I-II სს-ით. ამ ტიპის მძივსაკიდები აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთის ამავე ხანებით დათარიღებულ კომპლექსებში: ოლბია, ტირიტაკე, პანტიკაპეონი, ფანაგორია, ტირამბა, ტამანის ნ-კ [Алексеева 1975: 44-45].

საქართველოში მძივსაკიდები ლომის გამოსახულებით აღმოჩენილია სვანეთში [ჩართოლანი 1976: 22], სამთავროში, ანანურში [Иващенко 1980: 136], თრელი გორებზე [აბრამიშვილი 1978: 12, ტაბ. XII/2].

ეგვიპტური ფაიანსისაა № 2 სამარხის სფერული მწვანე მძივებიც (2 ცალი) და სიგრძივღარებიანი სფერული მძივიც [სულავა 1996: სურ. 5, 17, კატ. № 34, 35. Алексеева 1975: 31, 33, ტაბ. 5/5-13, ტაბ. 5/37].

ეგვიპტური ფაინსის ნაწარმი ცნობილია სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან [Пиотровский 1958: 27], ჩრდ. კავკასიიდან [Уварова 1900: 233, 322].

[4] მძივსაკიდები დაკარგულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში მომხდარი ხანძრის დროს; ილუსტრაცია იხ.: სულავა 1996: სურ. 4, 10, 17.

ერთფერი მინის მძივები. ერთფერი მინის მძივები წარმოდგენილია **გაუმჭვირვალე** და **გამჭვირვალე** ნიმუშებით.

ერთფერი მინის **გაუმჭვირვალე** მძივებიდან ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ფირუზისფერი მცირე ზომის მძივები (სამარხი №№ 1, 2, 13, სულ 276 ცალი [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 41]). ჩრდ. შავიზღვისპირეთის კარგად დათარიღებულ კომპლექსებში ამგვარი მძივები საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული - ძვ.წ. IV- ახ.წ. პირველი საუკუნეები [Алексеева 1978: 64, ტიპი 13, ტაბ. 33/1-3].

ყვითელი მინის გაუმჭვირვალე, მსხლის ფორმის მძივები (№ 13 სამარხი, № 12 [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 42) ჩრდ. შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI-II საუკუნეებშია გავრცელებული, მაგრამ არის ახ.წ. პირველი საუკუნეების კომპლექსებშიც [Алексеева 1978: 63, ტიპი 5, ტაბ. 33/1].

ცხეთის სამაროვანზე დიდი რაოდენობითაა გაუმჭვირვალე, სფეროსებური, შავი მძივები (№ 13 სამარხი, 65 ცალი [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 43]).

გაუმჭვირვალე, ლურჯი, შინდისფერი, მარჯნისფერი, ბრტყელი და მრავალწახნაგა მძივები (№ 2, № 4 სამარხები, 15 ცალი [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 44]), დამახასიათებელია ჩრდ. შავიზღვისპირეთში II-III საუკუნეებით დათარიღებული კომპლექსებისათვის [Алексеева 1978: 69, ტიპი 104, 107, 109]. ამგვარი მძივები ცნობილია სამთავროდანაც [Иващенко 1980: 139].

გაუმჭვირვალე, მილაკისებური, მუქი ცისფერი მძივების მსგავსი (№ 2, № 4 სამარხები, 11 ცალი [სულავა 1996: სურ 18, კატ. N49]) ჩრდ. შავიზღვისპირეთში I-III სს-ის კომპლექსებშია აღმოჩენილი (ქერსონესი, ნოვოოტრადნოე, ტანაისი) [Алексеева 1978: 67, ტიპი 66, ტაბ. 33 /11].

გლობოიდური ფორმის გაუმჭვირვალე ყვითელი (9 ცალი), ცისფერი (3 ცალი) და თეთრი (2 ცალი) მძივები მხოლოდ № 13 სამარხშია [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 45]. ამ ფორმის მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ძვ.წ. II ს-ის კომპლექსებისათვის, მაგრამ არის ძვ.წ. I - ახ. წ. I სს-შიც [Алексеева 1978: 68, ტიპი 83, ტაბ. 33 /23].

წაგრძელებული, კოპებიანი, გაუმჭვირვალე მძივები – თეთრი (3 ცალი), მწვანე (5 ცალი), მოშავო (2 ცალი), ყვითელი (3 ცალი), ცისფერი (3 ცალი) მხოლოდ № 13 სამარხშია [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 46]. ამგვარი მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთის ძვ.წ. II და ახ.წ. II სს-ით დათარიღებული კომპლექსებისთვისაა (ოლბია, პანტიკაპეონი, კეპი) [Алексеева 1978: 72, ტიპი 159, ტაბ. 33/63] დამახასიათებელი.

ორმხრივ ჩაჭყლეტილი (ორლებნიანი), გაუმჭვირვალე ორი მწვანე და ერთი მოწითალო მძივიც [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 48] № 13 სამარხშია აღმოჩენილი.

ამგვარი მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეებისათვის [Алексеева 1978: 72, ტიპი 155 ტაბ. 33/59].

გაუმჭვირვალე, ხორბლისებური ფორმის, მოყვითალო მძივების (№ 13 სამარხი, 5 ცალი [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 47] ანალოგიური მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთში ძვ. III-II საუკუნეებისა და ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების კომპლექსებშია [Алексеева 1978: 66, ტიპი 48, ტაბ. 33/9].

გაუმჭვირვალე, წვრილი ლურჯი მძივები, ე.წ. ბისერი (62 ცალი) № 13 სამარხიდანაა [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 50]. ამგვარი მძივები გავრცელებული იყო როგორც ელინისტურ, ასევე რომაულ ხანაში [Алексеева 1978: 62, ტიპი 66, ტაბ. 33/12].

სფეროსებური, გაუმჭვირვალე, მარჯნისფერი, ლურჯი და თეთრი მძივების [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 51] მსგავსი ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი [Алексеева 1978: 62, 63].

თითისტარისებური ლურჯი მძივის (1 ცალი, სამარხი № 12 [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 52]) მსგავსი ცალები გავრცელებული ყოფილა ჩრდ. შავიზღვისპირეთში ელინისტური ხანიდან ახ.წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით [Алексеева 1978 : 66, ტიპი 50, ტაბ. 33/9].

ცხეთის სამაროვანზე ყველაზე დიდი რაოდენობით ერთფერი მინის **გამჭვირვალე** მძივებია მოპოვებული [სულავა 1996: სურ.

18, კატ. № 36-56]. პირველ რიგში აღსანიშნავია ფრინველის გამოსახულებიანი მონაცრისფრო, ყუნწიანი, გამჭვირვალე მძივსაკიდი № 13 სამარხიდან. [სულავა 1996: კატ. № 36, სურ. 3, 18]. ერთფერი მინის მძივსაკიდები საკმაოდ გავრცელებული ჩანს ჩრდ. შავიზღვისპირეთში ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების კომპლექსებში. თემატურად ისინი იმეორებენ ეგვიპტური ფაიანსის გამოსახულებებს [Алексеева 1978: 62, 73-75). ცხეთის საკიდის მსგავსი უნდა იყოს პანტიკაპეონის I-II სს-ით დათარიღებული კომპლექსის საკიდი. [Алексеева 1978: 74, ტიპი 189].

ერთფერი მინის გამჭვირვალე მძივები საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი.

ბიკონუსური, გამჭვირვალე (ლურჯი, თაფლისფერი, სალათისფერი) მძივები 15 ცალია (№ 13 სამარხი [სულავა 1996: 37, სურ. 3, 18]). ამგვარი მძივები სამთავროში დამახასიათებელია როგორც ქვევრსამარხებისათვის, ასევე ახ.წ. პირველი საუკუნეების სამარხებისათვის [Иващенко 1980: 134. გოგიბერიძე 1984: 101-103]. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ძეგლებზე; დაფნარი, ბორი [დავლიანიძე 1983: 103], ფარცხანაყანევი [Иващенко 1980: 327]; ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი მძივები აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: ზემო ავჭალა, არკნეთი, ვასასწყარო, ურბნისი, კამარახევი [რამიშვილი 1959: 35], წინანდალი, იყალთო, ყოღოთო. [დავლიანიძე 1983: 101]. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები გავრცელებულია ძვ.წ. VI საუკუნიდან ახ.წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით [Алексеева 1978: 68, 69, ტაბ. 33 /27].

ცრემლისებური ფორმის ყუნწიანი, გამჭვირვალე, მონაცრისფრო და სალათისფერი მძივები (№ 13 სამარხი, 15 ცალი [სულავა 1996: სურ. 3, 18, კატ. № 38]) ჩრდ. შავიზღვისპირეთში დადასტურებულია ძვ.წ. II-I სს და ახ.წ. II-III სს-ის კომპლექსებში - პანტიკაპეონი, ინკერმანის მეურნეობა, ფანაგორია, ტუზლა, კეპი [Алексеева 1978: 72, ტიპი 162, 163, ტაბ. 33/67, 68].

სიგრძივღარებიანი, გამჭვირვალე, სალათისფერი მძივები (№ 13 სამარხი, 10 ცალი [სულავა 1996: სურ. 3, 18, კატ. № 39]) აღმოჩენილია დას. საქართველოში დაბლაგომში, დაფნარში, სოფ. ჯვარში [დავლიანიძე 1983: 104], ფარცხანაყანევში [Иващенко 1950: 327]. აღმ. საქართველოში კი - გომარეთში, მცხეთა-სამთავროში, სამთავროს ქვევრსამარხებში, დიდუბეში, ურბნისში. ამგვარი უფერული გამჭვირვალე მძივები არის ჩრდ. შავიზღვისპირეთის ძვ.წ. VI-I სს-ის სამარხებში, მაგრამ ახალი წელთაღიცხვის პირველ საუკუნეებშიც გვხვდება [Алексеева 1978: 71, 72, ტიპი 146, 752, ტაბ. 33/52].

ერთმანეთზე გადაბმული, გამჭვირვალე, უფერო ბურთულები (№ 4 სამარხი, 4 ცალი [სულავა 1996: სურ. 18, კატ. № 40]) გავრცელებულია მთელ ანტიკურ სამყაროში I-II სს-ში, ხოლო უფრო მოზრდილი ეგზემპლარები დამახასიათებელია გვიანრომაული ხანისათვის [Алексеева 1978: ტიპი 262a, ტაბ. 30/63].

პოლიქრომიული მინის მძივები. ცხეთის სამარხებში მოპოვებული მინის პოლიქრომიული მძივები (21 ცალი) მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც შეიძლება რამდენიმე ტიპის გამოყოფა.

ბუმბულისებური (ფესტონური) ორნამენტით შემკული დიდი ზომის რუხი ფერის მძივი № 4 სამარხიდან, [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 53] წაგრძელებული, კასრისებური ფორმისაა და შემკულია ყვითელი ორნამენტით. ამგვარი მძივები, შემკული სხვადასხვა ფერის ფესტონებით - თეთრი, ყვითელი, თეთრი და წითელი, თეთრი და მწვანე, ცისფერი, თეთრი და ყვითელი, წითელი, მწვანე, დამახასიათებელია ანტიკური ხანისათვის. ყველაზე ადრეული ფესტონურორნამენტიანი მძივები ძვ.წ. VI-V სს-ს განეკუთვნება, ხოლო ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან ფართოდ ვრცელდება. ამგვარი მძივები I ს-შიც განაგრძობს არსებობას. მათთვის დამახასიათებელია კასრისებური ფორმა და დიდი ზომები [Алексеева 1978: 48, ტიპი 262a, 155]. ადრეული ფესტონურორნამენტიანი მძივები ცნობილია ვანიდან [გიგოლაშვილი 1983: 101)], ხოლო ახ.წ. I სს-ისა - სამთავროდან [Иващенко 1980: 137, ტაბ. 220, 271].

„წამწამისებური" ორნამენტით შემკული მარჯნისფერი მძივები [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 54] № 2 (1 ცალი) და № 4 (3 ცალი) სამარხებშია. ამგვარად შემკული

პოლიქრომიული მძივების წარმოება ჩაისახა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, ხოლო გვიანრომაულ ხანაში მეტად პოპულარული გახდა. შეიქმნა ფორმისა და შემკულობის უამრავი ნაირსახეობა [Алексеева 1982: 37). ჩვენი მძივის მსგავსი ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან ცნობილია მხოლოდ ერთი ცალი – ქერსონესში [Алексеева 1982: 43, ტიპი 490, ტაბ. 49/12].

კასრისებური ფორმის, შავი, მუცელზე განივი თეთრი ზოლით 9 ცალი მძივი № 13 სამარხიდანაა [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 55]. მძივების განივი ზოლებით შემკობა ჩრდ. შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ძვ.წ. II-I საუკუნეებისათვის, მაგრამ ახ.წ. I საუკუნეშიც განაგრძობს არსებობას. ცხეთის მძივების მსგავსი, ოღონდ დაბრტყელებული ფორმის მძივი ცნობილია ვანიდან და ძვ.წ. III-I სს. მიეკუთვნება. ამგვარი, ოღონდ მოზრდილი მძივები დამახასიათებელია ჩრდ. შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს-ის კომპლექსებისათვის [Алексеева 1978: 40, ტიპი 146, ტაბ. 27/12, 14, 16].

ცილინდრული ფორმის, შავი, გაუმჭვირვალე მძივები ვერტიკალური თეთრი ზოლებით (№ 13 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 56]) განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ჩრდ. შავიზღვისპირეთში გვიანელინისტურ ხანაში. ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. II-I და ახ.წ. I-II სს-ის კომპლექსებში [Алексеева 1978: 34, 35, 43, ტიპი 43, ტაბ. 27/85, 86].

მინის თვალიანი მძივები წარმოდგენილია № 4, 13, 14 და 15 სამარხებში. თვალიანი მძივები ანტიკური ხანის პოლიქრომიული მძივების ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი სახეობაა. ელინისტური ხანის თვალიანი მძივებისათვის დამახასიათებელია ზომების შემცირება და თვალების მრავალფეროვნება. რომაულ ხანაში კი, თვალიანი მძივები არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით და სრულყოფილებით გამოირჩევა [Алексеева 1975: 55, 56].

საქართველოში მინის თვალიანი მძივები ძვ.წ. VI ს-დან ვრცელდება [ლომთათიძე 1954: 61]. ადრეული ხანის თვალიანი მძივები ცნობილია ბრილიდან, ყაზბეგიდან [წითლანაძე 1976], ლარილარიდან [ჩართოლანი 1968: 310], ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში [დავლიანიძე 1983: 100, 101], ხოლო უფრო გვიანი – ზუგდიდიდან [Куфтин 1950: 52], დაბლაგომიდან [Куфтин 1950: 52], დაფნარიდან, ფარცხანაყანევიდან [Иващенко 1950: 327], ფიჭვნარიდან [ვაშაკიძე, კახიძე 1979: ტაბ. XXXVI], გუადიხუდან [Трапш 1969: 202] და სხვა.

№ 4 და № 13 სამარხების მძივები სფერული ფორმისაა - შავი, გაუმჭვირვალე, თეთრ ფონზე შავი თვალით (2 ცალი, № 4 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 57]) და თეთრ ფონზე წითელი თვალით (2 ცალი, № 13 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 58]).

N 14 სამარხის თვალიანი მძივი შავია, რომელსაც თვალები სხვადასხვანაირი აქვს, ორი თვალი - თეთრ ფონზე ცისფერი თვალია, ხოლო ორი თვალი - ყვითელ ფონზე ცისფერი თვალია [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 59].

N 15 სამარხის თვალიანი მძივი ცისფერია, ხოლო თვალი – თეთრ ფონზე ლურჯ-კონტურშემოვლებული ცისფერი თვალი [სულავა 1996: სურ 17, კატ. № 60].

ახ.წ. I ს-ში თვალიანი მძივები ცნობილია სამთავროში [Иващенко 1980: 138], კლდეეთში [ლომთათიძე 1954: 61], ურეკში [სინაურიძე, ბერიძე 1971: 84] და სხვა.

ჩრდ. შავიზღვისპირეთში თვალიანი მძივები აღმოჩენილია როგორც ადრეულ, ასევე ჩვ.წ. I სს-ის კომპლექსებში [Алексеева 1975: 59, 64, 65, ტაბ. 14/59, 15/67, 74].

მინის ოქროფენილი მძივები. როგორც ვარაუდობენ, ოქროფენილი მძივების დამზადება დაიწყო ძვ.წ. IV ს-ში ეგვიპტეში, საიდანაც მთელ ელინისტურ სამყაროში გავრცელდა.

ფიქრობენ, რომ ოქროფენილი მძივები კოლხეთში გავრცელდა ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან ან ძვ.წ. III ს-დან. დადასტურებულია ისინი ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე [ვაშაკიძე, კახიძე 1979: 79], დაბლაგომის [Куфтин 1950: 54; თოლორდავა 1976: 13, 17], დაფნარის [Кигурадзе 1976: 30] და ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებში, ვანში [გიგოლაშვილი 1983: 110, ტაბ. 46] და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოში ოქროფენილი მძივები ცნობილია ქვემო და შიდა ქართლის ძეგლებიდან, კახეთიდან [დავლიანიძე 1983: 155, 156].

ელინისტური ხანის ფაქიზი და მცირე ზომის ოქროფენილი მძივსამკაულებისაგან რომაული ხანის მძივები განსხვავდება მასიური და უხეში ფორმებით. ამავე ხანებში ჩნდება გადაბმული ბურთულებისაგან შედგენილი მძივებიც. ოქროფენილი მძივების წარმოება ახ.წ. IV ს-ში მცირდება [Алексеева 1978: 28, 29].

№ 2 სამარხის მძივები (2 ცალი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 61]) სფერული ფორმისაა. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ძირითადად დამახასიათებელია ელინისტური ხანის კომპლექსებისათვის, მაგრამ ხმარებაშია ახ.წ. I საუკუნეებშიც [Алексеева 1978: 29, ტიპი 1a, ტაბ. 26/2,3].

№ 4 სამარხის მძივები (3 ცალი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 62]) წარმოდგენილია სფერული, არხთან ნაწიბურებიანი ფორმით. ამგვარი მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა და აღმოჩენილია მხოლოდ ახ.წ. I საუკუნეების სამარხებში [Алексеева 1978: 29, 30, ტიპი 15, ტაბ. 26/4, 5, 6, 7].

წაგრძელებული, სამ რიგად განლაგებული ბურცობებიანი მძივები (2 ცალი, № 4 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 62]) დამახასიათებელია რომაული ხანისათვის. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები მრავლად გვხვდება II ს-ის კომპლექსებში – ოლბია, ქერსონესი, კეპი, გორგიპია [Алексеева 1978: 32, ტიპი 20, ტაბ. 26/59, 60].

სფერული, დაბრტყელებული, დიდნახვრეტიანი მძივები (29 ცალი, № 13 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 64]) ხმარებაშია მინის მოოქრული სამკაულის არსებობის მთელ მანძილზე, ჩნდებიან ძვ.წ. III ს-ში, ფართოდ ვრცელდებიან II-I საუკუნეებში და არსებობენ ახ.წ. I-II სს-შიც [Алексеева 1978: 31, ტიპი 8, ტაბ. 26/8, 16].

მოკლე ცილინდრული მძივები, ტანზე ორ რიგად განლაგებული კოპებით (2 ცალი, № 13 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 65]) ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება [Алексеева 1978: 32, ტიპი 19, ტაბ. 26/55].

მილაკისებური მძივები (3 ცალი, № 13 სამარხი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 66]) გავრცელებული იყო როგორც ელინისტურ ხანაში, ასევე I-II სს-შიც – ოლბიაში, პანტიკაპეონში, ფანაგორიაში, კეპიში, გორგიპიაში, ტანაისში [Алексеева 1978: 30, ტიპი 4, ტაბ. 26/20, 21, 22].

ოქროფენილი წვრილი მძივები [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 67] დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის, მაგრამ შემდგომ პერიოდშიც განაგრძობენ არსებობას [Алексеева 1978: 29, ტიპი 1a].

ადგილობრივ მძივებს მიეკუთვნება:

ქალცედონის მძივი. ქალცედონის მძივი აღმოჩენილია № 13 სამარხში (სულავა 1996: კატ. № 30, სურ. 3, 17], მას დაბრტყელებული სფეროს ფორმა აქვს, დიდი ზომისაა (დიამეტრი – 20 მმ) და ნახევრად გამჭვირვალე თეთრია. ზუსტად ამ ფორმის, ოღონდ ოპალის და ზომით განსხვავებული მძივები (5 ცალი) აღმოჩენილია კლდეეთში [ლომთათიძე 1954: 66, ტაბ. XVII/2). ქალცედონის მომცრო სფერული მძივები დადასტურებულია სამთავროში [Иващенко 1980: 130). ჩრდ. შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები მოპოვებულია I-II სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში - ოლბია, ინკერმანის მეურნეობა, ხერსონესი, პანტიკაპეონი, ფანაგორია [Алексеева 1982: 12, ტიპი 3, ტაბ. 37/12).

სარდიონის მძივები. საქართველოში სარდიონის მძივების გამოყენება დადასტურებულია უძველესი დროიდან [გოგაძე 1972: 45. ტაბ. XX/13). გვიანბრინჯაო-განვითარებული რკინის ხანაში კი უკვე სარდიონის მძივები გამოირჩევა დამუშავების მაღალი დონით და ფორმათა მრავალფეროვნებით [დავლიანიძე 1983: 91]. როგორც ვარაუდობდნენ, სარდიონის მძივების შემოტანა ეგვიპტიდან და მესოპოტამიიდან ხდებოდა [Лемлейн 1951: 191-193], მაგრამ დასაშვებად მიაჩნდათ ადგილობრივი ნედლეულის არსებობაც მცირე კავკასიონის მთებში და სომხეთის ზეგანზე [Лемлейн 1951: 184]. დახვეწილი ნაწარმის გვერდით მდარეხარისხოვანი, უხეში პროდუქციის და წუნის არსებობის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სარდიონის მძივების წარმოება ადგილობრივ ხდებოდა [რამიშვილი 1959: 34], ხოლო ბ. კუფტინი ლეჩხუმში მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას სარდიონის კაჭრების არსებობაზეც კი მიუთითებდა [Куфтин 1944: 52]. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამტკიცდა ე. გო-

გაძის მიერ მუხურჩა-ნოსირში სახელოსნოს ნაშთების მიკვლევის შედეგად [Гогадзе 1985: 60-68. აფაქიძე 1986: 657-660]. საფიქრებელია, რომ № 4 სამარხში 3 ცუდად დამუშავებული სარდიონის მძივისა და ერთი კარგად დამუშავებული წაკვეთილი ფორმის მძივის აღმოჩენაც აღნიშნული მოსაზრების დადასტურება უნდა იყოს [სულავა 1996: 18]. ე. ალექსეევას კლასიფიკაციით, წაკვეთილ-ბიკონუსური ფორმის (მე-8 ტიპი) სარდიონის მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია, როგორც ელინისტური, ასევე რომაული ხანის კომპლექსებისთვის (ინკერმანის მეურნეობა, ქერსონესი, პანტიკაპეონი, ფანაგორია, ტანაისი [Алексеева 1982: 17, ტაბ. 38/42].

№ 13 და № 15 სამარხში მოპოვებული თითო-თითო სარდიონის მძივი წაგრძელებული, დაბრტყელებული და თოთხმეტწახნაგიანია [სულავა 1996: კატ. № 26, 27, სურ. 3, 10]. ეს ფორმა დამახასიათებელია ძვ.წ. I საუკუნეების სარდიონის მძივებისათვის [Алексеева 1982: 15] და გავრცელებულია ამ პერიოდის საქართველოშიც. ამგვარი მძივები მოპოვებულია სამთავროში, ბორში, სუფსაში [Иващенко 1980: 130, 141, 142]. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ისინი აღმოჩენილია ახ.წ. II-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში - ოლბია, ინკერმანის მეურნეობა, ქერსონესი, პანტიკაპეონი, ფანაგორია, ტამანის ნ-კ [Алексеева 1982: 17, ტიპი 15].

სარდიონის სფერული მძივები [სულავა 1996: კატ. № 28, 29, სურ. 4, 5, 17], რომლებიც № 1 და № 2 სამარხებშია მოპოვებული, განსაკუთრებით დამახასიათებელია ახ.წ. I-II სს-თვის. ამგვარი მძივები განსაკუთრებით ბევრია ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში (Алексеева 1982: 14-15, ტაბ. 38/22, ტიპი 2а; Деопик 1959: 131].

ცარცის მძივები. ცარცის (ალებასტრის) მძივები აღმოჩენილია № 1 სამარხში. ცუდი დაცულობის გამო რაიმე კონკრეტულის თქმა ძნელია [შდრ. გიგოლაშვილი 1983: სურ. 4, 17].

უბრალო ქვის მძივები. უბრალო ქვის მძივები გამოვლენილია № 2 ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხში [სულავა 1996: 19].

ბრინჯაოს მძივი. ბრინჯაოს მძივი [სულავა 1996: სურ. 17, კატ. № 68]. ცილინდრული ფორმისაა, დამზადებული უნდა იყოს 3 მმ-ის სისქის ბრინჯაოს ფურცლის მილაკისებურად (დიამეტრი 12 მმ) დახვევით; მძივს შეერთების კვალი ეტყობა. ამგვარი მძივები ოლბიაში ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ კომპლექსებშია, ხოლო ტირიტაკესა და ტანაისში ცხენის აღკაზმულობის ნაწილი იყო [Максименко, Безуглова 1967: 188].

შემთხვევით აღმოჩენილი მძივები:

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ცხეთის სამაროვნის მძივების გარდა ცხეთაშივე შემთხვევით აღმოჩენილი მძივსამკაულიც ინახება.

ქვის მძივები. სარდიონის მძივი ერთი ცალია. იგი ვარდისფერია, სფერული და დაბალი [სულავა 1996: 47, სურ. 27, კატ. № 125]. ამგვარი მძივები გავრცელებულია როგორც ადრეულ ხანაში, ასევე ახ.წ. პირველი საუკუნის კომპლექსებში.

ქალცედონის მძივები წარმოდგენილია კანელურებიანი და კასრისებური ფორმის [სულავა 1996: 48, სურ. 27, კატ. № 125]. 2 ცალი მძივით. ქალცედონის მძივები უმთავრესად გეომეტრიული ფორმისაა. ელინისტურ ხანაში გავრცელებული იყო საკიდიამფორები. კასრისებური და კანელურებიანი მძივები ახ.წ. პირველი საუკუნეებისთვის იყო დამახასიათებელი.

მწვანე (გაურკვეველი ჯიშის) სფერული, დაბრტყელებული დიდი ზომის მძივის მსგავსი [სულავა 1996: 48, სურ. 27, კატ. № 125] მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ძვ.წ. III ს-დან ახ.წ. IV ს-მდე გვხვდება.

უბრალო ქვის მძივები წარმოდგენილია კვირისტავისებური ფორმის მძივით [სულავა 1996: 48, სურ. 27, კატ. № 125].

ქარვის მძივები [სულავა 1996: 48, სურ. 27, კატ. № 125] წარმოდგენილია: 1. კენჭისმაგვარი დაბრტყელებული მძივის ფრაგმენტით, რომლის მსგავსი, ოღონდ მთლიანი ეგზემპლარები არის ცხეთის სამაროვნის № 1 და № 2 სამარხებში.

ამგვარი მძივები პირველი საუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი. 2. სოკოსებური ფორმის მძივით, რომლის მსგავსიც

სხვადასხვანაირი პროპორციისაა, აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში.

ამ ტიპის მძივები ჩნდება III ს-ში, ხოლო IV ს-ში ფართოდ ვრცელდება. 3. წაგრძელებული, ჭრილში სამკუთხაგანივკვეთიანი მძივი, რომლის მსგავსიც ჩრდ, შავიზღვისპირეთში ძირითადად გავრცელებულია I-II ს-ის კომპლექსებში და არსებობს III-IV სს-შიც [Алексеева 1978: 25, ტიპი 44. ტაბ. 24/37].

მინის მძივები. გაუმჭვირვალე ერთფერი მინის მსხლისებური ფორმის (ბიკონუსური) მოლურჯო, მომწვანო და ყვითელი მძივები ცხეთის გარდა აღმოჩენილია მურის ციხესთან და ტვიშში. ამგვარი მძივები ელინისტური ხანისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ გვიანანტიკურ ხანაშიც არსებობენ [სულავა 1996: 49, 50, სურ. 27, კატ. № 125]. შაბიამნისფერი და ყვითელი მსხლისებური ფორმის მძივები დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის, მაგრამ გვიანანტიკურ ხანაშიც არსებობენ [Алексеева 1978: 66, ტიპი 41]. ვანის მასალების მიხედვით ამგვარი მძივები ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხებშია აღმოჩენილი (ვანი, № 9 მეომრის სამარხი, № 10 ბავშვის სამარხი, № 16 მდიდრული სამარხი [გიგოლაშვილი 1983: 104, ტაბ. 48].

მწვანე, სიგრძივღარებიანი მძივები [სულავა 1996: 47, სურ. 27, კატ. № 125] ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ძვ.წ. IV-I სს-ში გვხვდება [Алексеева1978: ტიპი 147, ტაბ. 33/52, 53].

მოშავო-იისფერი, დაბრტყელებული, სფერული მძივები [სულავა 1996: 50, სურ. 27, კატ. № 125] ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში არის როგორც ძვ. წ. II ს-ში, ასევე ახ.წ. I ს-შიც [Алексеева 1978: 65, ტიპი 18, ტაბ. 33/4].

შავ-იისფერი მძივები [სულავა 1996: 50, სურ. 27, კატ. № 125] დამახასიათებელია ჩრდ. შავიზღვისპირეთში I-IV საუკუნეებისთვის [Алексеева 1978: 63, ტიპი 1, ტაბ. 33/1, 2].

შავი, სფერული, სიგრძივღარებიანი მძივები [სულავა 1996: 50, სურ. 27, კატ. № 125] ჩრდ. შავიზღვისპირეთში არის I-IV საუკუნეების კომპლექსებში [Алексеева 1978: 71, ტიპი 141, ტაბ. 33/46].

მილაკისებური, ცისფერი მძივები [სულავა 1996: 50, სურ. 27, კატ. № 125] ხმარებაში იყო ახ.წ. I-IV სს-ში [Алексеева 1978: 67, ტიპი 68, ტაბ. 33/14].

ლურჯი, დაწახნაგებული მძივის [სულავა 1996: 50, სურ. 27, კატ. № 125] მსგავსი ეგზემპლარები გავრცელებული ჩანს II-IV სს-ში [Алексеева 1978: 70, ტიპი 134, ტაბ. 33/41].

გამჭვირვალე ერთფერი მინის, სფეროსებური, გადაბმული და გადაუბმელი, მინის გაწელვის ტექნიკით დამზადებული უფერული მძივები [სულავა 1996: 49, სურ. 27, კატ. № 125], რომელთაც ღარის ირგვლივ დამახასიათებელი ნაწიბურები აქვთ, გავრცელებულია ახ.წ. I-II სს-ში [Алексеева 1978: 65, ტიპი 17, ტაბ. 33/1-3].

ცისფერი „დელფინის" კუდის ფრაგმენტის [სულავა 1996: 48, 49, სურ. 27, კატ. № 125] ანალოგიურია ქერსონესის საკიდი [Алексеева 1978: 73, ტიპი 184, ტაბ. 34/21]. ფიგურული საკიდების უმრავლესობა დამახასიათებელია ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებისათვის [Алексеева 1978: 62]. დელფინის გამოსახულებიანი საკიდები აღმოჩენილია ფიჭვნარში [ვაშაკიძე, კახიძე 1979: 70, 79, ტაბ. XXXIII/5], დაბლაგომის ბ. კუფტინის მიერ ძვ.წ. VI-III სს-ით დათარიღებულ ქვევრსამარხში [Куфтин 1950: 52, 75; თოლორდავა 1980: 14, შენ. 36].

ცრემლისებური ფორმის, ყუნწიანი, თაფლისფერი მძივის [სულავა 1996: 49, სურ. 27, კატ. № 125] მსგავსი საკიდები გავრცელებულია ჩრდ. შავიზღვისპირეთში II-III სს-ის კომპლექსებში [Алексеева 1978: 72, ტიპი 162, ტაბ. 33/67].

მწვანე, სიგრძივ დაღარული, გამჭვირვალე მძივის [სულავა 1996: 49, სურ. 27, კატ. № 125] მსგავსი, ოღონდ ცისფერი მინისა, რომელსაც ბ. კუფტინი გოგრისებურ გვერდებდაღარულს უწოდებს, ცნობილია დაბლაგომიდან [Куфтин 1950: 53, ტაბ. 15/2]. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ახ.წ. IV საუკუნის კომპლექსებშია [Алексеева 1978: 71, ტიპი 147, ტაბ. 33 /51-53].

პოლიქრომიული მძივები. შავი, სფერული, მუცელზე ორი თეთრი ზოლით შემკული მძივების [სულავა 1996: 49, სურ. 27, კატ.

№ 125] მსგავსი ცალები აღმოჩენილია სამთავროს ახ.წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებულ კრამიტსამარხებში [Иващенко1980: 212], ვანში [გიგოლაშვილი 1983: 109, კატ. № 468]. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების კომპლექსებშია დადასტურებული [Алексеева 1978: 40, ტიპი 141, ტაბ. 27/4, 5].

შავი, კასრისებური, სპირალური თეთრი ზოლით შემკული მძივის მსგავსი მძივები ჩრდ. შავიზღვისპირეთში ძვ.წ. პირველი საუკუნიდან გავრცელდა და ახ.წ. პირველ საუკუნეშიც იხმარებოდა [Алексеева 1978: 44, ტიპი 200, ტაბ. 28/1, 5].

კვირისტავის ფორმის, სპირალური თეთრხაზებიანი ლურჯი მძივების მსგავსი სამკაული, როგორც ერთფერი ასევე ფერადი, აღმოჩენილია ურბნისში [ჭილაშვილი 1964: 121; უგრელიძე 1961], I-III სს-ის მონასტერის სამაროვანზე [Гаглоев Р.Х. 1980: ტაბ. C.8], მცხეთასთან „ტუიაქოჩორას" სამაროვანზე [ნიკოლაიშვილი 1978: 161, 166, სურ. 644, 645]. დას. საქართველოში კვირისტავისებური მძივი ცნობილია წებელდის ორმოსამარხის კომპლექსიდან, რომელიც V ს-ის ბოლოთი და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Воронов 1982: 149, სურ. 17/18].

კვირისტავის ფორმის მინის მძივი ცნობილია მინგეჩაურის III-IV სს-ის ძელური კატაკომბური სამარხიდან, ქვევრსამარხიდან, გარნის რომაული ხანის ფენებიდან. ანალოგიური მძივები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიაში, საქსონიაში, შვეიცარიაში, რუსულ ყორღანებში [სულავა 1996: 51, 52, იხ. მით. ლიტ.][5].

ოქროფენილი ორნაწილიანი და სამნაწილიანი, სფერული გადაბმული მძივები [სულავა 1996: სურ. 27, კატ. № 125] ახ.წ.-ის დასაწყისიდან ვრცელდება [Алексеева 1978: 28-29]. ამგვარი მძივები არის სამთავროს ახ.წ. I-III სს-ის სამარხებში [Иващенко1980: 134], კლდეეთში [ლომთათიძე 1954: 57, ტაბ. XVIII/1], წებელდის სამაროვანზე [Грязнов 1961: 199], ჩრდ. შავიზღვისპირეთისა [Алексеева 1978: 28-29, ტიპი Ib, ტაბ.26/8] და ჩრდ. კავკასიის ძეგლებზე [Деопик 1959: 55, 56, სურ. 22/3].

ერთმანეთზე გადაბმული ოთხი დაბრტყელებული მრგვალი მძივიც [სულავა 1996: სურ. 27, კატ. № 125,) გვიანანტიკური ხანიდან გავრცელებული გადაბმული მძივების ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ (ე. ალექსეევას კატალოგში ამ ტიპის მძივი არ არის).

სამნაწილიანი მძივი - ორ დაბრტყელებულ მძივს შორის ჩასმული ასევე დაბრტყელებული წაგრძელებული მძივი [სულავა 1996: 53, სურ. 27, კატ. № 125) ჩრდ. შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია I-III სს-ის კომპლექსებისათვის [Алексеева 1978: 32, ტიპი 25, ტაბ. 26/70]. არის ჩრდ. კავკასიის ძეგლებზეც (ჩეგემი, კომბულთა) [Деорик 1959: 55-56, სურ. 2/6,7].

მძივსამკაული ლეჩხუმის სხვა პუნქტებშიც არის აღმოჩენილი: მურის ციხის მიდამოებში [სულავა 1996: 60, 62, კატ. 134, 137, სურ. 28; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 41], უსახელოში [სულავა 1996: 66, 67, კატ. 152/1-5, სურ. 29], ტვიშში [სულავა 1996: 83, 84, კატ. 166/1-10, სურ. 31], აღვში [სულავა 1996: 89, კატ. 180, სურ. 33], ლაჯანაში [სულავა 1996: 89, კატ. 181, სურ. 33] დეხვირში [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 341].

ამგვარად, ცხეთის სამაროვანზე გამოვლენილი მძივებიდან უმეტესობა უცხოური ნაწარმია და მათი ძირითადი ნაწილის შემოსვლა ლეჩხუმში (მთიან კოლხეთში) ცხეთის სამაროვნის ქრონოლოგიაზე დაყრდნობით ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: ძვ.წ. II-I სს და ახ.წ. I-IV სს. ეს მოვლენა, სავარაუდოდ, იმ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ სიტუაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც ძვ.წ. III ს - ახ.წ. IV ს-ის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა. ძვ.წ. III-I სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ისტორიული კოლხეთი) საკმაოდ დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა სხვადასხვა ასორტიმენტის უცხოური ნაწარმი. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე შექმნილმა არასახარბიელო ვითარებამ ქვეყნის რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაშლა გამოიწვია. ასეთი ვითარება შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით ჯერ მითრიდატე პონტოელის,

[5] ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით ეს მძივები მიჩნეულია საკინძისთავებად, რადგან ზოგიერთ მათგანში ლითონის ღეროს ნაშთი დადასტურდა [საგინაშვილი 2004: 143-146].

შემდეგ კი რომაელების მიერ, ხოლო აღმოსავლეთი ოლქებისა - ქართლის სამეფოს მიერ [ლორთქიფანიძე 2002: 259-266]. სწორედ ამ პერიოდში უნდა შემცირებულიყო უცხოური ნაწარმის, მათ შორის მძივ-სამკაულის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ახ.წ. III ს-დან ვითარება იცვლება, ძლიერდება ეგრისის (ლაზიკის) სამეფო, რასაც ბუნებრივია მეურნეობის [ლომოური 1973: 159-188], მათ შორის ვაჭრობის აღორძინება მოჰყვა და შესაბამისად ლეჩხუმში ისევ განახლდა უცხოური მძივების შემოსვლა.

Tina Kakhelishvili

Beads of the Tsageri History Museum

Summary

The beads housed in the Tsageri History Museum are represented by the artifacts, discovered at the Tskheta necropolis and casual finds in various places.

Out of 15 burials revealed at the Tskheta necropolis, beads were discovered only in 7 ones. The necropolis is dated to the 3rd century BC-4th century AD.

According to the material and its origin the beads discovered on Tskheda necropolis can be divided into two groups – imported and local.

Imported beads include: amber beads, artefacts made of Egyptian ფაიენცე, monochromous glass (transparent and non-transparent) beads, polychromous glass and gold sandwich glass beads.

The locally produced beads include: beads made of chalcedony, sardonyx, chalk, ordinary stones, and bronze.

As for the beads that were found in different locations (environs of the Muri castle, in Usakhelo, Tvishi, Aghvi, Lajana, Dekhviri), they include beads made of local stones (sardonyx and chalcedony) and imported products: amber beads, glass beads (transparent and non-transparent), polychromous glass, and gold sandwich glass beads.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1978: დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები. I. თბილისი.

აფაქიძე ჯ. 1986: ფერადი ქვისა და მინის მძივების წარმოების საკითხისათვის ძველ კოლხეთში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 123, № 3. თბილისი.

გიგოლაშვილი ე. 1983: მძივ-სამკაული. ვანი VII. თბილისი.

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გოგაძე ე., დავლიანიძე ც, ფანცხავა ლ, ლომიტაშვილი დ. 2010: ქვის მძივების საწარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან (მუხურჩის „ნაწისქვილარი", ოჩხომური, ნოქალაქევი). ძიებანი, № 29.

გოგიბერიძე ნ. 1984: ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთი ტიპი. საქრთველოს სსრ მეცნიერებათა აკდემიის მაცნე, № 4, თბილისი.

დავლიანიძე ც. 1983: ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი.

ვაშაკიძე ნ., კახიძე ა. 1979: არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს. სდსძ, VIII. თბილისი.

თოლორდავა ვ. 1976: არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წწ. ვანი II. თბილისი.

თოლორდავა ვ. 1980: დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი.

ლომთათიძე გ. 1954: კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.

ლომოური ნ. 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები II. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

მგელიაშვილი თ. 1991: საქართველოს გეოარქეოლოგია. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. 1978: ტუიაქოჩორას სამაროვანი. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, II. თბილისი.

რამიშვილი რ. 1959: კამარახევის სამაროვანი.მსკა, II. თბილისი.

საგინაშვილი მ. 2004: კიდევ ერთხელ კვირისტავის ფორმის მინის საკინძისთავების შესახებ. ძიებანი, №13-14.

სინაურიძე მ., ბერიძე თ. 1971: კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები. ძეგლის მეგობარი, № 27-28. თბილისი.

სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში. თბილისი.

წითლანაძე ლ. 1976: ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. 2012.

ჩართოლანი შ. 1968: ლარილარის სამაროვანი. სკმაის. თბილისი.

ჩართოლანი შ. 1976: მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. თბილისი.

Алексеева Е. М. 1975: Античные бусы Северного Причерноморья. ГI-12. Москва.

Алексеева Е. М. 1978: Античные бусы Северного Причерноморья. ГI-12. Москва.

Алексеева Е. М. 1982: Античные бусы Северного Причерноморья. ГI-12. Москва.

Воронов Ю. Н., Шенкао И.К. 1982: Вооружение воинов Абхазии IV – VIII вв. Сб.: Древности эпохи великого переселения народов V-VII веков. Москва.

Гаглоев Р.Х. 1980: Археологические изыскания на Монастерском могильнике. ПАИ в 1977 г. Тб.

Деопик В.Б. 1959: Классификация бус Северного Кавказа. СА, № 3.

Иващенко М.М. 1950: Кувшинный могильник в Западной Грузии. СА, XIII.

Иващенко М.М. 1980: Самтаврские погребения первых трех веков н.э. Мцхета. III. Тб.

Кигурадзе Н.Ш. 1976: Дапнарский могильник. Тб.

Куфтин Б. А: Материалы к археологии Колхиды II, Тб., 1950.

Максименко В.Е., Безуглова С.И. 1967: Позднесарматские погребения в курганах на реке Быстрой. СА, № 1.
Пиотровский Б.Б. 1958: Древнеегипетские предметы найденные на территории Северного Кавказа. СА, № 1.
Трапш М. М. Труды, т. 2, Сухуми, 1969.
Уварова П.С. 1900. Могильники Северного Кавказа. МАК, VIII. СПб.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – ქარვის მძივები (22-24); სარდიონის მძივები (26-29);
ქალცედონის მძივი (30); ეგვიპტური ფაიანსი (33-35);
მინის პოლიქრომიული მძივები (53-60); მინის ოქროფენილი მძივები (61-67);

ტაბ. II – მინის გაუმჭვირვალე მძივები (41-52); მინის გამჭვირვალე მძივები (36, 38-40).

Descrion Of The Plates

Pl. I - Amber beads (22 - 24); carnelian beads (26 - 29)
Chalcedony beads (30); Egyptian Fritware (33-35)
poly-chromatic glass beads (53 - 60)
plated glass beads (61 - 67)

Pl. II - nontransparent glass beads (41- 52)
transparent glass beads (36,38 - 40)

I


22
29
25
24
28
23
26
27
30
31
32
34
35
69
68
33
63
61
65
66
64
54
59
58
60
57
55
56
53

II



მაია პატარიძე

ლეჩხუმში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები

ანტიკური პერიოდის ქართული ნუმიზმატიკის კვლევა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო და საკმაოდ კარგად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს [ძირითადი ბიბლიოგრაფია იხ.: Дундуа 1987: 3-5, 165-181].

ანტიკურ პერიოდში, საქართველოსა (იბერია-კოლხეთის) და გარე სამყაროს პოლიტიკური და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლის საქმეში უდიდესი როლი ფულად მიმოქცევას, კერძოდ კი მონეტების გავრცელების არეალს – ტოპოგრაფიას ენიჭება.

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის საფუძველზე ვაჩვენოთ, ისტორიული კოლხეთის მთიანი რეგიონის, კერძოდ, ლეჩხუმის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები კოლხეთის ბართან და გარე სამყაროსთან. საკვლევ მასალას წარმოადგენს ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური მასალა, და აგრეთვე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცული ლეჩხუმიდან შემოსული მონეტები.

ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ნუმიზმატიკური ძეგლები წარმოადგენს ვერცხლის მონეტებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური თეთრის'' სახელითაა ცნობილი.

კოლხური თეთრის ემისიაში რვა სამონეტო ტიპი გამოიყოფა: **1** – ტეტრადრაქმა, **Av.** ლომის თავი, **Rv.** ცხენის პროტომა; **2** – **A** I ტიპის დიდრაქმა, **Av.** მწოლიარე ლომი, **Rv.** დაჩოქილი ფიგურა; **3** – II ტიპის დიდრაქმა, **Av.** ადამიანის პროფილი, **Rv.** კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული ადამიანის ორი პროფილი ერთმანეთის საპირისპიროდ; **4** – III ტიპის დიდრაქმა, **Av.** ადამიანის თავი, **Rv.** ორი ხარის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ; **5** – დრაქმა, **Av.** ლომის სკალპი, **Rv.** ხარის თავი კვადრატუმ ინკუზუმში; **6** – I ტიპის ნახევარდრაქმა, **Av.** დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება პროფილში, **Rv.** ძუ ლომის პროტომა ჩაჭდეულ კვადრატში; **7** – II ტიპის ნახევარდრაქმა, ტრიობოლი, **Av.** ადამიანის თავი პროფილში, **Rv.** ხარის თავი; **8** – ჰემიტეტარტემორიონი, **Av.** ადამიანის თავი, **Rv.** ფრინველი [დუნდუა, კახიძე 1978: 70. Дундуа 1987: 28].

მონეტების ამ ჯგუფიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე დიდი რაოდენობით, ათასობითაა აღმოჩენილი ტრიობოლები. სწორედ ამ მონეტებს აღნიშნავდა ტერმინი „კოლხური თეთრი'' თავდაპირველად [დუნდუა, კახიძე 1979: 30]. ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია აღნიშნული ტიპის (II ტიპის ნახევარდრაქმა, ტრიობოლი) – ხუთი ეგზემპლარი.

ესენია:

ტაბ. I – წ. 1,42 გრ.; ზ. 11/11 მმ. ტაბ. I, № 1.

1/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი წერტილოვან რკალში.

1/2 Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

ტაბ. I – წ. 2,19 გრ.; ზ. 11/11 მმ ტაბ. I, № 2.

2/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი წერტილოვან რკალში.

2/2 Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

ტაბ. I – წ. 2,20 გრ.; ზ. 11/11 მმ ტაბ. I, № 3.

3/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი ხაზოვან რკალში.

3/2 Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

ტაბ. I – წ. 1,90 გრ.; ზ. 11/11 მმ ტაბ. I, № 4.

4/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი წერტილოვან რკალში.

4/2 Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

ტაბ. I – წ. 1,96 გრ.; ზ. 12/12 მმ ტაბ. I, № 5.

5/1 Av. ადამიანის თავი, მარჯვნივ მიმართული, წერტილოვან რკალში.

5/2 Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

კოლხური თეთრის ეს ტიპი უამრავი ვარიანტითაა ცნობილი და „ლეჩხუმურ“ ეგზემპლარებშიც იგივე სურათია. როგორც აღწერილობიდან ჩანს, თითოეული ეგზემპლარი განსხვავდება სიქით და წონითი რემედიუმიც მერყეობს - 1,42 გრ-დან 2,20 გრ-მდე.

რაც შეეხება II ტიპის ნახევარდრაქმიანების (ტრიობოლების) დათარიღების საკითხს, ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი აზრი არსებობს [Wroth 1889: 64. Lang 1955: 6-7. Lang 1957: 138-139. დუნდუა 1997: 231]; მათი კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან ერთად აღმოჩენის ფაქტები საშუალებას იძლევა, მოჭრის თარიღად ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარი იქნას მირებული [დუნდუა 2003: 42]. ემისიის შეწყვეტის მიზეზად მიჩნეულია ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სახელით მოჭრილი სტატერების მასობრივი გავრცელება კოლხეთის ფარგლებში [Голенко, Капанадзе 1966: 37].

მიუხედავად იმისა, რომ კოლხური თეთრი არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი იყო წლების განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. განსაკუთრებით ეს ეხება ემიტენტის საკითხს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი კოლხურ თეთრს კოლხეთის ხელისუფლების მიერ მოჭრილად თვლის [Капанадзе, Голенко 1957: 88-95. Голенко, Капанадзе 1966: 35. კაპანაძე 1969: 27. Лордкипанидзе 1977: 250-255], ხოლო მეორენი თვლიან, რომ კოლხური თეთრის ემისია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქების, კერძოდ კი, ფასისის პრეროგატივა იყო [დუნდუა 1972: 66-70. Болтунова 1973: 97-103. დუნდუა, კახიძე 1979: 69-73. დუნდუა 2003: 43-44]. ერთ-ერთი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ეს მონეტები კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მიერ მოჭრილად ითვლება, არის კოლხური თეთრის გავრცელების ფართო არეალი [კაპანაძე 1969: 27].

ეს სამონეტო ჯგუფი გავრცელებულია როგორც კოლხეთის შიდა რეგიონებში – მდინარე რიონის აუზი [Капанадзе, Голенко 1957: 89], ასევე მის სანაპირო ზოლში - ქობულეთ-ფიჭვნარსა [კახიძე, ვიკერსი 2004: 16] და აფხაზეთის ტერიტორიაზე [Шамба 1987: 17-18]. რადგან, როგორც ჩანს, „მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ძარღვი ქვეყნისა რიონის ხეობაზე გადიოდა შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე“ [მიქელაძე 1974: 174, 191]. ამდენად, როგორც რაჭაში, ამბროლაურში და ონში [Зограф 1945: 121], ისე ლეჩხუმში, კოლხური თეთრების აღმოჩენა ლოგიკურია.

გარდა ზემოაღწერილი მონეტებისა, არსებობს ცნობა, რომ 1908 წელს ლეჩხუმში[1], მურის ციხესთან აღმოჩენილა 12 ცალი „კოლხური თეთრი“, რომელიც შეუძენია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიურ განყოფილებას [Зограф 1945: 56].

ლეჩხუმში, სოფელ დღნორისაში (მდ. რიონის ხეობის მარცხენა ნაპირი), აღმოჩნდა 180 ერთეული კოლხური თეთრი (ტრიობოლები). ამჟამად, მხოლოდ 80 მონეტაა დაცული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [წიტაიშვილი 1978: 140, 142; სულავა 1996: 90].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში დაცულია 310 ცალი კოლხური თეთრი ლეჩხუმიდან ე.წ. „ლეჩხუმის განძი“ [Дундуа 1987: 16, 22. სულავა 1996: 90]

[1] ა. ზოგრაფი შეცდომით ქვემო სვანეთს უწოდებს-მ.პ.

კოლხური თეთრის აღმოჩენის შემთხვევები სვანეთშიც არის ცნობილი [პატარიძე 2011: 18]; და ვინაიდან, მურის ციხე სვანეთის და ლეჩხუმის საზღვარია, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სვანეთში ფული ლეჩხუმისა და რაჭის შიდა სახმელეთო გზითაც მოხვდა, რადგან გარდა ფასის-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალისა, აშკარაა, რომ ეს მონეტები სახმელეთო გზებითაც ვრცელდებოდა.

სვანეთში და ლეჩხუმში კოლხური თეთრის პოვნა, ზრდის ამ ჯგუფის მონეტების არეალს და კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ძვ.წ. V ს-ში ფულადი-სასაქონლო ურთიერთობა ბევრად ვრცელ ეკონომიკურ სივრცეს, ერთმანეთისგან დაშორებულ რეგიონებს, მოიცავდა. ფაქტია, რომ თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში, მის ყველა რეგიონში გვხვდება კოლხური თეთრი, განსაკუთრებით კი II ტიპის ნახევარდრაქმიანები. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მათი მიმოქცევის არეალმა არ შეიძლება კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემა გადაჭრას [დუნდუა 1972: 70]. გენეზისის საკითხი მეტად აქტუალურია და დღესაც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა და მნიშვნელოვანიც ის საკითხი, რომ ეს მონეტები იჭრებოდა შიდა კოლხური აუცილებლობით, და მაშასადამე, სოციალურ-ეკონომიკური დონე კოლხეთისა ამისათვის მზად იყო [სულავა 1996: 90].

კოლხური თეთრი ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასა და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ექვივალენტის როლსაც [დუნდუა, კახიძე 1979: 72].

კოლხური თეთრის აღმოჩენის ფაქტები და ლეჩხუმის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (აღსანიშნავია, ცხეთის სამაროვანი, და აგრეთვე, ლეჩხუმის სხვადასხვა სოფლებში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული წარმოშობის მასალა [სულავა 1996: 46][2]), უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ანტიკური ხანის სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში კოლხეთის ბართან და მთასთან, სვანეთთან [პატარიძე მ. 2011: 23] ერთად, მთისწინა ზოლის მოსახლეობაც მონაწილეობდა. [სულავა 1996: 98].

ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მთის მოსახლეობა კარჩაკეტილად არ ცხოვრობდა. ლეჩხუმის და სვანეთის მოსახლეობას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა კოლხეთის ბართან და ბარის საშუალებით – ანტიკური სამყაროს ქვეყნებთან. კოლხური თეთრის გამოჩენა მთაში, რაჭაში, კერძოდ, ბრილსა [Зограф 1951: 58-59] და ლიხეთში ძვ.წ V-IV საუკუნის სამარხში [საქართველოს არქეოლოგია 1959: 199], ლეჩხუმში [სულავა 1996: 90] და რასაკვირველია, სვანეთში, იმის მანიშნებელია, რომ აქ, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც კოლხეთის შიდა რეგიონებში, მაგრამ ფულადი სასაქონლო ურთიერთობა დაწყებულია.

კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული [Голенко, Капанадзе 1966: 37]. „კოლხურმა თეთრმა ვერ გაუძლო სრულფასოვანი ოქროს მონეტების ექსპანსიას ბაზარზე“ [დუნდუა, დუნდუა 2006: 61]. მსოფლიო პროცესების პარალელურად, კოლხეთში ახალი, ელინიზმის ხანა დაიწყო, რასაც ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება მოყვა [ინაძე 2009: 244]. საგარეო ვაჭრობამ „მსოფლიო“ ხასიათი მიიღო. კოლხეთი აქტიურად ურთიერთობს ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან [ლორთქიფანიძე 1966: 118-119].

---

[2] მასალები დაცულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში.

ძვ.წ. IV-III საუკუნეში კოლხეთში, მის ბარში და მთის რეგიონში, ლეჩხუმში, განსაკუთრებით კი, სვანეთში ცხოვრების გააქტიურება შეინიშნება. გარე სამყაროსთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უტყუარი საბუთი, გარდა ბერძნულ-რომაული წყაროებში ასახული ცნობებისა, კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს ოქროს სტატერის მინაბაძის აღმოჩენაც [Лордкипанидзе 1979: 195. Дундуа 1987: 85].

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია).

ჩვეულებრივ, ალექსანდრე მაკედონელის სტატერებზე მოთავსებულია წარწერა „ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე მეფე), ან მხოლოდ – „ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტები, რომლებზეც მონარქი მოხსენიებულია მეფის ტიტულის გარეშე, ძვ.წ. 329 წელზე უფრო ადრეულია [დუნდუა 1973: 61]. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ცაგერის ისტორიული მუზეუმის ეგზემპლარიც:

ტაბ. I ალექსანდრე მაკედონელის სტატერი – წ. 8,47. ზ. 19/18

6/1 Av. ქალღმერთ ათენას გრძელთმიანი თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში, მარჯვენა პროფილით, მუზარადზე დაკლაკნილი გველია გამოსახული.

6/2 Rv. ფრთოსან ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით გრძელ ქიტონში, მარცხნივ მიმავალი. მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. მარჯვენა ხელს ქვემოთ ამოტვიფრულია მონოგრამა. ქალღმერთის მარცხენა მხარეს ზედწერილი: „ΑΛΕΞΑΝΔΡΟ[Υ]“ (ალექსანდრე).

ელინისტურ ხანაში კოლხეთის მთიან რაიონებში ფულის ინტენსიური ბრუნვის აშკარა მაგალითია ზემო სვანეთში სოფ. მულახში ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეიონის ოქროს სტატერები, რომლებიც აქ განძის სახით (30-მდე მონეტა) იქნა აღმოჩენილი [Зограф 1935: 187. ჩართოლანი 1976: 53. Дундуа 1987: 53]. მათგან მხოლოდ ერთი ეგზემპლარი შემორჩა და დაცულია მესტიის მუზეუმში [პატარიძე 2011: გვ. 26].

ძვ.წ. III საუკუნის ბოლოდან შავზღვისპირეთში სავაჭრო მონეტის როლს ასრულებდა ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები. საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ლისიმაქეს ოქროს მონეტების აღმოჩენის ექვსი შემთხვევაა აღრიცხული [დუნდუა 1973: 59], აქედან ორი ეგზემპლარი სვანეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ერთი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმშია დაცული [Дундуа 1987: 48], ხოლო მეორე, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში [Дундуа 1987: 49].

ძვ.წ. II საუკუნიდან ძვ.წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე სამონეტო ცირკულაციაში შემოდის ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სტატერების მინაბაძები. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე კლებულობს პოპულარული მონეტების შემოსვლა, მოთხოვნის შევსება ხდება მინაბაძების საშუალებით [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: 72]. მინაბაძებს სრულფასოვანი ფულის ფუნქცია აქვს. ამაზე მიუთითებს, ის გარემოება, რომ სქემატურგამოსახულებიანი ცალების გარდა, გვხვდება შედარებით სრულყოფილი ეგზემპლარებიც, რომელთაც აქვთ საკმაოდ მაღალი წონა, სინჯი და აღმოჩენილია კანონიერ მონეტებთან ერთად [Дундуа 1987: 55].

ტაბ. I ლისიმაქეს ტიპის სტატერის მინაბაძი. წ. 4,75 გრ.; ზ. 19/20 მმ.

7/1 Av. ალექსანდრე მაკედონელის მარჯვნივ მიმართული, უკიდურესად სქემა-

ტური პორტრეტი მკვეთრად გამოხატული კუთხოვანი ცხვირით.

7/2 Rv. ტახტზე მჯდომი ათენა პალადა ნიკეთი. ქვემოთ – სამთითა, რომელიც მარცხნივაა მიმართული. წარწერის ნაცვლად ჰორიზონტული ხაზები.

ტაბ. I ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ. 3,10 გრ.; ზ. 16 მმ.

8/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ სამი, ხოლო უკან ორი რელიეფური წერტილი.

8/2 Rv. ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი), გამოსახულების ორივე მხარეს თითო წყვილი რელიეფური წერტილი.

ტაბ. I ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ. 3,09 გრ.; ზ. 17/11 მმ.

9/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. წინ ოთხი რელიეფური წერტილი.

9/2 Rv. ფრთოსანი არსება (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი)

მონეტა გატეხილია და ორ ფრაგმენტადაა წარმოდგენილი.

ტაბ. I ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ. 3,20გრ.; ზ. 16 მმ.

10/1 Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ ოთხი წერტილია, ერთ-ერთ წერტილზე სქემატური ჩიტი ზის, ხოლო უკან ორი რელიეფური წერტილი.

10/2 Rv. ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი) გამოსახულების ორივე მხარეს რამოდენიმე წყვილი რელიეფური წერტილი.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები დათარიღებულია ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებით, ვინაიდან ისინი უმეტეს შემთხვევაში აღმოჩენილა სამარხებში კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად [Дундуа 1987: 93. დუნდუა, დუნდუა 2006: 72].

ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქრება ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს მინაბაძები მიმოქცევიდან, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება რომაული მონეტები. ლეჩხუმში აღმოჩენილია იმპერატორ ტრაიანესა (98-117 წწ) და იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ) მიერ მოჭრილი პროვინციული მონეტები. ისინი მოჭრილია კესარიაში:

ტაბ. II - რომი. დენარი. იმპერატორი ტრაიანე (98-117 წწ.) პროვინციული მონეტა. მოჭრილი კესარიაში. წ. 1,90 გრ.; ზ. 17/16 მმ.

11/1 Av. ტრაიანეს დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინით, მარჯვენა პროფილით. ირგვლივ საკმაოდ სქემატური წარწერები.

11/2 Rv. მარჯვნივ მიმართული შიშველი აპოლონი, მარჯვენა ხელში დაფნის ტოტითა და მარცხენაში – მშვილდისრით. ირგვლივ წარწერები.

ტაბ. II - რომი. დიდრაქმა. იმპერატორი. ადრიანე (117-138 წწ.), პროვინციული მონეტა. მოჭრილი კესარიაში. წ. 6,00 გრ.; ზ. 21/21 მმ.

12/1 Av. ადრიანეს თავის დაფნისგვირგვინიანი გამოსახულება მარჯვნივ მიმართული პროფილით. გარშემო ლათინურად - ადრიანოს სევასტოს.

12/2 Rv. არგეის მთა მწვერვალზე გაურკვეველი ფიგურით, გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ვარსკვლავები. ირგვლივ წარწერა და წერტილოვანი რკალი.

ადრიანეს მონეტები დიდი რაოდენობითაა დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, კერძოდ ორ დიდ განძში - ეკის და სეფიეთის [დუნდუა 1979].

მათ აღმოჩენას ლეჩხუმში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ მონეტების გავრცელების აქამდე არსებულ ტოპოგრაფიაში კოლხეთის მთიანი რეგიონი არ ფიგურირებს და ამდენად მოსაზრებას, რომ ეს მონეტები დასავლეთ საქართველოში მხოლოდ შავი ზღვის საშუალებით შემოდიოდა და არა შავი ზღვის გასწვრივი სახმელეთო გზით, ეჭვის ქვეშ დგება [Голенко 1964: 32. დუნდუა 1979: 10]. თუმცა მონეტების მცირე რაოდენობის გამო, ამ მოსაზრების დაბეჯითებით მტკიცებას ამ ეტაპზე ვერ შევძლებთ.

ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იბერიაში შემოდის ე.წ. გოტარზესის, დღეისათვის მიღებული ატრიბუციით არტაბან II-ის (ახ.წ. 10-38 წწ) დრაქმა და ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 ახ.წ. 14) რომაული დენარი.

დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონში ეს მონეტები პრაქტიკულად არ გვხვდება, გარდა სოფელ ბორში (ხარაგაულის რაიონი) აღმოჩენის ერთი შემთხვევისა. [აბრამიშვილი 1974: 60-61]. ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ ავგუსტუსის დენარები ამიერკავკასიაში შემოდიოდა არა საზღვაო გზით და, შესაბამისად, არა უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან, არამედ პერიფერიიდან, სამხრეთიდან, ევფრატის ზემო წელიდან, მესოპოტამიის საზღვრებიდან [Голенко 1964: 43][3].

ავგუსტუსის დენარები ხანგრძლივად მიმოიქცეოდა იბერიის ტერიტორიაზე, I საუკუნიდან III საუკუნის შუახანებამდე იბერიის ეკონომიკაში ამ სამონეტო ჯგუფის როლი აშკარაა [დუნდუა, დუნდუა 2006: 125]. შემდგომში აღნიშნული მონეტების რიცხვის შემცირებამ გამოიწვია III საუკუნის შუა ხანებიდან ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი [კაპანაძე 1969: 44. დუნდუა, დუნდუა 2006: 125].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციებში, განძების ფონდში ავგუსტუსის დენარის მინაბაძის 15 ეგზემპლარია დაცული, აქედან ერთი აღმოჩენილია სვანეთში, სოფელ ცხუმურში (გ. ფ. № 5103[4]); ხოლო ლეჩხუმში (ცაგერში) აღმოჩენილია აგრეთვე ერთი ცალი (გ. ფ. № 9446).

ცაგერის მუზეუმში ავგუსტუსის დენარის მინაბაძის ხუთი ერთეულია დაცული. ყველა ადგილობრივ, ლეჩხუმშია აღმოჩენილი; მათ შორის ერთი სამარხეულია[5], (აღმოჩენილია გონაზე), სავარაუდოდ, ის „ქარონის ობოლს" წარმოადგენს, ვინაიდან, მიცვალებული სამარხში № 7 თავის ქალის არეში, პირის ღრუში, კბილებს შორის იყო მოთავსებული[6]. მონეტის მიხედვით სამარხი III საუკუნეს განეკუთვნება.

ცაგერის მუზეუმში დაცული ავგუსტუსის მინაბაძის აღწერილობა :

ტაბ. II ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ბარბაროსული მინაბაძი – ვერცხლი. წ. 2,63 გრ. ; ზ. 19/19მმ.

13/1 Av. იმპერატორის ნაკლებად სქემატური პროფილი მარჯვნივ. თმებზე ჩიტების სქემატური გამოსახულებები, წინ წარწერა (?), მონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

13/2 Rv. გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი სქემატური გამოსახულება. ისინი ეყრდნობიან მახვი-

[3] საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ კაბინეტში დაცულია ინფორმაცია, რომლის მიხედვით 2001 წ. აგვისტოში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მოქალაქე ლიპარტელიანმა წარმოადგინა მესტიის ტერიტორიაზე აღმოჩერნილი 18 მონეტა, მათგან ცხრა – ავგუსტუსის დენარი (რომი) და ცხრა – გოტარზესის დრაქმა. სამწუხაროდ მონეტები მუზეუმმა ვერ შეიძინა. ამდენად, ავგუსტუსის დენარის გავრცელების ტოპოგრაფიაში მხოლოდ ამ ცნობით კორექტივს ვერ შევიტანთ, მაგრამ ინფორმაცია, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია.

[4] გ. ფ. - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექცია, განძების ფონდი.

[5] 2007 წლის ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციის ხელმძღვანელი გურამ გაბიძაშვილი.

[6] მასალა გამოქვეყნებული არ არის.

ლებს, შუაში ფარია. გამოსახულების გარშემო წერტილოვანი რკალი.

ტაბ. II ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ბარბაროსული მინაბაძი – ვერცხლი. წ. 3,00 გრ. ; ზ. 18/18 მმ.

14/1 Av. იმპერატორის უაღრესად დამახინჯებული პროფილი მარცხნივ. ონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

14/2 Rv. გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი სქემატური გამოსახულება. ისინი ეყრდნობიან მახვილებს, შუაში ფარია. გამოსახულების გარშემო წერტილოვანი რკალი.

ტაბ. II ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ბარბაროსული მინაბაძი – ვერცხლი. წ. 1,60 გრ. ; ზ. 17/18 მმ.

15/1 Av. სავარაუდოდ იმპერატორის უაღრესად დამახინჯებული პროფილი უნდა იყოს. მონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

15/2 Rv. ფრაგმენტულად და ბუნდოვნად შეიძლება ამოვიკითხოთ გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულებები.

ტაბ. II ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ბარბაროსული მინაბაძი – ვერცხლი. წ. 1,21 გრ.; ზ. 14/17 მმ.

16/1 Av. იმპერატორის უაღრესად დამახინჯებული პროფილი მარცხნივ. მონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

16/2 Rv. გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი სქემატური გამოსახულება. ისინი ეყრდნობიან მახვილებს, შუაში ფარია. გამოსახულების გარშემო წერტილოვანი რკალი.

ტაბ. II ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ბარბაროსული მინაბაძი – ვერცხლი. წ. 3,01 გრ.; ზ. 19/20 მმ. მონეტა აღმოჩენილია ცაგერის მუნიციპალიტეტში. ადგილ გონაზე, სამარხში. „ქარონის ობოლი"

17/1 Av. იმპერატორის უაღრესად დამახინჯებული პროფილი მარცხნივ. მონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

17/2 Rv. გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი სქემატური გამოსახულება. ისინი ეყრდნობიან მახვილებს, შუაში ფარია. გამოსახულების გარშემო წერტილოვანი რკალი.

როგორც სვანეთის, ასევე, ლეჩხუმის ეგზემპლარები, დამზადებულია დაბალი სინჯის ვერცხლისაგან. სავარაუდოდ, ისინი ყველაზე გვიანდელ ნიმუშებს უნდა წარმოადგენდნენ. მათი თარიღია III საუკუნე. [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: 125;] აშკარაა, რომ ლეჩხუმი, სვანეთთან ერთად III საუკუნეშიც მონაწილეობს ქვეყნის საერთო ფულად მიმოქცევაში. რასაკვირველია, ისეთივე ინტენსივობით არა, როგორც ეს პროცესი ბარში ხდება, მაგრამ ამ რეგიონის ჩართულობა საყოველთაო ფულად ცირკულაციაში აშკარაა.

ამგვარად, ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები აშკარად გვიჩვენებენ, რომ ეს რეგიონი ძვ.წ. V საუკუნიდან – ახ.წ. III საუკენის ჩათვლით, აქტიურადაა ჩართული ფულად მიმოქცევაში როგორც კოლხეთის სამეფოს შიგნით, ასევე არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით აშკარაა მისი გარე სამყაროსთან კავშირ-ურთიერთობებიც.

Maia Pataridze

Coins of the Classical period discovered in Lechkhumi

Summary

The numismatic materials discovered in Lechkhumi, play a tremendous role in the study of coins of the Classical period of Georgia. Majority of the Colchian silver coins – the so-called Colchian *tetri* - discovered in mountainous Colchis are from this region.

Coins of the Classical period, discovered on the territory of Lechkhumi - golden staters of Alexander the Great and Lysimachus (originals and imitations), barbarian imitation of denar of Octavian Augustus - attest to the fact that, according to coin of the Roman period, from the 5th century BC up to the 3rd Century AD Lechkhumi (together with Svaneti) was actively engaged in the money circulation not only within the Colchian kingdom. The engagement of the region in the universal money circulation is obvious. This fact is testified by the rich archaeological material discovered in Lechkhumi, too.

ლიტერატურა

აბრამიშვილი თ. 1974: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი. თბილისი.

დუნდუა გ. 1979: საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან). თბილისი.

დუნდუა გ. 1972: ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, თბილისი.

დუნდუა გ. 1973: საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, თბილისი.

დუნდუა გ., კახიძე ა. 1979: კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბილისი.

დუნდუა გ. 2003: კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა) კრ. იბერია-კოლხეთი, № 1 თბილისი.

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი.

დუნდუა თ. 1997: ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბილისი.

პატარიძე მ. 2011: სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III. თბილისი.

კაპანაძე დავით. 1969: ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი.

კახიძე ა., ვიკერსი მ. 2004: ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი.

ლორთქიფანიძე ო. 1966: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი.

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.

საქართველოს არქეოლოგია 1959: თბილისი.

სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი), თბილისი.

ჩართოლანი მ. 1976: 1973 წ. სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახემწიფო მუზეუმის მოამბე XXXII- B, თბილისი.
წიტაიშვილი ზ. 1978: ქუთაისის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდი, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები. III, თბილისი.
Болтунова А. И. 1973: Колхидки – ВДИ, № 4.
Дундуа Г. Ф. 1987: Нумизматика античной грузии. Тбилиси
Голенко К. В. 1961: Клад синопских и колхидских монет из кобулети (1948 г.), ВДИ, № 1.
Голенко К. В. 1964: Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград.
Голенко К. В, Капанадзе Д. Г. 1966: Четыре клада колхидок. – НЭ (нумизматика и эриграфика), VI.
Зограф А. Н. 1935: Антычные золотые монеты Кавказа., Известия ГАИМК, Вып. № 110.
Зограф А. Н. 1951: Античные монеты, МИА. (Материалы и исследования по археологии СССР.) М-Л.
Капанадзе Д. Г., Голенко К. В. 1957: Л вопросу о происхождении колхидок. – ВДИ, № 4.
Лордкипанидзе О. Д. 1977: К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморъя (Колхиды). – Материалы симпозиума в Цхалтубо.
Лордкипанидзе О. Д. 1979: Древняя Колхида, Тбилиси.
Шамба С. М. 1987: Монетное обращение на територии абхазии (Vв. до н.э. – XIII в. н.э.), Тбилиси.
Lang D. M. 1955: Studies in the numismatic History of Georgia in Transcaucasia, New- York.
Lang D. M. 1957: Notes on Caucasian Numismatics. The Numismatic Chronicle, vol. XVII.
Wroth W. 1889: Catalogue of Greek Coins. Pontus, Paphlagonia, Bithynia and the Kingdom of Bosporus.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I

1/1-1/2; 2/1-2/2; 3/1-3/2; 4/1-4/2; 5/1-5/2 – ნახევარდრაქმა. კოლხეთი. ვერცხლი

6/1-6/2 – ალექსანდრე მაკედონელის სტატერი. ოქრო

7/1-7/2 – ლისიმაქეს ტიპის სტატერის მინაბაძი. ოქრო

8/1-8/2: 9/1-9/2; 10/1-10/2 – ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი. ოქრო

11/1-11/2 – რომი. დენარი. იმპერატორი ტრაიანე. პროვინციული მონეტა. ვერცხლი

12/1-12/2 – რომი. დიდრაქმა. იმპერატორი ადრიანე. პროვინციული მონეტა. ვერცხლი

ტაბ. II

13/1-13/2; 14/1-14/2; 15/1-15/2; 16/1-16/2; 17/1-17/2 – ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ადგილობრივი მინაბაძი. ვერცხლი.

Descrion Of The Plates

Tab. I

1/1-1/2; 2/1-2/2; 3/1-3/2; 4/1-4/2; 5/1-5/2 – Hemidrachm. Colchis.5th-3rd.Silver

6/1-6/2 –Stater Alexander the Great. Gold

7/1-7/2 – Georgian imitation of the stater of Lisimachus. Gold

8/1-8/2: 9/1-9/2; 10/1-10/2 – Georgian imitation of the stater of Alexander the great. Gold

Tab. II

11/1-11/2 – Denarius. Rome.Emperor Trajan. Provincial coin.Silver.

12/1-12/2 – Didrachm Rome. Emperoe Adrjan. Provincial coin. Silver.

13/1-13/2; 14/1-14/2; 15/1-15/2; 16/1-16/2; 17/1-17/2 – Imitation of the Denarius of the Emperor Octavianus Augustus. Silver

I

1/1

1/2

2/1

2/2

3/1

3/2

4/1

4/2

5/1

5/2

6/1

6/2

7/1

7/2

8/1

8/2

9/1

9/2

10/1

10/2

II

11/1

11/2

12/1

12/2

13/1

13/2

14/1

14/2

15/ 1

15/2

16/1

16/2

17/1

17/2

ირაკლი ბაქრაძე

ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში

ცაგერში, ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიულ მუზეუმში დაცულია უაღრესად საინტერესო მუზარადი, რომლის მსგავსი მსოფლიოში, მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია ცნობილი (ტაბ. I, სურ. 1-3). **სტატიის მიზანია ცაგერის ზუჩის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, მისი შედარება სადღეისოდ მეტ-ნაკლებად შესწავლილ მსგავს მუზარადებთან, ასევე ზუჩის თარიღისა და ეთნო-კულტურული კუთვნილების განსაზღვრა.**

მუზარადი მუზეუმმა შეიძინა 1947 წელს, გრ. საღინაძისგან სოფ. ლუხვანოში (ცაგერის მუნიციპალიტეტი) 350 მანეთად [ციმ, საინვენტარო დავთარი № 1: ს.ნ. 1034]. ცალკეული დაზიანებების მიუხედავად მუზარადი საკმაოდ კარგად არის დაცული. ზედაპირი კოროდირებულია, თუმცა ლითონის გული მყარია და გაწმენდის შემდეგ მუზარადის ყველა დეტალი კარგად გამოჩნდა[1].

მუზარადი ოვალური ფორმისაა. მისი ძირითადი ნაწილი ერთი მთლიანი ლითონის ფურცლისგანაა გამოჭედილი. ქვედა კიდეზე, გარედან, მას მოქლონების ორი პარალელური წყებით ებმის შროშანისებური ორნამენტის მქონე სალტე (ტაბ. I, სურ 1, 2). წინა მხარეს სალტეზე ამოღებულია სათვალე ჭრილები, ე.წ. სათვალე[2]. მათ შორის კი დამოქლონებულია მართკუთხა საცხვირე ბუდე. სათვალე ჭრილის გასწვრივ დატანილია დაახ. 1.5 მმ. დიამეტრის ნახვრეტები, ზოგჯერ შიგ შერჩენილი მოქლონებით, რაც, ეჭვგარეშე, დეკორატიული წარბების კვალს წარმოადგენს. ორნამენტირებულ სალტეს შიგნიდან მეორე დაკბილული, ვიწრო სალტე ებმის მოქლონებით, რომლის მართკუთხა კბილები მილისებურადაა დახვეული და მასში მუზარადის დასამაგრებელი ლითონის მავთულია გაყრილი (ტაბ. I, სურ. 3). მუზარადის ზედა ნაწილი დარღვეულია. ზარი წრიულად მიუყვება მუზარადის მწვერვალს, იკითხება მცირე მომრგვალებული როზეტის კვალი (ტაბ. I, სურ. 3). საცხვირე ბუდის ქვეშ, სათვალე ჭრილის მარცხნივ, წვერსა და კეფის ადგილას მუზარადს აქვს სხვადასხვა დიამეტრის რამდენიმე ნახვრეტი. აქედან კეფაზე არსებული ხვრელები გვიანდელი დაზიანების შედეგი უნდა იყოს, ყველა დანარჩენი კი, როგორც ჩანს, ფუნქციონალურ ნახვრეტს წარმოადგენს. მუზარადის ზომებია: H 20.5 სმ; W 21.5 სმ. წონა 1145 გრ.

ცაგერის მუზარადის ყველაზე ახლო ანალოგი ინახება პოლონეთში, ქ. კრაკოვის ვაველის სასახლეში (ტაბ. II, სურ. 4, 5). თავის დაცულობით, სრულყოფილი ფორმით, საუკეთესო დახვეწილი ორნამენტითა და ვრცელი ქართული წარწერით იგი დიდი ხანია მკლევართა ყურადღებას იპყრობს და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლურ მუზარადების შესწავლაში [Żygulski Z. 1979: 230, pic. 240, 241; Горелик М. В. 1983: 261-265; წურწუმია მ. 2010: 47-79; Tsurtsumia M. 2011: 79-103].[3] მეორე, მცირედ განსხვავებული ეგზემპლიარი დაცულია სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში (რუსეთი) [Горелик М. В. 1983: 261-263; წურწუმია მ. 2013: 64-65]. ვაველისა და ცაგერის მუზარადებისგან განსხვავებით, მას შედარებით დაბალი გუმბათი აქვს, ამასთან, უფრო მძიმეც არის [წურწუმია მ. 2010: 65] (ტაბ. II, სურ 6).

ვაველის ტიპის მუზარადი, შეიძლება განვიხილოთ, არა როგორც ერთ-ერთი მორიგი გარდამავალი საფეხური აღმოსავლური მუზარადის ევოლუციის პროცესში, არამედ, როგორც ჩამოყალიბებული მუზარადის ტიპი მკვეთრად გამოხატული ტიპოლოგიური ნიშ-

[1] მუზარადის დეტალურად შესწავლისა და მისთვის გაწმენდითი და საკონსერვაციო სამუშაოს ჩატარების საშუალება მომეცა 2012 წელს პროექტის „ცაგერის ისტორიული მუზეუმი: ცაგერის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ ფარგლებში.

[2] სულხან-საბას განმარტებით „სათვალეს უწოდენ ზუჩის(ა) თვალის(ა) სახედველსა“ [ორბელიანი ს.ს. 1993: 30; წურწუმია მ. 2013: 48, სქ. 8].

[3] კრაკოვისა და ერმიტაჟის მუზარადები ამომწურავად არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ შორის ქართულენოვანში [წურწუმია მ. 2013: 47-79, 64-65], ამდენად, ამ საკითხზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

ნებით, რაც, ცხადია, არ გამორიცხავს ვაველის ტიპის ცალკეულ მსგავსებებს თავისი ეპოქის სხვა მუზარადებთან. სამივე დასახელებულ მუზარადს (ცაგერი, ვაველი, ერმიტაჟი) აერთიანებს შემდეგი ტიპოლოგიური ნიშნები:

- მთლიანჭედილი ოვალური გუმბათი;
- ვიზუალურად აქცენტირებული გუმბათის წვერი (როზეტი ან ორნამენტი);
- სათვალე დეკორატიული წარბებით (ვაველისა და ცაგერის შემთხვევაში წარბები დაკარგულია);
- ბუდე მოძრავი საცხვირისათვის სათვალე ჭრილებს შორის (ერმიტაჟის შემთხვევაში დაკარგულია);
- მართკუთხა მილაკისებური კბილები სადაც ზარადის დასამაგრებლად, მავთულია გაყრილი;
- შროშანისებური და ხაზოვანი ორნამენტი.

ამრიგად, ცაგერში აღმოჩენილი მუზარადის ჩათვლით ჩვენს ხელთაა უკვე სამი, ერთნაირი ტექნოლოგიით დამზადებული, სახასიათო ფორმისა და დეკორის მქონე ზუჩი[4], რომელიც, ეჭვგარეშე ერთ ეპოქასა და ერთ რეგიონშია დამზადებული.

ტრადიციულად, გარდა ერმიტაჟის ზუჩისა, ვაველის მუზარადი კიდევ რამდენიმე ზუჩის კონტექსტში განიხილება. ასეთებია თურქეთში, სტამბოლის **თოფქაფის** სასახლეში დაცული ორი მუზარადი (ტაბ. III, სურ. 7). [Nicolle D. 1979: pic. 16; Горелик М. В. 1983: 261,263; წურწუმია მ. 2010: 51, 52], მოსკოვში, კრემლის იარაღის პალატაში დაცული ე.წ. **გოლიცინის მისიურკა** (ტაბ. III, სურ. 8) [Горелик М. В. 1983: 261,263] და ჩრდ. ოსეთში, **რეკომის** სალოცავში დაცული მუზარადი, რომელიც ამჟამად დაკარგულია და მხოლოდ ფოტოსურათითა და ჩანახატებითაა ცნობილი (ტაბ. III, სურ. 9, 10). [Кузнецов В. А. 1990: рис.18; Дарчиев А. 2011: 3-12, 36].

ცალკეული საერთო ტიპოლოგიური ნიშნების გამო, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე ზუჩი ვაველის მუზარადის განვითარების წინამორბედ ეტაპებადაა მიჩნეული [Горелик, 1983: 261-263; წურწუმია მ. 2013: 51-52]. აღნიშნული ზუჩების თარიღი – XIII სს-ის II ნახევრიდან XV ს-დე, ძირითადად ეყრდნობა იმ წარმოდგენას, რომ მუზარადების ევოლუცია დახვეწის გზით მიდიოდა: სეგმენტურიდან მთლიანჭედილ გუმბათზე გადასვლა, ორნამენტის დახვეწა და ა.შ. შესაბამისად, შედარებით ტლანქი სტამბულისა და გოლიცინის მუზარადები ყველაზე ადრეულად ითვლება, შუალედურ საფეხურად რეკომის მუზარადი მიიჩნევა ხოლო დახვეწილი ვაველისა და ერმიტაჟის მუზარადები კი – ყველაზე გვიანდელებად [Горелик, 1983: 261-265].

მ. წურწუმია ვაველის მუზარადს ასევე XIV ს-ით ათარიღებს [წურწუმია მ. 2013: 48, 49, 54, 59-60, 64]. შესაბამისად: რეკომს – XIII-XIV სს-ის მიჯნით [წურწუმია მ. 2013: 62-63]; სტამბოლის მუზარადებს – XIII ს. მეორე ნახევარი - XIV ს-ის დამდეგით [წურწუმია მ. 2013: 52]; ერმიტაჟისას – XIV ს-ით [წურწუმია მ. 2013: 64].[5]

---

[4] სულხან-საბას მიხედვით მუზარადი და ზუჩი სინონიმებია: „რომელსა თავსა დასარქმელი რკინა აქვს, რომელსა კვერცხად სახელსდებენ, და ზარადი წინა და უკანით გრძ(ე)ლად, იგი არს **ზუჩი**, რომელიმე **მუზარადად** უჴმობენ“ [ორბელიანი ს.ს. 1991: 289-290].

[5] უნდა ითქვას, ავტორი თავის დათარიღებაში საკმაოდ კატეგორიულია: ერმიტაჟის მუზარადის დათარიღება XV ს-ით მისთვის მიუღებელია [წურწუმია მ. 2010: 50, სქ. 17]; სტამბულის მუზარდების თარიღს (XIII ს-ის დამლევი – XIV ს-ის დამდეგი) ავტორი „XIII ს-ის მეორე ნახევრით“ „ზრდის“; რეკომის მუზარადის დათარიღება XIV ს. შუა ხანებითა ან მეორე ნახევრით“ მას „ხელოვნურად ეჩვენება“ და იგი თარიღს XIII-XIV სს-ის მიჯნაზე სწევს [წურწუმია მ. 2010: 62-63]. თარიღების ასეთი „კორექტირება“ გაუგებარია, როდესაც ჩამოთვლილ მუზარადთაგან არცერთს არ გააჩნია რაიმე საიმედო არგუმენტი, რაც ასეთი კონკრეტული დათარიღების საშუალებას მოგვცემდა.

ნაკლებად დამაჯერებელია აგრეთვე მ. წურწუმიას სტატიაში წარმოდგენილი „სფეროკონუსური მუზარადის განვითარების საკუთრივ ქართული გზა“ [წურწუმია მ. 2010: 74, სურ. 21], სადაც მთელი XI-XVII სს-ის ქართული მუზარადის ევოლუციის ხაზი ეყრდნობა რეალურად არსებულ მხოლოდ 3 მუზარადს: ჯალალ ად-დინის (მრავალძალის), ოს-ბაყათარისა (რეკომის) და ვაველის. ამასთან პირველი ორი გამოსახულია დაშვებებითა და შეცდომებით: ჯალალ ად-დინის გუმბათის წვერი რეკონსტრუირებულია, გვირგვინი კი არასწორად არის გამოსახული, ისევე, როგორც ოს-ბაყათარის გუმბათის ფორმა, „წარბები“ და ზარადის დამაგრების სისტემა. კასტელისა და თავაქარაშვილის ჩანახა-

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთო ტიპოლოგიური ნიშნების არსებობის მიუხედავად (სათვალე, დეკორატიული წარბები, მოძრავი საცხვირე და ა.შ.) სტამბოლი-გოლიცინის და ვაველი-ერმიტაჟის მუზარადები დამზადების ტექნოლოგიითა და დეკორით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია სეგმენტური თუ ცრუსეგმენტური სტრუქტურა, რაც უთუოდ ნომადურ ტრადიციებზე მიანიშნებს, ვაველის ტიპის შემთხვევაში, პირიქით, ზედაპირი ხაზგასმულად გლუვი და სადაა, რაც, როგორც განსვავებულ ტექნოლოგიაზე, ისე – განსხვავებულ ესთეთიკაზე მიანიშნებს. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ მუზარადები დამზადებულია სხვადასხვა ეპოქაში ან, უფრო სავარაუდოა, სხვადასხვა რეგიონში. ამდენად, მათი ერთ ევოლუციურ ჯაჭვში განხილვა მართებული არ უნდა იყოს.

ჩამოთვლილ მუზარდთაგან არც ერთს არა აქვს თანადროული წარწერა, არქეოლოგიური კონტექსტი თუ სხვა რაიმე მეტნაკლებად უტყუარი საბუთი, რომელიც ასე თუ ისე დამაჯერებელ თარიღს მოგვცემდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რეკომის მუზარადი, რომელიც ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ ვაველის ტიპის მსგავსი მთლიანჭედილი ოვალური გუმბათით, არამედ თავის ლეგენდითაც: ხალხური გადმოცემა მუზარადს ნახევრად ლეგენდარულ პიროვნებასთან ოს-ბაყათართან აკავშირებს, ჟამთაღმწერელთან მოხსენებულ იმავე ოსთა მთავარ ბაყათართან, რომელიც 1306 თუ 1307 წლებში უნდა გარდაცვლილიყო [Кузнецов В.А. 1990: 131-138; Дарчиев А. 2011: 26; წურწუმია მ. 2013: 62]. ამ ფაქტის გამო რეკომის მუზარადზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ე.წ. **ოს-ბაყათარის** მუზარადი ინახებოდა ჩრდ. ოსეთში, ალაგირის ხეობაში, რეკომის სალოცავში. მუზარადი ამჟამად დაკარგულია, თუმცა შემორჩენილია მისი ფოტოსურათი და დეტალური ჩანახატი ნატურალურ ზომაში (ტაბ. III, სურ. 9, 10) [Кузнецов В. А. 1990: рис.18; Дарчиев А. 2011: 3-12, 36]. მუზარადი ოვალური ფორმისაა, აქვს გვირგვინი, სათვალე, დეკორატიული წარბები, მოძრავი საცხვირე და ჯაჭვის ზარადი, რაც მას ვაველის ტიპთან ძლიერ აახლოებს. ამასთან განსხვავებულია გვირგვინისა და დეკორატიული წარბების მოხაზულობა, გუმბათის კონტური და ზარადის დამაგრების სისტემა.

მკლევართა უმრავლესობა ზუჩს მყარი არგუმენტაციის გარეშე XIII ან XIV ს-ით ათარიღებს [Дарчиев А. 2011: 6-35]. მ. გორელიკი XIV ს-ის მეორე მეოთხედისა და შუა ხანების თავრიზული მინიატურების გამოყენებას ცდილობს და მუზარადს XIV ს-ის შუა ხანებით ან მეორე ნახევრით ათარიღებს [Горелик, 1983: 263, ტაბ. VIII-13]. თუმცა, რეკომის მუზარადის არც ერთი იდენტური გამოსახულება ავტორს მოყვანილი არა აქვს. მ. წურწუმია რიგ სხვა მკლევარებთან ერთად ზუჩს XIII-XIV სს-ის მიჯნით ათარიღებს და ბაყათარის კუთვნილად მიიჩნევს: „ბაყათარის მუზარადის XIV საუკუნის შუა ხანებით ან მეორე ნახევრით დათარიღება ხელოვნურად მეჩვენება. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უკვე არსებობს ბაყათარის ზუჩისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: მთლიანჭედილი სფეროკონუსური გუმბათი, სათვალეები, მოძრავი საცხვირე“ - წერს ავტორი [წურწუმია მ. 2013: 62-63]. თუმცა, არც ეს არგუმენტებია დამაჯერებელი. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნიშნების XIII ს-ში არსებობის ფაქტი მუზარადის ამავე საუკუნით ავტომატურად დათარიღებისათვის საკმარისი არ არის. ისეთი ნიშნები, როგორიცაა სფეროკონუსური გუმბათის ფორმა[6] და სათვალე XIII ს-ზე გაცილებით ადრეც იყო ცნობილი, რაზეც თვით ავტორიც მიუთითებს [წურწუმია მ. 2013: 63, სქ. 70, 71]. რაც შეეხება XI-XII ქართულ ჭედურ ხატებსა და მინიატურებზე გამოსახულ „მთლიანჭედილ მუზარადებს“ [წურწუმია მ. 2013: 56-58, 63, სქ. 70], ეს

ტებზე ასევე ვერ ვხედავთ მოძრავ საცხვირესა და სათვალეს მუზარადის გუმბათში.

[6] ამასთან, როგორც ზემოთ ითქვა, ვაველის, ცაგერისა და რეკომის მუზარადები ოვალური ფორმისაა და არა – სფეროკონუსური.

გამოსახულებები იმდენად სქემატურია, რომ მათზე დაყრდნობით დამზადების ტექნოლოგიის დადგენა წარმოუდგენელია.

ბუდეში მოძრავი გრძელი საცხვირე მართლაც კარგად ჩანს რეკომის მუზარადის შემორჩენილ ფოტოსა და ჩანახატზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ე.წ. ოს-ბაყათარის, არამედ ვაველის ტიპის მუზარადის თარიღის დადგენისთვისაც. მუზარადის უძველეს ნიმუშად, სადაც ასეთი კონსტრუქციაა გამოყენებული, დ. ნიკოლზე დაყრდნობით, ე.წ. **იბნ კალაუნის** ზუჩია მიჩნეული [წურწუმია მ. 2013: 63, სქ. 72; Горелик М. В. 1987: 191]. მუზარადი დაცულია ბრიუსელში (ბელგია) სენკანტენერის მუზეუმში[7] (Cinquantenaire Museum, Royal Museum for Art and History) და მამლუქთა სულთანს მუჰამედ იბნ კალაუნს (წყვეტით 1294-1340 წწ.) უკავშირდება[8] (ტაბ. IV, სურ 11). თუმცა, მუზარადის დამათარიღებელი მნიშვნელობა დიდ ეჭვს იწვევს. ზუჩის ფორმა და დეკორი ძალიან ჰგავს შედარებით გვიანდელ ირანულ მუზარადებს, არანაკლებ საეჭვოა მოძრავი საცხვირის ავთენტურობა. საცხვირის ფორმა თუმცა საკმაოდ არქაულად გამოიყურება, მასზე არსებული ნახჭი მნიშვნელოვნად განსხვავდება მუზარადის გუმბათზე არსებული ორივე ტიპის ორნამენტისაგან. საცხვირის ბუდე მუზარადის საერთო სტილიდან მკვეთრად ამოვარდნილია, ამასთან გუმბათზე ცერად არის დამაგრებული და ნაწილობრივ ორნამენტსაც ფარავს. თვალშისაცემია ასევე საცხვირის დასარეგულირებელი ხრახნი, რაც ცალსახად გვიანდელი მოვლენაა, ისევე როგორც მოსართავების ნაკლული სამაგრები და დაკბილული ზარადი.

მოძრავი საცხვირის გამოყენებასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო ცნობაა დაცულია რუი გონზალეს დე კლავიჰოს ნაშრომში. კლავიჰო ხელმძღვანელობდა ესპანეთის (კასტილიისა და ლეონის) მეფის ჰენრიხ III-ის ელჩობას თემურ ლენგთან 1403-1406 წწ-ში. მასვე ეკუთვნის ამ ელჩობის ვრცელი აღწერილობა. კლავიჰოს მიხედვით, თემურ-ლენგმა დაპყრობილი მიწებიდან აყრილ მრავალ ხელოსანს სამარყანდში მოუყარა თავი. გარდა ამისა სამარყანდთან არსებულ ციხე-სიმაგრეში დატყვევებული ჰყავდა ათასამდე ხელოსანი რომლებიც მისთვის ჯავშნებს, მუზარადებს, მშვილისრებს მთელი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. როდესაც თემურ-ლენგი სამარყანდში დაბრუნდა: „Он приказал нести перед собою все оружие, которое сработали пленники после того, как он уехал из города. В числе этого оружия несли три тысячи пар лат, украшенных красным сукном, очень хорошо сделанных; только они не делают их довольно крепкими и не умеют закалять железо. Потом несли перед ним много шлемов; и он в этот день поделил и роздал эти шлемы и латы рыцарям и разным другим особам. **Их шлемы круглые и высокие, некоторые до самого верху. Напереди перед лицом против носа идет полоса шириною в два пальца, которая доходит до бороды и может подниматься и опускаться; она сделана для того, чтобы защищать лицо от удара поперек;**“ [Клавихо Руи Гонзалес 1881: CXXXII-CXXXV]. აღნიშნული ცნობა ადასტურებს, რომ XV ს-ის დასაწყისისათვის მოძრავი საცხვირე თემურ-ლენგის იმპერიაში უკვე მასიურად მზადდებოდა.

XIV ს-ის ირანულ მინიატურებზე მუზარადის, მათ შორის საცხვირიანი მუზარადის გამოსახულება ხშირად გვხვდება, თუმცა საცხვირის კონსტრუქციის შესახებ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა ძნელია. ძალზე საინტერესოდ მეჩვენება ამ მხრივ შირაზში (?) 1333 წ-ს შესრულებული ერთ-ერთი მინიატიურა „შაჰ-ნამეს“ ხელნაწერიდან, სადაც გრძელი საცხვირე მეომარს ნიკაპამდე წვდება (ტაბ. IV, სურ 12). [Адамова А., Гюзальян Л. 1985: 94. илл. 24]. ამასთან გარკვევით ჩანს, რომ იგი მუზარადის გუმბათის ხაზის წინ არის დამაგრებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მოძრავი საცხვირის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე,

[7] მუზარადის ფოტო დაცულია მუზეუმის საიტზეც: http://www.kmkg-mrah.be/art-islamic-world

[8] ლ. მაიერის აზრით მუზარადზე არსებული წარწერა, ზუჩის არა სულთნის პირად კუთვნილებაზე, არამედ მისი მმართველობის ხანაში დამზადებაზე მიუთითებს [Mayer L. M. 1943: 6].

ამდენად, მოძრავი საცხვირის არსებობა XIII-XIV სს-ის მიჯნაზე სავსებით დასაშვებია.

დათარიღების თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე რეკომის მუზარადის საცხვირის ფორმაც. მისი ქვედა წვერი მოგვაგონებს ცხვირის გამოსახულებას წინხედში (ტაბ. III, სურ. 9) მ. გორელიკის აზრით, ასეთი ფორმის საცხვირე ტიპიურ მონღოლურ დეტალს წარმოადგენს [Горелик М. В. 1987: 189]. ძნელი სათქმელია, რამდენად შეიძლება ამ ნიშნის მონღოლებთან დაკავშირება, თუმცა ფაქტია, რომ ასეთი ფორმის საცხვირე მართლაც გვხვდება XIV ს-ის ირანულ მინიატურებზე [Горелик М. В. 1987: Рис. 10-13, 30; Горелик М. В. 1983: таб. VIII-10]. XV საუკუნიდან აღმოსავლურ მუზარადებზე, ძირითადად მოძრავი საცხვირის განვითარების ორ განსხვავებულ ტენდენციას ვხედავთ: ირანულ ზუჩებზე საცხვირე ორივე მხარეს შემსხვილებული და წაწვეტებულია. ოსმალურსა და მამლუქურ მუზარადებზე კი, საცხვირე ქვემოთ ვიწრო რჩება, ზედა მხარე კი მსხვილი და წვეთისებურია (ტაბ. IV, სურ. 13) [Mayer L. A. 1943: 7, fig. 8; Alexander D. G. 1983: fig. 4, 5; Аствацатурян Э. Г. 2002: 61-64].

შესაბამისად, საცხვირის წვერის მიხედვით რეკომის მუზარადი XIV ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს. მეორეს მხრივ, რეკომის მუზარადის დეკორატიული წარბები შედარებით მოგვიანო თარიღის მანიშნებელია: მოგრძო და თხელი კანტი სათვალის ჭრილის გასწვრივ მართლაც გვიანდელი ჩალმისებური მუზარადებისათვის არის დამახასიათებელი [Дарчиев А. В. 2011: 24].

ამრიგად, ის ვარაუდი, რომ რეკომის მუზარადი მართლაც XIII-XIV სს. მიჯნით თარიღდება, რომ იგი ოს-ბაყათარის კუთვნილი უნდა იყოს და რომ მისი იარაღი ქართული წარმომავლობისაა [წურწუმია მ. 2013: 63. სქ. 75], მეტ არგუმენტაციას საჭიროებს. სავსებით მართალია ა. დარჩიევი, როდესაც რეკომის მუზარადის შესახებ არსებულ მოსაზრებებს აჯერებს: “Итак, приходится констатировать, что достаточно надёжных оснований для атрибуции и датировки шлема из Рекома, а следовательно и для утверждения о его принадлежности самому Ос-Багатару, на сегодняшний день мы не имеем. Наиболее перспективным представляется тот эволюционный ряд, в который его попытался вписать М. В. Горелик. Однако практически все боевые наголовья данного ряда, пока не имеют общепринятой датировки.” [Дарчиев А. В. 2011: 34].

კიდევ ერთი მეტად საინტერესო ნიმუში, რომელიც ბევრი ნიშნით ვაველისა და რეკომის ტიპს ემსგავსება დაცულია მეტროპოლიტენ მუზეუმში (აშშ, ნიუ-იორკი) (ტაბ. IV, სურ 14). მუზარადზე დატანილი წარწერის მიხედვით იგი სავარაუდოდ მონღოლთა მმართველს ჯანი ბეგ იბნ ოზბეგს (1342-1357 წწ.) უკავშირდება[9]. მუზარადზე არსებული კანტისებური „წარბები“ რეკომის ნიმუშის მსგავსია, თუმცა ასევე შერჩენილი აქვს ვაველის ტიპის „წარბების“ დასამაგრებელი ნახვრეტებიც. როგორც ჩანს, კანტისებური „წარბები“ გვიანდელი გადაკეთების შედეგია.

აღსანიშნავია ასევე საქართველოს მუზეუმში (საქართველოს ეროვნული მუზუმი) დაცული მუზარადი **მრავალძალიდან**, რომელიც ლეგენდის მიხედვით ხორეზმის შაჰს ჯალალ ად-დინს ეკუთვნოდა (ტაბ. V, სურ. 15). მუზარადი გაიგივებულია იმ მუზარადთან, რომელიც მოხსენებულია „ამირეჯიბთა გვაროვნულ სიგელში“ (1401-1415 წწ.) დაცულ ცნობაში, რომლის მიხედვითაც, სპარსელებზე გამარჯვების შემდგომ „თაჯი თჳთვან მაღლისა სულთნისა“ მრავალძალს შესწირეს [წურწუმია მ. 2013: 58].[10]

საგრძნობლად ნაკლულ მუზარადში ჩვენთვის სამი ძირითადი მომენტია მნიშვნელოვანი, რაც მრავალძალის მუზარადს ვაველის ტიპთან აახლოებს. ასეთებია: მთლიანჭედილი კონსტრუქცია, გვირგვინისებური დეკორი (ვაველის ტიპთან შედარებით უბრალო და მოუხეშავი), ზარადის დამაგრების სისტემა (მოგრაგნილ კბილებში გატარებული მავთუ-

[9] მუზარადი წარმოდგენილია მუზეუმის საიტზე: http://www.metmuseum.org/collection/the-collection-online/search/32641

[10] ე.წ. ჯალალ ად-დინის მუზარადის საკითხი, თავისთავად ძალზე საინტერესოა, თუმცა, ამჯერად, ლეგენდის ტყუილ-მართალის დადგენა ჩვენ მიზანს სცდება, ამდენად, მხოლოდ მუზარადის კონსტრუქციაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ლი)[11]. სამწუხაროდ, ჯალალ ად-დინის მუზარადის დამზადების თარიღი ასევე ბუნდოვანია, ამდენად ვაველის ვაველის დათარიღებისათვის მისი გამოყენება ნაადრევია. მუზარადები, როგორც დეკორირებული, ისე გლუვი სალტით მრავლად გვხვდება XIII-XV სს. ქართულსა და უცხოურ გამოსახულებებზე. მაგალითად: ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის გარეთა ფასადზე [წურწუმია მ. 2013: 60 სქ. 56, სურ. 7]; 1222 წლის ოთხთავის მინიატურაზე მოსულიდან [Gorelik M. 1979: fig. 36]; XIII ს-ის სირიული ოთხთავის მინიატურაზე [Nicolle D. 1979: fig. 175]; 1333 წლის „შაჰ-ნამეს“ მინიატიურებზე შირაზიდან (?) [Адамова А., Гюзальян Л. 1985: 85] (ტაბ. V, სურ. 16); ქართული დავითნის (H-1665) მინიატურებზე (ტაბ. V, სურ: 17) [Шервашидзе Л. 1964; წურწუმია მ. 2013: სურ. 11-13, 22]; 1494 წლის „შაჰ-ნამეს“ მინიატიურაზე ლაჰიჯანიდან (ტაბ. V, სურ. 18).

მ. წურწუმიამ ვაველის ტიპის მუზარადის დათარიღებისათვის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დავითნის (H-1665) მინიატურების გამოყენება სცადა.[12] დავითნში გამოსახული მუზარადების ფორმა მართლაც ჰგავს ვაველის ზუჩის გუმბათს, საცხვირე და სახეზე ჩამოფარებული ზარადი კი, მ. წურწუმიას აზრით, მინიატიურებზე იკონოგრაფიული თავისებურებების გამო არ არის გამოსახული [წურწუმია მ. 2013: 65-67]. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, მსგავსი გამოსახულებები მრავლად გვხვდება აღმოსავლურ მინიატურებზეც XIII ს-დან. ამდენად, მხოლოდ გუმბათის ფორმით მუზარადის დათარიღება ან რეგიონის ლოკალიზება ნაკლებად დამაჯერებელია. ამასთან, ფსალმუნის მინიატურებზე ვერ ვხედავთ ვაველის მუზარადისთვის დამახასიათებელ სათვალეს, დეკორატიულ წარბებს, მოძრავ საცხვირეს, შროშანისებურ ორნამენტს... არც იმის სამტკიცებლად არის საკმარისი არგუმენტი, რომ ვაველის ტიპის მუზარადი ბოლოვდებოდა ბურთულით, როგორც დავითნის მინიატურებში ვხედავთ [წურწუმია მ. 2013: 58]: ვაველის ტიპის ერთადერთი მუზარადი, რომელსაც წვერი შემონახული აქვს (ერმიტაჟი) დაბალი კონუსური წვერით ბოლოვდება და არა ბურთულით.

ძეგლების მეორე ჯგუფი, სადაც ავტორი „ვაველის ტიპის მხოლოდ მოდიფიცირებულ“ მუზარადებს ხედავს, XVII ს-ით თარიღდება. ასეთებია, 1646 წელს სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის კარზე, იმერეთის მეფის მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ (H-599) ილუსტრაციები და თეათინელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის მიერ 1628-1654 წლებში ჩახატული ვახტანგ და მამია გურიელისა და საბახტარ ავალიშვილის პორტრეტები [წურწუმია მ. 2013: 69, 70, 71, 78. სურ. 14-17]. აღნიშნულ წყაროებში წარმოდგენილი მუზარადები ცალკეული ნიშნებით (ოვალური გუმბათი, როზეტი, ორნამენტი) მართლაც ჰგავს ვაველის ტიპს [წურწუმია მ. 2013: 70, 78], რაც გარკვეულ მემკვიდრეობითობაზე მიანიშნებს. თუმცა, არ შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი განსხვავებების უგულებელყოფა, როგორიცაა: საცხვირეს არარსებობა (რასაც კასტელის შემთხვევაში იკონოგრაფიული ტრადიციით ვერ აიხსნება); კისრის [წურწუმია მ. 2013: 70] ან რაც უფრო სავარაუდოა ყურის დამცავი ფირფიტის არსებობა; დეკორატიული წარბებისა და სათვალეს არარსებობა. პირიქით საბახტარ ავალიშვილისა და ავთანდილის გამოსახულებებში საქმე გვაქვს ჯაჭვის ზარადში არსებულ სათვალესთან;

ამდენად ვაველის ტიპის მუზარადის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნების

---

[11] მუზარადის დამაგრების ასეთი კონსტრუქცია საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მოიცავს. ამდენად, მისი დამათარიღებელი მნიშვნელობა დიდი არ არის. ასეთი სამაგრი გვხდება როგორც X-XI სს-ში, მაგ.: გნეზდოვო, X ს. [Кирпичников А. Н. 1971: 24, таб. X-1], დნეპროპეტროვსკის ისტორიული მუზეუმი, დაახ. XI ს. [Сардак Т. В. 2008: 142-143], ისე – XIII-XIV სს-ში. მაგ.: კელიის სამაროვნის № 15 სამარხი, [Нарожный Е. И., Нарожный В. Е., Чахкиев Д. Ю. 2005: 296, 299] და ნოვოტერსკოეს სამარხი [Чахкиев Д. Ю. 1984: 95-104; Нарожный Е. И. 2008: 42-45].

[12] ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ხელნაწერის მინიატიურები სხვადასხვანაირად თარიღდება. ლ. შერვაშიძე ფსალმუნს XV ს-ით ათარიღებს [Шервашидзе Л. 1964]; მ. წურწუმია XIV ს-ის მეორე ნახევრის ვერსიას ეყრდნობა. [წურწუმია მ. 2013: 65].

დიდ ნაწილს კასტელთან და თავაქარაშვილთან ვერ ვხედავთ. შესაბამისად ტერმინი „ვაველის ტიპი“ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გამართლებული არ არის.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: კასტელთან და თავაქარაშვილთან გამოსახული ზუჩები დიდ მსგავსებას იჩენს ევროპულ ბაცინეტთან და განვითარებული შუა საუკუნეების ოსმალურ მუზარადთან (ტაბ. V, სურ. 13), რასაც, ვფიქრობ სამომავლოდ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ვაველის ტიპის მუზარადის თარიღისა და კულტურულ-გეოგრაფიული არეალის გამოვლენისათვის ძალზე საყურადღებოა არქეოლოგიური მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიური მასალა, ამ შემთხვევაში, შუა საუკუნეების მხატვრობაზე გაცილებით თვალსაჩინოა, ამ კუთხით, ვაველის მუზარადი ნაკლებად არის შესწავლილი.[13]

ძალზე საყურადღებო მასალა არის აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში. პირველ რიგში აღსანიშნავია მუზარადი **კელიის** სამაროვნის (მთიანი ინგუშეთი) № 15 სამარხიდან, რომლის გუმბათის ფორმა, სათვალე ჭრილები, საწარბე და დეკორატიული როზეტის ნახვრეტები, ზარადის დამაგრების კონსტრუქცია ვაველის ზუჩის იდენტურია (ტაბ. VI, სურ. 19). გუმბთის წვერში წრიულად განლაგებული ნახვრეტები მუზარდის დეკორატიული როზეტის არსებობაზეც მიუთითებს. ვაველის ტიპისგან განსხვავებით მუზარადს არა აქვს გვირგვინი, საცხვირე კი უძრავია და მუზარადის გაგრძელებას წარმოადგენს. თბილისში მოჭრილი მანგუ-ყაენის სპილენძის მონეტა (1255-1256 წწ.) სამარხის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს განსაზღვრავს. აღმომჩენი სამარხს XIII ს. II ნახევრით ან მიწურულით ათარიღებს [Нарожный Е. И., Нарожный В. Е., Чахкиев Д. Ю. 2005: 296, 299].

საინტერესოა ასევე მუზარადი, რომელიც აღმოჩენილია სოფ. **ნოვოტერსკოეში** (ნაურის რ-ნი, ჩეჩნეთი) (ტაბ. VI, სურ. 20). მუზარადი ძლიერ დაზიანებული და ნაკლულია, თუმცა ფიქსირდება მნიშვნელოვანი დეტალები: მთლიანჭედილი სფეროკონუსური ფორმა, სათვალე ჭრილი დეკორატიული წარბებით, ფიგურელი როზეტის არსებობა[14], უძრავი საცხვირე[15], მუზარადის დამაგრების წესი (მუზარადის კიდეზე მიმაგრებული მოხრილ ქონგურებიანი ფირფიტა, რომელშიც მავთული იყრება). ნოვოტერსკოეს მუზარადი XIII-XIV სს-ით თარიღდება [Чахкиев Д. Ю. 1984: 97; Нарожный Е. И. 2008: 42-45]. ნოვოტერსკოეს მუზარადი შესაძლოა იყოს, როგორც ადგილობრივი ნაწარმი, ისე ოქროს ურდოს ტერიტორიაზე დამზადებული ნივთი [Чахкиев Д.Ю. 1984: 99, 104; Нарожный Е. И. 2008: 46].

კელიისა და ნოვოტერსკოეს მუზარადები ცხადყოფს, რომ XIV ს. დასაწყისისთვის კავკასიაში დანამდვილებით იყო ცნობილი მთლიანჭედილი მუზარადი სათვალით (დეკორატიული წარბებით ან მის გარეშე), უძრავი საცხვირითა და ზარადის დამაგრების დამახასიათებელი კონსტრუქციით. რაც ვაველის ტიპთან გარკვეულ გენეტიკურ კავშირს ავლენს.

ვაველის ტიპის მუზარადი და საქართველო: ძალზე საინტერესოა ვაველისა და მისი მსგავსი მუზარადების ეთნო-კულტურული წარმომავლობის საკითხი. გამოთქმულია ვარაუდები მათი თურქული, ირანული, სირიული, მონღოლური წარმომავლობის შესახებ [Горелик М. В. 1983: 263-265], თუმცა, ყველა ეს ვარაუდი მოკლებულია დამაჯერებელ არგუმენტაციას. საყურადღებოა, მ. გორელიკის დაკვირვება, რომ XIV ს. 70-80-იანი წწ-ის თავრიზულ მინიატურებზე

[13] მ. წურწუმია ვერხნი ალკუნის სამარხში (ინგუშეთი) აღმოჩენილ მუზარადს ეხება: „სახეზეა, სავარაუდოდ, XIV საუკუნის სფეროკონუსური ზუჩი, რომლის გუმბათის ფორმა და ბურთულოვანი დაბოლოება ქართულ გავლენას მოწმობს“ [წურწუმია მ. 2013: 64]. თუმცა მუზარადზე (განსხვავებით სამარხში აღმოჩენილი კერამიკისგან, რომელსაც ქართული ასო-ნიშნებით შესრულებული წარწერა აქვს) არავითარი ქართული კვალი არ შეიმჩნევა: სფეროკონუსური ფორმა ბურთულით დამახასიათებელი ნომადური ნიშანია [Чахкиев Д. Ю., Нарожный Е. И, 1990: 129-140; Кирпичников А. Н. 1971: 27-28].

[14] ვგულისხმობთ როზეტის არსებობის ფაქტს და არა მის ფორმას და დეკორს. ანალოგიური დეკორატიული როზეტი სრულიად განსხვავებული ფორმის მუზარადაბზე გვხვდება [Нарожный Е. И. 2008: 46].

[15] ფიქსირებული საცხვირის არსებობა მცირე ფრაგმენტების მიხედვით ივარაუდება [Нарожный Е. И. 2008: 44].

ვხდებით ზუჩების გამოსახულებას ვაველის ტიპის მსგავსი ორნამეტით [Горелик М. В. 1983: 265, таб. 7, 8]. აღსანიშნავია, რომ XIV ს-ის პირველ ნახევარში საქართველო ილხანთა ძლიერი გავლენის ქვეშ იყო, რაც, როგორც ვაველის ტიპის, ისე რეკომის მუზარადის წარმომავლობის დადგენისათვის უთუოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა [იხ. Дарчиев А. В. 2011: 26]. თუმცა ერთეული გამოსახულებების საფუძველზე ვაველის ტიპის მუზარადის ირანულ-მონღოლურად გამოცხადება ნაადრევად მეჩვენება.

მ. წურწუმია ვაველის მუზარადის „ქართული წარმოშობის" საკითხს აყენებს. მეტიც, ავტორის მტკიცებით, „ვაველის ტიპის მუზარადი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მას მცირედი სახეცვლილებით სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში, პრაქტიკულად ფეოდალური ეპოქის დასასრულამდე იყენებდნენ" [წურწუმია მ. 2013: 69]. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ვერ გავიზიარებ ავტორის მოსაზრებას, თითქოს ქართულ ხელნაწერებსა თუ კასტელის ალბომში ვაველის ტიპის, თუნდაც „მცირედ შეცვლილი" ან „მოდიფიცირებული" მუზარადი იყოს გამოსახული, ვფიქრობ ვერსია მუზარადის ქართული წარმომავლობის შესახებ უსაფუძვლო არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ, ცხადია, მუზარადზე განთავსებული ვრცელი წარწერაა, რომელიც პალეოგრაფიულად XVII ს-ით თარიღდება და შემდეგნაირად იკითხება: **„ღმერთო და მხნეო მხედარო, დიდო წმინდ(ა)ო გიორგიო, გ(ა)უმარჯვე ჩიჯ(ა)ვაძეს საზვ(ე)რელს"** [წურწუმია მ. 2013: 53]. ამრიგად, დასტურდება, რომ XVII ს-ში მუზარადი დასავლეთ საქართველოს ცნობილი ფეოდალური გვარის რომელიმე წარმომადგენელს ეკუთვნოდა და წარწერაც საქართველოშივე უნდა შესრულებულიყო.

ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ცაგერის აღმოჩენაც: ცხადი ხდება, რომ სადღეისოდ მსოფლიოში ცნობილი ვაველის ტიპის სამი მუზარადიდან (ვაველის, ერმიტაჟის, ცაგერის) ორი პირდაპირ საქართველოს უკავშირდება. ანასთან მსგავსი მუზარადები ასევე ფიქსირდება ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ჩეჩენ-ინგუშეთსა და ოსეთში (ნოვოტერსკოე, კელიის სამაროვანი, რეკომი), სადაც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა XIII-XIV სს-ში უაღრესად დიდი იყო.

XIV ს-ში, საქართველოში, რომ უმაღლესი ხარისხის მუზარადი მზადდებოდა, გვამცნობს ჟამთააღმწერელთან დაცული ერთი უნიკალური ცნობა: როდესაც მონღოლთა ტახტზე მანგუ ყაენი დაჯდა „**მას აუწყეს აღება სპარსეთისა, საქართველოსი და საბერძნეთისა. და ყოველთა თემთა მოკაზმული ქუდი და აბჯარი და ტანისამოსი გაუგზავნეს**". მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ყაენი საქართველოდან გამოგზავნილ „**ჩაბალახისა**[16] **ხილვასა ზედა განკჳრდა**" [ქართლის ცხოვრება 1959: 196-197]. საინტერესოა, რომ მონღოლთა იმპერიაში ხარისხიანი იარაღის წარმოების პრობლემა მუდმივად არსებობდა [Кулешов Ю. А. 2010: 73-97] და მანგუ ყაენის ეს ინიციატივა, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამდენად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მონღოლთა გაკვირვება გამოიწვია არ მუზარადის მორთულობამ, არამედ მისი კონსტრუქციის სრულყოფილებამ.

ყოველივე ზემოთქმული შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

- ცაგერში აღმოჩენილი ზუჩი ვაველის ტიპის მუზარადის სადღეისოდ ცნობილი მესამე ნიმუშია.
- ვაველის ტიპისა და რეკომის (შესაბამისად ცაგერის) მუზარადების დასათარიღებლად მყარი არგუმენტები სადღეისოდ არ გაგვაჩნია, ამდენად, მიღებული თარიღი (დაახ. XIV ს.) წინასწარულია და დამატებით კვლევას საჭიროებს.
- ვაველის ტიპის მუზარადის ქართული წარმომავლობა სავსებით დასაშვებია. ამდენად ამ მიმართულებით კვლევა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

---

[16] საბას განმარტებით ჩაბალახი არის „ჯაჭვის ქუდი" [ორბელიანი ს.ს. 1993: 313]; „რომელსა პოლოტიკი (ფირფიტა ი. ბ.) არა აქვს, თავს სახურავი ლითონი ჯაჭვია, იგი არს ჩაბალახი" [ორბელიანი ს.ს. 1991: 290]. თუმცა, ამ შემთხვევაში „ჩაბალახის" გვიანდელი მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე.

Irakli Bakradze

The Wawel type helmet in the Tsageri History Museum

Summary

The Tsageri History Museum houses an exceptionally interesting helmet. The closest analogues to this helmet are kept in Poland (Wawel royal castle of Krakow) and in Russia (the Hermitage Museum in Saint Petersburg). The similarity of the helmets gives us grounds to suppose, that they were made in one and the same region and period. Due to the considerable similarity, we include this helmet into the so-called Wawel type.

Another helmet that is close to the Wawel type was kept in north Ossetia (Russia) in Rekomi shrine.

The Rekomi, Wawel and Hermitage helmets have been differently dated by the researchers: from the 13th to the 15th century. Today we are not in a position to date the helmets precisely; the mentioned dates are preliminary and require additional research.

The origin of these helmets is debatable as well, although their Georgian origin is quite possible; researches should be necessarily continued.

ლიტერატურა

ორბელიანი ს.ს. 1991: ლექსიკონი ქართული, ტ. I. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

ორბელიანი ს.ს. 1993: ლექსიკონი ქართული, ტ. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1959: ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი

ციმ, საინვენტარო დავთარი № 1: ცაგერის ვ. მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმის საინვენტარო დავთარი (შემოსულობათა წიგნი) № 1.

წურწუმია მ. 2013: მუზარადი ვაველის მუზეუმიდან და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში – საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, ტომი I, 47-79, თბ.

Alexander D. G. 1983: Two Aspects of Islamic Arms and Armor - Metropolitan Museum Journal, Vol. 18. pp. 97-109.

Gorelik M. 1979: Oriental armour of the Near and Middle East from the eight to the fifteenth centuries as shown in works of art – Islamic Arms and Armour (ed. Robert Elgood), 30-63, London

Mayer L. A. 1943: Saracenic Arms and Armor - Ars Islamica, Vol. 10, pp. 1-12, Michigan

Nicolle D. 1979: An introduction to arms and warfare in classical Islam – Islamic Arms and Armour (ed. Robert Elgood), 162-186, London

Tsurtsumia M. 2011: The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its place in the Evolution of Oriental Helmet – Acta Militaria Medievalia, 7 (ed. P. Kotowicz), pp. 79-103, Sanok

Żygulski Z. 1979: Islamic weapons in Polish collections and their provenance - Islamic Arms and Armour, pp. 213-238 (ed. by Robert Elgood). London

Адамова А., Гюзальян Л. 1985: Миниатюры рукописи поэмы «Шахнаме» 1333 года, Ленинград

Аствацатурян Э. Г. 2002: Турецкое оружие в собрании Госдарственного Исторического музея, СПБ

Дарчиев А. В. 2011: О некоторых реликвиях святилища Реком. Владикавказ (http://www.istmira.com/istnovei/o-nekotoryx-relikviyax-iz-svyatilishha-rekom/)

Горелик М. В. 1983: Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV - начала XV в. Москва

Горелик М. В. 1987: Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.) - Археология, этнография и антропология Монголии, стр. 163-208 (Отв. ред. А. П. Деревянко, Ш. Нацагдорж), Новосибирск
Клавихо Руи Гонзалес 1881: Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403-1406 гг. (пер. И. И. Срезневского) СПб. (http://www.vostlit.info).
Кирпичников А. Н. 1971: Древнерусское оружие. Вып. 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв. - Свод Археологических Источников. Е1-36. Москва/Ленинград (ред. акад. Б. Рыбаков).
Кузнецов В.А. 1990: Реком, Нузал и Царазонта, Владикавказ
Кулешов Ю.А. 2010: Производство и импорт оружия как пути формирования золотоордынского комплекса вооружения – Золотоордынская цивилизация. Сборник статей, 3, Казань, (ред. И.М.Миргалеев), стр. 73-97.
Нарожный Е. И. 2008: О некоторых типах средневековых шлемов с территории Северного Кавказа - Военная археология, Сборник материалов семинара при Государственном историческом музее, Москва (ред. О. В. Двуреченский) стр. 42-54
Нарожный Е. И., Нарожный В. Е., Чахкиев Д. Ю. 2005: Погребение №15 Келийского могильника (горная Ингушетия) - Материалы и исследования по археологии Северного Кавказа. Вып. 5, Армавир. стр. 291-305
Сардак Т. В. 2008: Шлем из коллекции Днепропетровского исторического музея - Военная археология, Сборник материалов семинара при Государственном историческом музее, Москва (ред. О. В. Двуреченский) стр. 142-143
Чахкиев Д.Ю. 1984: Богатое погребение воина-кочевника у села Новотерское (Чечено-Ингушетия) - Археология и вопросы социальной истории Северного Кавказа (ред. В.Б. Виноградов), Грозный, стр. 95-104
Чахкиев Д.Ю., Нарожный Е.И. 1990: Погребение знатного горского воина из селения Верхний Алкун (Чечено-Ингушетия) - Военное дело древнего и средневекового населения Северной и Центральной Азии, Новосибирск, стр. 129-140
Шервашидзе Л. 1964: К вопросу о грузинской светской миниатюре (Миниатюры батальной тематики Джучской псалтири), Тбилиси.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I. 1. მუზარადი. ცაგერი, ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიულ მუზეუმში (ავტორის ფოტო).
2. დეტალი (ავტორის ფოტო).
3. დეტალი (ავტორის ფოტო).
ტაბ. II. 4. მუზარადი. კრაკოვი, ვაველის სასახლე (Z. Żygulski-ის მიხედვით).
5. დეტალი (Z. Żygulski-ის მიხედვით).
6. მუზარადი. სანქტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი (მ. წურწუმიას მიხედვით).
ტაბ. III. 7. მუზარადები (ჩანახატი). სტამბოლი, თოფქაფის სასახლე (D. Nicolle-ის მიხედვით).
8. მუზარადი (ჩანახატი) მოსკოვი, კრემლის იარაღის პალატა (М. В. Горелик-ის მიხედვით).
9. მუზარადი (ჩანახატი) რეკომის სალოცავი, ჩრდ. ოსეთი (В.А. Кузнецов-ის მიხედვით).
10. მუზარადი რეკომის სალოცავში (გ. ნიორაძის ფოტოსურათი А. Дарчиев-ის მიხედვით).
ტაბ. IV. 11. მუზარადი. ბრუსელი, სენკანტენერის მუზეუმი (ავტორის ფოტო).
12. მინიატიურა (დეტალი), 1333 წ შირაზი (?) (А. Адамова, Л. Гюзальян-ის მიხედვით).
13. მუზარადი (ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირის მეჰმედ სოკოლუსი), 1560 წ. ვენა, კუნსტ ჰისთორიშეს მუზეუმი (ავტორის ფოტო).
14. მუზარადი (მიეწერება ოქროს ურდოს მმართველი ჯანი ბეგ იბნ ოზბეგს) 1342-1357 წწ. (?) ნიუ-იორკი, მეტროპოლიტან მუზეუმი (© www.metmuseum.org).
ტაბ. V. 15. მუზარადი (მიეწერება ხორეზმის შაჰს ჯალალ ად-დინს) XIII ს-ის 20-იანი წწ. (?). თბილისი, საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზუმი).

16. მინიატიურა (დეტალი), 1333 წ შირაზი (?) (А. Адамова, Л. Гюзальян-ის მიხედვით).
17. მინიატიურა (დეტალი), დავითნი (H-1665), საქართველო, XIV-XV სს. (მ. წურწუმიას მიხედვით).
18. მინიატიურა (დეტალები), 1494 წ. ლაჰიჯანი (© The David Collection museum in Denmark).
ტაბ. VI. 19. მუზარადი (ჩანახატი) კელიის სამაროვანი (სამარხი № 15), მთიანი ინგუშეთი, XIII ს. II ნახ. ან მიწურული (Е. И. Нарожный, В. Е. Нарожный, Д. Ю. Чахкиев-ის მიხედვით).
20. მუზარადი (ჩანახატი), ნოვოტერსკოე (ჩეჩნეთი), XIII-XIV სს. (Е. И. Нарожный-ის მიხედვით).

Descrion Of The Plates

Tab. I

1. Helmet, Tsageri, Varlam Makharoblidze Tsageri History Museum (Photo of the author)
2. Detail (photo of the author)
3. Detail (photo of the author)

Tab. II

4. Helmet. Krakow, The Wawel Royal Castle (by Z. Żygulski)
5. Detail (by Z. Żygulski)
6. Helmet, Saint Petersburg, Hermitage Museum (by M. Tsurtsumia)

Tab. III

7. Helmets (sketch), Istanbul, Topkapi Palace (by D. Nicolle)
8. Helmet (sketch), Moscow, Kremlin Armory Chamber (by M.V. Gorelik)
9. Helmet (sketch), the Rekomi shrine, North Ossetya by (V.A. Kuznetsov)
10. Helmet in the Rekomi Shrine, North Ossetya (Photo by G.Nioradze, after A. Darchiev)

Tab. IV

11. Helmet. Brussels, Cinquantenaire Museum (photo of the author).
12. Miniature (detail), 1333, Shiraz (by A. Adamova, L.Giuzalyan)
13. Helmet (Ottoman Empire’s great vizier Mehmed Sokollu),1560.Vienna, Kunsthistorisches Museum (photo of the author).
14. Helmet (attributed to the ruler of Golden Horde – Jani Beg Ibn Ozbeg), 1342-1357 (?). New York, Metropolitan Museum (©www.metmuseum.org).

Tab. V

15. Helmet (attributed to Khorezm shah Jalal ad-Din), 1220s. Tbilisi, The Georgian National Museum (photo of the author)
16. Miniature (detail), 1333, Shiraz (by A .Adamova, L. Giuzalyan)
17. Miniature (detail), Davitni (H 1665) Georgia, 14th -15th Centuries (by M. Tsurstumia)
18. Miniature (details), 1494 . Lahijan (The David Collection Museum in Denmark).

Tab. VI

19. Helmet (sketch), Kelia necropolis (trench N15), Mountainous Ingushetia. 2nd half or the end of the 13th Century (by E.I .Narojni, V.E. Narojni, D.U. Chakhkiev)
20. Helmet (sketch), Novoterskoe (Chechnya), 13th-14th centuries (by E.I. Narozhni)

I

1

2



3

4



5

6

III



7



8



9



10

11

12

13

14

15

16

17



18

VI



19



20

გიორგი მამარდაშვილი

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექცია

ლეჩხუმის[1] ეთნოგრაფიულ თავისებურებას დიდწილად განსაზღვრავს ამ კუთხის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა. იგი შემოსაზღვრულია ქართული ეთნიკური ჯგუფების მიერ დასახლებული კუთხეებით და ისტორიის მანძილზე თითქოს ერთგვარი უსაფრთხოების ზონაში იმყოფებოდა. მას გარეშე მტერიც ნაკლებად აწუხებდა, თუმცა თვითონ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში. განსაკუთრებით დიდი იყო ლეჩხუმის როლი დასავლეთ საქართველოში რეგიონალური პოლიტიკური ცენტრების არსებობის დროს (ეგრისის სახელმწიფოში V-VI საუკუნეებში, იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროში XVI-XVIII საუკუნეებში). ლეჩხუმი უსაფრთხოების თვალსაზრისით შეიძლება მთიან კუთხედ მოიაზროთ, თუმცა მისი მოსავლიანობა და სამეურნეო ვარგისიანობა მთისას გაცილებით აღემატება. მეურნეობის მრავალფეროვნების ფაქტი პირველ ქართველ გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს აღნიშნული [ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 749].

ლეჩხუმი VI საუკუნეში ეგრისის ანუ ლაზიკის სახელმწიფოს ერთ-ერთი სამთავროთაგანია, რომელსაც ბერძენი ისტორიკოსები „სკვიმია"-ად მოიხსენიებენ [გეორგიკა, 1964: 197]. შუასაუკუნეებში, რაღაც დროის განმავლობაში ის თაკვერის საერისთაოში იყო გაერთიანებული. XVII საუკუნიდან ლეჩხუმი აქტიურად მონაწილეობს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებში და მას სარდალ-მოურავი მართავს [ლეთოდიანი 1982: 60. მამარდაშვილი 2006ა: 13-24].

ლეჩხუმი რიონისა და ცხენისწყლის შუა წელზე მდებარეობს და თუმცა ძალიან პატარა კუთხეა, მაინც იყოფა ზემო (ცხენისწყლის ხეობა, ლაჯანურის ხეობა და რიონის ხეობა ნიკორძირიდან ასკ-გველისთავამდე) და ქვემო ანუ კლდედაღმართ ლეჩხუმად (რიონისა და ლეხიდრის ხეობა) [ალავიძე 1951: 85].

ლეჩხუმის უმაღლეს მთად ცეკური ითვლება. ასევე მნიშვნელოვანია ასხისა და ხვამლის მთები, რომელთა საძოვრებიც ამ კუთხის მესაქონლეობაში დიდ როლს თამაშობენ. ლეჩხუმის ნიადაგი საკმაოდ ნოყიერია, მოდის მარცვლეული, უნიკალური ჯიშის საღვინე ყურძენი (უსახელოური, ორბელის ოჯალეში, ცოლიკაური). ამ კუთხის ტაფობები და ხეობათა ფერდობები ხორბლეულის უძველესი ჯიშების ერთ-ერთი უადრესი გავრცელების ადგილებადაა მიჩნეული, აქ საკმაო რაოდენობით მოჰყავდათ მახისა და ზანდურის ჯიშის ხორბალი, რომელთა აღებას განსაკუთრებული სპეციფიკა ჰქონდა – ამ ჯიშის ხორბლეულს სპეციალური, გაკეცილი ჯოხით – შნაკვით მკიდნენ [ბრეგაძე 1960: 180. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 67].

ლეჩხუმი, რომლის გზებიც მთიანეთსა და ბარს აკავშირებდა, არც ვაჭრობისთვის იყო წამგებიანი; XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ლაილაშის ბაზრობა განთქმული იყო [გასვიანი 1988: 182].

ლეჩხუმელის კარმიდამო, სამეურნეო იარაღები (გუთანი, სახვნელი, კავი, კევრი, თოხი, ბარი, შნაკვი, საცეხველი და მისთანანი), წყლისა თუ ღვინის ტრანსპორტირებისათვის და შესანახად საჭირო საშუალებები (თუნგები, კუპრიელები, ქვევრები, ყვიბარები), შინ ნაკეთი ტანისამოსი, ცხენის აღკაზმულობა, სადიასახლისო ნივთები (ლაფერთხა, სატუკელა და სხვა) საკმაოდ საინტერესო და ეგზოტიკურ სანახაობას წარმოადგენს [ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 61-69].

ადრე, სანამ ლეჩხუმში ოდა სახლები გავრცელდებოდა, ხალხი კათხა სახლებში ცხოვრობდა. კათხა სახლი ფიცრით ნაგები ერთსართულიანი (ბოლო ხანებში იშვიათად ორსართულიანი) ნაგებობა იყო. მას იატაკად სოხანე ჰქონდა, სახურავად კი ყავარი. კათხა სახლებამდე ლეჩხუმში ფაქუტა სახლებში უცხოვრია ხალხს [ალავიძე 1951: 92-94]. ფაქუტა სახლი, პატარა ნაგებობაა, რომელიც ისლით ან ზანდურის კოროლითაა დახურული. როგორც ყველგან საქართველოში, ლეჩხუმშიც სახლის შუაგულში განთავსებული

[1] კატალოგის (კოლ. 12) შემდგენელები ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები პ. ლეთოდიანი, დ. საღინაძე.

ჰქონდათ კერია, შუაცეცხლი. ლეჩხუმელი გლეხის კარმიდამოში მრავალი დამხმარე ნაგებობაა: ჭურ-მარანი, საქათმე, საღორე, ბეღელი, ბოსელი, ნალია, საბძელი და სხვა [ალავიძე 1951: 90].

ლეჩხუმში უმთავრესად მოჰყავთ მარცვლეული (სიმინდი, ადრე მოჰყავდათ პურის უნიკალური ჯიშები მახა და ზანდური), ლობიო, არცთუ იშვიათად, კარტოფილი და გოგრა (კვახი). ლეჩხუმელს თავისი ნამატი პროდუქცია (ღვინო, სიმინდი ხილი და სხვ.) ძირითადად მომიჯნავე იმერეთის ტერიტორიაზე, ხონში გაჰქონდა. ლეჩხუმელი გლეხები ვაჭრობდნენ სამეგრელოშიც. თავისი მაღალპროფესიონალიზმით ცნობილი იყვნენ ლეჩხუმელი ჩალვადრები, ტვირთმზიდავ-გამცილებლები, რომლებსაც სხვადასხვა საქონელი და ადგილობრივი პროდუქცია აქეთ-იქით მიჰქონდ-მოჰქონდათ.

ლეჩხუმელთა სადღესასწაულო რიტუალური წესჩვეულებებიც საკმაოდ მდიდარია. ლეჩხუმურ დიალექტზე დღესასწაულს „დიახწველი“ ჰქვია. მნიშვნელოვანი დღესასწაულები დიახწველებია: ბარბარობა, ჭანტილობა, შობა, კალანდა, ახალი წელი, სულის გადაბრძანების დღე, კაი პარასკევი, ბოსლობა დღე, თევდორობა, დიდი ხუთშაბათი, გიორგობა, ხვამლობა, ამაღლება, მახიკრეფის ჭაბუკობა, ღვთისმშობლობა, სულთა შაბათი [მამარდაშვილი 2006ბ: 68]. ადრე ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაული ხვამლობა გახლდათ. ხვამლი წმინდა მთად ითვლება, მასზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ლეჩხუმში დღესაც გაიგონებთ გამოთქმას - „საქართველოს გოუჭირდეს ხვამლმა არჩინოსო“. შეასაძლოა ამ გამოთქმას საფუძვლად ხალხური გადმოცემების გარდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც აქვს, რომლის მიხედვითაც ხვამლის მთაში ინახება ქართველ მეფეთა საგანძური [ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 219].

ცაგერის მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექცია, შეძლებისდაგვარად ასახავს ლეჩხუმური ყოფა-ცხოვრების მრავალფეროვნებას. აქ დაცული ექსპონატები საკმაოდ კარგ წარმოდგენას შეუქმნის დამთვალიერებელს ამ პატარა კუთხის ეთნოგრაფიული წარსულის შესახებ[2].

[2] ლეჩხუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ დამთვალიერებელთა ცოდნას კიდევ უფრო გააღრმავებს ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე შექმნილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომლის ტერიტორიაზეც წარმოდგენილი იქნება არა მარტო განათხარი არქეოლოგიური კომპლექსები (ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარის ფრაგმენტები, შუასაუკუნეების დეხვირის ციხეები), არამედ ლეჩხუმური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ვაზისა და ხილის ლეჩხუმური ჯიშების საცდელი ნაკვეთი.

Giorgi Mamardashvili

Ethnographic Collections of the Tsageri History Museum

Summary

Lechkhumi is a small, but very distinguished region in the foothill area of western Georgia. Its geographical location raised the transit meaning of the region, while the economic adequacy conditioned the variety of branches of economy. The interconnection of the mountainous and lowland areas, together with the diverse agriculture also reflected on the material and ritual sides of the everyday life. Lechkhumi is considered to be the homeland of the most ancient wheat species (Makha, Zanduri) and the best wines (Usakhelouri, Tsolikouri). Cattle-breeding is also developed in this area.

The traditional life-style of the residents of Lechkhumi, their beliefs, dwellings, arrangement of the house and yard, agricultural tools still preserve some archaic features, that grants the ethnography of the region its originality and exotic credits.

ლიტერატურა

ალავიძე მ. 1951: ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. თბილისი.
ბრეგაძე ნ. 1960: რაჭა-ლეჩხუმის მარცვლეული კულტურის შესახებ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე. № 3. თბილისი.
გასვიანი გ. 1988: დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება XVI-XIX სს. თბილისი.
ყაუხჩიშვილი ს. 1965: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II ტ. თბილისი.
ბატონიშვილი ვახუშტი 1973: აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV ტ., თბილისი.
ლეთოდიანი დ. 1982: ლეჩხუმი ადრეფეოდალურ ხანაში. თსუ შრომები, № 227. თბილისი.
მამარდაშვილი გ. 2006ა: ლეჩხუმის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიიდან. თბილისი.
მამარდაშვილი გ. 2006ბ: საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში. თბილისი.
ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. 2012: თბილისი.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I - კარდალები, ქვაბი, თუნგები. სპილენძი.
ტაბ. II - ლობიოს ქოთანი, გობები, როდინები. თიხა, ხე, ქვა.
ტაბ. III – ქვევრი, დოქები, კუპრი. თიხა, ტყავი.
ტაბ. IV – კევრი, მარცვლეულის საფშვნელი ურო, საცეხველი, შნაკვი. ხე, ქვა.
ტაბ. V – ნაბადი ყაბალახით, მოსაცმელი, ქალამანი. შალი, ტყავი.

Descrion Of The Plates

Tab. I - Cauldrons, Jars
Tab. II - Kidney beans cooking pot. Clay. Wood. Stone.
Tab. III – Qvevri, jug, kupri-wine transport vessel. Clay. Leather.
Tab. IV – Kevri-thrashing board, wooden hammer for grain thrashing, satsekveli-thrashing implement, shnakvi-implement for grain. Wood.
Tab. V – Felt cloak worn in Caucasus with qabalakhi-headdress, goat skin cloac, qalamani-local shues. Wool. Leather.

I

II

III

ნუგზარ კოპალიანი

დიმიტრი ერმაკოვის ფოტონამუშევრების კოლექცია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში

დიმიტრი ერმაკოვის ფოტონამუშევრების კოლექცია ცაგერის ისტორიული მუზეუმის მშვენებაა[1].

დიმიტრი ერმაკოვი 1846 წელს თბილისში დაიბადა. 20 წლის ასაკში იგი უკვე ცნობილი ფოტოგრაფი იყო, რომლის ნამუშევრები გამოირჩეოდა მხატვრული სრულყოფით, რაც უახლესი მიღწევებისა და ახალი ფოტოტექნოლოგიების გამოყენებაზე იყო დამყარებული. გაზეთი „კავკაზი" წერდა - „ერმაკოვის ფოტოგრაფიები გამოირჩევა თავისი მხატვრული სრულყოფით და წარმოადგენს დიდ ინტერესს ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის თვალსაზრისით".

1877-78 წლებში იგი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში სამხედრო ფოტოგრაფად.

1880 წელს მან თბილისში საკუთარი ფოტოატელიე გახსნა. იგი მუშაობდა როგორც სტუდიაში, ასევე ბევრს მოგზაურობდა კავკასიაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასია). იღებდა ქალაქების ხედებს, პეიზაჟებს, არქიტექტურულ ძეგლებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. მას 36 ჯილდო აქვს მიღებული რუსეთსა და უცხოეთში გამართულ ფოტო-გამოფენებზე.

1887 წელს იგი აირჩიეს კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1912 წელს – წევრ-დამფუძნებლად.

1907 წელს იგი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი გახდა.

დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-კოლექცია, რომელიც 30 000 ნეგატივისაგან შედგება რამდენიმე ფონდშია დაცული (საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებში). მათ შორისაა ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდი, სადაც 50 ნეგატივია დაცული.

დიმიტრი ერმაკოვი რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილე იყო. 1910 წელს მან იმოგზაურა სვანეთში, სადაც 900-მდე არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი გადაიღო.

1910 წელსვე იგი ფოტოგრაფად მონაწილეობდა ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ლეჩხუმში, სადაც მან ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო ნივთები დააფიქსირა ლაბეჭინაში, ორბელში, ლაჯანაში, ლაცორიაში, ცხეთაში, ცაგერში, ზუბში, ოყურეშში, ნაკურალეშში, ქვემო აღვში, ნასპერში.

1914 წელს დიმიტრი ერმაკოვი მონაწილეობდა ნ. მარის ექსპედიციის მუშაობაში, რომელიც რუსეთის აკადემიის დავალებით ჩატარდა ლეჩხუმში, მურში, წმ. მაქსიმე აღმსარებლის საფლავის მოსაძებნად.

ამ მოგზაურობების შედეგად აღბეჭდილია ლეჩხუმის 100 წლის წინანდელი არამარტო ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო ნივთები, არამედ ლეჩხუმის პეიზაჟები (მდ. ცხენისწყლისა და მდ. ლაჯანურის ხეობა, სოფლების ხედები), ლეჩხუმის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები და ლეჩხუმური დღესასწაულები.

[1] კატალოგის (კოლ. № 13) შემდგენელი ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი დავით საღინაძე.

Nugzar Kopaliani

Photo collection of Dimitri Ermakov in the Tsageri History Museum

Summary

Dimitri Ermakov's photo portfolio consisting of 50 negatives is a real beauty of the Tsageri History Museum.

Dimitri Ermakov was born in 1846 in Tbilisi, Georgia. By the age of 20, he had already become a famous photographer. His photographs stood out for their perfection and they were interesting from the point of view of ethnography and archaeology.

In 1877-1978 Ermakov participated in the Russian-Turkish war as a photographer.

In 1880 Ermakov opened his own photographic studio and travelled much around the Caucasus (Georgia, Armenia, Azerbaijan, and Northern Caucasus). He took numerous photos – views of towns, landscapes, architectural monuments, and ethnographic groups. Ermakov was awarded 36 prizes in photo-exhibitions in Russia and abroad.

The Dimitri Ermakov's photo collection, which consists of 30 000 negatives, is housed in various museums (the Georgian National Museum, museums of Moscow and Saint Petersburg). Amongst them is the Tsageri History Museum.

Dimitri Ermakov participated in several scientific expeditions. In 1910 he travelled in Svaneti, where he took up to 900 photos of archaeological and architectural monuments.

He participated in EkvtimeTakaishvili's expedition in Lechkhumi in 1910, as a photographer. Ermakov took photos of churches, monasteries, and church items in Labechina, Orbeli, Lajana, Latsoria, Tskheta, Tsageri, Zubi, Oqureshi, Nakuraleshi, Qvemo Aghvi, and Nasperi.

In 1914 Dimitri Ermakov took part in the expedition of the Russian Academy in Lechkhumi (Muri), led by N. Marr. The aim of the mission was to find the grave of St. Maximus the Confessor.

As a result of these journeys, 100 years ago there were made photos depicting not only the churches, monasteries, and church items, but landscapes of Lechkhumi (Valley of the river of Tskhenistsqali and the river of Lajanuri, views of villages), representatives of different layers of the society, and Lechkhumian fests as well.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I
1. მურის ხიდი
2. წმ. მაქსიმეს საფლავის გახსნისას მურში შეკრებილი ცაგერ-ლეჩხუმის მაზრის საზოგადოებრიობა, მაზრის უფროსის, ბლაღოჩინისა და არქეოლოგიური გათხრების ხელმღვანელთა მონაწილეობით. 4.VII.1914 წ.

ტაბ. II
1. წმ. მაქსიმეს ეკლესია მურში. 1914 წ.
2. 80 წლის ჩხუტელელი გლეხი ბეკოლია კვირიკაშვილი, მაქსიმე აღმსარებელზე ლეგენდების მთქმელი და „მურობის'' მონაწილე.
3. რიტუალური პროცესია „მურობა'' („ამინდის გამოთხოვა''), ბეკოლია კვირიკაშვილის მონაწილეობით. 1914 წ.

ტაბ. II
1. ლაბეჭინა. მაცხოვარი ტახტზე. ვერცხლი.
2. ლაბეჭინა. სარკმლის დეკორი.
3. ჩაგერი. ზის ჯვრები ვერცხლის პერანგით.
4. ოყურეში. მაცხოვრისა და წმ. გიორგის ხატები.
5. ლაბეჭინა. წმინდა გიორგის ხატი.

Descrion Of The Plates

Pl. I.
1. Muri bridge
2. Public of the Tsageri-Lechkhumi district gathered at the exhumation of Saint Maximus with the participation of the head of the district, moisture and heads of archaeological excavations. 4. VII. 1914

Pl. II.
1. 80 yars old serf Bekolia Kvirikashvili from Chkhuteli. Saint Maximus story-teller and the participant of the ,,Muroba''. 1914.
3. Ritual procession ,,Muroba'' (Weather praying) with the partipication of Ekolia Kvirikashvili. 1914

Pl. III.
1. Labechina. Saviour. Icon. Silver.
2. Labechina. Window decoration.
3. Tsageri. Box tree crosses with silver lining.
4. Oqureshi. Saviour. Saint George. Icons.
5. Labechina. Saint George. Icon. Silver.

I

1

2

II

1

2

3

1

3

4



2

5

შემოკლებათა განმარტება

თსუ შრომები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისი
მსკი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი
მსკა – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. თბილისი
სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. თბილისი-ბათუმი
სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი
სკმაის – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბილისი
სსმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი
სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი
ციმ – ცაგერის ისტორიული მუზეუმი
ВДИ – Вестник древней истории
ЗКВАМР – Записки Коллегии востоковедов при Академии Музея Россиискої Академии Наук. Ленинград
Известия ГАИМК – Известия Государственной Академии Истории Материальной Культуры. Ленинград
ИРАИМК – Известия Россиискої Академии Истории Материальной Культуры. Петербург
МАК – Материалы по археологии Кавказа. Москва
МИА –Материалы и исследования по археологии СССР. Москва
НЭ – нумизматика и эриграфика. Москва
СА – Советская археология
AMITEM – Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediteranean. Ankara

ავტორთა საყურადღებოდ !

კრებულში გათვალისწინებული იქნება შემდეგი რუბრიკები: სტატიები (არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, კრიტიკა, ქრონიკა და სხვ.)

რედაქცია იღებს სტატიებს 16 გვერდამდე. გვერდების ამ მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდამდე, გამოყენებული ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა, გრაფიკული ტაბულების და ფოტოების აღწერილობა. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსიები და მათი ამონაბეჭდები. სტატიას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე ინგლისურად, ერთ გვერდამდე მოცულობის.

გვერდის ზომა – A4; შრიფტი – LitNusx და Times New Roman, შრიფტის ზომა – 12, ერთი ინტერვალით.

დამოწმებული ლიტერატურის მითითება ხდება **ტექსტში** კვადრატულ ფრჩხილებში მაგ.: [კვირკველია 1985: 119, სურ. 5, ტაბ. I/1-3].

გამოყენებული ლიტერატურის სია ნაშრომის ბოლოში დალაგებული უნდა იყოს ანბანის რიგით, ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და შემდეგ ევროპული; თუ აუცილებელია, სხვა შრიფტებზე წარმოდგენილი ლიტერატურის დასახელება (მაგ. ბერძნული, არაბული და ა.შ. შრიფტით), ის სიას ერთვის ბოლოში.

მონოგრაფიის მითითების მაგ.:

ავტორის გვარი, ინიციალები, გამოცემის წელი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი:

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას მათი სახელწოდება უნდა გამოიყოს დეფისით. აუცილებელია გვერდების სრული მითითება:

Lordkipanidze, O. 2001: The Akhalgori Hoard (An attemppt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

კრებულების მითითების შემთხვევაში აუცილებელია კრებულის რედაქტორის მითითება:

ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგია, დათარიღება, კატალოგი) (ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი V). თბილისი.

ან: **ჯალაბაძე მ. 2003:** ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – ბ. მაისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობ-ლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.

თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს სათაურების ანბანური რიგის მიხედვით და დაინომროს ლათინური ასოებით:

Шелов Д. Б. 1956a: Керамические клейма из раскопок Фанагории. – МИА, 57, 128-154

Шелов Д. Б. 1956b: Монетное дело Боспора VII-II вв. до н.э. Москва.

ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი **გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია**.

მოთხოვნები საილუსტრაციო მასალის მიმართ:

ფოტოების ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის, მკვეთრი გამოსახულებით.

გრაფიკული ტაბულები კომპიუტერულად შესრულებული, tiff ფორმატში, არანაკლებ 600 რეზოლუციის.

საილუსტრაციო მასალას თან უნდა ახლდეს სურათებისა და ტაბულების აღწერა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

Important for the Authors !

The collection will foresee the following headings: articles (archaeology, history, and ethnology), critics, chronicle, etc.

The editorial office receives articles up to 16 pages. The volume of the pages includes: an article (10-12 pages), references, illustrations, description of plates and photos. The electronic and printed versions of the articles should be submitted to the editorial board. A summary (1 page) should be enclosed.

Page size – A4, Font – LitNusx and Times New Roman, Font Size – 12, single space.

References of literature should be added in the text in square brackets; see the example:

[Kvirkvelia 1985:119, fig. 5, pl. I/1-3].

References should be listed in the end of the article, arranged in alphabetical order, at first in Georgian, then in Russian and in European languages. If it is necessary to mention publications using other scripts (Greek; Arabic, etc.), they should be added in the end of the list.

Examples of citing a monograph

Author's surname, initials, date of publishing, title, place of publishing

Lortkipanidze, Ot. 2002: At the dawn of the old Georgian civilization. Tbilisi

Citing a periodical or a collection of works, their title should be singled out with a hyphen. It is necessary to note pages.

Lordkipanidze, O. 2001: The Akhalgori Hoard (An attempt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

When inserting the collection of works into the list, it is necessary to indicate the editor's name.

Lordkipanidze O., Gigolashvili E., Kacharava D., Licheli V., Pirtskhalava M., Chkhonia A. 1981: Colchian pottery of the 6th-4th Centuries BC from Vani (typology, dating, catalogue) (O. Lortkipanidze (editor), Vani V). Tbilisi

Or: Jalabadze M. 2003: About one type of vessel from the Berikldeebi settlement. – B. Maisuradze, N. Akhvlediani (editors), The Problems of Archaeology of Caucasus in the Bronze and Iron Ages (Dziebani, Supplements, X), 45 – 47. Tbilisi

If one author has two or more works published in the same year, they should be put in the alphabetical order of the titles and numbered with Latin letters.

Shelov D.B. 1956a: Pottery Stamps from excavations of Phanagoria. - MIA, 57, 128-154

Shelov D.B 1956b: The monetary system of Bosporus in the 7th–2nd Centuries BC. Moscow

List of abbreviations should be presented on a single page

Requirements for illustrated material:

Electronic version of the photos of high quality, image resolution – not less than 300dpi, sharp photo image;

Graphic plates, drawn in computer, tiff format, resolution not less than 600;

The illustrated material should be enclosed with the description of photos and tables.

If the listed requirements are not met, the editorial office will not consider your article.

The Editorial Board has the right to pass the article to be reviewed.

ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი
Varlam Makharoblidze Tsageri Histori Museum

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ნაშრომის დაკაბადონება და ტაბულების დამუშავება – მ. წულუკიძე
ნაშრომის კორექტორი - დ. ტოგონიძე
ნაშრომის რეზიუმეების ინგლისური თარგმანი – თ. მარგველაშვილი

ტირაჟი 150 ეგზემპლარი

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	არის	უნდა იყოს
თავფურცელი	3		მუნციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი
3	11		VarlamMakharoblidze	Varlam Makharoblidze
3	23		(კატალოგის შემდგენელი თ. კოპალიანი)	არ უნდა იყოს
11	9		ცხენიწყალს	ცხენისწყალს
15		7	მხარეთმცოდნეონის	მხარეთმცოდნეობის
19		22	შეერთებია	შეეერთებია
23	19		ჯავახისვილის	ჯავახიშვილის
24	2		ღისშესანიშნაობაა	ღირშესანიშნაობაა
24		13	ფოტო-კოლექციამუზეუმში	ფოტო-კოლექცია მუზეუმში
30	13		ერთდროულად, - დამთვარიებელზე	ერთდროულად – დამთვარიელებელზე
30	სქოლიოში მეორე სტრიქონი		თ. კოპალიანი	თ. სილაგაძე
30	6, 7		მონაცემები,	მონაცემები
30		18	ლეჩხუმში.	ლეჩხუმში
30		14	მივიჩიოთ	მივიჩნიოთ
54	სქოლიო 1, 3		(49-)	(49-B)
56	12		არცერთი	არც ერთი
60		6	განსკუთრებული	განსაკუთრებული
67	3		ჯავახისვილის	ჯავახიშვილის
67	სქოლიო 2, 4		ატალოგის	კატალოგის
90	17		კვლევ-ძიების	კვლევა-ძიების
100	23		მუსეუმში	მუზეუმში
108	სქოლიო 1, 1		ატალოგის	კატალოგის
118	23		გეოგრაფია	გეოარქეოლოგია
126		19	ჭინ	წინ
134	1		ზარადის	მუზარადის
139	სქოლიო 11, 1		ზარადის	მუზარადის
140	11		ზარადის	მუზარადის
151	სქოლიო 1, 1		ატალოგის	კატალოგის
159		9	კავკსიის	კავკასიის
161	9		აღმსასრებელზე	აღმსარებელზე
161	10		«მურობის”	„მურობის”